ნ. ლორთქიფანიძე

ბიბლიოთეკის კატალოგების ორგანიზაცია

სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

ნ ა წ ი ლ ი I

რეალური კატალოგები

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი—1961

02
025
ლ 852

წინამდებარე წიგნში მოცემულია წიგნების კლასიფიკაციისა და რუბრიკაციის ზოგადი და კერძო მეთოდიკა, სისტემატური და საგნობრივი კატალოგის შედგენისა და გაფორმების მეთოდიკა და ტექნიკა, განხილულია ბიბლიოთეკის კატალოგების სახეები და ფორმები. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი სახელმძღვანელოდ გამოადგება აგრეთვე ბიბლიოთეკების მუშაკებსაც.

ავტორისაგან

ბიბლიოთეკების კატალოგების, განსაკუთრებით კი რეალური კატალოგების, შედგენა მეტად რთული საქმეა. ჩვენ შევეცადეთ ქართულ ენაზე მოგვეცა ამ საგნის მოკლე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გამოადგება აგრეთვე სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკებსაც. სახელმძღვანელოს შედგენისას გამოვიყენეთ არსებული ლიტერატურა და საბჭოთა ბიბლიოთეკების მდიდარი პრაქტიკა, აგრეთვე საკმაოდ ხანგრძლივი პირადი გამოცდილება და დაკვირვება. ეს სახელმძღვანელო ცალკე ნაკვეთებად ერთხელ უკვე იყო დაბეჭდილი. ახლა იგი იცემა მთლიან წიგნად, ნაწილობრივ შესწორებული.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

განუსაზღვრელია ბიბლიოთეკების როლი და მნიშვნელობა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისა და ფართო მასების განათლებაღზრდის საქმეში. საბჭოთა ბიბლიოთეკების ძირითად ამოცანას წარმოადგენს წიგნის ფართო მასებში გავრცელება. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „საჯარო ბიბლიოთეკის სიამაყედ და სახელად მიჩნევა არა იმისა, თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში, XVI საუკუნის რამდენი და რა გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოეპოვება მას, არამედ ის, თუ რამდენად ფართოდ ტრიალებს წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად სწრაფად კმაყოფილდება წიგნის ყოველი მოთხოვნა, რამდენი წიგნი გაიცა შინ წასაკითხად, რამდენი ბავშვია მიზიდული, რომ იკითხონ და ისარგებლონ ბიბლიოთეკით“...[1]

იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ პირნათლად შეასრულოს მის წინაშე დასმული ამოცანები, მას უნდა ჰქონდეს კარგად შედგენილი კატალოგები. ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი არ არის კატალოგიზირებული, მკითხველთა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, წიგნებს მასებში ვერ გაავრცელებს. მხოლოდ კარგად შედგენილი კატალოგების მეშვეობით შეიძლება ბიბლიოთეკის მდიდარ და მრავალფეროვან ფონდში გარკვევა, მკითხველთა მრავალგვარი მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილება. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი და ნ. კ. კ რ უ პ ს კ ა ი ა ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კატალოგებს.

კატალოგი ბერძნული სიტყვაა (katalogos) და ქართულად ნიშნავს ნუსხას, ანუ სიას. საბიბლიოთეკო კატალოგი წარმოადგენს ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნების აღწერილობებს (ნუსხას), რომლებიც დალაგებულია გარკვეული გეგმისა და წესის მიხედვით. იმისდა მიხედვით, თუ რა წესით არის წიგნთა აღწერილობანი განლაგებული, ვასხვავებთ კატალოგის სამ ძირითად სახეს: 1) ანბანური კატალოგი, 2) სისტემატური კატალოგი და 3) საგნობრივი კატალოგი.

ა ნ ბ ა ნ უ რ ი კ ა ტ ა ლ ო გ ი ეწოდება ისეთ კატალოგს, რომელშიაც წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია ანბანზე ავტორთა გვარების მიხე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. გამ. 4. ტ. 19, 1951, გვ. 324—325.

დვით, ან, თუ წიგნი უავტოროა, სათაურის დასაწყისი სიტყვების ანბანის მიხედვით. ანბანურ კატალოგში ერთი ავტორის ყველა ნაწარმოები, რა საკითხზედაც არ უნდა იყოს იგი დაწერილი, ერთად იყრის თავს. ანბანური კატალოგით მკითხველი (და ბიბლიოთეკარი) მაშინ სარგებლობს, როდესაც მისთვის ცნობილია წიგნის ავტორი და სათაური. ანბანური კატალოგი პასუხობს მკითხველის შემდეგ კითხვებს:

1. არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამა და ამ ავტორის ამა და ამ სახელწოდების წიგნი;

2. არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამა და ამ სათაურით წიგნი;

3. ამა და ამ ავტორის რა და რა ნაწარმოებები მოიპოვება ბიბლიოთეკაში;

4. ამა და ამ ავტორის შესახებ რა და რა ნაწარმოები (personalia) მოიპოვება ბიბლიოთეკაში.

ანბანური კატალოგი პასუხობს, აგრეთვე, ყველა კითხვას, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ გამოცემასთან (მაგ., ამა და ამ ავტორის, ამა და ამ სახელწოდების გამოცემის წელის შესახებ, რა და რა გამოცემებია გარკვეული ნაწარმოებისა, რა და რა თარგმანია ამა და ამ ნაწარმოებისა და სხვ.).

ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი კ ა ტ ა ლ ო გ ი ეწოდება ისეთ კატალოგს, სადაც წიგნთა აღწერილობანი დალაგებულია ცოდნის დარგების მიხედვით, უკეთ— მეცნიერებათა კლასიფიკაციის გარკვეული სისტემის მიხედვით. სისტემატური კატალოგი წიგნობრივ ფონდს მკითხველთა წინაშე შინაარსის მიხედვით გადაშლის. მეცნიერებათა ერთი დარგის, მეცნიერების ერთი საკითხის შესახებ წიგნების აღწერილობები ერთად დალაგდება, ხოლო თვით ეს მეცნიერებათა დარგები, მეცნიერებათა საკითხები, გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით არის განლაგებული სისტემატურ კატალოგში. ამიტომ სისტემატურ კატალოგს ხშირად ლოგიკურ კატალოგს უწოდებენ. სისტემატური კატალოგი პასუხობს მკითხველის შემდეგ კითხვას: რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში მეცნიერებათა ამა და ამ დარგის შესახებ ან მეცნიერების ამა და ამ საკითხზე. სისტემატურ კატალოგს მკითხველი მიმართავს მაშინ, როდესაც იგი შეისწავლის მეცნიერების გარკვეულ დარგს ან ამუშავებს მეცნიერების რომელიმე საკითხს. სისტემატური კატალოგი გვაძლევს საშუალებას მიმოვიხილოთ ლიტერატურა მეცნიერებათა დარგებისა და მეცნიერებათა საკითხების მიხედვით. ეს კატალოგი აუცილებელია არა მხოლოდ მკითხველებისათვის, არამედ ბიბლიოთეკარებისათვისაც. ამ კატალოგის საშუალებით წარმოებს ბიბლიოთეკის ფონდის შესწავლა, ფონდის ანალიზი. იგი აუცილებელია ბიბლიოთეკის ფონდების სწორი დაკომპლექტებისათვის, მკითხველთა მომსახუ-

რებისა და ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემისათვის. სისტემატური კატალოგი უსაჭიროესი კატალოგია ბიბლიოთეკაში. შეიძლება სხვა სახის კატალოგი არ იყოს შედგენილი; მაგრამ სისტემატური კატალოგი აუცილებლად უნდა იყოს. სისტემატური კატალოგის გარეშე ბიბლიოთეკა ვერ შეძლებს თავისი ამოცანების შესრულებას, ვერ შეძლებს ნორმალურად მუშაობის წარმოებას. ამას თვით ისტორიაც მოწმობს.

უძველესი სახე კატალოგისა—სისტემატური კატალოგია. ის ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება ძველი ქვეყნების კატალოგების შესახებ, ადასტურებს, რომ ძველი აღმოსავლეთის ბიბლიოთეკებში (ეგვიპტეში, ბაბილონში, ასურეთში და სხვ.), ასევე ძველს საბერძნეთსა და რომის ბიბლიოთეკებში მხოლოდ სისტემატური კატალოგები იყო. აშურ-ბანი-პალის ბიბლიოთეკისა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკის კატალოგები სისტემატური იყო. მაშასადამე, იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი ბიბლიოთეკების ისტორიაში, როდესაც ბიბლიოთეკები მხოლოდ სისტემატური კატალოგით მუშაობდნენ. კატალოგების ისტორია თავისთავად ლაპარაკობს სისტემატური კატალოგის მნიშვნელობის შესახებ.

მესამე ძირითადი სახე კატალოგისა არის ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი კატალოგი. საგნობრივი კატალოგი ეწოდება ისეთ კატალოგს, სადაც წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია წიგნის შინაარსის, ანუ წიგნის საგნის გამომხატველი სიტყვის (ან სიტყვების) ანბანის მიხედვით. წიგნის შინაარსის, ანუ საგნის გამომხატველ სიტყვას (ან სიტყვებს) საგნობრივი რუბრიკა ეწოდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საგნობრივი კატალოგი არის კატალოგი, სადაც წიგნთა აღწერილობანი საგნობრივ რუბრიკათა ანბანის მიხედვით არის განლაგებული. საგნობრივი კატალოგიც შინაარსის მიხედვით გადაგვიშლის წიგნობრივ ფონდს, მაგრამ სისტემატური კატალოგისაგან განსხვავებით წიგნის საგანი კატალოგში წარმოდგენილია არა გარკვეულ ლოგიკურ კონტექსტში, მეცნიერებათა კლასიფიკაციის მიხედვით, არამედ დამოუკიდებლივ. ცალკეა მოცემული ანბანზე (საგანთა განლაგება ძექანიკურია და არა ლოგიკური). საგნობრივი კატალოგი თავის აღნაგობით ენციკლოპედიურ ლექსიკონს მოგვაგონებს: სასაგნო სიტყვები იქ ისევე ანბანურადაა განლაგებული, როგორც ლექსიკონებში. მაგ., რუბრიკა „ღირებულების თეორია“ საგნობრივ კატალოგში იქნება ასო „ღ“-ზე, შრომის საკითხები“ — ასო „შ“-ზე, „კრედიტი“—ასო „კ“-ზე, „ფინანსები“ ასო „ფ“-ზე და ა. შ., ხოლო სისტემატურ კატალოგში ყველა ეს საკითხი თავმოყრილი იქნება და ლოგიკური თანმიმდევრობით განლაგდება ეკონომიურ მეცნიერებათა განყოფილებაში. საგნობრივი კატალოგი უპასუხებს მკითხველის კითხვას: რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში კონკრეტულად ამ საკითხზე. საგნობრივ კატალოგს მკითხველი მიმართავს

მაშინ, როდესაც მას სწრაფად უნდა მიიღოს ცნობა ლიტერატურის შესახებ ერთ რომელიმე ვიწრო საკითხზე. სისტემატურ კატალოგს კი მკითხველი მიმართავს მაშინ, როდესაც მას სურს გარკვეული დარგის ლიტერატურის მიმოხილვა, როდესაც მას აინტერესებს ლიტერატურა მოსაზღვრე საკითხებზედაც. საგნობრივი კატალოგი უფრო ვიწრო ცნობარს წარმოადგენს. სისტემატური კატალოგი კი უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმძღვანელო კატალოგია.

სისტემატურ და საგნობრივ კატალოგებში წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია წიგნის შინაარსის მიხედვით. წიგნის შინაარსი, საგანი განსაზღვრავს წიგნის აღწერილობის ადგილს კატალოგში. ისეთ კატალოგს, სადაც წიგნთა აღწერილობანი წიგნთა შინაარსის მიხედვითაა განლაგებული—რეალური კატალოგი ეწოდება. (res—ლათინური სიტყვაა და ნიშნავს არსს, საგანს). სისტემატური და საგნობრივი კატალოგები რეალური კატალოგების სახეებს წარმოადგენენ. ანბანურ კატალოგს კი უწოდებენ ნომინალურ კატალოგს (nomen—სახელი. ნომინალური კატალოგი, ე. ი. კატალოგი სადაც წიგნთა აღწერილობანი ავტორთა სახელების, ანუ გვარის ანბანის მიხედვით არის განლაგებული).

საგნობრივი კატალოგი ყველაზე ახალგაზრდა კატალოგია. იგი პირველად გასული საუკუნის სამოციან წლებში იყო შექმნილი ამერიკაში ბოსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის აბოტის მიერ. თუმცა უნდა ითქვას, რომ თეორიული მოსაზრებანი ამგვარი კატალოგის შექმნის შესახებ გაცილებით ადრე იყო გამოთქმული. ამ მხრივ საინტერესოა მოვიყვანოთ XVI — XVII საუკუნეებში გამოთქმული შეხედულებანი კატალოგთა სახეების შესახებ. ფლორიანე ტრეფლერმა ჯერ კიდევ 1560 წელს შემდეგი სახის კატალოგები დასახა: 1) ანბანური, 2) სისტემატური, 3) წიგნთა შინაარსის საგნობრივი ნუსხა, 4) საგნობრივი ნუსხის ანბანური საძიებელი, 5) ნუსხა წიგნებისა, რომლებიც მოთავსებულია სარეზერვო (მარქაფა) თაროებზე. აქ მოხსენებული საგნობრივი ნუსხის „ანბანური საძიებელი", უეჭვოდ წარმოადგენს საგნობრივი კატალოგის იდეის მიგნებას. რა თქმა უნდა, ეს არ არის საგნობრივი კატალოგი იმ გაგებით, როგორითაც დღეს ჩვენ იგი გვესმის, მაგრამ საგნობრივი კატალოგის იდეის ჩანასახს იგი უეჭველად წარმოადგენს.

კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა კატალოგების სახეები ციურიხის პროფესორმა იოჰან ჰენრის ჰოტინგერმა 1664 წელს გამოსულ შრომაში „ბიბლიოთეკარი ოთხ ნაწილად" („Bibliothecarius quadripartitus"). იგი შემდეგი სახის კატალოგებს აყალიბებს:

1. ქრონოლოგიური კატალოგი („catalogus chronologicus"), სადაც

წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია იმ ეპოქათა მიხედვით, რომლებშიაც ავტორები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

2. სისტემატური კატალოგი, რომელსაც ჰოტინგერი „catalogus logicus“ უწოდებს.

3. თეოლოგიური კატალოგი („catalogus theologicus“), სადაც წიგნთა აღწერილობანი დალაგებულია ავტორთა სარწმუნოების მიხედვით. ასეთი კატალოგი შუა საუკუნეებში თუ იყო საჭირო.

4. გრამატიკული კატალოგი („catalogus gramaticus sive alphabeticus“), ეს კატალოგი მას ორ სახედ აქვს წარმოდგენილი. პირველია რეალური კატალოგი („catalogus realis“), სადაც წიგნთა აღწერილობები განლაგებულია წიგნის შინაარსის გამომხატველი სიტყვის ანბანის მიხედვით, სხვანაირად რომ ვთქვათ (დღევანდელი ტერმინოლოგიით), საგნობრივი კატალოგი. გრამატიკული კატალოგის მეორე სახეს იგი პერსონალურ კატალოგს უწოდებს („catalogus personalis“), ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით ანბანურ კატალოგს.

5. „Catalogus topographicus“—ტოპოგრაფიული კატალოგი, სადაც წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია ავტორთა დაბადების ადგილის მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ჰოტინგერს უფრო მკაფიოდ და გარკვევით აქვს მოცემული კატალოგების ძირითადი სახეები და მათ შორის საგნობრივი კატალოგიც, რომელსაც იგი გრამატიკულ-რეალურ კატალოგს უწოდებს.

მაგრამ ეს იყო, როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ მიგნება საგნობრივი კატალოგისა. ეს იყო იდეა, XVII — XVIII საუკუნეებში იგი არ ყოფილა რეალიზებული. საგნობრივი კატალოგი მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემოდის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. მანამდე კი ძირითადად სისტემატური და ანბანური კატალოგი იყო ცნობილი. მაგალითად, გაბრიელ ნოდეს, ჰოტინგერის უფროს თანამედროვეს, ცნობილ ფრანგ ბიბლიოგრაფსა და ბიბლიოთეკოლოგს, რიშელიესა და მაზარინის ბიბლიოთეკარს, თავის ცნობილ წიგნში „რჩევანი ბიბლიოთეკის მოწყობისათვის“, რომელიც პირველად მის მიერ გამოქვეყნებული იყო პარიზში 1627 წელს, ხოლო მეორე შესწორებული გამოცემა გამოვიდა 1644 წელს, მოხსენებული აქვს მხოლოდ ორი სახის კატალოგი — სისტემატური და ანბანური.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სახეებისა, ცნობილია კიდევ სხვა სახის კატალოგები, რომლებიც ფაქტიურად აღნიშნული სამი სახის კატალოგების ნარევს წარმოადგენენ. მათ შორის პირველ რიგში აღნიშნული უნდა იყოს ე. წ. დიქსიონერული, ანუ ლექსიკონური კატალოგი. სხვანაირად მას ჯვარედინ კატალოგს უწოდებენ. ეს კატალოგი წარმოადგენს ანბანური და

საგნობრივი კატალოგების გადაჯვარედინებას. ჯვარედინ კატალოგში ავტორთა გვარები და საგნობრივი რუბრიკები ერთ საერთო ანბანშია მოცემული, ისე როგორც ენციკლოპედიურ ლექსიკონში პირთა გვარები და სასაგნო სიტყვები ერთ ანბანურ წყობრშია განლაგებული (ამიტომ უწოდებენ მას ლექსიკონურ, ანუ დიქსიონერულ კატალოგს). ჯვარედინი, ანუ დიქსიონერული კატალოგი პირველად ამერიკაში იყო შექმნილი. პირველი წესები დიქსიონერული კატალოგის შედგენისა ჩამოყალიბებული იყო ცნობილი ამერიკელი ბიბლიოთეკოლოგის ჩარლზ კეტერის მიერ 1876 წელს. შემდეგ ეს კატალოგი ფართოდ გავრცელდა ამერიკაში და ევროპაშიც. ჩვენში, საბჭოთა კავშირში კატალოგის ამ სახემ ფეხი მოიკიდა მიმდინარე საუკუნის ოციანი წლების დამლევსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს კატალოგი მეტად ტლანქია და მკითხველთათვის ძნელად მოსახმარი. საქმე იმაშია, რომ ავტორთა და საგნობრივ რუბრიკათა ერთ ანბანზე მოცემა, ე. ი. საგნობრივი და ანბანური კატალოგის გაერთიანება, მეტად ზრდის და ართულებს კატალოგს. ავტორთა ნუსხა ხელს უშლის რუბრიკათა მოძებნას, ხოლო საგნობრივი რუბრიკები — ავტორების მოძებნას. დღეს უკვე ამერიკაშიც დარწმუნდნენ ამ კატალოგის გამოუსადეგარობაში.

არის კიდევ ე. წ. სისტემატურ-საგნობრივი კატალოგი და საგნობრივ-სისტემატური კატალოგი. კატალოგების ეს სახეები წარმოადგენენ საგნობრივი და სისტემატური კატალოგების შეერთებას. სისტემატურ-საგნობრივ კატალოგში მეცნიერებათა ძირითადი დარგები გარკვეული ლოგიკური წყობით, სისტემით არის მოცემული, ხოლო თითოეულ განყოფილებაში საკითხები, ანუ კონკრეტული საგნები, ანბანურად არის განლაგებული. საგნობრივ-სისტემატურ კატალოგში კი პირუკუ — ძირითადი დარგები დასახელებათა ანბანზეა მოცემული, ხოლო თითოეული დარგის ფარგლებში საკითხები სისტემატურად, საკლასიფიკაციო ცხრილის მიხედვით არის განლაგებული. ვერც ამ სისტემატური და საგნობრივი კატალოგების შენაერთებმა გაამართლეს თავისი დანიშნულება. ვერც ერთი ეს შერეული სახე კატალოგისა პრაქტიკაში ვერ გამოდგა და ფეხი ვერ მოიკიდა. საქმე იმაშია, რომ სისტემატურ კატალოგს თავისი დანიშნულება აქვს, თავისი ამოცანები, თავისი მომხმარებელი ყავს, ხოლო საგნობრივს — თავისი, ანბანურს კიდევ თავისი. მათი შეერთება არევას იწვევს და ეს ნარევი კატალოგი ბოლოს ვერც ერთი სახის კატალოგის ძირითად ამოცანას ვერ ასრულებს. ამიტომ საბიბლიოთეკო პრაქტიკამ და თეორიამ უარყო ეს ნარევი სახეები კატალოგებისა.

არის კიდევ ერთი სახე კატალოგისა ე. წ. თემატური კატალოგი. ეს კატალოგი გამოყენებულია მხოლოდ საბავშვო ბიბლიოთეკაში, ისიც

უმცროსი ასაკის ბავშვთათვის. თემატურ კატალოგში წიგნთა აღწერილობები განლაგებულია ზოგადი თემების დასახელებათა ანბანზე. საგნობრივი კატალოგისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ საგნობრივი რუბრიკა კონკრეტულია, იგი წიგნის შინაარსის ვიწრო გამოხატულებას წარმოადგენს, საგნობრივ კატალოგში განზოგადება დაუშვებელია. თემატური კატალოგი კი განზოგადებას აწარმოებს. მაგალითად, თუ წიგნი მოგვითხრობს არწივების შესახებ, საგნობრივ კატალოგში ჩვენ ასეთ წიგნს უნდა დავუწეროთ რუბრიკა „არწივი", ვერ დავუწერთ რუბრიკას — „ფრინველები", თემატურ კატალოგში კი ამ წიგნის აღწერილობას მოვათავსებთ თემა „ფრინველების" ქვეშ. უმცროს ასაკის ბავშვთა კატალოგში სავსებით მიზანშეწონილია ცალკე გამოვყოთ წიგნები ფრინველების შესახებ, ცალკე — ცხოველების შესახებ, ცალკე — მცენარეების შესახებ და ასეთი ზოგადი თემების მიხედვით, მათი დასახელების ანბანზე განვალაგოთ წიგნთა აღწერილობანი. თემატური პრინციპი ბიბლიოთეკაში კიდევ გამოიყენება ბიბლიოგრაფიული სიების შედგენის დროს.

ბიბლიოთეკის კატალოგები იმის მიხედვით, თუ რა ფონდს მოიცავენ ისინი, განსხვავდებიან. არსებობს გენერალური და სპეციალური კატალოგები. გენერალური კატალოგი ეწოდება ისეთ კატალოგს, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკის მთელ ფონდს, ან, უკეთ, ძირითად ფონდს. სპეციალური კატალოგი კი ეწოდება ისეთ კატალოგს, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკის ფონდის რომელიმე ნაწილს, ერთი რომელიმე დარგის ან ერთი რომელიმე სახის ლიტერატურას. მაგ., კატალოგი შედგენილი მხარეთმცოდნეობის ლიტერატურაზე იქნება სპეციალური კატალოგი, სულერთია არის იგი სისტემატური, ანბანური თუ საგნობრივი.

ფონდების მოცვის მიხედვით უნდა განვასხვავოთ კიდევ შეერთებული კატალოგი. შეერთებული კატალოგი მოიცავს არა ერთი ბიბლიოთეკის, არამედ რამდენიმე ბიბლიოთეკის ფონდს. შეერთებული კატალოგი დგება ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით (ამა და ამ ქალაქის, რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი). ან ბიბლიოთეკების ტიპების მიხედვით (მასობრივი ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი, სამეცნიერო ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი, საბავშვო ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი და სხვ.), ან, უმეტეს შემთხვევაში, ტერიტორიისა და ტიპის მიხედვით (მაგ., ქ. თბილისის მასობრივი ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი ან ქ. მოსკოვის სამეცნიერო ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი და სხვ.), ან ენობრივ პრინციპზე (მაგ., რუსული წიგნის შეერთებული კატალოგი, ქართული წიგნის შეერთებული კატალოგი, უცხოუ-

რი ლიტერატურის შეერთებული კატალოგი და ა. შ.), ან მეცნიერების დარგის მიხედვით (სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის შეერთებული კატალოგი, პედაგოგიური ლიტერატურის შეერთებული კატალოგი და ა. შ.), ან გამოცემების სახეების მიხედვით (პერიოდული გამოცემების შეერთებული კატალოგი და ა. შ.). შეერთებულ კატალოგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი დიდად აუმჯობესებს მკითხველთა მომსახურებას, ხელს უწყობს ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის განვითარებას და იძლევა საშუალებას ერთი ბიბლიოთეკის მკითხველს მოეემსახუროთ არა მხოლოდ ამ ბიბლიოთეკის, არამედ მრავალი ბიბლიოთეკის ფონდებით.

დანიშნულების მიხედვით კატალოგები განსხვავდებიან: 1) სამსახურებრივი, ანუ სამუშაო კატალოგები და 2) მკითხველთა კატალოგები.

სამსახურებრივი, ანუ სამუშაო კატალოგი განკუთვნილია ბიბლიოთეკის მუშაკთათვის და იგი უნდა მოიცავდეს ბიბლიოთეკის მთელ ფონდს, ხოლო მკითხველთა კატალოგი განკუთვნილია მკითხველთათვის. მისი დანიშნულებაა მკითხველს გაუწიოს მომსახურება, დაეხმაროს მას წიგნის შერჩევაში. მკითხველთა კატალოგი წიგნის პროპაგანდის, წიგნის გავრცელების მეტად მნიშვნელოვანი იარაღია. ამიტომ მკითხველთა კატალოგში ასახული უნდა იყოს მხოლოდ ის ლიტერატურა, რომლის პროპაგანდა-გავრცელება მიზანშეწონილია, ე. ი. საბჭოთა ლიტერატურა, ნამდვილი მეცნიერული, ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა და პირველ რიგში მარქსისტულ-ლენინური, კომუნისტური ლიტერატურა. მდარე ხარისხის ლიტერატურის, არამეცნიერული, რეაქციონური ლიტერატურის აღწერილობანი მკითხველთა კატალოგში არ უნდა იყოს ასახული. ასეთი ლიტერატურის აღწერილობა მხოლოდ ხელს შეუშლის და ზიანს მიაყენებს მკითხველებს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მკითხველთა და სამუშაო კატალოგებს შორის, ფონდების მოცვის მხრივ, განსხვავება თითქმის არ იქნება, რადგან ამ ბიბლიოთეკების მკითხველები მეცნიერი მუშაკებია, რომელთაც თავისი დარგის ყველა სახისა და ყოველგვარი ლიტერატურა ესაჭიროებათ თავისი სამეცნიერო მუშაობის პროცესში.

ფორმის მხრივ თანამედროვე საბიბლიოთეკო კატალოგები ბარათულ კატალოგებს წარმოადგენენ. ფიქსირებული სახელწოდების აღწერილობა ცალკე სტანდარტულ ბარათზე დგება. შემდეგ ბარათები (წიგნის აღწერილობებით) განლაგდება კატალოგში იმის მიხედვით თუ რა სახის კატალოგს ვაგებთ, სისტემატურ კატალოგში — საკლასიფიკაციო ცხრილის მიხედვით (ინდექსებზე), ანბანურ კატალოგში — ავტორთა ანბანის მიხედვით, საგნობრივ კატალოგში — საგნობრივი რუბრიკის ანბანის მიხედვით და ა. შ. სტანდარტული საკატალოგო ბარათის ზომა შემდეგია: სიმაღლით

იგი 7,5 სანტიმეტრია, სიგანით კი 12,5 სანტიმეტრი, ბარათზე თერთმეტი სტრიქონია, სტრიქონსა და სტრიქონს შორის 6 მილიმეტრის მანძილია დატოვებული. პირველი სტრიქონი მსხვილად არის დახაზული, მას თავსტრიქონს ვუწოდებთ. საკატალოგო ბარათს, გარდა აღნიშნული ჰორიზონტალური ხაზებისა, კიდევ ორი ვერტიკალური ხაზი აქვს. პირველი ვერტიკალური ხაზი ბარათის მარცხენა კიდისაგან დაცილებულია 1,5 სანტიმეტრით, ხოლო მეორე ვერტიკალური ხაზი 2,5 სანტიმეტრით. მაშასადამე, ორ ვერტიკალურ ხაზს შორის ერთი სანტიმეტრი მანძილია დატოვებული. პირველ ვერტიკალს კიდევ მარცხენა, ანუ გარე ვერტიკალს უწოდებენ, ხოლო მეორე ვერტიკალს—მარჯვენა, ანუ შიგა ვერტიკალს. ეს ვერტიკალური ხაზები აბზაცების ზუსტად დასაცავად არის მოცემული.

ბარათული კატალოგის დადებითი მხარე ის არის, რომ შიგ ადვილად ჩაერთვის ახლად შემოსული ლიტერატურის აღწერილობანი, ზუსტად თავიანთ ადგილზე (ზუსტი ანბანისა და ინდექსების მიხედვით). კატალოგში ყოველდღიურად შეიძლება ჩავურთოთ ახალი აღწერილობანი. გარდა ამისა, შეგვიძლია ადვილად მოვახდინოთ რეკატალოგიზაცია, გამოვყოთ ახალი განყოფილებანი, თუ ეს საჭიროა, ახალი რუბრიკები და ა. შ. ასეთმა მოქნილობამ უზრუნველყო ამ ფორმის კატალოგის საყოველთაო გავრცელება. ზემოთ მოყვანილ დადებით მხარეს უნდა დაემატოს ისიც, რომ ბარათი თხელი მუყაოსაგან კეთდება, ამიტომ იგი გაცილებით უფრო გამძლეა ვიდრე ქაღალდის ფურცლები.

ბარათული კატალოგის პირველად შემოღებას ფრანგ ბიბლიოთეკარ აბატ როზიეს მიაწერენ, რომელმაც 1775 წელს გამოაქვეყნა თავისი ცდა ბარათული კატალოგის შედგენისა. გავრცელებას ეს ფორმა იღებს XIX საუკუნეში, ხოლო XX საუკუნეში იგი საყოველთაოდ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს კატალოგისას. რუსეთში ბარათული კატალოგი გასული საუკუნის პირველ მეოთხედში იყო შემოღებული ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში და მოსკოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ამ უკანასკნელის ბარათული კატალოგი 1826 წელს შედგენილი იყო პროფ. რეისის მიერ, რომელიც იმ დროს ბიბლიოთეკის დირექტორი იყო). პირველ ხანებში სხვადასხვა ზომის ბარათებს ხმარობდნენ. ზემოთ აღნიშნული თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტი საკატალოგო ბარათისა პირველად შემოღებული იყო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ბიბლიოთეკების ასოციაციის მიერ 1876 წელს. ამ ხანებში ამერიკაში საფოსტო ღია ბარათები ამ ზომისა იყო (7,5×12,5 სმ). დასახელებულმა ასოციაციამ, შეუდგა რა შეერთებული კატალოგის შედგენას, გადაწყვიტა ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგისათვის ცენტრში გაეგზავნათ საფოსტო ბარათზე დაწერილი

წიგნის აღწერილობანი, ხოლო ამავე ზომის ბარათებიდან შეედგინა შეერთებული კატალოგი. შემდეგ აღნიშნული ზომის ბარათი გავრცელდა ევროპაში და დამტკიცდა როგორც საერთაშორისო სტანდარტი ბარათისა.

მეორე ფორმა კატალოგისა, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებული იყო XVIII—XIX საუკუნეებში, წიგნური ფორმაა, ბიბლიოთეკის კატალოგი შედგენილი და გამოცემული წიგნის სახით. კატალოგის ამ სახეს ბევრი დადებითი მხარე აქვს. უპირველეს ყოვლისა, მისი დადებითი მხარე ისაა, რომ იმით სარგებლობა მკითხველთათვის მეტად იოლია. გაცილებით უფრო ადვილია ასეთ კატალოგში საჭირო წიგნის მოძებნა. ვიდრე ბარათულ კატალოგში. ამას გარდა, წიგნის კატალოგი მეტად კომპაქტურია და პორტატული, იგი მცირე ადგილს იკავებს, იმით სარგებლობა შეიძლება ბიბლიოთეკის გარეშეც. წიგნი მრავალტირაჟიანია, ამიტომ იგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ამ ბიბლიოთეკაში, არამედ, როგორც საცნობო აპარატი, სხვადასხვა ბიბლიოთეკაში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ჰქონდეს კერძო პირებსაც. თვით ბიბლიოთეკაში შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ეგზემპლარი იყოს, რაც მისი ერთდროულად რამდენიმე მკითხველის მიერ გამოყენების საშუალებას იძლევა. როდესაც ერთი ეგზემპლარი გაცვდება, შეიძლება მეორე ეგზემპლარით იყოს შეცვლილი. ყველა ეს მეტად მნიშვნელოვანი დადებითი მხარეა. მაგრამ მას აქვს ერთი უარყოფითი მხარე, რის გამოც იგი უარყოფილი იყო საბიბლიოთეკო პრაქტიკის მიერ და რამაც მიანიჭა უპირატესობა ბარათულ კატალოგს. ეს არის ის, რომ შიგ არც ახლად მიღებული ლიტერატურის აღწერილობის ჩამატება და არც რაიმე ცვლილებების შეტანა არ შეიძლება, იგი არ არის ელასტიკური, იგი დახურული, დამთავრებული კატალოგია, არ არის ოპერატიული კატალოგი. დღევანდელი ბიბლიოთეკის ფონდი სწრაფად იზრდება, ყოველდღიურად ემატება ფონდს ახალი გამოცემები. მათი დროულად ასახვა კატალოგში აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში კატალოგი ჰკარგავს აქტუალურ მნიშვნელობას. ამ უარყოფითი მხარის გამო, ვიმეორებთ, უარყოფილი იყო კატალოგის წიგნური ფორმა.

ვფიქრობთ, რომ კატალოგის ამ ფორმას თავისი მომავალი აქვს. უკვე ამჟამადაც გამოდის სარეკომენდაციო და ტიპობრივი კატალოგები დაბეჭდილი წიგნის სახით. მომავალში ეს საქმე შეიძლება უფრო მკვიდრ და რაციონალურ ნიადაგზე იყოს დაყენებული. საქმე იმაშია, რომ წიგნური ფორმა კატალოგისა უარყოფილი იყო არა მარტო იმ მიზეზის გამო, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, არამედ იმიტომაც, რომ ბიბლიოთეკათა რიცხვი მეტად მომრავლდა, თითოეული ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონ-

დი მეტად გაიზარდა და ასეთ პირობებში თითოეული ბიბლიოთეკისათვის კატალოგების ბეჭდვა და გამოცემა მეტად გაძნელდა. მაგრამ ცენტრალიზებული კატალოგიზაცია შეიძლება ახალ საფეხურზე იყოს აყვანილი. საკვლევით შესაძლებელია და მიზანშეწონილიც, რომ ცენტრალიზებული წესით იბეჭდებოდეს კატალოგები ბიბლიოთეკების ტიპების მიხედვით, მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის, სახელმწიფო-საჯარო ბიბლიოთეკებისათვის, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის და სხვ. ასეთი ცენტრალური კატალოგების რეგულარულად ბეჭდვა რეალური საქმეა. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამადაც ყოველწლიურად იბეჭდება ტიპობრივი კატალოგები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის. მოსკოვისა და ლენინგრადის სახელმწიფო ბიბლიოთეკები შეუდგნენ რუსული წიგნის შეერთებული კატალოგის შედგენას, რომლის გამოცემა ამ მოკლე ხანშია განზრახული. ქართული წიგნის შეერთებული კატალოგი უკვე დაბეჭდა და გამოსცა საქართველოს წიგნის პალატამ. საკვლევით შესაძლებელია და დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ შედგეს და გამოიცეს შეერთებული კატალოგები ცალკეული ტიპისა და სახის ბიბლიოთეკების მიხედვით. ხოლო ამ გამოცემებში თითოეულ გვერდზე მარჯვნივ ან მარცხნივ თავისუფალი არშია უნდა იყოს დატოვებული ტოპოგრაფიული შიფრის მისაწერად. თითოეული ბიბლიოთეკა თავის ფონდში დაცულ წიგნთა აღწერილობებს მიაწერს არშიაზე ტოპოგრაფიულ შიფრს, რაც იქნება მომასწავებელი იმისა, რომ ეს სახელწოდება არის ბიბლიოთეკაში. ასეთი კატალოგი მეტად მოხერხებული და დიდად გაუმჯობესებული კატალოგი იქნება. იმავე დროს იგი დიდ დახმარებას გაუწევს ბიბლიოთეკარს ფონდების დაკომპლექტებისა და ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის განვითარების საქმეში, მკითხველთა უკეთ მომსახურების საქმეში. ყოველწლიურად შეიძლება გამოიცეს ახლად გამოსულ ლიტერატურის კატალოგი, ისე როგორც ამჟამადაც გამოდის მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის (მხოლოდ გაფართოებული არშიით), ხოლო ყოველ ხუთ ან ათ წელიწადში შეიძლება მოხდეს კუმულაცია (შეერთება, შერწყმა), ძირითადი და ხუთი ან ათი წლის მანძილზე (ყოველწლიურად) გამოსული კატალოგებისა, ე. ი. მთლიანი კატალოგის ახალი შევსებული გამოცემა. ბარათული კატალოგი იქმნება მხოლოდ დროებით, ახლად შემოსულ წიგნებზე, სანამ დაიბეჭდებოდეს ახლად შემოსული წიგნების კატალოგი. ასეთი გამოყოფა ახლად შემოსული წიგნების კატალოგისა ბიბლიოთეკისათვის და მკითხველთათვის უფრო მოხერხებულიც და სასარგებლოც იქნება. ამრიგად, ახლო მომავალში წიგნური კატალოგის ასეთი ახალი სახით აღდგენა მოსალოდნელია და მიზანშეწონილიცაა.

ერთ დროს ბიბლიოთეკებში გამოყენებული იყო აგრეთვე ბლოკნო-

ტური კატალოგი. ეს კატალოგი ცალკეული ფურცლებისაგან შედგებოდა, რომლებიც (ფურცლები) მარცხნივ (ან ზოგ შემთხვევაში ზევით) ორ ადგილას იყო გახვრეტილი. თითოეული სახელწოდების წიგნი ცალკე ფურცელზე აიწერებოდა. შემდეგ ფურცლები დალაგდებოდა სათანადო წესით (ანბანურ კატალოგში — ზუსტ ალფაბეტზე, სისტემატურში—ინდექსების მიხედვით და ა. შ.). აწყობის შემდეგ ნახვრეტებში გაიყრება ზონარი და ჩაისმება სპეციალურ ყდაში. ამრიგად იგი იღებდა ბლოკნოტის სახეს, რისთვისაც მას ბლოკნოტური კატალოგი ეწოდა. ამ კატალოგს ერთის მხრივ ბარათული კატალოგის დადებითი მხარე გააჩნდა — მოქნილობა. შეიძლებოდა ახლად მოსული ლიტერატურის ფურცლებზე აღწერა და ზუსტად თავის ადგილას ჩართვა. მეორეს მხრივ, რამდენადმე თითქოს წიგნის დადებითი მხარეც ახასიათებდა — გადაფურცვლის სიადვილე. მაგრამ ის მეტად არაპრაქტიკული აღმოჩნდა იმის გამო, რომ სწრაფად იცრიცებოდა და გამოდიოდა მწყობრიდან. კატალოგის ხშირად გადაწერა კი მეტად არაეკონომიური და გაუმართლებელია. ამიტომ ეს ფორმა კატალოგისა საბიბლიოთეკო პრაქტიკამ უარყო.

კატალოგის ძველ პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენს დავთრის ან რვეულის ფორმა. ხშირად მას ალბომურ კატალოგს უწოდებენ. წიგნთა აღწერილობანი დავთარში ან რვეულში ხელით ჩაიწერება. წინათ, შუა საუკუნეებში, ეს მეტად გავრცელებული ფორმა იყო კატალოგისა. დღეს ეს ყოვლად მიუღებელი ფორმაა და იგი სრულებით უკუგდებულია. მას ყველა უარყოფითი მხარე გააჩნდა წიგნური კატალოგისა და არაფერი დადებითი. დავთარი დღეს გამოიყენება მხოლოდ საინვენტარო აღწერილობისათვის.

არსებობს კიდევ ე. წ. კედლის კატალოგი. დიდ ფურცლებზე ხშირად კალიგრაფიულად დგება წიგნთა სია და გაიკვრის კედელზე. ეს ფორმა კატალოგისა წინათ გამოყენებული იყო მცირე ბიბლიოთეკებში. ამჟამად ეს ფორმა გამოყენებულია მხოლოდ სარეკომენდაციო სიებისათვის.

საინტერესო ფორმას წარმოადგენს ტურნიკეტული კატალოგი. წიგნის აღწერილობანი გაიკვრება დაფებზე, ვიტრინებზე, რომლებიც ჩამოკიდებულია ღერძზე და მოძრაობს, ბრუნავს ღერძის ირგვლივ. ტურნიკეტული კატალოგები დღეს გამოყენებულია საბავშვო ბიბლიოთეკებში, უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის ან მოზრდილთა ბიბლიოთეკებში სარეკომენდაციო და სხვა ბიბლიოგრაფიული სიებისათვის.

ერთ დროს არსებობდა აგრეთვე ე. წ. პანორამული კატალოგი. პანორამული კატალოგი წარმოადგენს წიგნთა აღწერილობას მოთავსებულს ლენტზე, რომელიც გადახვეულია მრგვლად, თითქოს დოლზე და დაუსრუ-

ლებლივ მოძრაობს, როგორც უსასრულო ღვედი (აბრუნებთ ხელით). იგი ჩვეულებრივ მრგვალი დოლის ფორმისაა, გადახურული. წინ პატარა სარკმელივით აქვს. ყოველ გადაბრუნებაზე სარკმელთან გამოჩნდება წიგნის აღწერილობა. ეს ფორმა კატალოგისა მოძველებულია, დღეს არ გამოიყენება.

რადგან დღეს ყველაზე მეტად ბარათული ფორმის კატალოგია ბიბლიოთეკაში გამოყენებული, ჩვენც ამ წიგნში საუბარი გვექნება ბარათული ფორმის კატალოგის შედგენის შესახებ.

თ ა ვ ი I

სისტემატური კატალოგი

1. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია და მეცნიერებათა კლასიფიკაცია

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კატალოგთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა სისტემატურ კატალოგს აქვს. სისტემატურ კატალოგში წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია მეცნიერების დარგების მიხედვით. სისტემატური კატალოგი ამოცანად ისახავს ერთად დააგროვოს ერთი დარგის წიგნთა აღწერილობანი და შემდეგ ერთი დარგის ფარგლებში ლიტერატურა ამ დარგის ცალკეულ საკითხებზე დაალაგოს ლოგიკური თანმიმდევრობით. მეცნიერებათა ძირითადი დარგებიც ლოგიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული. ამიტომ უწოდებენ მას ხშირად ლოგიკურ კატალოგს. ყველაზე მეტად ეს კატალოგი ესაჭიროება მკითხველსა და ბიბლიოთეკარს. სისტემატური კატალოგი უპასუხებს მკითხველისათვის ყველაზე მეტად საჭირო კითხვას: რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში მეცნიერების ამა და ამ დარგიდან ან მეცნიერების ამა და ამ საკითხზე? მკითხველი, ჩვეულებრივ, დაინტერესებულია მეცნიერების რომელიმე დარგით ან რომელიმე საკითხით. მუშაობს იგი თვითგანვითარებაზე, მეცადინეობს და შეისწავლის მეცნიერების რომელიმე დარგს ან მეცნიერების რომელიმე საკითხს, თუ აწარმოებს იგი კვლევით მუშაობას მეცნიერებისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგში, ყველა ამ შემთხვევაში მან, უპირველეს ყოვლისა, სისტემატურ კატალოგს უნდა მიმართოს. ბიბლიოთეკარისათვისაც უმთავრესად ეს კატალოგია საჭირო. ბიბლიოთეკის ფონდის შესწავლა, ფონდების ანალიზი, ხარვეზების დადგენა და ბიბლიოთეკის ფონდის სწორი დაკომპლექტება მხოლოდ და მხოლოდ სისტემატური კატალოგის მეშვეობით შეიძლება. მკითხველთა მომსახურებისათვის, კითხვის ხელმძღვანელობისათვის და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობისათვის, პირველ რიგში, სისტემატური კატალოგია საჭირო. როგორც ვხედავთ, ეს კატალოგი მეტად მნიშვნელოვანი კატალოგია.

როგორც ვთქვით, სისტემატურ კატალოგში წიგნთა აღწერილობანი

დალაგებულია მეცნიერების დარგების მიხედვით, გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით. აქედან ნათელია, რომ ავაგოთ სისტემატური კატალოგი, უპირველეს ყოვლისა უნდა დავაკლასიფიციროთ, ანუ დავაჯგუფოთ წიგნები ლოგიკური თანმიმდევრობით, ამისათვის კი საჭიროა გვქონდეს დამუშავებული გარკვეული სისტემა ბიბლიოგრაფიული (ე. ი. წიგნთა) კლასიფიკაციისა, რომლის მიხედვით მოვახდენთ წიგნებისა და მათი აღწერილობების კლასიფიკაციას.

ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია, ანუ წიგნების კლასიფიკაცია ეყრდნობა მეცნიერებათა კლასიფიკაციას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას საფუძვლად მეცნიერებათა კლასიფიკაცია უნდა დაედოს. წიგნების კლასიფიკაციას ჩვენ ვაწარმოებთ მათი შინაარსის მიხედვით, წიგნის შინაარსი კი მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, ამა თუ იმ საკითხს მოიცავს. ცხადია, წიგნების დაჯგუფება შინაარსის მიხედვით ისევე უნდა წარმოებდეს, როგორც თვით ეს მეცნიერებანი და მათი საკითხები ჯგუფდებიან. მკითხველი წიგნს იმავე კონტექსტში მოითხოვს, იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც მეცნიერებანი და მეცნიერებათა საკითხებია წარმოდგენილი მეცნიერებათა კლასიფიკაციაში. ამიტომ ბიბლიოგრაფიულ და მეცნიერებათა კლასიფიკაციებს შორის პრინციპული სხვაობა არ უნდა იყოს. შინაარსობლივად ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია, ძირითადში, იმეორებს მეცნიერებათა კლასიფიკაციას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია არაფრით არ განსხვავდება მეცნიერებათა კლასიფიკაციისაგან, რომ მას არ გააჩნია თავისი სპეციფიკური მხარეები. ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას აქვს თავისი სპეციფიკური მხარეები. ესენი შემდეგში გამოიხატებიან:

1. მეცნიერებათა კლასიფიკაცია ერთ ხაზში შეიძლება არ იყოს მოცემული, ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია კი აუცილებლად ერთ ვერტიკალურ ხაზში უნდა იყოს მოცემული.

2. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სქემაში უნდა იყოს ისეთი განყოფილება, რომელიც არ არის მეცნიერებათა კლასიფიკაციაში. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ე. წ. პოლილოგიის განყოფილება, სხვანაირად რომ ვთქვათ საერთო, ზოგადი განყოფილება, სადაც მოთავსდება ისეთი გამოცემები, რომლებიც მოიცავენ მასალებს მეცნიერებათა სხვადასხვა (მრავალი) დარგიდან. ასეთებია კრებულები სხვადასხვა საკითხებზე, ენციკლოპედიები, ზოგადი ხასიათის პერიოდული გამოცემები და სხვ. ასეთი განყოფილება მეცნიერებათა კლასიფიკაციაში ზედმეტია.

3. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ცხრილში უნდა პოვოს თავისი ადგილი აგრეთვე ზოგმა არამეცნიერულმა საკითხმა, მეტსაც ვიტყვით, ანტიმეცნიერულმა საკითხმა, იმდენად, რამდენადაც ამ საკითხზე ლიტერა-

ტურა მოიპოვება და ამ ლიტერატურის აღწერილობანი სადღაც უნდა იყოს სისტემატურ კატალოგში (თუნდაც სამუშაო კატალოგში) აღნუსხული (მაგალითად, რუბრიკა „სპირიტიზმი", ლიტერატურა სპირიტიზმის შესახებ). მეცნიერებათა კლასიფიკაციაში ასეთ საკითხებს ადგილი, რა თქმა უნდა, არ ექნება.

4. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია ლიტერატურას აჯგუფებს არა მხოლოდ შინაარსის მიხედვით, არამედ გამოცემის ფორმის მიხედვითაც: მეცნიერების ერთი დარგის ფარგლებში ჩვენ გვიხდება გამოვყოთ ამ დარგის მონოგრაფიებიდან პერიოდული გამოცემები, ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და სხვ.

5. წიგნში მეცნიერების ორი ან მეტი დარგი შეიძლება იყოს განხილული, ან ერთი დარგი მეცნიერებისა მეორე დარგის თვალსაზრისით, ურთიერთობა მეცნიერებათა ორ ან მეტ დარგებს შორის. ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციაში საჭიროა იყოს რაიმე ხერხი, საშუალება ამ ურთიერთობის, ურთიერთდამოკიდებულების აღსანიშნავად და კლასიფიკაციის ცხრილში გამოსახატავად.

6. ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. ინდექსებს, რაც მეცნიერებათა კლასიფიკაციას სრულებით არ აინტერესებს. „ინდექსი" ლათინური სიტყვაა და ქართულად მაჩვენებელს, ანუ აღმნიშვნელს ნიშნავს. საკლასიფიკაციო ინდექსი საკლასიფიკაციო განყოფილების მაჩვენებელია, მისი აღმნიშვნელი, სხვანაირად რომ ვთქვათ, საკლასიფიკაციო განყოფილების შიფრია. ამ შიფრის მიხედვით ბიბლიოთეკაში ყოველდღიურად გვიხდება წიგნების თაროებზე განლაგება, თაროდან გადმოღება და მკითხველისათვის მიწოდება, კატალოგებში წიგნთა აღწერილობების ჩართვა და სხვა. ამიტომ ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციაში ბევრს ნიშნავს, თუ როგორი იქნება საკლასიფიკაციო ინდექსი, რამდენად მოხერხებული და მოქნილი იქნება იგი.

7. თავისებურია, აგრეთვე, საკლასიფიკაციო ცხრილის დეტალიზაცია, რომელიც ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სქემაში ლიტერატურის რაოდენობით განისაზღვრება.

გარდა ამ სპეციფიკური მომენტებისა, ძირითადში, შინაარსობლივად, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერებათა და ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციას შორის სხვაობა არ უნდა იყოს. მეცნიერებათა კლასიფიკაცია ძირითად ჩონჩხს, თარგს უნდა წარმოადგენდეს ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციისათვის.

მეცნიერებათა კლასიფიკაცია ადამიანის ცოდნის სისტემას წარმოადგენს, ცოდნის რუკას, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამიტომ მეცნიერებათა

კლასიფიკაცია ფილოსოფიის, მეცნიერებათა მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

მეცნიერებათა კლასიფიკაციის ისტორიაში, ისე როგორც ფილოსოფიაში, ორი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა — იდეალისტური და მატერიალისტური. იდეალისტები, როგორც ენგელსი ამბობდა „აზრიდან მიდიან საგნისაკენ", ხოლო მატერიალისტები „საგნიდან მიდიან აზრისაკენ". მეცნიერებათა კლასიფიკაციაში სხვაობა ამ ორ მიმართულებათა შორის მეცნიერებათა დაყოფის პრინციპებში მდგომარეობს.

როგორც ცნობილია, კლასიფიკაციაში მთავარია დაყოფის საფუძველი, ანუ დაყოფის პრინციპი, ის, რასაც ლოგიკაში „fundamentum divisionis", ანუ „principium divisionis" ეწოდება. დაყოფის საფუძველი ძირითადში ერთი უნდა იყოს.

მეცნიერება ადამიანის ცოდნაა სამყაროს, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა შესახებ. იმისდა მიხედვით, თუ სად უნდა ვეძიოთ მეცნიერებათა დაყოფის საფუძველი ადამიანში, ე. ი. შემცნობელ სუბიექტში, თუ შესაცნობ ობიექტში, ანუ შესწავლის ობიექტში. მეცნიერებათა კლასიფიკაციაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება — იდეალისტური, რომელსაც ჩვენ აგრეთვე სუბიექტივისტური შეგვიძლია ვუწოდოთ და მატერიალისტური, რომელსაც შეგვიძლია აგრეთვე ობიექტივისტური ვუწოდოთ. სუბიექტივისტები, ანუ იდეალისტები მეცნიერებათა დაყოფის საფუძვლად მიიჩნევენ ადამიანის სულის ან გონების ნიჭიერებებს, ე. ი. მეცნიერებებს ჰყოფენ იმის მიხედვით, თუ რომელი მეცნიერება ადამიანის სულისა და გონების რომელი ნიჭიერების ქმედობის პროდუქტს წარმოადგენს (პლატონი, ფრენსის ბეკონი და სხვ.). ან კიდევ იმის მიხედვით, თუ რომელ დარგს მეცნიერებისას ადამიანი რომელი მეთოდით შეისწავლის (ფორმალისტური სკოლა იდეალისტებისა — ვინდელბანდი, რიკერტი და სხვ.). მატერიალისტები მეცნიერებებს ჰყოფენ მათი შესწავლის ობიექტთა, ე. ი. მოვლენათა დაყოფის საფუძველზე. მატერიალისტური პრინციპის ფუძემდებლად მეცნიერებათა კლასიფიკაციაში არისტოტელე უნდა ჩაითვალოს, ხოლო თავისი საბოლოო თანმიმდევრული განვითარება ამ პრინციპმა მარქსიზმის ფუძემდებელთა შრომებში ჰპოვა.

მეცნიერებათა კლასიფიკაციისა და ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორიას ჩვენ აქ ახლა არ შევეხებით. ეს საკითხი სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში იქნება განხილული. ჩვენ პირდაპირ გადავალთ ათწილადი კლასიფიკაციის საკითხებზე, რადგან საბჭოთა ბიბლიოთეკების სისტემატური კატალოგები ამ სისტემითაა აგებული.

2. ათწილადი კლასიფიკაცია

რა არის ათწილადი კლასიფიკაცია? რატომ ეწოდება მას ათწილადი?

ათწილადი იმიტომ ეწოდება ამ სისტემას, რომ იგი წიგნების კლასიფიკაციის დაყოფის ათწილადობის პრინციპს იყენებს. ადამიანის მთელი ცოდნა აღებულია როგორც ერთი მთელი და გაყოფილია ათ ძირითად განყოფილებად, შემდეგ თითოეული განყოფილება თავის მხრივ კიდევ იყოფა ათ ქვეგანყოფილებად, თითოეული ქვეგანყოფილება — ათ ჯგუფად, თითოეული ჯგუფი — ათ ქვეჯგუფად და ასე შემდეგ, დაყოფა შეიძლება ვაწარმოოთ უსასრულოდ. ძირითადი განყოფილებები აღნიშნულია ერთნიშნა არაბული ციფრით, იწყება 0-ით და მთავრდება 9-ით. ათი ძირითადი განყოფილება შემდეგია:

0 — ზოგადი განყოფილება. აქ მოთავსდება პოლიოლოგიური ლიტერატურა, ე. ი. კრებულები სხვადასხვა საკითხებზე, ენციკლოპედიები, საერთო ხასიათის პერიოდული გამოცემანი და სხვ.;

1 — ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა;

2 — რელიგია და ანტირელიგიური ლიტერატურა;

3 — სოციალური მეცნიერებანი;

4 — ენათმეცნიერება;

5 — ზუსტი მეცნიერებანი, ე. ი. ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;

6 — გამოყენებითი მეცნიერებანი, საინჟინრო საქმე, მედიცინა, აგრონომია;

7 — ხელოვნება;

8 — მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა;

9 — ისტორია, გეოგრაფია და ბიოგრაფიები.

თითოეული განყოფილება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლავ დაიყოფა ათ ქვეგანყოფილებად. ამისათვის მას მარჯვნივ მიეწერება იგივე ათი არაბული ციფრი. შედეგად მივიღებთ ქვეგანყოფილებათა ორნიშნა მაჩვენებელს, ანუ ინდექსს. მაგალითად, 0 — ზოგადი განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

00 — პროლეგომენები;

01 — ბიბლიოგრაფია;

02 — ბიბლიოთეკათმცოდნეობა;

03 — ზოგადი ხასიათის ენციკლოპედიები;

04 — სტატიათა კრებულები;

05 — ზოგადი ხასიათის პერიოდული გამოცემები;

06 — სამეცნიერო საზოგადოებანი და აკადემიები;

07 — ყოველდღიური პრესა, გაზეთები, საგაზეთო საქმე, ჟურნალისტიკა;

08 — პოლიგრაფიები (ზოგადი ხასიათის კრებულები);

09 — ხელნაწერები და იშვიათი გამოცემები.

ყველა განყოფილება ასევე იყოფა ქვეგანყოფილებებად. მაგ., მე-5 განყოფილება, ე. წ. ზუსტ მეცნიერებათა განყოფილება, იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

50 — ბუნებისმეტყველების ზოგადი საკითხები;

51 — მათემატიკა;

52 — ასტრონომია;

53 — ფიზიკა;

54 — ქიმია;

55 — გეოლოგია;

56 — პალეონთოლოგია;

57 — ბიოლოგია;

58 — ბოტანიკა;

59 — ზოოლოგია.

თითოეული ქვეგანყოფილება კიდევ იყოფა ათ ჯგუფად. ამისათვის მას კვლავ მიეწერება მარჯვნივ ციფრი 0—დან 9—მდე, მესამე ციფრი, რის შედეგადაც მივიღებთ სამნიშნა რიცხვს, სამნიშნა ინდექსს. მაგალითად, მე-5 განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილება 53-ე ფიზიკა იყოფა შემდეგ ათ ჯგუფად:

530 — ფიზიკის ზოგადი საკითხები;

531 — თეორიული მექანიკა;

532 — სითხეები, ჰიდრავლიკა;

533 — გაზები. პნევმატიკა;

534 — სხეულთა ვიბრაცია, ბგერა. აკუსტიკა;

535 — სინათლე, ოპტიკა;

536 — სითბო;

537 — ელექტრობა;

538 — მაგნეტიზმი და ელექტრომაგნეტიზმი;

539 — მოლეკულარული და ატომური ფიზიკა.

თითოეული ეს ჯგუფი კიდევ იყოფა ათ ქვეჯგუფად, რისთვისაც ჯგუფის აღმნიშვნელ სამნიშნა ინდექსს კვლავ მიეწერება მარჯვნივ ერთი ციფრი (0-დან 9-მდე), რის შედეგადაც მივიღებთ ქვეჯგუფის აღმნიშვნელს — ოთხნიშნა ინდექსს. მაგ., 535 — გამოსხივება. სინათლე. ოპტიკა. 535.1 სინათლის თეორია, 535.2 სხივების გავრცელება და ენერგეტიკა, 535.3 სხივების არეკლვა, გარდატეხა, შთანთქმა, 535.4 ინტერფერენცია,

დიფრაქცია და დიფუზია, 535.5 პოლარიზაცია, 535.6 ფერები და ა. შ. თავის მხრივ ეს ქვეჯგუფებიც იყოფიან ათ ნაწილად, მარჯვნივ იმავე ციფრების მიწერით. მაგ., 535.2 სხივების განვრცობა და ენერგეტიკა. 535.21 სხივების მოქმედება, 535.22 სხივების განვრცობის სიჩქარე, 535.23 გამოსხივების ენერგია, 535.24 ფოტომეტრია და ა. შ. როგორც ვთქვით, დაყოფა დაუსრულებლად შეიძლება ვაწარმოოთ.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კლასიფიკაციის ეს სისტემა ათწილადია და ყველა ინდექსი, რომელიც გარეგნულად მთელი რიცხვით არის გამოხატული, ათწილად ნაწევარს წარმოადგენს. ასე, მაგ., როდესაც ჩვენ ვამბობთ 1-ლი განყოფილება, მე-2 განყოფილება, მე-3 განყოფილება, მე-4 განყოფილება და ა. შ., ვგულისხმობთ, 0,1 განყოფილებას, 0,2 განყოფილებას, 0,3 განყოფილებას 0,4 განყოფილებას და ა. შ. დაწერისა და გამოთქმის სიადვილისათვისა და გასამარტივებლად წინ ნული მთელი (0,...) წაშლილია, მაგრამ იგი მუდამ იგულისხმება. იმის მაგივრად, რომ დავწეროთ 0,535 და წარმოვთქვათ „ნული მთელი და ხუთას ოცდათხუთმეტი მეათასედი“, ჩვენ ვწერთ 535 და წარმოვთქვამთ: „ხუთას ოცდათხუთმეტი“, მაგრამ მუდამ ვგულისხმობთ, რომ ეს მეათასედი ნაწილია, ე. ი. ათწილადი ნაწევარია. დაწერისა და გამოთქმის ასეთ გამარტივებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ინდექსების დაწერა და წარმოთქმა ყოველდღიურად მრავალჯერ გვიხდება.

გამოთქმის სიადვილისათვის ჩვენ, აგრეთვე, ყოველი სამი ციფრის შემდეგ წერტილს ვწერთ. მაგ., 535.22—ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: „ორმოცდაცამეტი ათას ხუთას ოცდაორი“, ჩვენ ვამბობთ: „ხუთას ოცდათხუთმეტი (წერტილი) ოცდაორი“.

ასეთია, მოკლედ, ათწილადი კლასიფიკაციის სტრუქტურა. მას მეტად დიდი დადებითი ტექნიკური მხარეები გააჩნია. ათწილადი ინდექსაციის მთავარი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ განყოფილებათა მაჩვენებლები (ინდექსები) მეტად მარტივი, ყველასათვის გასაგები და ადვილად დასახსომებელი ნიშნებითაა გამოხატული—არაბული ციფრებით და, რაც მთავარია, ეს ციფრები აზრიანი ციფრებია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოგიკური ციფრებია: ისინი გამოხატავენ საგვარეულო და სახეობით ცნებათა შორის, ზოგად და კერძოობით დისციპლინათა და საკითხთა შორის ლოგიკურ კავშირს. მაგალითად, ინდექსი 535.23 (ე. ი. 0,535.23) გამოსხივების ენერგია. აქ პირველი ციფრი 5 (ე. ი. 0,5) ზუსტი მეცნიერების აღმნიშვნელია. მეორე ციფრი 3 ფიზიკის აღმნიშვნელია (53 ფიზიკა). მაშასადამე, ციფრებით გამოხატულია დებულება, რომ ფიზიკა ზუსტი მეცნიერებაა. მესამე ციფრი 5 აღმნიშვნელია გამოსხივების, სინათლის, ოპტიკის (535 სინათლე, ოპტიკა, ფიზიკის—53-ის ერთ-

ერთი ნაწილია); მეოთხე ციფრი 2 სხივების განვრცობისა და ენერგეტიკის აღმნიშვნელია (535.2 სხივების განვრცობა და ენერგეტიკა, ოპტიკის ნაწილი). მეხუთე ციფრი 3 გამოსხივების ენერგიის აღმნიშვნელია (535.23 გამოსხივების ენერგია). ამრიგად ინდექსით (ციფრებით) გამოვხატეთ მეცნიერებათა და მეცნიერების საკითხთა შორის ლოგიკური კავშირი: 535.23 (იგულისხმება 0,535.23). გამოსხივების ენერგია 535.2— სხივების განვრცობასა და ენერგეტიკის ერთ-ერთი საკითხია, ეს უკანასკნელი თავის მხრივ ოპტიკის—535-ის ნაწილია, რომელიც თავისთავად ფიზიკის ერთ-ერთი საკითხია (53-ის), ხოლო ფიზიკა ერთ-ერთი ზუსტი მეცნიერებათაგანია (5-ის ნაწილი). როგორც ვხედავთ აქ ციფრები (ინდექსები) სავსებით გამოხატავენ მეცნიერებათა და მეცნიერების საკითხთა შორის ლოგიკურ კავშირს, როგორც ვთქვით ისინი ლოგიკური, აზრიანი ციფრებია. დეციმალური კლასიფიკაციის ამ ძირითად დადებით მხარედან გამომდინარეობს ყველა მისი დადებითი მხარე:

1. უპირველეს ყოვლისა მისი პრაქტიკული დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ელასტიკურია, მოქნილია: მისი გამოყენება შეიძლება, როგორც დიდ, ისე მცირე ბიბლიოთეკებში. დიდ ბიბლიოთეკაში შეიძლება სრული (დეტალური) ინდექსი გამოვიყენოთ. ჩვენს მაგალითში, თუ გვაქვს წიგნი გამოსხივების ენერგიის შესახებ დიდ ბიბლიოთეკაში, დავაწერთ მას სრულ ინდექსს 535.23, მაგრამ შედარებით უფრო მცირე ბიბლიოთეკაში უფრო მოკლე ინდექსს დავწერთ, მაგ., 535.2, ე. ი. მოვათავსებ მას სხივების განვრცობისა და ენერგეტიკის საკითხებში, კიდევ უფრო მცირე ბიბლიოთეკაში უფრო ზოგად, ანუ მოკლე ინდექსს 535 დავუწერთ, ე. ი. მოვათავსებ მას ოპტიკის განყოფილებაში. კიდევ უფრო მცირე ბიბლიოთეკაში კიდევ უფრო მეტ განზოგადებას მოვახდენ და მოვათავსებ მას 53 ფიზიკის განყოფილებაში. როგორც ვხედავთ, ინდექსები შეგვიძლია შევუფარდოთ ბიბლიოთეკის ფონდს, მის ოდენობას, ე. ი. კლასიფიკაციის ერთი სისტემა გამოვიყენოთ ყველა სახის, ყველა ტიპის ბიბლიოთეკაში.

კლასიფიკაციის ეს ელასტიკურობა გვაძლევს საშუალებას, აგრეთვე ერთ და იმავე ბიბლიოთეკაში, ფონდების ზრდასთან ერთად, თანდათანობით ინდექსებიც გავზარდოთ, მარჯვნივ ციფრის მიწერით, და მით მეტი დეტალიზაცია შევიტანოთ წიგნების კლასიფიკაციაში და სისტემატურ კატალოგში, ე. ი. სისტემატურ კატალოგში თანდათანობით, ფონდების დაგროვებასთან ერთად, გამოვყოთ ცალკეული საკითხები. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო ჩვენში, საბჭოთა კავშირში, სადაც ბიბლიოთეკების ფონდები სწრაფად იზრდება.

ამ სისტემის ელასტიკურობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა

ახალი დარგი მეცნიერებისა ან ახალი საკითხი, რომელიც წამოიჭრება და გამოიყოფა მეცნიერებაში, თავისუფლად ჰპოებს თავის ლოგიკურ ადგილს ამ სისტემაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ყველა განყოფილებაში და ქვეგანყოფილებაში დაყოფა შეგვიძლია დაუსრულებლივ ვაწარმოოთ, მარჯვნივ ახალი ციფრის მიწერით, რაც გვაძლევს საშუალებას ახალი საკითხი სათანადო განყოფილებაში, ზუსტ ლოგიკურ წყობაში ჩოვათავსოთ. ესეც ამ სისტემის მეტად დიდი დადებითი მხარეა.

2. შემდეგი მისი დადებითი მხარე მნემონიკურობაში (ე. ი. ადვილად დამახსოვრებაში) მდგომარეობს. არაბულ ციფრებს საერთოდ ადვილად იხსომებს ადამიანი, მით უფრო ციფრი, რომელიც გარკვეული აზრის მატარებელია, ლოგიკური ციფრი. აქ არა მხოლოდ მექანიკური მეხსიერება, არამედ უფრო მაღალი—ასოციური მეხსიერება გვეხმარება. ინდექსი 331 რომ შრომის საკითხების გამომხატველია, ჩვენ ამას ადვილად ვიხსომებთ, რადგან ვიცით, რომ შრომის საკითხი პოლიტიკური ეკონომიის საკითხია, რომლის ინდექსია 33. მაშასადამე, პირველი ორი ციფრი 33 უნდა იყოს, შემდეგ მესამე ციფრის 331-ის დამახსოვრება შედარებით ადვილია. პოლიტიკური ეკონომია რომ 33-ია, ამასაც ადვილად ვიხსომებთ, რადგან ვიცით, რომ იგი სოციალური მეცნიერებაა, მაშასადამე, განყოფილება 3-ის ნაწილი უნდა იყოს და ა. შ. ძირითად ინდექსებს და აგრეთვე დაწვრილებით იმდექსებსაც, იმ ინდექსებს, რომლებიც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში, ბიბლიოთეკარები ადვილად იხსომებენ და არა მხოლოდ ბიბლიოთეკარები, არამედ მკითხველებიც. ამას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ინდექსების ადვილად დამახსოვრება მეტად გვიადვილებს კლასიფიკაციის პროცესს (შესაძლებლობას გვაძლევს შედარებით დიდი რაოდენობა წიგნებისა დავაკლასიფიციროთ დღის განმავლობაში) და გვაძლევს საშუალებას ადვილად გავერკვეთ კატალოგში, სწრაფად მოვძებნოთ საჭირო საკითხზე ლიტერატურა და სწრაფად მოვემსახუროთ მკითხველს.

3. მესამე მისი დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი საერთაშორისო სისტემას წარმოადგენს. ეს სისტემა მთელს მსოფლიოში გავრცელდა და საერთაშორისო სისტემად იქცა მას შემდეგ, რაც იგი მიღებული იყო ბრიუსელში 1894 წელს დაარსებულ საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ. სისტემის საერთაშორისო ხასიათს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. საერთაშორისო სისტემად იგი იქცა იმიტომ, რომ მისი ინდექსაცია ციფრობრივ — არაბულია. არაბული ციფრები — საერთაშორისოა. არაბული ციფრები ყველა ხალხთა მასებისათვის გასაგებია. ყოველი წერა-კითხვის მცოდნე მთელს მსოფლიოში იცნობს არაბულ ციფრებს. ამიტომ კლასიფიკაციის განყო-

ფილებანი და მათი ქვედანაყოფები არაბული ციფრებით გამოხატული (განსაკუთრებით როდესაც ეს არაბული ციფრები საკითხებს შორის ლოგიკურ კავშირს გამოხატავს), ადვილად გასაგები და მისაწვდომია ყველა ქვეყნის მშრომელთათვის.

დეციმალური ინდექსაცია უეჭველად შესანიშნავი მიგნება იყო და იგი დიდ მონაპოვარს წარმოადგენს ბიბლიოთეკოლოგიურ აზრისა და საბიბლიოთეკო პრაქტიკისა. ახალი სისტემის ავტორებმა უნდა გამოიყენონ ეს ინდექსაცია. ათწილადი ინდექსაციის უარყოფა ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორც მეტრიული სისტემის უარყოფა.

ათწილადი კლასიფიკაციის ავტორად ამერიკელი ბიბლიოთეკარი მელვილ დიუი ითვლებოდა. მან პირველად 1876 წელს გამოაქვეყნა თავისი სისტემა. ათწილადობის პრინციპი საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ოცი წლით ადრე მეორე ამერიკელმა ბიბლიოთეკარმა დანიელ შერტლეფმა გამოიყენა, რის შესახებ გამოაქვეყნა შრომა 1856 წელს. მაგრამ მის მიერ ათწილადობის პრინციპი გამოყენებული იყო წიგნების თაროებზე განლაგებისათვის, როგორც ფონდის ორგანიზაციის მექანიკური ხერხი. გაცილებით უფრო ადრე 1583 წელს იდეა ათწილადობის პრინციპის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში გამოყენებისა წამოაყენა ცნობილმა ფრანგმა ბიბლიოთეკარმა ფრანსუა გრიუ დე ლა კრუა დიუ მენმა თავის პროექტში პოლონეთის მეფე ჰენრიხ III-ს ბიბლიოთეკის მოწყობის შესახებ. დე ლა კრუა დიუ მენის პროექტიც, შედარებით, პრიმიტიულ სახეს ატარებს. ათწილადი სისტემა, როგორც განვითარებული მეცნიერული—საბიბლიოთეკო სისტემა კლასიფიკაციისა, პირველად მელვილ დუის მიერ იყო დამუშავებული.

ზემოთ ჩვენ მოკლედ დავახასიათეთ ეს სისტემა და აღვნიშნეთ მისი დადებითი მხარეები, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიოში მის გავრცელებას. ახლა უნდა აღვნიშნოთ ამ სისტემის დიდი უარყოფითი მხარე, სახელდობრ ის, რომ მისი არსი იდეალისტურია. მელვილ დიუმ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის თავის სისტემას საფუძვლად დაუდო ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის სისტემა მეცნიერებათა კლასიფიკაციისა ჰარისის შესწორებით. ბეკონის სისტემა კი, ძირითადად, იდეალისტურია, სუბიექტივისტური.

ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე, XVII საუკუნის დასაწყისში დიდმა მოაზროვნემ ფრენსის ბეკონმა, რომელსაც კ. მარქსი ინგლისური მატერიალიზმისა და მთელი თანამედროვე ექსპერიმენტალური მეცნიერებათა მამამთავარს უწოდებდა, მოგვცა მეცნიერებათა დაყოფა, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა მომდევნო სამი საუკუნის მანძილზე. კ. მარქსი შენიშნავს, რომ თუმც ფრენსის ბეკონი თავისი ძირითადი მსოფლმხედველობით მატერიალის-

ტი იყო, მას მაინც იდეალისტური გადახრები ახასიათებდა. ამ გადახრამ თავი იჩინა მის მეცნიერებათა კლასიფიკაციის სისტემაში. მეცნიერებათა დაყოფა მან მოგვცა თავის ცნობილ შრომაში — „მეცნიერებათა ღირსებისა და ზრდის შესახებ“ („De dignitate et augmentis scientiarum“), რომელიც პირველად 1605 წელს გამოვიდა, ხოლო მეორედ გადამუშავებული გამოცემა დაიბეჭდა ავტორის სიცოცხლეშივე — 1623 წელს) (ფრ. ბეკონი დაიბადა 1561 წელს და გარდაიცვალა 1626 წელს).

ფრენსის ბეკონი მეცნიერებებს ადამიანის გონების ნიჭიერებათა მიხედვით ჰყოფდა. მისი გაგებით ყველა მეცნიერება „globus intellectualis“, ინტელექტუალურ სამყაროს წარმოადგენს, ამიტომ მათი კლასიფიკაცია გონების ნიჭიერებათა კლასიფიკაციას უნდა ეყრდნობოდეს. „ყველაზე ზუსტი, როგორიც შესაძლებელია, ადამიანთა ცოდნის დაყოფა, — ამბობს ფრენსის ბეკონი — ეყრდნობა ადამიანთა სულის სამ ნიჭიერებათა დაყოფას, რომელიც არსებითად მეცნიერებათა ორგანოა. ისტორია ეკუთვნის მეხსიერებას, პოეზია—წარმოსახვას, და ფილოსოფია — განსჯას“[1], როგორც ვხედავთ, ფრენსის ბეკონი ადამიანის გონების სამ ძირითად ნიჭიერებას განასხვავებს: მეხსიერება, ფანტაზია და განსჯა, რომელთა შემოქმედობის პროდუქტს მეცნიერებანი წარმოადგენენ[2]. შესაბამისად მეცნიერებანი სამ ძირითად დარგად იყოფა: 1) ისტორია, რომელიც მეხსიერების ნაყოფია, 2) პოეზია — ფანტაზიის ნაყოფი და 3) ფილოსოფია — განსჯის ნაყოფი.

გონების ნიჭიერებათა საფუძველზე გამოყოფილი ცოდნის თითოეული ძირითადი დარგი ბეკონს შემდეგ შესწავლის საგნის ანუ მატერიალისტური პრინციპის მიხედვით აქვს დაყოფილი ქვედარგებად.

ისტორიას ბეკონი ორ ნაწილად ყოფს: ბუნების (naturalis) ისტორია და სამოქალაქო (civilis) ისტორია. ბუნების ისტორიაში მოყვანილია აქტები და შემოქმედებანი ბუნებისა; სამოქალაქო ისტორიაში—საქმენი და გმირობა ადამიანებისა[3].

მეორე ძირითადი დარგი ბეკონის სისტემაში, როგორც ვთქვით, პოეზიაა. პოეზიას ბეკონი სამ ნაწილად ყოფს: 1) აღწერითი ანუ მოთხრობითი პოეზია, 2) დრამატული და 3) პარაბოლიკური პოეზია (მითოლოგია, იგავ-არაკები, გამოცანები, შედარებანი).

მესამე ძირითადი დარგი — ფილოსოფია და ის მეცნიერებანია, რო-

---

[1] **Бакон — Собрание сочинений, т. I, СПБ, 1874, стр. 178.**

[2] გონების დასახელებული სამი ნიჭიერება ბეკონმა არისტოტელესაგან აიღო. აღსანიშნავია, რომ ადამიანის გონების აღნიშნული სამი ნიჭიერების მიხედვით მეცნიერებათა დაყოფა უფრო ადრე ესპანელმა ცნობილმა ჰუმანისტმა და მატერიალისტმა ჰუან-ჰუარტემ მოგვცა, რომლის შრომა „გონებათა გამოკვლევა“ 1575 წელს გამოვიდა.

[3] იქვე, გვ. 180.

შელნიც განსჯის ნაყოფს წარმოადგენენ. ფილოსოფიის საგანი სამგვარია: ღმერთი, ბუნება და ადამიანი. აქედან სამი დარგი ფილოსოფიისა: სწავლა ღმერთის შესახებ, სწავლა ბუნების შესახებ და სწავლა ადამიანის შესახებ. სამივე დარგი ფილოსოფიისა ერთ მთავარ ძირითად ფილოსოფიაში ერთიანდება, რომელსაც ბეკონი პირველად ფილოსოფიას უწოდებდა და რომელიც აღნიშნული სამი ძირითადი დარგის ზოგად ნაწილს წარმოადგენს.

მეცნიერებანი ბუნების შესახებ ბეკონის მიერ ორ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი: თეორიული მეცნიერებანი და პრაქტიკული, ანუ გამოყენებითი მეცნიერებანი. ეს დაყოფა ბეკონის ერთ დიდ დამსახურებას შეადგენს. თუ არისტოტელე მხოლოდ ნებისყოფის დარგს — ეთიკას მიიჩნევდა პრაქტიკულ მეცნიერებად, ბეკონი, პირიქით, სთვლის რომ თითოეულ მეცნიერებას აქვს თავისი თეორიული ამოცანა, ხოლო თითოეულ მეცნიერების საფუძვლები შეიძლება გამოყენებული იქნეს პრაქტიკაში, ე. ი. თითოეულ თეორიულ მეცნიერებას შეიძლება შეესაბამებოდეს პრაქტიკული, ანუ გამოყენებითი მეცნიერება.

მეცნიერებებს ადამიანზე ბეკონი ორ ნაწილად ჰყოფს: 1) მეცნიერება საკუთრივ ადამიანზე, რომელიც შეისწავლის ადამიანს როგორც ცალკეულ და დამოუკიდებელ არსებას, და 2) მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანს საზოგადოებაში. ამ უკანასკნელს ბეკონი სამოქალაქო ფილოსოფიას უწოდებს.

ამრიგად, ბეკონის სქემა მეცნიერებათა კლასიფიკაციისა შემდეგი სახით წარმოიდგინება:

I. ისტორია (მეხსიერება)
1. ბუნების ისტორია
2. სამოქალაქო ისტორია
A. წმინდა სამოქალაქო ისტორია
ა) ეკლესიის ისტორია
ბ) ლიტერატურისა და მეცნიერებათა ისტორია
გ) საკუთრივ სამოქალაქო ისტორია
B. შერეული ისტორია
ა) ფილოსოფიური ისტორია (პუბლიცისტიკა)
ბ) კოსმოგრაფიული ისტორია (გეოგრაფია)
C. სამოქალაქო ისტორიის დანართი
სიტყვები (orationes)
უსტარნი (epistolae)
ნათქვამნი, ანუ აპოთეგმები (apophtegmata)
II. პოეზია (ფანტაზია)
1. აღწერითი, ანუ მოთხრობითი

2. დრამატული
3. პარაბოლიკური (მითოლოგია, იგავარაკები, გამოცანები, შედარებანი)

III. ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა (განსჯა)

1. პირველადი ფილოსოფია
2. თეოლოგია
3. ბუნების ფილოსოფია

A. თეორიული

ა) ფიზიკა
ბ) მეტაფიზიკა

B. პრაქტიკული

ა) მექანიკა
ბ) მაგია

C. დიდი დანართი—მათემატიკა

4. ადამიანის ფილოსოფია (მეცნიერება ადამიანის შესახებ)

A. მეცნიერება საკუთრივ (ცალკე) ადამიანზე

ა) სწავლა ადამიანის სხეულზე
ბ) მეცნიერება ადამიანის სულის შესახებ

a) სწავლა სულის არსის შესახებ (დეზიდერატა)
b) სწავლა სულის ნიჭიერებათა შესახებ

C. სწავლა სულის ნიჭიერებათა და დანიშნულებისა და საგნის შესახებ

a) ლოგიკა
b) ეთიკა

B. სამოქალაქო ფილოსოფია

ა) სწავლა საერთო ქცევაზე
ბ) სწავლა საქმეებზე
გ) სწავლა მმართველობაზე, ანუ სახელმწიფოზე.

როგორც ვხედავთ, ფრენსის ბეკონის მეცნიერებათა კლასიფიკაცია ძირითადად სუბიექტივისტურია. თუმც უნდა შევნიშნოთ, რომ ემპირიულ მეცნიერებათა ფუძემდებელი ფრენსის ბეკონი, ძირითად დარგების ქვედაყოფისას, ობიექტივისტურ პრინციპს მიმართავდა და ამ მხრივ მისი სისტემა უსათუოდ გამოსავალი წერტილი იყო, სხვა მომდევნო მოაზროვნეთათვის.

ფრენსის ბეკონის კლასიფიკაცია საუკუნეების მანძილზე იყო გაბატონებული მეცნიერებაში. ბეკონის კლასიფიკაციის სისტემა სავსებით გადაიღო ფრანგმა ენციკლოპედისტებმა დიდრომ და დალამბერმა, რომლებმაც ცოტაოდენი შესწორებითა და დამატებით მოიყვანეს იგი 1751 წელს გამოსულ ცნობილ ფრანგულ ენციკლოპედიის შესავალ მსჯელო-

ბაში. იგივე სისტემა ნაწილობრივი შესწორებითა და დამატებით, გაიმეორა ამერიკელმა ჰარისმა, რომლის მათეზეოლოგიური ბადე (არსებითად ბეკონის ცხრილი) საფუძვლად დაუდო მელვილ დიუმ თავის ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციის ათწილად სისტემას. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ფრენსის ბეკონის მეცნიერებათა კლასიფიკაციის დალამბერისა და ჰარისის ვარიანტები.

დალამბერმა უპირველეს ყოვლისა შესწორება შეიტანა სამი ძირითადი დარგის წყობაში, სახელდობრ, პოეზია, რომელსაც ბეკონის სისტემაში მეორე ადგილი უკავია, მესამე ადგილზე მოაქცია. ასევე შეიტანა ცვლილება ძირითად დარგების ქვედანაყოფთა თანმიმდევრობაში. მაგ., თუ ბეკონს ჯერ ბუნების ისტორია ჰქონდა მოთავსებული და შემდეგ სამოქალაქო, დალამბერმა, პირიქით, ჯერ სამოქალაქო ისტორია მოათავსა და შემდეგ ბუნების ისტორია. ასევე ფილოსოფიის დარგში ბეკონს ჯერ ბუნების მეცნიერებანი აქვს მოყვანილი, — შემდეგ კი მეცნიერებანი ადამიანის შესახებ, დალამბერი კი ჯერ ათავსებს მეცნიერებებს ადამიანის შესახებ და შემდეგ მეცნიერებებს ბუნების შესახებ. ფიქრობდნენ, რომ მათემატიკას დალამბერმა მიუჩინა მისი შესაფერისი ადგილი, მაგრამ დალამბერის ვარიანტში მათემატიკისათვის მიჩნეული ადგილი უკვე ბეკონის მიერ იყო განსაზღვრული. დალამბერმა დამატებანიც შეიტანა ბეკონის ცხრილში. მაგ., პოეზიის (ხელოვნების) დარგში მან შეიტანა მხატვრობა, სკულპტურა, აგრეთვე მუსიკა, რომელიც ბეკონს გამოყენებითი მათემატიკაში ჰქონდა მოთავსებული.

დალამბერის ვარიანტით ბეკონის სქემა მეცნიერებათა კლასიფიკაციისა შემდეგ სახეს ღებულობს:

I. ი ს ტ ო რ ი ა (მეხსიერება)
  A. 1. საღმრთო ისტორია
    2. ეკლესიის ისტორია
  B. სამოქალაქო ისტორია
  C. ბუნების ისტორია

II. ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა (განსჯა)

0. ზოგადი მეტაფიზიკა, ანუ ონტოლოგია, ანუ მეცნიერება არსზე, შესაძლებლობაზე, არსებობაზე, ხანგრძლივობაზე და სხვ.
    A. მეცნიერება ღვთის შესახებ
    B. მეცნიერება ადამიანის შესახებ
    C. მეცნიერება ბუნების შესახებ (ბუნებისმეტყველება)
  1. სხეულთა მეტაფიზიკა, ანუ ზოგადი ფიზიკა
  2. მათემატიკა
  3. წმინდა ფიზიკა

III. პ ო ე ზ ი ა (ფანტაზია)
  1. მოთხრობითი

2. დრამატული
3. პარაბოლიკური
4. მუსიკა
5. მხატვრობა
6. სკულპტურა
7. არქიტექტურა, სამოქალაქო
8. გრავირება (ამოკვეთა).

ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჰარისმა (1870 წ.) მთლიანად შეაბრუნა ბეკონის საკლასიფიკაციო სქემა, ამრიგად, ძირითადი დარგები შემდეგნაირად განლაგდა: 1) მეცნიერებანი (განსჯა), 2)ხელოვნება (ფანტაზია) და 3) ისტორია (მეხსიერება). ჰარისის საკლასიფიკაციო ცხრილი შემდეგი სახისაა:

I. მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა
1. ფილოსოფია
2. რელიგია
3. სოციალური და პოლიტიკური მეცნიერება
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და გამოყენებითი ხელოვნებანი

II. ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა
1. კაზმული ხელოვნება
2. პოეზია
3. პროზა
4. ლიტერატურული ნარევი

III. ი ს ტ ო რ ი ა
1. გეოგრაფია და მოგზაურობანი
2. სამოქალაქო ისტორია
3. ბიოგრაფია.

მალვილ დუომ ჰარისის ვარიანტი ბეკონის მეცნიერებათა კლასიფიკაციისა საფუძვლად დაუდო თავის ათწილად სისტემას, ამას შემდეგი შედარებითი ცხრილი სავსებით ნათელჰყოფს:

დუის სქემა	ჰარისის სქემა
0. საერთო განყოფილება	ფილოსოფია
1. ფილოსოფია	რელიგია
2. რელიგია	სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებანი
3. სოციალური მეცნიერებანი	ფილოლოგია. ენათმეცნიერება
4. ენათმეცნიერება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
5. ზუსტი მეცნიერებანი	გამოყენებითი მეცნიერებანი
6. გამოყენებითი მეცნიერებანი	ხელოვნება
7. ხელოვნება	მხატვრული ლიტერატურა
8. მხატვრული ლიტერატურა	გეოგრაფია
9. ისტორია	ისტორია
91. გეოგრაფია	ბიოგრაფია
92. ბიოგრაფიები	ნარევი

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის მელვილ დუის სისტემას საფუძვლად დაედო ფრენსის ბეკონის სისტემა მეცნიერებათა კლასიფიკაციისა ჰარისის შესწორებებით. როგორც ვხედავთ, დუის სქემაში მეცნიერებანი 1-ლი განყოფილებიდან მე-6 განყოფილების ჩათვლით განსჯის პროდუქტია. აქედან 1-ლი განყოფილება პირველადი ფილოსოფიაა, მეორე განყოფილება — ფილოსოფია ღვთაების შესახებ (რელიგია), მესამე და მეოთხე განყოფილება—ფილოსოფია ადამიანის შესახებ, ხოლო მეხუთე და მეექვსე განყოფილება — ფილოსოფია ბუნების შესახებ. მეშვიდე და მერვე განყოფილება — ხელოვნება და მხატვრული ლიტერატურა — წარმოსახვის პროდუქტია, ხოლო მე-9 განყოფილება — ისტორია, გეოგრაფია და ბიოგრაფია — მეხსიერების პროდუქტია.

როგორც ვხედავთ, ათწილადი სისტემა კლასიფიკაციისა შინაარსობლივად მეტად მოძველებულია და დღეს ჩვენთვის მიუღებელია; იგი იდეალისტურია და არ იძლევა მეცნიერებათა ბუნებრივ დაყოფას. საკმარისია მივუთითოთ, რომ საზოგადოების ისტორია (მე-9 განყოფილება) გამოთიშულია და დაცილებულია სოციალური მეცნიერებებისაგან (მე-3 განყოფილება).

ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ ამ კლასიფიკაციით ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებანი დაცილებულია ტექნიკურ მეცნიერებებს, ბიოლოგიური მეცნიერებანი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებს და სხვ. ამგვარი. ჩვენ არას ვამბობთ ისეთ უხეშ შეცდომაზე და დაძახინჯებაზე, როგორიცაა სოციალიზმისა და კომუნიზმის მოთავსება კოოპერაციასა და სახელმწიფო ფინანსებს შორის (334 კოოპერაცია, 335 სოციალიზმი, კომუნიზმი, 336 სახელმწიფო ფინანსები). ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ათწილადი კლასიფიკაცია თავის შინაარსით, ე. ი. მეცნიერული საფუძვლები ამ კლასიფიკაციისა, სრულებით მიუღებელია თანამედროვეობისათვის და იგი ვერ დგას თანამედროვე მეცნიერების სიმაღლეზე, უფრო მეტიც, დღეს ეს სისტემა თავის შინაარსით შეიძლება ჩაითვალოს არამეცნიერულად.

მაშასადამე, ათწილადი სისტემა კლასიფიკაციისა შინაარსის მხრივ, იდეალისტურია, არამეცნიერულია და ამ მხრივ ჩვენთვის მიუღებელია, ხოლო ფორმის მხრივ თავისი პრაქტიკულ-ტექნიკური მხარეებით, ათწილადობის პრინციპი დაყოფისა (დეციმალიზმი) მეტად დადებითია და იგი, უეჭვოდ, საბიბლიოთეკო პრაქტიკისა და თეორიის დიდ მიღწევასა და მონაპოვარს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ათწილადი სისტემა კლასიფიკაციისა

1895 წელს ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა მიიღო თავისი „უნივერსალური ბიბლიოგრაფიული რეპერტუარისათვის“ და მან არა მხოლოდ მიიღო ეგ სისტემა, არამედ მეტად მნიშვნელოვანი დამატება შეიტანა შიგ ე. წ. განმსაზღვრელების (დეტერმინანტების) სახით, რითაც დიდად გააუმჯობესა და გაცილებით უფრო ელასტიკური და სრულყოფილი გახადა იგი. ბრიუსელის ვარიანტს ათწილად კლასიფიკაციისა (დეტერმინანტებით) საერთაშორისო ათწილადი კლასიფიკაცია ეწოდა. დუის ათწილადი კლასიფიკაციის ეს საერთაშორისო ვარიანტი გავრცელდა მსოფლიოში და კერძოდ ჩვენში, საბჭოთა კავშირში.

3. დეტერმინანტები (მსაზღვრელები)

საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა, როგორც ვთქვით, ცალკე დამხმარე ცხრილი შექმნა ე. წ. დეტერმინანტების, ანუ მსაზღვრელებისა, რომელსაც შემდგომ ქვედანაყოფთა ცხრილი უწოდა (subdivisions). მსაზღვრელთა ეს ცხრილი საშუალებას გვაძლევს, მეცნიერებათა ყოველ დარგზე ან ცალკეულ საკითხებზე, საგანზე ლიტერატურა, რომელიც გამოყოფილია ძირითადი ცხრილის ინდექსებით, კვლავ დავყოთ ქვედანაყოფად. ორი ჯგუფის მსაზღვრელები იყო შექმნილი ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ: 1. საერთო, ანუ ზოგადი მსაზღვრელები და 2. სპეციალური მსაზღვრელები.

საერთო, ანუ ზოგადი ცხრა მსაზღვრელი იყო გამომუშავებული ინსტიტუტის მიერ. ეს მსაზღვრელები შემდეგია: 1) ფორმის, 2) ადგილის, 3) დროის, 4) ენის, 5) ეთნიკური, 6) მიმართების (ურთიერთობის), 7) პლუსის, 8) თვალსაზრისის, 9) ანბანურ-საგნური. მსაზღვრელები ქვედანაყოფებს წარმოადგენენ (subdivisions) და, ჩვეულებრივ, მარჯვნივ მიეწერებიან ძირითად ინდექსს. თითოეულ მსაზღვრელს თავისი გამოსაცნობი ნიშანი აქვს, რომლითაც იგი გამოიყოფა ძირითადი ინდექსისაგან.

1. ფორმის მსაზღვრელი. ფორმის მსაზღვრელით მეცნიერების ერთი დარგის ფარგლებში გამოიყოფა ლიტერატურა ბიბლიოგრაფიული, ანუ გამოცემის ფორმის მიხედვით. მაგალითად, ძირითადი ინდექსით 54-ით ჩვენ გამოვყავით ლიტერატურა ქიმიის შესახებ. მაგრამ ქიმიის დარგში ჩვენ მოგვეპოვება ცალკე მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებისათვის, ლექსიკონები (სპეციალური ენციკლოპედიები და ტერმინოლოგიური ლექსიკონები), სტატიათა კრებულები, პერიოდული გამოცემები, მეთოდური მასალები და სხვ. ყველა ამ გამოცემების საგანი ქიმია იქნება, ასე რომ საგნით (შინაარსით) ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, განსხვავდებიან მხოლოდ გამოცემის სახით, ანუ, როგორც ჩვენ ვიტყვით ხოლმე ბიბლიოგრაფიული ფორმით. აი

ეს სხვადასხვა სახის გამოცემები ერთმანეთისაგან ფორმის მსაზღვრელით (დეტერმინანტით) გამოიყოფა.

ფორმის მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანია ნული ჩასმული მრგვალ ფრჩხილებში (0...), შემდეგ მას არაბული ციფრები მიეწერება. მაგ., ქიმიის სახელმძღვანელოები იქნება 54(02), სადაც ფრჩხილებში (02) ნიშნავს სახელმძღვანელოს. ქიმიის ენციკლოპედიაა 54(03), კრებულები ქიმიის დარგში 54(08), პერიოდული გამოცემები ქიმიის დარგში 54(05) და ა. შ.

ფორმის მსაზღვრელთა ძირითადი ცხრილა შემდეგია:

(01) — საგნის თეორია. მეცნიერების განსაზღვრა, მისი ამოცანები, მეთოდები, თეორიები და სხვ.;

(02) — სახელმძღვანელოები;

(03) — ენციკლოპედიები და ლექსიკონები;

(04) — სტატიათა კრებულები;

(05) — პერიოდული გამოცემები;

(06) — დაწესებულებანი, საზოგადოებები, ყრილობები, კონფერენციები, გამოფენები და სხვ.;

(07) — საგნის შესწავლა, სწავლების მეთოდიკა, სასწავლო დაწესებულებები, ლაბორატორიები, მუზეუმები და სხვ.;

(08) — პოლიგრაფიები, კრებულები;

(09) — საგნის ისტორია.

თითოეული ეს მსაზღვრელი შიგნით კიდევ იყოფა ქვედანაყოფებად ათწილადობის პრინციპით, მარჯვნივ ციფრის მიწერით. მაგ., კრებულები (08), ინდივიდუალური პოლიგრაფია (081), კოლექტიური პოლიგრაფია (082), საცნობი წიგნები (083) და ა. შ.

2. გეოგრაფიული, ანუ ადგილის მსაზღვრელი. წიგნის საგანი შეიძლება დაკავშირებული იყოს გეოგრაფიულ ადგილთან, შემოფარგლული იყოს სივრცით. ამ შემთხვევაში ძირითად ინდექსს მარჯვნივ მიეწერება გეოგრაფიული მსაზღვრელი. გეოგრაფიული მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანი მრგვალი ფრჩხილებია (.), მრგვალ ფრჩხილებში ჩასმულია არაბული ციფრები, მთელი რიცხვი (ნულის გარეშე). მაგალითად, ევროპის აღმნიშვნელი (4), აზიის (5), აფრიკის (6), ჩრდილო ამერიკის (7), სამხრეთ ამერიკის (8), ოკეანიის, ავსტრალიის (9). მაგალითად, წიგნი ევროპის ისტორიის შესახებ, ისტორიის ინდექსია 9, ევროპის მსაზღვრელი (4), ევროპის ისტორია იქნება 9(4). გეოგრაფიის ინდექსია 91, აზიის მსაზღვრელი (5), აზიის გეოგრაფია 91 (5) და ა. შ.

თითოეული ეს მსაზღვრელი, ისე როგორც ფორმის მსაზღვრელი, მარჯვნივ ციფრის მიწერით ქვედანაყოფებად იყოფა. მაგ., ევროპა (4), ევროპის სახელმწიფოები იქნება: (41) ისლანდია, (42) ინგლისი, (43) გერმა-

ნია, (44) საფრანგეთი, (45) იტალია, (46) ესპანეთი, (47) სსრ კავშირი და ა. შ. მსოფლიოს მსაზღვრელი არის უსასრულობის ნიშანი ჩასმული ფრჩხილებში (∞). დაყოფა სტრატიგრაფიის ძიხედვით (გეოლოგიური პერიოდები) აღინიშნება (1)-ით. მატერიკები, კუნძულები, მთები, ზღვები, მდინარეები და სხვა ფიზიკო-გეოგრაფიული სივრცენი აღინიშნება (2)-ით. ძველი ქვეყნები აღინიშნება (3)-ით. მაგ., ძველი ქვეყნების ისტორია 9(3), ძველი რომის ისტორია 9(37) და ა. შ.

3. დროის მსაზღვრელი. წიგნის შინაარსი შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ დროსთან, გარკვეულ პერიოდთან, განსაზღვრული იყოს დროის გარკვეული მონაკვეთით. ამ შემთხვევაში ძირითად ინდექსს მარჯვნივ დროის მსაზღვრელი მიეწერება. დროის მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანი ბრჭყალებია — „ . “. ბრჭყალებში ჩაისმის წელი ან საუკუნე და ა. შ. მაგალითად, ჩვენ, თუ გვინდა კატალოგში ცალკე გამოვყოთ ლიტერატურა რუსეთის პირველი რევოლუციის შესახებ, დავწერთ სსრ კავშირის ისტორიის ინდექსს და მარჯვნივ მივუწერეთ ბრჭყალებში „1905“. სიტყვა წელი არც სრულად და არც შემოკლებით არ იწერება. ჩვენს მაგალითში სრული ინდექსი იქნება 9(47) „1905“. ასევე როდესაც გვინდა აღვნიშნოთ 1917 წლის რევოლუცია ვწერთ 9(47) „1917“. მაგრამ 1917 წელს, როგორც ცნობილია ორი რევოლუცია მოხდა — თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრჭყალებში წლის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ არაბული ციფრით თვე და საჭიროებისას რიცხვიც. ოქტომბრის რევოლუციის სრული ინდექსი იქნება 9(47) „1917. 10“, ან კიდევ უფრო სრულად 9(47) „1917.10.25“. როგორც ვხედავთ, წლის შემდეგ იწერება წერტილი და შემდეგ მერამდენე თვეა, შემდეგ კვლავ წერტილი და დღის რიცხვი. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს წელი უსათუოდ ოთხნიშნა ციფრი უნდა იყოს, თვე ორნიშნა და დღის რიცხვი ორნიშნა. თუ თვე და რიცხვი ორნიშნაზე ნაკლებია, წინ ნულით უნდა შეივსოს. ასე მაგალითად, 1905 წლის ცხრა იანვარი თუ გვსურს კატალოგში გამოვყოთ, ჩვენ დავწერთ შემდეგ ინდექსს 9(47) „1905.01.09“. ასევე, როდესაც გვინდა აღვნიშნოთ წელი, რომელიც არ შეადგენს ოთხნიშნა ციფრს, წინ ნულებს მივუწერთ, რომ ოთხნიშნა ციფრად ვაქციოთ, მაგ., „0077“, „0005“, „0988“ და ა. შ.

საუკუნე ორნიშნა არაბული ციფრით უნდა იყოს აღნიშნული. თუ ორნიშნას აკლია, წინ ნულს დავუწერთ და მით შევავსებთ. საუკუნეს ჩვენ ყოველთვის ერთით ნაკლებს ვწერთ. მაგალითად, როდესაც გვსურს აღვნიშნოთ მე-20 საუკუნე, ბრჭყალებში ჩავსვამთ „19“ და არა „20“, როდესაც მე-19 საუკუნე გვინდა აღვნიშნოთ დავწერთ „18“ და ა. შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ დასრულებულ საუკუნეებს აღვნიშნავთ და მიმ-

დინარეს არა. როდესაც ვამბობთ მე-19 საუკუნე, ეს იმას ნიშნავს, რომ დასრულებული საუკუნე 18-ია, ხოლო მე-19 მიმდინარეობს. რატომ ვიქცევით ასე? იმიტომ, რომ, მე-19 საუკუნის ყველა წლის პირველი ორი ციფრი 18-ია, ე. ი. დასრულებული საუკუნეების აღმნიშვნელი ციფრია. მეცხრამეტე საუკუნე იწყება 1800-ით და მთავრდება 1899 წლით. 1900 წელი რომ შესრულდა, შემდეგ უკვე დაიწყო მე-20 საუკუნე. ათწილადი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე, როგორც ვთქვით, ელასტიკურობაა. სწორედ ამ მოსაზრებით, ელასტიკურობის მოსაზრებით ვაკეთებთ ამას. მაგ., კატალოგში ისტორიული მოვლენები საუკუნეებით აღვნიშნეთ და მხოლოდ საუკუნეები გამოვყავით, შემდეგ ფონდების გაზრდასთან დაკავშირებით, საჭირო შეიქმნა ინდექსის დაზუსტება, უფრო დეტალური დაყოფის შეტანა კატალოგში და ცალკეული წლის მოვლენის ცალკე გამოყოფა, მაშინ მარჯვნივ სათანადო ციფრების მიწერით დავაზუსტებთ წელს. მაგალითად, რუსეთის ისტორია მე-19 საუკუნის. ინდექსი გვქონდა დაწერილი 9(47) „18". შემდეგ ფონდი გაიზარდა და საჭირო შეიქნა ლიტერატურის დეკაბრისტთა აჯანყების ცალკე გამოყოფა, მაშინ წიგნზე უკვე დაწერილი საუკუნის მსაზღვრელს „18"-ს მივუწერთ მარჯვნივ 25-ს და მით დავაზუსტებთ წელს—9(47) „1825", რომ მე-19 საუკუნე „19" დამეწერა „18"-ის ნაცვლად მაშინ ციფრი ცხრა უნდა წაგვეშალა და რვაზე გადაგვეკეთებია, რაც გაართულებდა მუშაობას.

საუკუნე, როგორც ვთქვით, ორნიშნა ციფრია. თუ ერთნიშნა ციფრით გამოხატული საუკუნე გვინდა აღვნიშნოთ, წინ ნული უნდა მივუწეროთ. მაგ.. მე-5 საუკუნე, დავწერთ „04".

როდესაც გვინდა მთელი პერიოდი აღვნიშნოთ—ამ საუკუნიდან ამ საუკუნემდე, ან ამ წლიდან ამ წლამდე, მაშინ ვწერთ პერიოდის დასაწყისს და ბოლო საუკუნეებს ან წლებს და შუაში დავუწერთ ორ წერტილს. მაგ., ისტორია ევროპისა შუა საუკუნეებში მე-5 საუკუნიდან მე-17 საუკუნემდე, დავწერთ: 9(4) „04:16." ან პირველი მსოფლიო ომი 1914 წლიდან 1918 წლამდე, დავწერთ 9 (ю) „1914:1918". ზოგი შუაში ორი წერტილის ნაცვლად წერს ერთ ხაზს (ტირეს) — ეს შეცდომაა. ხაზი იწერება შემოკლების შემთხვევაში, მაგ., 9 (ю), „1914 - 18". ასევე ზოგი (მაგ., წიგნის პალატა) თვეს რომაული ციფრით აღნიშნავს, მაგ., თებერვლის რევოლუცია 9(47) „1917.II.27". ესეც ერთგვარი თვითნებობაა. საერთაშორისო ათწილად კლასიფიკაციაში არაბული ტრანსკრიფციაა მიღებული და არაბული ციფრის რომაულით შეცვლა არ იქნებოდა სწორი.

ათეული წლები სამნიშნა ციფრით აღინიშნება. მაგ., 70-იანი წლები XIX საუკუნისა რუსეთში იწერება 9(47)„187".

დრო ჩვენ წელთაღრიცხვამდე აღინიშნება წინ მინუსის მიწერით. მაგ., მე-5 საუკუნე ჩვენ წელთაღრიცხვამდე დაიწერება „—04".

4. ენის მსაზღვრელი. ენის მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანი არის ორი ხაზი. ტოლობის ნიშანი. მაგ., ინგლისური ენა=2, გერმანული ენა=3, ფრანგული ენა=4 და ა.შ. ენის მსაზღვრელი იხმარება უმთავრესად ოჯრ ან მრავალენიან ლექსიკონების კლასიფიკაციისას, ისე კი ეს მსაზღვრელი ჩვეულებრივ არ იხმარება. აღნიშვნა იმისა თუ რა ენაზეა წიგნი დაწერილი ზედმეტია, რადგან. წიგნის აღწერის წესების მიხედვით, წიგნი იმ ენაზე აიწერება, ჯრა ენაზედაც იგი დაწერილია, მაშასადამე, აღწერილობის ენა უკვე მიგვითითებს, თუ რა ენაზეა წიგნი დაწერილი. ერთ განყოფილების ფარგლებში წიგნთა აღწერილობანი ენების მიხედვით იქნება დალაგებული, ასე რომ ეს მსაზღვრელი მხოლოდ გადატვირთავდა ინდექსს.

ენის მსაზღვრელის მიხედვით ათწილადი კლასიფიკაციის მე-4 განყოფილება (ენათმეცნიერება) და მე-8 განყოფილება (მხატვრული ლიტერატურა) ქვეგანაყოფებებად არის დაყოფილი. ენის განმსაზღვრელი ტოლობის ნიშნის გარეშე, პირდაპირ მიეწერება მარჯვნივ მე-4 და მე-8 განყოფილებებს და ჩვენ ვიღებთ სათანადო ქვეგანყოფილებებს, ე. ი. ძირითად ინდექსებს (უდეტერმინანტოდ). მაგ., ინგლისური ენის მსაზღვრელია=2. ინგლისური ენათმეცნიერება იქნება 42 (და არა 4=2. ენათმეცნიერების განყოფილებას 4-ს მარჯვნივ მიეწერება 2 როგორც ქვეგანყოფილების აღმნიშვნელი). ასევე ინგლისური ლიტერატურა იქნება 82. ფრანგული ენა არის=4. ფრანგული ენათმეცნიერება—44, ფრანგული ლიტერატურა 84 და ა. შ.

5. ეთნიკური მსაზღვრელი. ეთნიკური მსაზღვრელი აღმნიშვნელია ხალხის, ეროვნების. მისი გამოსაცნობი ნიშანია ტოლობის ნიშანი ჩასმული მრგვალ ფრჩხილებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენის მსაზღვრელს ჩავსვამთ მრგვალ ფრჩხილებში და მივიღებთ ეროვნების მსაზღვრელს. მაგ., ინგლისური ენა=2, ინგლისელი ხალხი, ინგლისელები იქნება (=2), ფრანგული ენა=4, ფრანგები იქნება (=4). ეს მსაზღვრელიც შედარებით იშვიათად გამოიყენება ბიბლიოთეკებში. მას ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე ექსტერიტორიალურ ხალხთა აღსანიშნავად. მაგ., ებრაული ენა=924, ებრაელნი (=924), ებრაელთა ისტორია 9(=924). ან ტომთა აღსანიშნავად, მაგ., სლავური ენები=917, სლავები (=917), სლავთა ისტორია (9=917) და ა. შ. ზოგი დიდი ბიბლიოთეკა ამ მსაზღვრელს იყენებს ხოლმე ეთნოგრაფიის განყოფილებაში 39, რელიგიის განყოფილებაში 2, ხელოვნების განყოფილებაში 7 და სხვ. მაგ., რუმინული ენა=59, რუმინელები (=59), რუმინელთა ზნე-ჩვეულებანი 39(=59), რუმინელთა რელიგია 2(=59), რუმინელთა მუსიკა 78(=59) და ა. შ. ჩვეულებრივ კი ასეთ შემთხვევებში მეტი წილი ბიბლიოთეკებისა გამოიყენებს ხოლმე ადგილის მსაზღვრელს. რუმინეთი (498), რუმინელთა ზნე-ჩვეულებანი 39(498). რუმინელთა მუსიკა 78(498) და ა. შ.

6. მიმართების მსაზღვრელი. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დეტერმინანტია. იგი აკავშირებს ორ საგანს, ორ დარგს მეცნიერებისას ან ორ საკითხს. მისი გამოსაცნობი ნიშანი ორი წერტილია (მიმართების ნიშანი), რომელიც დაისმის ორ ინდექსს შორის. მიმართების მსაზღვრელი იხმარება, როდესაც წიგნში მოცემულია დამოკიდებულება ორ დისციპლინათა ან ორ საკითხთა შორის, ან ერთი საგანი, ერთი საკითხი განხილულია მეორე დარგის თვალსაზრისით. მაგ., ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. წიგნი შეეხება ფსიქოლოგიას და პედაგოგიკას, მათ ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში ორ ინდექსს—15 (ფსიქოლოგია) და 371 (პედაგოგიკა) შევაერთებთ ორი წერტილით (მიმართების მსაზღვრელით)—15 : 371. ეს მსაზღვრელი ახალ საკითხს, ახალ ცნებას, ახალ განყოფილებას ქმნის კატალოგში. ფსიქოლოგიის განყოფილებაში ცალკე გამოვყოფთ საკითხს ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის შორის ურთიერთობის შესახებ. ასევე პედაგოგიკის განყოფილებაში გამოვყოფთ სათანადო ქვეგანყოფილებას ინდექსით 371:15. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ორი აღწერილობა დგება სისტემატურ კატალოგისათვის. ერთი მოთავსდება ფსიქოლოგიის განყოფილებაში 15:371, ხოლო მეორე—პედაგოგიკის დარგში 371:15.

მიმართების მსაზღვრელი იხმარება აგრეთვე რომელიმე საკითხის გამოსაყოფად, როდესაც ეს საკითხი კლასიფიკაციის ძირითად ტაბულაში არ არის გამოყოფილი ძირითადი ინდექსით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიმართების მსაზღვრელს ვიყენებთ ახალ ქვეგანყოფილებათა და ახალ ქვეჯგუფთა შესაქმნელად, როდესაც ინდექსთა ძირითად ცხრილში არ არის სათანადო რუბრიკა. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მეორე ბარათი არ იწერება. მაგ., მრეწველობის ეკონომიკის ინდექსია — 338. როდესაც ჩვენ გვსურს სისტემატურ კატალოგში გამოვყოთ მრეწველობის ცალკეულ დარგთა ეკონომიკის საკითხები, მივმართავთ მიმართების მსაზღვრელს. ვთქვათ სამთამადნო მრეწველობის ეკონომიკა — სამთამადნო საქმე (ტექნიკა) 622-ია. სამთამადნო მრეწველობის ეკონომიკა იქნება 338 : 622. ასევე, ქიმიური მრეწველობა 66-ია. ქიმიური მრეწველობის ეკონომიკა იქნება 338 : 66 და ა. შ. ასევე შეგვიძლია დავყოთ პროფესიონალური კავშირები — 331.88. განათლების მუშაკთა კავშირი — 331.88 : 37 (37 — აღზრდა-განათლებაა), სამთამადნო მრეწველობის მუშაკთა კავშირი — 331.88 : 622 და ა. შ. ასევე სისტემატური ბიბლიოგრაფიის დარგში. ამ უკანასკნელის ინდექსია 016. როდესაც ჩვენ გვაქვს ბიბლიოგრაფია ბიოლოგიური ლიტერატურის, ვწერთ 016:57 (57 ბიოლოგიაა), სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა 016 : 63 (63 სოფლის მეურნეობაა) და ა. შ. ან ვთქვათ ისტორიის დარგში გვინდა გამოვყოთ ეკონომიური ისტორია, ვწერთ ინდექსს 9:33 (9 ისტორია, 33 ეკონომიური მეცნიერება), და სხვ. მიმართების მსაზღვრელი დიდ და მდიდარ საშუა-

ლებებს იძლევა ინდექსთა კომბინაციისა და, მაშასადამე, ახალ-ახალი საკითხების გამოყოფისა სისტემატურ კატალოგში. მიმართების მსაზღვრელი კიდევ უფრო მეტ ელასტიკურობას აძლევს ათწილად კლასიფიკაციას.

7. მიმატების (პლუსის) მსაზღვრელი. პლუსის მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანი პლუსია (+). ეს მსაზღვრელიც, ისე როგორც მიმართების მსაზღვრელი, ორ ინდექსს შორის დაისმის და მიგვითითებს, რომ წიგნის ძირითადი საგანი ორი, სამი ან მეტი საკითხია და, მაშასადამე, ორ, სამ და მეტ განყოფილებაში უნდა იყოს ასახული ამ წიგნის აღწერილობა. წინააღმდეგ მიმართების მსაზღვრელისა, მიმატების მსაზღვრელი ახალ ცნებას არ აყალიბებს, ახალ რუბრიკას, ახალ განყოფილებას არ ქმნის სისტემატურ კატალოგში, არამედ აღნიშნავს, რომ ეს წიგნი გარდა ძირითადი საგნისა კიდევ რამდენიმე საგანს მოიცავს, შიგ რამდენიმე ძირითადი საკითხია განხილული, არა ერთი მეორის მიმართებაში, არამედ ცალკეულად, დამოუკიდებლივ, მაგ., ცნობილი წიგნი ფრ. ენგელსის „ანტიდიურინგი", როგორც ცნობილია, ეს წიგნი სამ ნაწილისაგან შედგება: ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და სოციალიზმი. ამ წიგნის აღწერილობები სულ მცირე, სისტემატური კატალოგის სამ განყოფილებაში უნდა მოთავსდეს — დიალექტიკურ მატერიალიზმში (ფილოსოფია), პოლიტიკურ ეკონომიაში და მეცნიერულ კომუნიზმში, რადგან ეს წიგნი მეტად საინტერესოა და ძირითად წყაროს წარმოადგენს, როგორც იმათთვის, ვინც ფილოსოფიას შეისწავლის, ასევე იმათთვის, ვინც პოლიტიკურ ეკონომიას სწავლობს და იმათთვის, ვინც მეცნიერული სოციალიზმის, მარქსიზმის საკითხებს შეისწავლის. ამიტომ ამ წიგნს დაესმის სამი ინდექსი და ისინი ურთიერთ შეერთდებიან პლუსის ნიშნით: 3К13+1М+33 (ახალი შესწორებული ცხრილით 3К მარქსიზმ-ლენინიზმია, მეცნიერული კომუნიზმი, 3К13 მარქსისა და ენგელსის ცალკეული შრომები, 1М — დიალექტიკური მატერიალიზმია და 33 პოლიტიკური ეკონომია).

8. თვალსაზრისის მსაზღვრელი. ეს სახელწოდება ზუსტი არ არის. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ აქ საქმე გვაქვს რაიმე მეცნიერულ, ანუ თეორიულ თვალსაზრისთან. ეს ასე არ არის. როგორც სამართლიანად შენიშნავს ცნობილი დეციმალისტი ნ. ვ. რუსინოვი, უმჯობესი იქნებოდა ამ მსაზღვრელისათვის გვეწოდებინა საწარმოო მსაზღვრელი. ეს მსაზღვრელი გამოჰყოფს ლიტერატურას სხვადასხვა წარმოებითი პროცესის შესახებ, ამ პროცესების ცალკეულ სტადიების, ცალკე ოპერაციების და წარმოების მატერიალურ და სოციალურ ფაქტორების შესახებ. ამ მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანი ორი ნულია, ორი ნულით იგი მიეწერება ძირითად ინდექსს მარჯვნივ. როდესაც იგი ძირითად ინდექსის

ჯარეშე, ცალკე იწერება. მაშინ წინ მას მრავალწერტილი ეწერება, რომ იგი არ აკურიოთ საერთო ნული განყოფილების ნულ ქვეგანყოფილებასთან „00 პროლეგომენასთან". ძირითადი დანაყოფები თვალსაზრისის მსაზღვრელისა შემდეგია:

... 001. თეორიული თვალსაზრისი (საგნის გეგმა, გაანგარიშება, კვლევა-ძიება, საგნის გამოცდა, გამოგონებათა გამოყენება და სხვ.).

... 002. რეალიზაციის თვალსაზრისი. საგნის შექმნა. საგნის შექმნისათვის აუცილებელი მასალების, წარმოების იარაღების შექმნა, წარმოების პირობების შექმნა, წარმოების პროცესი.

... 003. ეკონომიური თვალსაზრისი. ფინანსების, აღრიცხვის, ანგარიშიანობის, კომერციული ოპერაციებს, ფასების თვალსაზრისი.

... 004. უტილიზაციური თვალსაზრისი. საგნის გამოყენების, ხმარებიხ და საგნის მოვლა-მომსახურების თვალსაზრისი.

... 005. მოწყობილობის თვალსაზრისი (დაწესებულების ან საწარმოს ორგანიზაციის).

... 006. შენობის (სათავეს) თვალსაზრისი.

... 007. პერსონალის თვალსაზრისი.

... 008. ორგანიზაციისა და მმართველობის თვალსაზრისი.

... 009. სოციალური თვალსაზრისი (დაწესებულებათა, სარეწაოთა და ორგანიზაციათა შორის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისი).

როგორც ვხედავთ, ეს მსაზღვრელი წარმოების პროცესებს ეხება, წარმოებითი პროცესების მსაზღვრელია. მაგ., ელექტროსადგურების ინდექსია 621.311, ელექტროსადგურის დაპროექტება. აგეგმვა იქნება 621.311.001 (...001 თეორიული თვალსაზრისია, აგეგმვის, დაპროექტების თვალსაზრისი). ელექტროსადგურების აგება (ე. ი. პროექტის შესრულება) იქნება 621.311.002 (... 002 რეალიზაციის თვალსაზრისია). 334.5 სამომხმარებლო კოოპერაციაა. 334.5.003 იქნება ანგარიშწარმოება სამომხმარებლო კოოპერაციაში. 634.11 ვაშლია. ვაშლის შეფუთვა, შენახვა, გადაზიდვა და სხვ. ამგვარი იქნება 634.11.004 (... 004 უტილიზაციური თვალსაზრისია). 61 მედიცინაა. სამედიცინო პერსონალი იქნება 61.007. 334.6 სამრეწველო კოოპერაცია. 334.6.008 იქნება სამრეწველო კოოპერაციის (არტელების) ორგანიზაცია და მმართველობა და ა. შ.

თვალსაზრისის მსაზღვრელი გამოიყენება მხოლოდ დიდ სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკებში. მასობრივ ბიბლიოთეკებში და საერთოდ მცირე და საშუალო ბიბლიოთეკებში იგი არ გამოიყენება.

9. ანბანური მსაზღვრელი. ამ მსაზღვრელის გამოსაცნობი ნიშანი კვადრატული ფრჩხილებია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმის გვარი ან საგნის დასახელება ან ანბანი. ამით ის განსხვავდება დანარჩენი მსაზღვრელებისაგან, რომლებიც, როგორც დავინახეთ, არაბული ციფრებით გამოიხატებიან. ეს მსაზღვრელიც მარჯვნივ მიეწერება ინდექსს და აზუსტებს მას. იგი ძირითადი ინდექსის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, იმ გაგებით, რომ წიგნის საგანს, წიგნის შინაარსს აზუსტებს. გვარით ან საგნის დასახელებით ჩვენ გამოვყოფთ ისეთ საგანს, საკითხს, რომლის შესატყვისი რუბრიკა არ მოგვეპოვება ინდექსთა ცხრილში. მაგ., ფილოსოფიის განყოფილებაში თუ გვსურს ცალკე გამოვყოთ ტოლსტოის ფილოსოფია, დავწერთ ინდექსს 1 [ტოლსტოი]. ასევე რუსული ლიტერატურის კრიტიკასა და ისტორიაში, თუკი გვსურს ცალკე გამოვყოთ ლიტერატურა პუშკინის შესახებ, ვწერთ ინდექსს 891.71.092 [პუშკინი]. შეიძლება კვადრატულ ფრჩხილებში გვარი კი არ იყოს ჩასმული, არამედ საგნის დასახელება, მაგ., რადიოტექნიკის ინდექსია 621.396. თუკი გვსურს ცალკე გამოვყოთ ლიტერატურა რადიომიმღებების შესახებ ან ანტენის შესახებ, მაშინ ვწერთ — 621.396 [ანტენა], 621.396 [მიმღები]. ეს მსაზღვრელი წიგნის საგნის დაზუსტებისა და სისტემატურ კატალოგში კონკრეტული საგნის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს, როდესაც შესატყვისი რუბრიკა არ მოგვეპოვება ძირითად ინდექსთა ტაბულაში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცხრა მსაზღვრელი საერთო მსაზღვრელებია. საერთო მათ ეწოდებათ იმისათვის, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობით იგი ყველა განყოფილებაში იხმარება, ყველა განყოფილებაში შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგ., გეოგრაფიული მსაზღვრელი (4) — ევროპა იქნება ყველგან, ყველა განყოფილებაში. იგი ამ მნიშვნელობით მარჯვნივ მიეწერება ყველა ინდექსს, სადაც კი იქნება იგი საჭირო. მაგ., ევროპის ისტორია 9(4), ევროპის გეოგრაფია 91(4), ევროპის მრეწველობა 338(4), ჯანმრთელობის საკითხები ევროპაში 61(4) და ა. შ.

10. სპეციალური მსაზღვრელები. გარდა აღნიშნული მსაზღვრელებისა არის კიდევ ე. წ. სპეციალური მსაზღვრელები, რომლებიც გარკვეული მნიშვნელობით სპეციალურად მხოლოდ ერთ განყოფილებაში ან ქვეგანყოფილებაში იხმარებიან (სხვა განყოფილებაში მას სულ სხვა მნიშვნელობა ექნება). მაგრამ ამ განყოფილების ან ქვეგანყოფილების ყველა ქვედანაყოფს შეიძლება ეს მსაზღვრელი ამ გარკვეულ მნიშვნელობით მიეწეროს.

სპეციალური მსაზღვრელების გამოსაცნობი ნიშნები შემდეგია:

1) ტირე—, —1, —2, —3 და ა. შ.;

2) წერტილი და ნული .01, .02, .03 და ა. შ.;

3) ტირე და ნული—01, —02, —03 და ა. შ.;

4) ტირე და ორი ნული —001, —002, —003 და ა. შ.;

5) ორი ნული მრგვალ ფრჩხილებში, (001), (002) და ა. შ.

როგორც ვთქვით, სპეციალური მსაზღვრელი გარკვეული (სპეციალური) მნიშვნელობით ერთ რომელიმე განყოფილების ან ქვეგანყოფილების ფარგლებში იხმარება. მაგ., მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, მე-8 განყოფილებაში ლიტერატურული ჟანრი სპეციალური მსაზღვრელით, გამოსაცნობი ნიშნით ტირეთი, გამოიყოფა:

8—1 პოეზია;

8—2 დრამა;

8—3 პროზა;

8—4 მხატვრული ნარკვევები;

8—5 დისკუსიული რომანები და ა. შ.

ეს სპეციალური მსაზღვრელები აღნიშნულ მნიშვნელობით მე-8 განყოფილების ყველა ქვედანაყოფში გამოიყენება. მაგ., 82 ინგლისური ლიტერატურა. ინგლისური პოეზია იქნება 82—1, ინგლისური დრამა 82—2, ინგლისური პროზა 82—3 და ა. შ. გერმანული ლიტერატურა 83. გერმანული პოეზია 83—1, გერმანული დრამა 83—2, გერმანული პროზა 83—3 და ა. შ. ფრანგული ლიტერატურა 84. ფრანგული პოეზია 84—1, ფრანგული დრამა 84—2, ფრანგული პროზა 84—3 და ა. შ. მაგრამ—1, —2, —3, და სხვ. მე-4 განყოფილებაში ენათმეცნიერებაში სულ სხვა მნიშვნელობა ექნება:

4—1 ორთოგრაფია;

4—2 მეტყველების ნაწილები;

4—3 ლექსიკოლოგია;

4—5 გრამატიკა და ა. შ.

42 ინგლისური ენაა, ინგლისური ორთოგრაფია იქნება 42—1, ინგლისური ენის მეტყველების ნაწილები 42—2, ინგლისური ლექსიკოლოგია 42—3, ინგლისური გრამატკა 42—5 და ა. შ. 43 გერმანული ენაა, 43—1 გერმანული ორთოგრაფია, 43—2 გერმანული ენის მეტყველების ნაწილები, 43—3 გერმანული ლექსიკოლოგია, 43—5 გერმანული გრამატიკა და ა. შ.

ასევეა სპეციალური მსაზღვრელები სხვა გამოსაცნობი ნიშნით. მაგ., სამართლის მეცნიერების განყოფილებაში — 34 სპეციალური მსაზღვრელი (002) კანონთა კოდექსს ნიშნავს. 34(002) კანონთა კოდექსი. 343 სისხლის სამართალი. 343(002) სისხლის სამართლის კოდექსი. 347 სამოქალაქო სამართალი. 347(002) სამოქალაქო სამართლის კოდექსი. მაგრამ ამავე მსაზღვრელს (002)-ს მე-9 განყოფილებაში (ისტორიის გან-

ყოფილებაში) სულ სხვა, სპეციალური მნიშვნელობა ექნება. იქ მას საისტორიო წყაროს ერთ-ერთი სახის მნიშვნელობა ექნება.

როგორც აღვნიშნეთ, სპეციალურ მსაზღვრელებს ხუთი სხვადასხვა გამოსაცნობი ნიშანი აქვს. რაიმე განსაკუთრებული დანიშნულება ცალკეულ მათგანს არა აქვს. მათი დანიშნულებაა მხოლოდ გამოჰყოს ესა თუ ის სპეციალური მსაზღვრელი ძირითადი ინდექსიდან. არც რაიმე წესი არსებობს, რომ ერთი სახის გამოსაცნობი ნიშანი გარკვეულ განყოფილებაში ან ქვეგანყოფილებაში იხმარებოდეს. ხშირად ერთი და იმავე განყოფილებაში სპეციალური მსაზღვრელები სხვადასხვა გამოსაცნობი ნიშნით იხმარება. მაგ., მედიცინაში გამოყენებულია ნიშნები: — —, —0, —00 და ა. შ.; ტექნიკაში — —, 0, და ა. შ.

უმეტეს შემთხვევაში სპეციალური მსაზღვრელით ამა თუ იმ განყოფილების თითოეული საკითხი კვლავ შინაარსის მიხედვით არის გამოყოფილი (საგნის ასპექტის მიხედვით). ასეთ სპეციალურ მსაზღვრელებს კიდევ ანალიტიკურ მსაზღვრელებს უწოდებენ. ზოგჯერ კი სპეციალური მსაზღვრელით ნაწარმოების ფორმას გამოყოფენ, მაგ., 34-ე განყოფილებაში (სამართალი) სპეციალური მსაზღვრელით (003)-ით, კანონთა კრებული — 34 (003).

4. ათნიღადი კლასიფიკაციის გავრცელება საბჭოთა კავშირში და ათნიღადი კლასიფიკაციის ახალი ვარიანტი

ათწილადმა კლასიფიკაციამ დიდი გავრცელება ჰპოვა საბჭოთა კავშირში. პირველად ეს სისტემა შემოიღო დობრეინსკიმ 1897 წელს ლენინგრადის (მაშინ პეტერბურგის) პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. 1907 და შემდეგ წლებში კი ამ სისტემას დიდი პროპაგანდისტი და თეორეტიკოსი გამოუჩნდა პროფ. ბ. ს. ბოდნარსკის სახით. ამ სისტემამ ჰპოვა ფართო გავცელება მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ვ. ი. ლენინის ინიციატივით და მისივე ხელისმოწერით 1921 წელს გამოვიდა დეკრეტი, რომლის ძალით ყველა მასობრივი ბიბლიოთეკა უნდა ყოფილიყო გადაყვანილი ათწილად კლასიფიკაციაზე. და მართლაც ყველა აღნიშნული ბიბლიოთეკა გადაყვანილი იყო ათწილად სისტემაზე და ამჟამადაც ისინი და სამეცნიერო ბიბლიოთეკების დიდი უმრავლესობა მუშაობენ ათწილადი სისტემით. ვ. ი. ლენინმა კარგად იცოდა ამ სისტემის ნაკლი, მაგრამ მან ამ სისტემის დადებითი მხარეებიც იცოდა, და იცოდა ისიც, რომ არსებულ ბიბლიოგრაფიულ სისტემათა შორის ათწილადი სისტემა ყველაზე უფრო განვითარებული და უკეთ დამუშავებული სისტემა იყო. ამავე დროს ვ. ი. ლენინი სთვლიდა, რომ ერთი საკლასიფიკაციო სისტემა უნდა ყოფილიყო ყველა

ბიბლიოთეკაში შემოღებული. ამ მოსაზრებათა გამო მან საკალდებულო წესით შემოიღო ათწილადი სისტემა. ამ სისტემის შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ბიბლიოთეკების ფონდებისა და კატალოგების მოწესრიგების საქმეს.

საქართველოში, ეს სისტემა გავრცელდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მანამდე ჩვენში ათწილად სისტემას არ იცნობდნენ.

ამ სისტემის შემოღებისთანავე იგრძნობოდა მისი უარყოფითი მხარეები. ჯერ კიდევ ოციან წლებში დაიწყო მუშაობა მარქსიზმის მოძღვრების საფუძველზე ახალი ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის დამუშავებისათვის. მრავალი ცდა იყო, ბევრი პროექტი დამუშავდა, მაგრამ კლასიფიკაციის სისტემის გამომუშავება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამას დიდი დრო უნდოდა. ამიტომ დაისვა საკითხი ათწილადი სისტემის შესწორებისა და მისი თანამედროვეობასთან დაახლოებისა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ცნობილმა საბჭოთა ბიბლიოთეკოლოგმა ლ. ტროპოვსკიმ და წარმატებითაც შეასრულა იგი. მან 1934-35 წლებში შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორებანი ათწილად კლასიფიკაციაში. მისი შესწორებებით ათწილად კლასიფიკაციის ცხრილი მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის უკანასკნელად 1942 წელს გამოვიდა (მე-3 შესწორებული გამოცემა). შემდეგ ტროპოვსკის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ მან დამატებითი შესწორებანი შეიტანა ათწილად ცხრილში. ეს შესწორებული ინდექსები მის მიერ მოცემული იყო სასოფლო და სარაიონო ბიბლიოთეკების სარეკომენდაციო კატალოგებში, შემდეგ სარეკომენდაციო საძიებელში „Книга 1952 года" და აგრეთვე შემდეგი წლების გამოცემებში, ანოტირებულ დაბეჭდილ ბარათებზე და წიგნის პალატის დაბეჭდილ ბარათებზე. 1955 წელს სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ და საკავშირო წიგნის პალატამ გამოსცეს „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემა", სადაც მოცემულია მათ მიერ მიღებული ყველა შესწორება და დამატება საერთაშორისო ათწილად კლასიფიკაციაში.

1960 წელს გამოვიდა ახალი შესწორებული გამოცემა სახელწოდებით: „Таблицы библиотечной классификации для массовых библиотек". როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს შემოკლებული ტაბულები მცირე და საშუალო მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის არის განკუთვნილი.

რაში მდგომარეობს ძირითადი შესწორებანი და დამატებანი შეტანილი ათწილად კლასიფიკაციის ცხრილში ლ. ნ. ტროპოვსკისა და სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მიერ?

უპირველეს ყოვლისა, შესწორებანი შეტანილი იყო მესამე განყოფილებაში, ე. ი. სოციალურ მეცნიერებათა განყოფილებაში. როგორც ზე-

მოთ აღვნიშნეთ ათწილად კლასიფიკაციის ცხრილში მარქსიზმი, მეცნიერული კომუნიზმი, მოთავსებული იყო ეკონომიურ მეცნიერებათა განყოფილებაში, კოოპერაციასა და სახელმწიფო ფინანსებს შორის ინდექსით 335.5. (334 კოოპერაცია, 336 სახელმწიფო ფინანსებია). ეს ყოვლად მიუღებელი და უმართებულო ინდექსია. აქ მარქსიზმი განხილულია, როგორც მხოლოდ ეკონომიური მოძღვრება, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ისიც მეოთხე დანაყოფშია (ქვეჯგუფში) მოცემული, ოთხნიშნა ინდექსით აღნიშნული. ეს ყალბ მდგომარეობას ჰქმნის კატალოგში. ამ დიდი უხერხულობის გამოსასწორებლად ტროპოვსკიმ შემდეგ ხერხს მიმართა: მან მარქსიზმ-ლენინიზმი, მეცნიერული კომუნიზმი აღნიშნა ინდექსით 3K და მით ეს მოძღვრება წინ წამოსწია და დააყენა სოციალურ მეცნიერებათა სათავეში, რაც სავსებით მართებული იყო. თვით ამ განყოფილებაში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები წინ გამოჰყო.

3K1 — მარქსისა და ენგელსის შრომები;

3K2 — ლენინის შრომები;

ამრიგად, გადაშლით რა სისტემატური კატალოგის საზოგადოებრივ მეცნიერებათა (მე-3) განყოფილებას, აქ პირველ რიგში ნახავთ ლიტერატურას მარქსიზმ-ლენინიზმის და მეცნიერული კომუნიზმის შესახებ და უპირველეს ყოვლისა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებს.

შემდეგ, ლიტერატურა კომუნისტური პარტიის შესახებ ათწილად კლასიფიკაციაში . მოთავსებული იყო 32-ე განყოფილებაში (პოლიტიკა), პოლიტიკური პარტიების ჯგუფში — 329 და ისიც თითქმის ბოლოს მეხუთე ქვედანაყოფში, ხუთნიშნა ინდექსით აღნიშნული, სახელდობრ— 329.15. ამრიგად. იგი სხვა ბურჟუაზიული და რეაქციონერული პარტიების შემდეგ იყო მოთავსებული. მათთან ერთად ერთ განყოფილებაში. დაცილებული მარქსიზმ-ლენინიზმისაგან (როგორც აღვნიშნეთ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინდექსია 335.5). ტროპოვსკიმ ლიტერატურა კომუნისტური პარტიის შესახებ მოათავსა უშუალოდ მარქსიზმ-ლენინზმის შემდეგ ინდექსით 3KП (3K — მარქსიზმ-ლენინიზმი, 3KП კომუნისტური პარტია).

ასეთივე შესწორებანი შეტანილი იყო 1 განყოფილებაში—ფილოსოფიაში. დიალექტიკური მატერიალიზმი ათწილად კლასიფიკაციის ცხრილში ცალკე საერთოდ არ იყო გამოყოფილი. საერთოდ მატერიალიზმია 146 (იდეალიზმის სხვადასხვა სკოლების შემდეგაა მოთავსებული). დიალექტიკურ მატერიალიზმს კი გამოვყოფდით მიმართების მსაზღვრელით — 146 : 335.5. სხვა ხერხი დიალექტიკური მატერიალიზმის გამოყოფისა არ იყო. ასე ამრიგად მეტად ტლანქი ინდექსი გამოდიოდა ისეთ მნიშვნელოვან ლიტერატურისათვის, როგორიცაა დიალექტიკური მატერიალიზმი. ლ. ნ. ტროპოვსკიმ დიალექტიკური მატერიალიზმისათვის შე-

მოიღო ინდექსი 1М. ამით 1 განყოფილებაში, ფილოსოფიაში ეს რუბრიკი წინ წამოსწია. ამჟამად ფილოსოფიის განყოფლება ჩვენს სისტემატურ კატალოგში დიალექტიკური მატერიალიზმით იხსნება, რაც სავსებით გასაგებია.

ისტორიული მატერიალიზმიც არ არის გამოყოფილი ათწილად კლასიფიკაციაში. ჩვენ დღემდე ლიტერატურას ისტორიული მატერიალიზმის შესახებ გამოვყოფდით სოციოლოგიაში მიმართების მსაზღვრელით: სოციოლოგია 301, ისტორიული მატერიალიზმი 301 : 335.5. როგორც ვხედავთ ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმი დაცილებული იყო ერთმანეთისაგან. ტროპოვსკიმ ეს განყოფილებები დაუახლოვა ერთმანეთს, შემოიღო რა ისტორიული მატერიალიზმისათვის ინდექსი—1 МИ.

მნიშვნელოვანი შესწორებანი და დამატებები იყო შეტანილი ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის მიერ მე-5 განყოფილებაში—ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში (ზუსტი მეცნიერებანი). აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის გამოყენებითი მეცნიერებიდან (მედიცინიდან—61-დან) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაში გადმოტანა. მე-5 განყოფილებაში გამოყოფილია ქვეგანყოფილება 5 А — ანთროპოლოგია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, რაც შედარებით უფრო ლოგიკურია, მეცნიერულად გამართული და სწორია. ასევე ბიოლოგიის განყოფილებაში — 57 გამოყოფილია მიკრობიოლოგიის ქვეგანყოფილება — 57 А.

გაცილებით უფრო დიდი ცვლილებებია შეტანილი მეექვსე განყოფილებაში — გამოყენებით მეცნიერებათა განყოფილებაში. ათწილადი კლასიფიკაციით ტექნიკური მეცნიერებანი მეტად გაფანტულია. მაგ., ტექნიკის ზოგადი საკითხებია 60. შემდეგ მიდის მედიცინა — 61. შემდეგ კვლავ ტექნიკა — 62, შემდეგ სოფლის მეურნეობა — 63 და შემდეგ კვლავ ტექნიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგები 64—69. თვით ტექნიკაში — სამშენებლო ხელოვნება — 624-ია, ხოლო სამშენებლო საქმე — 69 და სხვა ამგვარი.

ახალი სქემით ეს შეუსაბამობანი გამოსწორებულია. მედიცინა დატოვებულია — 61, ასევე დატოვებულია სოფლის მეურნეობა — 63. ხოლო ტექნიკისათვის მიღებულია ინდექსი 6 და შემდეგ ასოებითაა დაყოფილი. ტექნიკის ძირითადი განყოფლებები ახალი სქემით შემდეგია:

60—ტექნიკის ზოგადი საკითხები;
6 П—მრეწველობის ტექნიკა;
6 П1—სამთო საქმე;
6 П2—ენერგეტიკა;
6 П3—მეტალურგია;

6 П4—ლითონთა ტექნოლოგია (ლითონთა დამუშავება);
6 П5—მანქანათმშენებლობა და მანქანათმცოდნეობა;
6 П6—სატყეო და ხის დამუშავების მრეწველობა;
6 П7—ქიმიური მრეწველობა;
6 П8—კვების და გემოკვების მრეწველობა;
6 П9—მსუბუქი მრეწველობა. პოლიგრაფიული წარმოება;
6 С—სამშენებლო საქმე;
6 Т—ტრანსპორტი;
6 Ф—კავშირგაბმულობა.

ნაწილობრივი ცვლილებები თითქმის ყველა განყოფილებებშია შეტანილი. მაგალითად, მე-7 განყოფილებაში, ხელოვნებაში აღსანიშნავია ფიზკულტურისა და სპორტის გამოყოფა ინდექსით 7А.

ენათმეცნიერებაში (მე-4 განყოფილება) და მხატვრულ ლიტერატურაში (მე-8 განყოფილება) — რუსული ენა და რუსული ლიტერატურა გამოყოფილია ასო — „Р"-თი, დანარჩენი საბჭოთა ხალხების ენა და ლიტერატურა—ასო „С"-თი, უცხოური ენები და საზღვარგარეთელ ხალხთა ლიტერატურა — ასო „И"-თი, ძველი ხალხთა ენა და ლიტერატურა (ანტიკური ენები და ლიტერატურა)—ასო „А"-თი. ასევე ხელოვნების განყოფილებაში ასო „С"-თი გამოყოფილია საბჭოთა ხელოვნება, ხოლო საზღვარგარეთული ხელოვნება — ასო „И"-თი და ა. შ. როდესაც ჩვენ გვსურს ცალკე ხალხთა ენისა ან ლიტერატურის გამოყოფა, მაშინ მარჯვნივ მრგვალ ფრჩხილებში მივუწერთ ამ ხალხის დასახელების დასაწყის ასოებს (მარცვალს). მაგ., საბჭოთა ხალხების ენებისაგან თუკი გვსურს გამოვყოთ სომხური ენა, მივუწერთ მარჯვნივ სომხურის დასაწყის მარცვალს (რუსულად, რადგან დაშიფრვა რუსული ლიტერებით წარმოებს)— 4 С (АРМ), ან ინგლისური ენა 4 И (АНГЛ.) და ა. შ.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია გეოგრაფიულ მსაზღვრელებში. ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ გეოგრაფიულ დეტერმინანტთა ცხრილში სსრ კავშირი მოცემულია შემდეგი მსაზღვრელით — (47). იმავე დროს გაცილებით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი სახელმწიფონი ადრე მიდიან. მაგ., (41) ისლანდიაა, (42) ინგლისია, (43) გერმანიაა, (44) საფრანგეთია, (45) იტალიაა და (46) ესპანეთია. როგორც ვხედავთ, ყველაზე დიდი და მოწინავე ქვეყანა თითქმის ბოლოშია მოქცეული. ტროპოვსკიმ სსრ კავშირისათვის თავის დროზე ასო „С" შემოიღო მრგვალ ფრჩხილებში — (С) და შემდეგ ამ მსაზღვრელის დეტალიზაცია მოახდინა მაგ., რსფსრ (С 1), უკრაინის სსრ (С 2), ბელორუსიის სსრ (С 3), კავკასია (С 4), საქართველოს სსრ (С 41), აზერბაიჯანის სსრ (С 42), სომხეთის სსრ (С 43) და ა. შ.

საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის მრგვალ ფრჩხილებში აღებულია

ასო (И) მაგ., საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია (9(И). საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყანა შეიძლება გამოიყოს მრგვალ ფრჩხილებში მათი სახელწოდების დასაწყისი რუსული ასოების ჩასმით, მაგ., ინგლისი (АНГЛ.), ალბანეთი (АЛБ.) და ა. შ.

ყველა ეს შესწორება და დამატება მეტად აუმჯობესებს ათწილადი კლასიფიკაციის ტაბულას და აახლოებს მას მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობასთან. რა თქმა უნდა ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. ძირითადი ნაკლი რომ გამოსწორდეს, ამისათვის ახალი სისტემის შემუშავებაა საჭირო. მაგრამ ახალი, საბჭოთა ვარიანტი საგრძნობლად ასწორებს ათწილად სისტემას და შედარებით უფრო მისაღებად ხდის მას.

5. კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდიკა

ლიტერატურის კლასიფიკაციის პროცესი მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. იგი არ არის უბრალო ტექნიკური პროცესი, არამედ რთულ მეცნიერულ მუშაობის პროცესს წარმოადგენს. სისტემატური კატალოგი, როგორც ეს ზემოთ იყო თქმული, ყველაზე მეტად რთული, მაგრამ იმავე დროს, ყველაზე მეტად საჭირო კატალოგია, როგორც მკითხველთათვის, ისე ბიბლიოთეკარისათვის. სისტემატური კატალოგის ხარისხისაგან დიდად არის დამოკიდებული მკითხველთა მომსახურება, კითხვის სწორი ხელმძღვანელობა, ბიბლიოთეკის ფონდების სწორად დაკომპლექტება, ბიბლიოგრაფიული მუშაობა და სხვ. სისტემატური კატალოგის ხარისხი კი, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის კლასიფიკაციით განისაზღვრება: ლიტერატურის სწორი მეცნიერული კლასიფიკაცია საფუძველია მაღალხარისხოვანი სისტემატური კატალოგის შედგენისა.

კლასიფიკაციის პროცესში ოთხ ძირითად ელემენტთან გვაქვს საქმე: 1) კლასიფიკაციის ობიექტი — წიგნები. ლიტერატურა, რომელსაც ვაკლასიფიცირებთ, 2) კლასიფიკაციის სუბიექტი — პირი, ბიბლიოთეკარი — კლასიფიკატორი, რომელიც აკლასიფიცირებს ლიტერატურას, 3) კლასიფიკაციის „იარაღი“ — კლასიფიკაციის სისტემა, კლასიფიკაციის სქემა, რომელიც წინასწარ დამუშავებული უნდა იყოს და რომლის მიხედვით კლასიფიკატორი აწარმოებს ლიტერატურის კლასიფიკაციას და 4) ის ვისთვისაც წარმოებს კლასიფიკაცია—მკითხველი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს კლასიფიკაციის პროცესში, მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა იყოს დავიწყებული, მუდამ მხედველობის არეში უნდა იყოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი დაუსწრებელი მონაწილეა კლასიფიკაციის პროცესისა. ჩვენ მეტსაც ვიტყვით, ეს უკანასკნელი მსაზღვრელი ელემენტია კლასიფიკაციის პროცესისა. კლასიფიკატორს, როდესაც ის აკლასიფიცირებს ლიტერატურას, მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს თავისი ბიბლიოთეკის მკითხველთა კონტინგენტი, მკითხველთა პროფილი,

მკითხველთა ინტერესები, მათი მოთხოვნა, მათი მიდგომა საკითხებისადმი. ამიტომ ვამბობთ, რომ მკითხველი დაუსწრებელი, მაგრამ აქტიური ელემენტია კლასიფიკაციის პროცესისა.

კლასიფიკაციის პროცესის მთავარი აქტიური ელემენტი ბიბლიოთეკარი-კლასიფიკატორია. იგი მაღალი კვალიფიკაციის პიროვნება უნდა იყოს, რომელიც კარგად უნდა იცნობდეს კლასიფიკაციის ობიექტს, ე. ი. წიგნებს, ლიტერატურას, კარგად უნდა ერკვეოდეს მეცნიერებათა საკითხებში და ამავე დროს კარგად უნდა ფლობდეს კლასიფიკაციის „იარაღს", კარგად უნდა იყოს დაუფლებული მეცნიერული და ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემას, კლასიფიკაციის მეთოდებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, დამოუკიდებელ მეცნიერულ მუშაობის მეთოდებს.

აქ, ბუნებრივია, ისმის საკითხი, როგორ შეიძლება დღეს ასეთი ენციკლოპედისტი იყოს ბიბლიოთეკარი, კარგად ერკვეოდეს მეცნიერებათა ყველა დარგში? ცხადია, ეს შეუძლებელია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ კლასიფიკატორი კარგად უნდა ერკვეოდეს იმ ლიტერატურაში, რომელსაც იგი აკლასიფიცირებს. აქედან თავის თავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ მასობრივ ბიბლიოთეკებში, რომლებიც მიზნად ისახავენ დაეხმარონ მკითხველებს მათ ზოგად განვითარებისა და თვითგანვითარების საქმეში, და რომლებიც უმთავრესად ასეთ საერთო საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურით კომპლექტდება, ასეთ ბიბლიოთეკებში კლასიფიკატორებად უნდა მუშაობდნენ სპეციალისტი ბიბლიოთეკოლოგები, რომელთაც იმავე დროს აქვთ ფართო ჰუმანიტარული განათლება და, აგრეთვე, ზოგადად ერკვევიან ისეთ ზოგად საგანმანთლებლო ლიტერატურაში, როგორიც არის საბუნებისმეტყველო და სხვ. ამგვარი ლიტერატურა. ხოლო რაც შეეხება დიდ სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკებს, იქ სპეციალიზაცია უნდა ჩატარდეს კლასიფიკატორთა შორის. მაშასადამე. კლასიფიკატორი უნდა იყოს ერთის მხრივ სპეციალისტი ბიბლიოთეკოლოგი, რომელიც კარგად არის დაუფლებული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის საკითხებს, ცხრილსა და კლასიფიკაციის მეთოდიკას, მეორეს მხრივ კი წიგნის, იმ დარგის ლიტერატურის კარგი მცოდნე, რომელსაც ის აკლასიფიცირებს, ე. ი. სპეციალისტი მეცნიერების გარკვეულ დარგში, მაგრამ არა ვიწრო დარგის სპეციალისტი, არამედ ზოგადი დარგის, ძირითად დარგის დისციპლინებში. მის ვიწრო სპეციალობას ბიბლიოთეკოლოგია უნდა წარმოადგენდეს.

კლასიფიკაციის შემდეგ ძირითად ელემენტს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს ლიტერატურა—ობიექტი კლასიფიკაციისა. ლიტერატურას, ე. ი. ბიბლიოთეკის ფონდს კომპლექტატორი აკომპლექტებს. მაგრამ კლასიფიკატორის მოვალეობას შეადგენს კლასიფიკაციისა და სის-

ტემატური კატალოგის შედგენის პროცესში დააზუსტოს ფონდი, ე. ი. აღნუსხოს და აღნიშნოს დანაკლისი, ხარვეზები გარკვეული დარგის ლიტერატურაში, და აგრეთვე ის, რაც ზედმეტია, გამოუსადეგარია ამ ბიბლიოთეკისათვის, ბიბლიოთეკის მკითხველთათვის.

რაც შეეხება კლასიფიკაციის „იარაღს" — კლასიფიკაციის ცხრილს, სახელდობრ, ათწილადი კლასიფიკაციის სქემას, ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

კლასიფიკაციის პროცესი ორ ძირითად საფეხურად იყოფა: პირველი საფეხური კლასიფიკაციისა — ეს არის წიგნის შინაარსის გაცნობა, შინაარსის ანალიზი და წიგნის ძირითადი საგნის დადგენა; მეორე საფეხური — ინდექსაციაა, რომელიც თავის თავად ორი მომენტისაგან შედგება: პირველი მთავარი მომენტი — წიგნის საგნისათვის ადგილის მოძებნა საკლასიფიკაციო ცხრილში, ე. ი. წიგნის საგანზე სრული ინდექსის დადგენა, ინდექსის მიღება, სხვანაირად რომ ვთქვათ, წიგნის აღწერილობის ადგილის განსაზღვრა სისტემატურ კატალოგში და წიგნის ადგილის განსაზღვრა თაროზე (თუ წიგნთა განლაგება სისტემატურია) და შემდეგი მომენტი — გაფორმების მომენტი — ინდექსის დაწერა წიგნზე და ბარათებზე.

1. როგორც ვთქვით, წიგნის კლასიფიკაციისას პირველი პროცესი — წიგნის შინაარსის გაცნობა და წიგნის საგნის დადგენაა.

კლასიფიკაციის პირველი წესია წიგნის de visu კლასიფიცირება. ეს ნიშნავს წიგნის თვალნათლივ ე. ი. უშუალოდ გადათვალიერებით დაკლასიფიცირებას, არა წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის, არამედ მისი შინაარსის უშუალოდ გაცნობის საფუძველზე. ეს წესი იმიტომ არის შემოღებული, რომ არ ვაწარმოოთ წიგნის კლასიფიკაცია მისი სათაურის, ქვესათაურისა და სხვა ბიბლიოგრაფიულ ცნობათა საფუძველზე, არამედ წიგნი მივაკუთვნოთ ამა თუ იმ განყოფილებას მისი კონკრეტული შინაარსის მიხედვით, წიგნის შინაარსის უშუალოდ გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე. წიგნის შინაარსის გაცნობა წაკითხვით წარმოებს, მაგრამ კლასიფიკატორისათვის, რომელმაც დღეში რამდენიმე ათეული წიგნი უნდა დააკლასიფიციროს, წიგნების მიყოლებით თავიდან ბოლომდე კითხვა შეუძლებელია. ამიტომ კლასიფიკატორი წიგნის შინაარსს უნდა გაეცნოს ე. წ. სწრაფი, ბიბლიოგრაფიული კითხვით. რას ნიშნავს წიგნის სწრაფი ბიბლიოგრაფიული კითხვა?

კლასიფიკატორი, უპირველეს ყოვლისა, ეცნობა წიგნის თავფურცელს (ან თუ თავფურცელი არ აქვს, მის გარეკანს). თავფურცელზე მოთავსებულია ისეთი ცნობები, როგორიცაა ავტორი, სათაური, ქვესათაური, გამოცემის ადგილი და წელი, გამომცემლობა, ზესათაური და სხვ. ამგვარი

ცნობები. ყველა ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნზე სწორი წარმოდგენის შექმნისათვის: ავტორის ვინაობა ბევრს გვეუბნება წიგნის შესახებ, ხშირად მისი მნიშვნელობისა და დარგის შესახებაც, რომელსაც წიგნი მიეკუთვნება, რადგან ჩვეულებრივ, ესა თუ ის ავტორი გარკვეულ დარგში მუშაობს გარკვეულ საკითხებზე. მხატვრული ლიტერატურის კლასიფიკაციისას კი ავტორის ეროვნებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხატვრული ლიტერატურა ენის მიხედვით იყოფა ქვეგანყოფილებებად. წიგნის სათაური, მართალია არა ყოველთვის, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, განსაკუთრებით სამეცნიერო წიგნების სათაური, წიგნის ძირითადი საგნის გამომხატველია. ქვესათაური ხშირად აზუსტებს წიგნის საგანს, ან მიგვითითებს გამოცემის სახეზე, მის დანიშნულებაზე და სხვ. (სახელმძღვანელოა, ცნობარია, ლექსიკონია, განკუთვნილია ამა და ამ კატეგორიის მკითხველთათვის და სხვ.). დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ქვესათაურით ცნობებს, როგორიც არის ცნობა რედაქტორის შესახებ, თარგმანისა და მთარგმნელის შესახებ (თუ წიგნი ნათარგმნია) და სხვ. მნიშვნელოვანია ცნობა გამომცემლობის შესახებ. თითოეულ გამომცემლობას თავისი პროფილი აქვს, ეს პროფილი, გამომცემლობის სახე, ბევრის მთქმელია. ასევე მნიშვნელოვანია ცნობები გამოცემის წელისა, ადგილის შესახებ. ბევრისმთქმელია, აგრეთვე, ზესათაური, სადაც მოცემულია, ჩვეულებრივ, სერიის დასახელება ან დაწესებულებისა და უწყების დასახელება, რომელიც იდეურად პასუხისმგებელია ამ გამოცემისათვის. ყველა ჩამოთვლილი ცნობა ბევრს გვეუბნება წიგნის შესახებ, გვაცნობს წიგნს, გარკვეულ წარმოდგენას ჰქმნის წიგნზე.

თავფურცლის გაცნობის შემდეგ აუცილებელია გავეცნოთ წიგნის სარჩევს (თუკი ასეთი არის). სარჩევში მოცემულია წიგნის თითოეული თავის დასახელება, ე. ი. თითოეული თავის თემა, ძირითადი საკითხები, რომლებიც გარჩეულია წიგნში. ასე ამრიგად წიგნის სარჩევი საკმაოდ დაწვრილებით და შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა წიგნის შინაარსის შესახებ. სარჩევის გაცნობის შემდეგ საჭიროა გავეცნოთ წინასიტყვაობას ან ბოლოსიტყვაობას (თუკი აქვს წიგნს), წიგნის შესავალს. წიგნის ამ ნაწილებში მოცემულია წიგნის ძირითადი მიზანდასახულება, ამოცანა, წიგნის დანიშნულება, ავტორი ლაპარაკობს ხოლმე წიგნის ძირითად თემის შესახებ და სხვ. როდესაც წიგნის ასეთი გაცნობა არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას წიგნის შინაარსის შესახებ, მაშინ მივმართავთ ე. წ. სწრაფ კითხვას, წიგნის კითხვას სწრაფად გადაფურცვლის საშუალებით. განსაკუთრებით სწრაფი კითხვა აუცილებელია, როდესაც წიგნს არ აქვს სარჩევი, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, შესავალი.

როგორ წარმოებს სწრაფი კითხვა? ვფურცლავთ წიგნს, სწრაფად

გადავავლებთ თვალს აბზაცებს, ვკითხულობთ აბზაცის დასაწყის ნაწილს. ხან შიგადაშიგ ფრაზებს. თუ ვიგრძენით, რომ ძირითადი აზრი ან ძირითადი მოტივები წიგნის მოცემულია ამ აბზაცი გულდასმით გადავიკითხავთ, თუ არა და მოვსწყვეტთ თვალს, გადავალთ შემდეგ აბზაცებზე, შემდეგ ფურცლებზე და ვცდილობთ მოვძებნოთ ისეთი ადგილები წიგნში, რომლებიც გაგვიხსნის წიგნის დედააზრს, წიგნის საგანს. განსაკუთრებით ვკითხულობთ დაჩენილ და ავტორის მიერ ხაზგასმულ ადგილებს (დაჩენილი შავი შრიფტით, ან კურსივით ან დამარცვლულად, თეთრად აწყობილ ადგილებს და სხვ. მისთ.), რადგან წიგნის დედააზრი, ძირითადი მოტივები, მთავარი დასაბუთება და დასკვნები ხშირად ავტორს ხაზგასმით აქვს ხოლმე მოცემული წიგნში. წიგნის სწრაფი კითხვა გარკვეული მიზანსწრაფვით უნდა წარმოებდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიზანია წიგნის საგნის დადგენა, დადგენა იმისა, თუ ადამიანის ცოდნის რომელ დარგს მიეკუთვნება ეს წიგნი, მეცნიერების რომელი დარგის რა საკითხია წიგნში განხილული, რომელი დისციპლინის თვალსაზრისით, რა ასპექტშია წიგნის საგანი განხილული, არის თუ არა და როგორ არის წიგნის საგანი სივრცესა და დროში განსაზღვრული, ვისთვის არის წიგნი განკუთვნილი, რომელი დარგის მკითხველთათვის არის იგი საინტერესო, როგორია წიგნის მიზანდასახულება, ავტორის მიერ განსაზღვრული და სხვ. ამგვარი საკითხები. ჩვენ არ გვაინტერესებს წიგნის დეტალები, ავტორის მიერ საგანზე გამოთქმული სხვადასხვა აზრები, ძირითად აზრთა დასაბუთების დეტალები და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ სწრაფი კითხვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნის საგანში, მეცნიერების იმ დარგში, რომელსაც წიგნის შინაარსი მოიცავს ჩვენ ვერკვევით. წინააღმდეგ შემთხვევაში სწრაფი კითხვა მეტად გაძნელებული იქნება და შეიძლება უშედეგოდაც დარჩეს. ამიტომ ვთქვით, რომ კლასიფიკატორს გარკვეული ერუდიცია მოეთხოვება, ის უნდა იცნობდეს მეცნიერების იმ დარგს, რომლის ლიტერატურას ის აკლასიფიცირებს. ეს აუცილებელი წინასწარი პირობაა კლასიფიკაციისა. ამიტომ ვამბობთ, რომ მასობრივ ბიბლიოთეკებში ბიბლიოთეკარი-კლასიფიკატორი მაღალი კვალიფიკაციის, მაღალი ჰუმანიტარული განათლებით უნდა იყოს, ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სხვადასხვა დარგის ლიტერატურის კლასიფიკაციას უნდა აწარმოებდნენ ამ დარგის სპეციალისტები, რომელთაც მაღალი ბიბლიოთეკოლოგიური განათლება აქვთ.

იქნება შემთხვევები, როდესაც რომელიმე საკითხი კლასიფიკატორისათვის არ იქნება გარკვეული, მაშინ მან უნდა მიმართოს ლექსიკონებს, ცნობარებს, ამ დარგის სახელმძღვანელოებს და შეეცადოს საკითხის გარკვევას თუ იგი ასეთი საშუალებით ვერ შესძლებს საკითხის გამორკვე-

ვას და საგანში სრული სინათლის შეტანას, მაშინ მან აუცილებლად კონსულტაციისათვის სათანადო დარგის სპეციალისტს უნდა მიმართოს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წიგნის დაინდექსება, თუ წიგნის საგანი სავსებით გარკვეული და ნათელი არ არის კლასიფიკატორისათვის.

მუშაობის პროცესში კლასიფიკატორს, თუ კი მას სათანადო ერუდიცია აქვს, უმუშავდება ჩვევა სწრაფი კითხვისა და იგი ადვილად გაარკვევს წიგნის შინაარს. ცნობილი ბიბლიოთეკოლოგი პროფ. ბიშოპი ამბობდა, რომ ბიბლიოთეკარს მეექვსე გრძნობა უმუშავდება — წიგნის გრძნობაო. ეს ფიგურალური გამოთქმაა, მაგრამ გარკვეული გაგებით უთუოდ სწორი და კარგი თქმაა. მართლაც ბიბლიოთეკარს თანდათან უმუშავდება „წიგნის გრძნობა“, წიგნის გაგების უნარი, წიგნის კულტურა.

წიგნის შინაარსის გაცნობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოგრაფიებს. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, რეცენზიები, რეფერენციები, ანოტაციები საუკეთესო დამხმარე მასალებს წარმოადგენენ ბიბლიოთეკარისათვის, მათი საშუალებით ბიბლიოთეკარი ეცნობა და ერკვევა ლიტერატურაში. ანოტაცია ხშირად თვით წიგნს, ჩვეულებრივ, თავფურცლის მეორე გვერდზე ახლავს. კლასიფიკატორმა უსათუოდ უნდა გაიცნოს და გამოიყენოს ანოტაცია წიგნის საგნის დადგენის საქმეში.

2. როდესაც წიგნის შინაარსს გავეცანით და დავადგინეთ წიგნის საგანი, შემდეგ საჭიროა ამ წიგნს თავისი ადგილი მოვუძებნოთ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ცხრილში, სხვანაირად რომ ვთქვათ მოუძებნოთ წიგნს ინდექსი და დავაწეროთ მას ეს ინდექსი. ამ პროცესს ინდექსაცია ეწოდება.

ინდექსაციისას აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საკლასიფიკაციო ცხრილის კარგად ცოდნა, კლასიფიკაციის „იარაღის“ კარგად ფლობა, ათწილად კლასიფიკაციის ტაბულა ათ ძირითად განყოფილებადაა დაყოფილი. ეს ათი ძირითადი განყოფილება კლასიფიკატორმა აუცილებლად ზეპირად უნდა იცოდეს. შემდეგ თითოეულ განყოფილებაში მოცემულია ათი ძირითადი ქვეგანყოფილება და შემდეგ მოდის დეტალური ცხრილი, თითოეული განყოფილებისა და ქვეგანყოფილების დეტალური დაყოფა ჯგუფებად, ქვეჯგუფებად. შემოკლებულ ცხრილში ქვეგანყოფილებები (ორნიშნა ინდექსები) დაჩენილი შრიფტით არის დაბეჭდილი, ხოლო დიდ ცხრილებში ჯგუფებიც (სამნიშნა ინდექსებიც) დაჩენილი შრიფტითაა მოცემული. ბოლოს ცხრილს დართული აქვს ანბანურ-საგნური საძიებელი.

როდესაც ჩვენ წიგნის შინაარსს გავეცანით, წიგნის ძირითადი საგანი

დავადგინეთ და შევუდექით ამ საგნისათვის ინდექსის მოძებნას, პირველ რიგში ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რომელ ძირითად განყოფილებას მიეკუთვნება ეს საგანი (საკითხი). დავუშვათ, წიგნი, რომელსაც ვაკლასიფიცირებთ, შეეხება ქვენიადაგის წყლებს, მათ წარმოშობას, მიმოქცევას და სხვ. ამგარ საკითხებს. ცხადია, რომ ეს საკითხი ზუსტ მეცნიერებათა, ე. ი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საკითხია. მაშასადამე, იგი მე-5 განყოფილებას მიეკუთვნება. ამის შემდეგ ჩვენ ვარკვევთ საკითხს, თუ რომელ ქვეგანყოფილებას მიეკუთვნება ეს საგანი, ამისათვის ჩვენ გადავათვალიერებთ ქვეგანყოფილებათა ცხრილს:

50—ზოგადი საკითხები;

51—მათემატიკა;

52—ასტრონომია;

53—ფიზიკა;

54—ქიმია;

55—გეოლოგია;

56—პალეონტოლოგია;

57—ბიოლოგია;

58—ბოტანიკა;

59—ზოოლოგია.

ამ ქვეგანყოფილებებიდან ეს წიგნი — 55-ს გეოლოგიას მიეკუთვნება. შემდეგ ამ ინდექსის ქვედანაყოფებს გადავხედავთ და ვნახავთ, რომ მისი პირველი ქვედანაყოფი — 551 ფიზიკური და დინამიკური გეოლოგიაა. ახლა ამ ინდექსის ქვედანაყოფებს მივუყვებით ცხრილში და ვნახავთ, რომ 551.4 ფიზიკური გეოგრაფიაა და გეომორფოლოგიაა, ჩავყვებით ამ ინდექსის ქვედანაყოფებს და ვნახავთ, რომ 551.49 ჰიდროლოგიაა, მისი პირველი ქვედანაყოფი კი — 551.491 ქვენიადაგის წყლებია. ასეთნაირად, თანდათანობით დავაზუსტებთ წიგნის ინდექსს.

ინდექსაციის დროს შეიძლება გამოყენებული იყოს ანბანურ-საგნური საძიებელი, რომელიც დართული აქვს ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილს. ამ საძიებელში საგნის დასახელება მოცემული იქნება ანბანის მიხედვით და მას მიწერილი ექნება ინდექსი, ჩვენს მაგალითში — „ქვენიადაგის წყლები 551.491“. ეს საძიებელი უადვილებს კლასიფიკატორს ინდექსის მოძებნას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მხოლოდ დამხმარე აპარატია და არ შეიძლება მხოლოდ ამ საძიებელში ინდექსის მონახვით დავაწეროთ წიგნს ინდექსი. აუცილებლად საჭიროა ეს ინდექსი მოიძებნოს ძირითად ცხრილში, რადგან ყოველი ინდექსი ჩვენ უნდა განვიხილოთ მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკლასიფიკაციო კონტექსტში, ვიცოდეთ მისი წინა და შემდეგი ინდექსები, მისი ზოგადი, უახლოესი საგვარეულო ინდექსი და მისი ქვედანაყოფები და

ა. შ. შეიძლება ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა თვალსაზრისით განხილული სხვადასხვა განყოფილებაში მოთავსდეს. ამიტომ ინდექსი ყოველმხრივ უნდა იყოს შემოწმებული და აწონდაწონილი. ასეთი შემოწმება საჭიროა, აგრეთვე, იმისათვის, რომ კორექტურული ხასიათის რაიმე შეცდომა არ იყოს საძიებელში. მცირედ, უბრალო კორექტურულ შეცდომას დიდი არევ-დარევა შეუძლია შეიტანოს კატალოგში.

3. დავადგინეთ რა ზუსტი ინდექსი, ამით ინდექსაციის პროცესი არ დამთავრებულა. შემდეგ საჭიროა ვიმსჯელოთ იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ასეთი დეტალური ინდექსი ჩვენს კატალოგში, თუ საჭიროა მისი შემოკლება, ე. ი. განზოგადება. თუ უნდა შევამოკლოთ, როგორ შევამოკლოთ? სად, რომელ საფეხურზე შევჩერდეთ? ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ბიბლიოთეკის ფონდის მიხედვით: თუ დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკის კატალოგს ვაგებთ, დიდ სამეცნიერო წიგნობრივ ფონდთან გვაქვს საქმე, საჭირო იქნება სრული დეტალური ინდექსის დაწერა. შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში საჭირო იყოს უფრო დეტალიზაცია სხვადასხვა გამსაზღვრელების მარჯვნივ მიწერით. მაგ., თუ წიგნები გვაქვს საქართველოს ქვენიადაგის წყლების შესახებ, მაშინ ინდექსს მარჯვნივ მივუწერთ საქართველოს გეოგრაფიულ დეტერმინანტს (47.922), და მივიღებთ სრულ ინდექსს — 551.491 (47.922). ახალი საბჭოთა ვარიანტით საქართველოს დეტერმინანტია (C 41), მაშასადამე სრული ინდექსი იქნება 551.491 (C 41) და ა. შ., შეიძლება სხვა მსაზღვრელები იყოს გამოყენებული. ინდექსაციის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ინდექსის ქვეშ კატალოგში შეიძლება დაახლოებით 30 აღწერილობა მოთავსდეს. თუ ამ ინდექსის ქვეშ წიგნთა აღწერილობანი გაცილებით მეტი რაოდენობით დაგროვდა, საჭიროა შემდეგი დეტალიზაცია მოვახდინოთ და მოცემული მასალები კიდევ დავყოთ თუ ძირითადი ინდექსის ქვედანაყოფის საშუალებით არა, მსაზღვრელის მეშვეობით მაინც, რადგან ერთ ინდექსის ქვეშ დიდი რაოდენობით მასალების დაგროვება უძნელებს მკითხველს კატალოგში საჭირო წიგნის მოძებნას.

მეტისმეტი დეტალიზაციაც არ ვარგა. არც ის არის კარგი, რომ ერთი ინდექსის ქვეშ ერთი ან ორი წიგნის აღწერილობა გვქონდეს. ეს კლასიფიკაცია კი არა, ინდივიდუალიზაცია იქნებოდა. ერთი-ორი წიგნის აღწერილობა ერთი ინდექსის ქვეშ მხოლოდ დროებით არის დასაშვები, თუკი დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბიბლიოთეკაში ეს საკითხი მეტად აქტუალურია და მას გარკვეული პერსპექტივა აქვს, ე. ი. ამჟამად მართალია, ერთი-ორი წიგნი გვაქვს ამ საკითხზე, მაგრამ ახლო მომავალში მივიღებთ ლიტერატურას და ეს განყოფილებაც შეივსება ჩვენს კატალოგში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ ერთი ინ-

დექსის ქვეშ მეტისმეტი მცირე რაოდენობის წიგნთა აღწერილობანი. სხვა შემთხვევაში საჭიროა შევამოკლოთ ინდექსი და მოვახდინოთ განზოგადება.

როგორ ვაწარმოებთ ინდექსის განზოგადებას, ანუ შემოკლებას? ინდექსს ვამოკლებთ მარჯვნიდან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ინდექსის დაყოფა, დეტალიზაცია წარმოებს მარჯვნივ ციფრის მიწერით. შემოკლება კი პირუკუ. მარჯვნიდან ციფრის მოცილებით. ჩვენს მაგალითში, თუ ბიბლიოთეკაში ლიტერატურა ქვენიადაგის წყლების შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ ერთი ან ორი სახელწოდების რაოდენობით, მაშინ ჩვენ ნაცვლად ინდექსისა 551.491, დავწერთ 551.49-ს ე. ი. ჰიდროლოგიის ინდექსს და მით ბიბლიოთეკაში მცირე რაოდენობით არსებულ წიგნებს ქვენიადაგის წყლების შესახებ ვაერთებთ ჰიდროლოგიასთან, ე. ი. ვახდენთ კონკრეტული საკითხის — ქვენიადაგის წყლების შესახებ — განზოგადებას. თუ ბიბლიოთეკის ფონდში ეს დარგი კიდევ უფრო მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, კიდევ უფრო მეტ განზოგადებას ვახდენთ, ე. ი. ხუთნიშნა ინდექსის მაგიერ, ოთხნიშნა ინდექსს ვწერთ, ფიზიკური გეოგრაფიის ინდექსს 551.4, უფრო მცირე ბიბლიოთეკაში სამნიშნა ინდექსს, ფიზიკურ გეოლოგიის ინდექსს 551, კიდევ უფრო უფრო მცირე ბიბლიოთეკაში გეოლოგიის ინდექსს 55. როგორც ვხედავთ, საკითხი იმის შესახებ როგორი ინდექსი უნდა დაიწეროს, დაწვრილებითი თუ მოკლე, დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ფონდის ოდენობაზე და მის შემადგენლობაზე. .

4. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინდექსაციისას ე. წ. დეტერმინანტების (მსაზღვრელების) გამოყენებას. ზემოთ უკვე გავეცანით ცხრა ზოგად და სპეციალურ მსაზღვრელს. აღნიშნულ მსაზღვრელებიდან ყველაზე მეტად ბიბლიოთეკებში ფორმისა და ადგილის მსაზღვრელები გამოიყენება. შემდეგ დროის, მიმართებისა და პლუსის, შემდეგ ეთნიკური, ენისა და ანბანურ-საგნური მსაზღვრელი, და ბოლოს თვალსაზრისის და სპეციალური მსაზღვრელები, რომლებიც ჩვეულებრივ დიდ ბიბლიოთეკებში გამოიყენებიან.

ინდექსაციის ერთ-ერთი რთული საკითხია, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა დაიწეროს მსაზღვრელები, როდესაც ერთ წიგნზე გვიხდება რამდენიმე მსაზღვრელის დაწერა. მაგ., ჩვენ გვაქვს წიგნი საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ისტორია. ამ წიგნზე სამი მსაზღვრელი გვხვდება: 1)საქართველოს — გეოგრაფიული მსაზღვრელი — (47.922) ან ახალი საბჭოთა ვარიანტით (C 41), 2) საგნის ისტორია — ფორმის მსაზღვრელი (09) და 3) მიმართების გამსაზღვრელი (:), რომლითაც სამთამადნო მრეწველობა გამოიყოფა საერთოდ მრეწ-

ველობის საკითხიდან: მრეწველობის ეკონომიკა საერთოდ 338, სამთო საქმე (ტექნიკა) — 622, ხოლო სამთამადნო მრეწველობა იქნება 338:622. ისმის საკითხი როგორ უნდა იყოს ინდექსი აგებული? ჩვენ შეიძლება ინდექსი ასე ავაგოთ: 338:622 (47. 922) (09). აქ პირველად გამოყენებულია მიმართების მსაზღვრელი, შემდეგ ადგილის მსაზღვრელი და შემდეგ ფორმის მსაზღვრელი. ეს ნიშნავს იმას, რომ კატალოგში ჯერ გამოყოფილი იქნება ლიტერატურა სამთო მრეწველობის შესახებ და შემდეგ დაყოფილი ქვეყნების მიხედვით (სამთამადნო მრეწველობა რუსეთში, სამთამადნო მრეწველობა უკრაინაში, სამთამადნო მრეწველობა საქართველოში და ა. შ.) და შემდეგ უკვე ფორმის მსაზღვრელის მიხედვით. შეიძლება სხვანაირად ავაგოთ ინდექსი: 338 (47.922) : 622(09). ამ შემთხვევაში ჩვენ ლიტერატურას მრეწველობის ეკონომიკის შესახებ ჯერ ვყოფთ ქვეყნების მიხედვით და შემდეგ უკვე სახეების მიხედვით, ე. ი. კატალოგში გვექნება ცალ-ცალკე მრეწველობა რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში და სხვ., შემდეგ უკვე ცალკეული ქვეყნის ფარგლებში მრეწველობა დაიყოფა სახეების მიხედვით: მრეწველობა საქართველოში—სამთო, ქიმიური, საფეიქრო და ა. შ. როგორი აგებულება ინდექსისა უნდა მივიღოთ, ეს დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ტიპისა და პროფილისაგან, ფონდების ხასიათისაგან, უმთავრესად კი მკითხველთა მოთხოვნილებისაგან. თუ ბიბლიოთეკა მხარეთმცოდნეობითია და მისი მკითხველები უფრო ამ განხრით თხოულობენ ლიტერატურას, მაშინ ცხადია, რომ ჯერ გეოგრაფიული მსაზღვრელი უნდა დავსვათ და შემდეგ მიმართების, რომ ერთი ქვეყნის მრეწველობის ყველა სახეს ერთად მოვუყაროთ თავი და შემდეგ გავყოთ მრეწველობის სახეების მიხედვით. ხოლო თუ ბიბლიოთეკის მკითხველები ლიტერატურას უმთავრესად მრეწველობის სახეების მიხედვით მოითხოვენ, თუ ჩვეულებრივი უნივერსალური ტიპის ბიბლიოთეკაა ან სამრეწველო-ეკონომიური და ტექნიკური ბიბლიოთეკაა, მაშინ საკითხის პირველი გადაწყვეტილებაა უფრო მისაღები, ე. ი. მრეწველობის შესახებ ლიტერატურის ჯერ სახეების მიხედვით დაყოფა და შემდეგ უკვე ქვეყნების მიხედვით. საერთოდ, უმრავლეს ბიბლიოთეკებში ინდექსის ეს უკანასკნელი კონსტრუქციაა მიღებული.

წიგნების ინდექსაციის დროს მიღებულია დეტერმინანტების თანმიმდევრობა, რომელიც გამომუშავებული იყო ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ. კლასიფიკაციისას ჩვენ უნდა განვასხვავოთ წიგნის[1] ორი მხარე: შინაარსი და ფორმა. წიგნის შინაარსი

[1] აქ ჩვენ ტერმინ „წიგნს" ფართე გაგებით ვხმარობთ, არა მხოლოდ როგორც გარკვეული ფორმის ერთდროულ გამოცემას, არამედ ყველა ბეჭდურ, ხელნაწერ და გრაფიკულ მასალების შემცველ ხოლად ცნებას. ამ გაგებით ბრიუსელის საერთაშორისო ინსტიტუტი სიტყვა „დოკუმენტს" ხმარობს.

მოიცავს უპირველეს ყოვლისა წიგნის საგანს, აგრეთვე ასპექტს (თვალთახედვას, თვალსაზრისს რომლითაც განხილულია საგანი, მხარე საგნისა), რომელშიაც განხილულია საგანი, ამ საგნის დამოკიდებულებას და მის კავშირს სხვა საგნებთან, აგრეთვე საგნის მდგომარეობას სივრცესა და დროში. ფორმა კი მოიცავს გამოცემის სახეს, სახელმძღვანელოა, პერიოდული გამოცემაა, ლექსიკონია, კრებულია თუ სხვა სახის გამოცემაა ის. ფორმა მოიცავს აგრეთვე წიგნის ენას, თუ რა ენაზეა წიგნი დაწერილი.

კლასიფიკაციისას პირველ რიგში ჩვენ უნდა განვსაზღვროთ და აღვნიშნოთ წიგნის საგანი. წიგნის საგანი, ძირითადი ინდექსით და ანბანურ-საგნურ დეტერმინანტით გამოისახება. ამიტომ პირველ რიგში უნდა დავწეროთ ძირითადი ინდექსი და შემდეგ (როგორც მისი უშუალო გაგრძელება, საგნის დამაზუსტებელი) ანბანურ-საგნური მსაზღვრელი. შემდეგ ჩვენ უნდა გავარკვიოთ საგნის ასპექტი, რა ასპექტშია საგანი განხილული და მოცემულ საგნის სხვა საგნებთან დამოკიდებულება. საგნის ასპექტი და დამოკიდებულება სხვა საგნებთან, ათწილადი კლასიფიკაციის ტაბულის მიხედვით, გამოიხატება პლუსის, სპეციალური, ანუ ანალიტიკური, თვალსაზრისის და მიმართების (ურთიერთობის) მსაზღვრელებით. მაშასადამე, ანბანურ-საგნურ მსაზღვრელის შემდეგ აღნიშნული მსაზღვრელები წავა. შემდეგ უნდა განისაზღვროს საგნის მდგომარეობა სივრცეში, მაშასადამე, შემდეგ წავა გეოგრაფიული მსაზღვრელი, შემდეგ — საგნის განსაზღვრა დროში, ე. ი. დროის მსაზღვრელი. ძირითად ინდექსთა და ჩამოთვლილი მსაზღვრელებით განისაზღვრება და გამოიხატება წიგნის შინაარსი. ამის შემდეგ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ გამოცემის სახე, რომელიც ფორმის მსაზღვრელით აღინიშნება და ენა, რომელზედაც დაწერილია წიგნი, ანუ ენის მსაზღვრელი. ამრიგად ბრიუსელის საერთაშორისო ინსტიტუტი იძლევა მსაზღვრელების შემდეგ თანმიმდევრობას წიგნზე:

1) ანბანურ-საგნური მსაზღვრელი	[›—ȝ]
3) ანალიტიკური ანუ სპეციალური მსაზღვრელი	...0
2) მიმატების მსაზღვრელი	+
4) თვალსაზრისის მსაზღვრელი	...00
5) მიმართების მსაზღვრელი	:
6) ადგილის მსაზღვრელი	(1—9)
7) დროის მსაზღვრელი	„.....“
8) ფორმის მსაზღვრელი	(0...)
9) ენის მსაზღვრელი	=1—9

აქ არ არის მოხსენებული ეთნიკური მსაზღვრელი (=1—9). ეს იმი-

ტომ რომ იგი იკავებს გეოგრაფიულ მსაზღვრელის ადგილს. ჩვეულებრივ, თუ ეთნიკური მსაზღვრელია, გეოგრაფიული მსაზღვრელი მაშინ არ იქნება. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეთნიკური და გეოგრაფიული მსაზღვრელები ერთად უნდა იყოს მოცემული. ასეთ შემთხვევაში ეთნიკური მსაზღვრელი უშუალოდ გეოგრაფიული მსაზღვრელის წინ წავა. მაგ., ებრაელთა ისტორია რუსეთში, ინდექსი იქნება 9(=924) (27).

მსაზღვრელების ასეთი თანმიმდევრობა წიგნის კლასიფიკაციისას (როდესაც ერთ წიგნზე რამდენიმე მსაზღვრელის გამოყენება გვიხდება) საერთოდ მიღებული თანმიმდევრობაა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველგან, ყველა ბიბლიოთეკაში და ყოველთვის, ყველა განყოფილებაში ასეთი თანმიმდევრობა სავალდებულოდ ჩავთვალოთ. როგორც ზემოთ ვთქვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბიბლიოთეკარმა თვით უნდა გადაწყვიტოს საკითხი, თუ როგორი თანმიმდევრობით განალაგოს მსაზღვრელები და როგორი თანმიმდევრობა უფრო ლოგიკური, უფრო მიზანშეწონილი და მისაღები იქნება ამ ბიბლიოთეკაში ამ დარგის ლიტერატურის მკითხველთათვის.

ჩვენ მეტსაც ვიტყვით, გარკვეულ (მართალია გამონაკლის) შემთხვევაში ჩვენ რომელიმე მსაზღვრელს ინდექსის წინ წამოვწევთ ხოლმე, ე. ი. მარცხნივ მივუწერთ. ამას ჩვენ ვაკეთებთ, ჩვეულებრივ, როდესაც რაიმე სპეციალური კატალოგი ან კარტოთეკა გვინდა შევქმნათ. მაგ., ჩვენ გვინდა ცალკე გამოვყოთ კატალოგში (შეიძლება წიგნებიც თაროებზე) ლიტერატურა მხარის შესახებ, და შემდეგ გავყოთ იგი მეცნიერებათა დარგების მიხედვით. ვთქვათ გვსურს ყველაფერი, რაც შეეხება საქართველოს, ე. ი. საქართველოს მცოდნეობითი (ქართველოლოგიური) ლიტერატურა გამოვყოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ საქართველოს გეოგრაფიულ მსაზღვრელს, საერთაშორისო ცხრილის მიხედვით (47.922), საბჭოთა საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემის მიხედვით (C 41), გადმოვსვამთ წინ და შემდეგ მარჯვნივ მივუწერთ ძირითად ინდექსს, მივიღებთ შემდეგ ინდექსებს:

(C41) 1 — ფილოსოფია საქართველოში;

(C41)2 — რელიგია საქართველოში;

(C41)308 — საქართველოს სოციოგრაფია;

(C41)338 — საქართველოს მრეწველობა;

(C41)342 — საქართველოს სახელმწიფო სამართალი;

(C41)37 — განათლება საქართველოში;

(C41)39 — საქართველოს ეთნოგრაფია;

(C41)51 — მათემატიკა საქართველოში;

(C41)55 — საქართველოს გეოლოგია;
(C41)58 — საქართველოს ფლორა;
(C41)59 — საქართველოს ფაუნა;
(C41)61 — მედიცინა საქართველოში;
(C41)63 — საქართველოს სოფლის მეურნეობა;
(C41)7 — ხელოვნება საქართველოში;
(C41)9 — საქართველოს ისტორია;
(C41)91 — საქართველოს გეოგრაფია და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აქ გეოგრაფიული დეტერმინანტის ქვეშ (ჩვენს მაგალითში საქართველოს დეტერმინანტი) გამოყოფილია ლიტერატურა დაკავშირებული ამ ქვეყანასთან და შემდეგ დაყოფილია დარგების მიხედვით. ასევე შეიძლება წინ გამოვყოთ სხვა დეტერმინანტიც, მაგ., ფორმის დეტერმინანტი. ვთქვათ. ჩვენ გვინდა, რომ უმაღლესი სკოლის სტუდენტთა ბიბლიოთეკაში ცალკე გამოვყოთ სახელმძღვანელოები ყველა დარგის მიხედვით, მაშინ უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოების ფორმის მსაზღვრელს (02) დავსვამთ წინ და მივიღებთ:

(02) 16 — სახელმძღვანელო ლოგიკისა;
(02) 33 — სახელმძღვანელო პოლიტიკურ ეკონომიისა;
(02) 51 — სახელმძღვანელო მათემატიკისა;
(02) 52 — სახელმძღვანელო ასტრონომიისა და ა. შ.

ასეთ ინდექსებს ფაკულტატური ინდექსები ეწოდება. ათწილადი კლასიფიკაცია ინდექსების კომბინირების დიდ საშუალებას გვაძლევს. საჭიროა მხოლოდ ბიბლიოთეკარმა ეს საშუალებანი აზრიანად და მიზანშეწონილად გამოიყენოს. ცხადია, ფაკულტატურ ინდექსებს ჩვენ იშვიათ შემთხვევაში მივმართავთ. ჩვეულებრივ კი დეტერმინანტთა ისეთი თანმიმდევრობა უნდა იყოს დაცული, როგორც ეს ბრიუსელის ინსტიტუტის ტაბულებშია მოცემული, მაგრამ სხვადასხვა ბიბლიოთეკაში, სხვადასხვა განყოფილებაში ეს თანმიმდევრობა საჭიროებისამებრ უნდა იქნეს შეცვლილი. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის ბიბლიოთეკარმა ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა დასვას საკითხი, ლოგიკურად, როგორი თანმიმდევრობა უფრო სწორი იქნება ამ კერძო შემთხვევაში და მკითხველისათვის ლიტერატურის როგორი განლაგება უფრო მისაღები იქნება? ინდექსის აღნაგობა ამ კითხვის სწორ გადაწყვეტას უნდა წარმოადგენდეს.

ათწილადი კლასიფიკაცია გვაძლევს საშუალებას საჭიროებისას გავჰკვეთოთ ძირითადი ინდექსი და შუაში ჩასვათ დეტერმინანტი ან მეორე ინდექსი. მაგალითად, ჩვენ გვსურს სსრ კავშირის ფინანსების შესახებ ლიტერატურას ერთად მოვუყაროთ თავი და შემდეგ დავყოთ იგი

ცალკეულ საკითხებად. ფინანსები — 336, მისი ძირითადი დანაყოფები შემდეგია:

336.1 — სახელმწიფო ბიუჯეტი;

336.2 — გადასახადები;

336.3 — სახელმწიფო სესხი;

336.4 — ბანკი. კრედიტი და ა. შ.

თუ ჩვენ გვსურს სსრ კავშირის ფინანსები ცალკე გამოვყოთ და შემდეგ დავყოთ ქვედანაყოფებად, მაშინ გეოგრაფიულ მსაზღვრელს ჩავსვამთ ინდექსში:

336(47) ან 336(C) — ფინანსები სსრ კავშირში;

336(47)1 ან 336(C)1 — სსრ კავშირის ბიუჯეტი;

336(47)2 ან 336(C)2 — გადასახადები სსრ კავშირში;

336(47)3 ან 336(C)3 — სახელმწიფო სესხი სსრ კავშირში;

336(47)4 ან 336(C)4 — ბანკები და კრედიტი სსრ კავშირში და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აქ ინდექსი გავკვეთეთ და შუაში ჩავსვით გეოგრაფიული მსაზღვრელი. ასევე შეიძლება გავკვეთოთ ინდექსი და ჩავსვათ სხვა მსაზღვრელიც. შეიძლება ერთი ინდექსი გავკვეთოთ და შუაში ჩავსვათ მეორე ინდექსი. მაგალითად, მრეწველობა არის 338. ქიმიური მრეწველობა მიმართების მსაზღვრელით გამოიყოფა 338:66 (66 ქიმიური მრეწველობაა ტექნიკის თვალსაზრისით). სამრეწველო პროდუქტების ფასები და ფასების რეგულაცია არის 338.5; მრეწველობის კონცენტრაცია, სამრეწველო ტრესტები — 338.8; მრეწველობის ორგანიზაცია — 338.93 და ა. შ. ყველა ეს საკითხი ქიმიურ მრეწველობაში მიიღებს ინდექსებს:

338:66 — ქიმიური მრეწველობა;

338.5:66 — ფასები ქიმიურ მრეწველობაში;

338.8:66 — ქიმიური მრეწველობის ტრესტები;

338.93:66 — ქიმიურ მრეწველობის ორგანიზაცია და ა. შ.

ასეთი ინდექსაციით ქიმიური მრეწველობის ეკონომიკის სხვადასხვა საკითხები კატალოგში გაიფანტება და ლიტერატურის კომპლექსირება (გაერთიანება) მოხდება მრეწველობის გარკვეული დარგის კონკრეტულ საკითხების მიხედვით და დალაგდება შემდეგნაირად:

338 — მრეწველობა ზოგადად;

338:66 — ქიმიური მრეწველობა;

338:67 — მსუბუქი მრეწველობა;

338:69 — სამშენებლო მრეწველობა;

338.5:66 — ფასები ქიმიურ მრეწველობაში;

338.5:67 — ფასები მსუბუქ მრეწველობაში;
338.5:69 — ფასები სამშენებლო მრეწველობაში;
338.8:66 — ქიმიური მრეწველობის ტრესტები;
338.8:67 — მსუბუქი მრეწველობის ტრესტები;
338.8:69 — სამშენებლო მრეწველობის ტრესტები;
338.93:66 — ქიმიური მრეწველობის ორგანიზაცია;
338.93:67 — მსუბუქი მრეწველობის ორგანიზაცია;
338.93:69 სამშენებლო მრეწველობის ორგანიზაცია.

როგორც ვხედავთ, ინდექსთა ასეთი კონსტრუქციით და განლაგებით ქიმიური მრეწველობის სხვადასხვა საკითხები დაქსაქსულია, შუაში სხვა დარგის მრეწველობათა საკითხებია ჩასმული (მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო მრეწველობის და სხვ.), ხოლო სხვადასხვა დარგის მრეწველობის ერთი გარკვეული საკითხი დაახლოებულია ერთმანეთთან. მაგ., ფასების საკითხი ქიმიურ მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობაში, სამშენებლო მრეწველობაში და ა. შ. ახლა თუ ჩვენ გვსურს კატალოგში ქიმიური მრეწველობის ყველა საკითხს ერთად მოვუყაროთ თავი, საჭიროა ინდექსი 66 (ქიმიური მრეწველობა) კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ჩავურთოთ მრეწველობის ეკონომიკის ინდექსს. მაშინ მივიღებთ ინდექსების შემდეგ კონსტრუქციას და მათ შემდეგი თანმიმდევრობით განლაგებას:

338:66 — ქიმიური მრეწველობა;
338[66]5 — ფასები ქიმიურ მრეწველობაში;
338[66]8 — ქიმიური მრეწველობის ტრესტები;
338[66]93 — ქიმიური მრეწველობის ორგანიზაცია და ა. შ.;
338:67 — მსუბუქი მრეწველობა;
338[67]5 — ფასები მსუბუქ მრეწველობაში;
338[67]8 — მსუბუქი მრეწველობის ტრესტები;
338[67]93 — მსუბუქი მრეწველობის ორგანიზაცია;
338:69 — სამშენებლო მრეწველობა;
338[69]5 — ფასები სამშენებლო მრეწველობაში;
338[69]8 — სამშენებლო მრეწველობის ტრესტები;
338[69]93 — სამშენებლო მრეწველობის ორგანიზაცია.

როგორც ვხედავთ, ათწილადი სისტემა მეტად ელასტიურია და იძლევა ინდექსების კომბინირების საშუალებას. ასეთი კომბინირება ინდექსებისა გამოიყენება დიდ და სპეციალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. მცირე და საშუალო მასობრივ ბიბლიოთეკებში ჩვეულებრივ ასეთი რთული ინდექსების გამოყენება არ გვიხდება. საერთოდ ჩვენ უნდა ვეცადოთ

ინდექსების გამარტივებას, მაგრამ როდესაც ეს აუცილებელია, მაშინ ინდექსების სირთულეს არ უნდა მოვერიდოთ, რადგან დიდ კატალოგში „რთული“ ინდექსი ამარტივებს კატალოგის თითოეულ განყოფილებას და უადვილებს მკითხველს წიგნის მოძებნას.

როდესაც ინდექსის შემოკლებაზე ვლაპარაკობთ, უნდა მოვიხსენიოთ ინდექსის დამწერლობის შემოკლების შემდეგი ხერხი: პლუსის დეტერმინანტის შემთხვევაში ინდექსის ციფრთა რაოდენობა შეგვიძლია შევამოკლოთ ირიბი ხაზით (/). ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე განყოფილების ან ქვეგანყოფილების ქვედანაყოფთა მიმატებასთან გვაქვს საქმე და პლუსით დაკავშირებული ორი ინდექსის პირველი ციფრები ერთნაირია. მაგ., წიგნში ორი დარგია განხილული — კრისტალოგრაფია და მინერალოგია. კრისტალოგრაფიის ინდექსია 548, ხოლო მინერალოგიის 549. მაშასადამე, ამ წიგნის ინდექსი იქნება 548+549. ჩვენ შეგვიძლია ეს ინდექსი შევამოკლოთ და დავწეროთ 548/9, რადგან პირველი ორი ციფრი ორივე ინდექსისა ერთი და იგივეა „54“, ხოლო უკანასკნელი ორი ციფრი ერთიმეორის მომდევნოა.

5. კლასიფიკაციის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი წიგნისათვის ე. წ. „ძირითადი ადგილის“ მოძებნაა. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ წიგნში შეიძლება რამდენიმე საგანი იყოს განხილული. როგორც ვთქვით, ასეთ შემთხვევაში მივმართავთ ე. წ. მიმატების მსაზღვრელს, ე. ი. წიგნზე იმდენივე ინდექსს დავწერთ, რამდენი ძირითადი საგანიცაა მასში განხილული და ამ ინდექსებს პლუსის ნიშნით შევაერთებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნზე სისტემატური კატალოგისათვის იმდენივე ძირითადი აღწერილობა შედგება, რამდენი ინდექსიცაა, და ამ წიგნის აღწერილობა სისტემატური კატალოგის ყველა სათანადო განყოფილებაში იქნება მოთავსებული. კატალოგისათვის ეს საკითხი შედარებით იოლად წყდება. მაგრამ ამ ინდექსებიდან ერთი მაინც ძირითად ინდექსად უნდა იყოს მიჩნეული, რადგან წიგნი თაროზე მხოლოდ ერთ განყოფილებაში შეიძლება იყოს მოთავსებული.

ზოგ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: შეიძლება წიგნში განხილული საგნები ერთი რომელიმე ზოგადი საგნის ნაწილებია. მაშინ ისმება საკითხი რამდენიმე ინდექსის ნაცვლად ერთი ზოგადი ინდექსის დასმისა. ასეთი განზოგადება დასაშვებია მაშინ, როდესაც წიგნის შინაარსი მოიცავს ზოგადი ინდექსის შინაარსის დიდ ნაწილს. მაგალითად, თუ გვაქვს წიგნი მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ფიტოპათოლოგიის შესახებ დავუწერთ ინდექსს 581.1+581.2, ანუ შემოკლებით 581.1/2. (581.1 — მცენარეთა ფიზიოლოგიაა, ხოლო 581.2 — ფიტოპათოლოგია). მაგრამ თუ წიგნში მოცემულია აგრეთვე მცენარე-

თა მორფოლოგიის, ანატომიისა და ჰისტოლოგიის საკითხები, შეგვიძლია ოთხი ინდექსის (581.1+581.2+581.4+581.8, ე. ი. მცენარეთა ფიზიოლოგია + ფიტოპათოლოგია + მორფოლოგია + ანატომია და ჰისტოლოგია) ნაცვლად დავწეროთ ზოგადი ინდექსი 581. ანალიტიკური ბიოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგ სხვა საკითხებსაც მოიცავს, რომლებიც წიგნში არ არის განხილული (ინდექსები აღებული გვაქვს ბრიუსელის საერთაშორისო დეციმალური ცხრილის მიხედვით).

კიდევ უფრო მეტ სიძნელესთან გვაქვს საქმე როდესაც „ძირითადი ადგილის“ მოძებნა გვიხდება რთული შინაარსის წიგნებისათვის, ე. ი. ისეთი წიგნებისათვის, რომლებშიც განხილულია ორი ან მეტი საკითხი ურთიერთდამოკიდებულებაში, განხილულია ერთი დარგი მეცნიერებისა მეორე დარგის თვალსაზრისით და სხვ. ამგვარი. მაგ., მარქსიზმი და დარვინიზმი. აქ მოცემულია ორ დიდ მოძღვრებათა შორის ურთიერთ კავშირი, ურთიერთ დამოკიდებულება, უკეთ დარვინის მოძღვრება განხილულია მარქსიზმის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ვწერთ ინდექსს 3K:57.03 (საბჭოთა მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის მიღებული სქემის მიხედვით 3K — მარქსიზმ-ლენინიზმია, 57. 03 დარვინიზმი). ამ ინდექსით მარქსიზმის განყოფილებაში გამოიყოფა ცალკე ქვეგანყოფილება 3K:57.03. ასევე დარვინიზმის განყოფილებაში შეიძლება გამოიყოს ქვეგანყოფილება 57.03:3K. როგორც ვხედავთ, კატალოგში ამ შემთხვევაშიც ორი ძირითადი აღწერილობა გვექნება, რომლებიც ორ განყოფილებაში მოთავსდება. მაგრამ ძირითადი ადგილის მოძებნა წიგნისათვის აქაც საჭიროა. საერთო წესია „ძირითად ადგილად“ მივიჩნიოთ ის დარგი, რომლის თვალსაზრისით არის გარჩეული მეორე დარგი. ჩვენს მაგალითში ძირითადი ინდექსი იქნება 3K — მარქსიზმი, რადგან წიგნში დარვინის მოძღვრება განხილულია მარქსიზმის თვალსაზრისით. ამას გარდა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა გარკვეულ ბიბლიოთეკაში. მაშასადამე, საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ბიბლიოთეკის ტიპსა და სახეს, ბიბლიოთეკისა და მკითხველის პროფილს, მკითხველთა მოთხოვნას, მაგალითად, სპეციალურ დარგობრივ-ბიოლოგიურ ბიბლიოთეკაში შეიძლება ამ წიგნისათვის „ძირითად ადგილად“ 57.03 (დარვინიზმი) იყოს მიჩნეული.

კიდევ უფრო რთულია „ძირითადი ადგილის“ მოძებნა, როდესაც წიგნში ერთი საგანი სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის თვალსაზრისითაა განხილული. მაგალითად, გვაქვს წიგნი წყლის შესახებ. წიგნში საუბარია წყლის შესახებ საერთოდ, მოცემულია წყლის ქიმიური შემადგენლობა, ინდექსი 546.212, წყლის ქიმიური ანალიზი — 543.81, ჰიდრობიოლოგიური ცნობები — 577.472, ჰიდროლოგიური და ჰიდროგრაფიუ-

ლი ცნობები წყლის შესახებ, ზედაპირისა და ქვენიადაგის წყლები, წყალი ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით — 551.4, გეოლოგიური მოქმედება წყლისა — 550.4, წყალი როგორც სასმელი, მინერალური წყლები ჰიგიენის თვალსაზრისით, წყლის სმის რეჟიმი და სხვა ამგვარი — 613.3, წყალსადენის ჰიგიენა, წყალი კომუნალური ჰიგიენის თვალსაზრისით — 614.7 და ბოლოს წყლის ტექნოლოგია — 663.6. ისმება საკითხი სად უნდა მოთავსდეს ასეთი ზოგადი ხასიათის ნაწარმოები წყლის შესახებ (და სხვა მრავალი საგნისა და მოვლენის შესახებ ამგვარი ლიტერატურა). აქ, ასეთ შემთხვევებში, ერთი რაიმე საერთო გადაწყვეტილების მიცემა შეუძლებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კლასიფიკატორმა თვით უნდა გადაწყვიტოს საკითხი მისი ბიბლიოთეკისა და მკითხველის პროფილის შესაბამისად და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ წიგნში რომელი ასპექტია ძირითადი და მთავარი, რომელი საკითხი ჭარბობს და სხვ.

საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი იძლევა რამდენიმე პრინციპულ მითითებას საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ ეს მითითებები ყველგან და ყოველთვის არ გამოდგება და ვერ გადაწყვეტს საკითხს. ზოგ შემთხვევაში ეს მითითებები უეჭვოდ დაგვეხმარება, ამიტომ მოგვყავს მოკლედ აქ ისინი:

1. საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს უტილიტარულ თვალსაზრისს, საგნის პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისს. ამ მოსაზრებით ჩვენს მაგალითში წყლის საერთო ინდექსად 663.6 ავიღებდით, ამ უკანასკნელს მივანიჭებდით უპირატესობას.

2. თუკი გვაქვს წიგნი, სადაც მოცემულია რაიმე საგანი თავისი პირვანდელი სახით, ნედლი სახით, და იქვე ლაპარაკია მისი გადამუშავების შესახებ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ საგნის პირვანდელ სახეს. მაგ., წიგნი გვაქვს ციტრუსების მოვლისა და მოყვანის, მოშენების და მათი დაკონსერვების შესახებ. ასეთ წიგნს ჩვენ გავუშვებთ ციტრუსებში, ციტრუსების მოყვანა-მოშენების (აგრონომიის) განყოფილებაში — 634.3 და არა ციტრუსების დაკონსერვების განყოფილებაში — 664 . 85.

3. ეკონომიურ თვალსაზრისს მიენიჭება უპირატესობა იურიდიულ და ადმინისტრაციულ თვალსაზრისთან შედარებით.

4. თუ საგანს ძირითადად და უმთავრესად ერთი რომელიმე მეცნიერება შეისწავლის, ამ მეცნიერებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

5. კონკრეტული საგნის გამომხატველ ინდექსს, კონკრეტულ რუბრიკას უნდა მიენიჭოს უპირატესობა აბსტრაქტულ რუბრიკასთან შედარებით.

ათწილადი კლასიფიკაცია ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა განყოფილებაში მოთავსების საშუალებას იძლევა. ბევრს ეს კლასიფიკაციის უარყოფით მხარედ მიაჩნია, მაგრამ ღრმად თუ ჩავუკვირდებით საკითხს, ეს

სისტემის მოქნილობისა და მისი სიმდიდრის მაჩვენებელია. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ასპექტშია მოცემული, ერთი და იგივე საკითხი შეიძლება მივაკუთვნოთ ერთი და იმავე საკლასიფიკაციო სქემის ერთ განყოფილებას და მეორე განყოფილებასაც. არც ერთი იქნება შეცდომა და არც მეორე. მაგრამ შეცდომა იქნება რომ ერთი და იმავე კატალოგში ერთ საკითხზე წიგნების ნაწილი ერთ განყოფილებაში გავუშვათ, ხოლო ნაწილი — მეორეში. უსათუოდ ერთი ინდექსი უნდა ავარჩიოთ და ამ ინდექსის ქვეშ მოვათავსოთ ამ საკითხზე მთელი ლიტერატურა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება ბიბლიოთეკაში. მაშასადამე, აქაც ერთი ადგილის შერჩევაა საჭირო. მაგალითად, ბიოგრაფიული ლექსიკონები, სადაც ანბანურად მოცემულია სხვადასხვა დარგში მომუშავე გამოჩენილ მოღვაწეთა მოკლე ბიოგრაფიები (ერთი დარგის მოღვაწეთა ბიოგრაფიები ამ სპეციალურ დარგში წავა. მაგ., მათემატიკოსთა ბიოგრაფიები იქნება 51(092) ან 51:92). ასეთი ლექსიკონების ინდექსი შეიძლება იყოს 92(03) (92—ბიოგრაფიაა, (03) ფორმის მსაზღვრელია ლექსიკონისა). მაგრამ შეიძლება მეორე ინდექსიც დაიწეროს 03(092) (ან 03:92), სადაც ძირითადი ინდექსი 03 ზოგადი ენციკლოპედიების გამომხატველია, ხოლო (092) არის ბიოგრაფიის მსაზღვრელი (საერთაშორისო ინსტიტუტის ცხრილით იგივე მიმართების მსაზღვრელით გამოიხატება : 92). როგორც ვხედავთ ერთი და იგივე საგანი პირველ შემთხვევაში ბიოგრაფიის განყოფილებას მიეკუთვნება და ბიოგრაფიებიდან, ამ განყოფილების შიგნით, ცალკე გამოიყოფა ბიოგრაფიული ლექსიკონები: მეორე შემთხვევაში კი ზოგადი ლექსიკონების (ენციკლოპედიების) განყოფილებას მიეკუთვნება და ამ განყოფილებას შიგნით ცალკე გამოიყოფა ბიოგრაფიების მსაზღვრელით (092), ან მიმართების მსაზღვრელით : 92. ორივე ინდექსი მართებულია, ორივე ინდექსი ლოგიკურია. პირველი ინდექსის ლოგიკურობა თავის თავად ცხადია და დასაბუთებას არ თხოულობს (ბიოგრაფიული ლექსიკონი ბიოგრაფიის განყოფილებაში თავსდება). რაც შეეხება მეორე ინდექსს, ის თითქოს ფორმალური ინდექსია, მაგრამ რომ ჩავუკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ სავსებით დასაბუთებული და რაციონალური ინდექსია. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა ბიოგრაფიული ლექსიკონი იმავე ზოგადი ენციკლოპედიების ნაწილია და სავსებით მიზანშეწონილია მათთან ერთად იყოს მოთავსებული. მით უფრო, რომ ლექსიკონებს ჩვენ ცალკე გამოვყოფთ ხოლმე სამკითხველო დარბაზის ფონდში, როგორც სახელდახელო ლიტერატურას. როგორც ვხედავთ, ერთი ინდექსიც დასაბუთებულია და მეორეც. მაგრამ არ შეიძლება ერთ კატალოგში ლიტერატურა ერთი და იმავე საგანზე სხვადასხვა განყოფილებაში იყოს მოთავსებული. ერთ

კატალოგში უსათუოდ ერთგვარობა უნდა იყოს დაცული. ერთ-ერთ ძირითად პრინციპს კლასიფიკაციისას ინდექსაციის ერთგვარობა წარმოადგენს. ამიტომ ამ შემთხვევაშიც ბიბლიოთეკარმა კარგად უნდა ასწონ-დასწონოს ყველა შესაძლებელი ინდექსი და მიიღოს ერთი გადაწყვეტილება, ე. ი. მიუჩინოს საგანს „ძირითადი ადგილი“.

6. როგორც აღვნიშნეთ, კლასიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ინდექსაციის ერთგვარობაა. ინდექსაციის ერთგვარობა უნდა იყოს დაცული არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ სხვადასხვა განყოფილებაში არ მოხვდეს ლიტერატურა ერთ და იმავე საკითხზე, არამედ საჭიროა ერთგვარობის დაცვა ინდექსაციის დეტალიზაციის მხრივაც. არ შეიძლება ერთსა და იმავე ბიბლიოთეკაში, ერთსა და იმავე საკითხზე ლიტერატურას ერთ შემთხვევაში სრული ინდექსი დავუწეროთ და მეორე შემთხვევაში შემოკლებული, ან ამ ლიტერატურის ნაწილის მიმართ გამოვიყენოთ ესა თუ ის დეტერმინანტი, ხოლო მეორე ნაწილის მიმართ არა. ეს არევდარევას შეიტანს კატალოგში და დაქსაქსავს ლიტერატურას ერთ საკითხზე, რაც შეუძლებლად გახდის ამ საკითხზე მთელი ლიტერატურის მიმოხილვას. ინდექსაციის ერთგვარობა მკაცრად უნდა იყოს დაცული.

როგორ შეიძლება ერთგვარობის დაცვა? თუკი შეიძლება ერთი და იგივე საკითხი სავსებით დასაბუთებულად სხვადასხვა განყოფილებას მივაკუთვნოთ, მაშინ შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე წიგნებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინდექსი დავაწეროთ. ამისაგან დაზღვეული არც ერთი კლასიფიკატორი არ იქნება, რაგინდ მაღალკვალიფიციური პირი და კარგი მეხსიერების პატრონი არ უნდა იყვეს იგი. მით უფრო ერთგვარობას ვერ დავიცავთ, როდესაც რამდენიმე პირი აწარმოებს კლასიფიკაციას. კლასიფიკაციის ერთგვარობის დაცვისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, წინასწარ იყოს გადაწყვეტილება მიღებული ალტერნატივური ინდექსების შესახებ და ეს გადაწყვეტილებანი წერილობით იყოს ფიქსირებული. აგრეთვე საჭიროა წინასწარ იყოს შედგენილი სისტემატური კატალოგის გეგმა. შემდეგ აუცილებელია სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნური საძიებლის შედგენა. შეიძლება ითქვას, რომ ეს საძიებელი ერთად-ერთი რეალური და ეფექტური საშუალებაა ინდექსაციის ერთგვარობის დაცვისათვის.

როგორ დგება სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნური საძიებელი? საკატალოგო ბარათის თავსტრიქონზე, პირველი ვერტიკალიდან იწერება საგნის დასახელება, ვთქვათ „ბიოგრაფიული ლექსიკონები“, შემდეგ დაახლოებით ერთი სანტიმეტრის ინტერვალის დაცვით იწერება ინდექსი.

		ბიოგრაფიული ლექსიკონები	03(092)

ბარათები იწერება რუბრიკის ყველა შესაძლებელ ფორმულირებაზე და სინონიმებზე. მაგ., ალკოჰოლიზმი — 392.85 და მეორე ბარათი ლოთობა 392.85 და ა. შ. შეიძლება ერთ ბარათზე რამდენიმე ინდექსი დაიწეროს, როდესაც ერთი საგანი სხვადასხვა თვალსაზრისითაა განხილული და სხვადასხვა ინდექსებია მოცემული. მაგალითად:

	წყალი	—ქიმიური შემადგენლობა	546.212
	„	—ქიმიური ანალიზი	543.81
	„	—გეოლოგიური მოქმედება	550.4
	„	—ჰიგიენა	613 3
	„	—სანიტარია	614.7
	„	—ტექნოლოგია	663.6

ეს ბარათები დალაგდება ზუსტ ანბანზე, რის შედეგად მივიღებთ ანბანურ-საგნურ საძიებელს. საძიებელი სრული უნდა იყოს; აქ ასახული უნდა იყოს ყოველი საგანი, ყოველი რუბრიკა, ყოველი ინდექსი, რომელიც მოცემულია ჩვენს კატალოგში. საძიებელი დგება კლასიფიკაციის პროცესში: ყოველი წიგნის კლასიფიკაციისას კლასიფიკატორმა უნდა ჩაიხედოს საძიებელში და ნახოს იყო თუ არა ლიტერატურა ამ საკითხზე დაკლასიფიცირებული წინათ და თუ იყო, რა ინდექსი დაეწერა (რა თქმა უნდა, თუ მას დანამდვილებით არ ახსოვს ზეპირად ინდექსი და დანამდვილებით არ იცის, რომ არის სათანადო ბარათი საძიებელში. ხშირად კლასიფიკატორს ზეპირად ახსოვს ინდექსი და დანამდვილებით იცის, რომ ბარათი საძიებელში ჩართულია, განსაკუთრებით ისეთი ინდექსები, რომლებიც ხშირად ხვდება პრაქტიკაში. მაშინ საძიებელში ჩახედვა, ცხადია, ზედმეტია). თუ ბარათი საძიებელში არ არის, კლასიფიკატორმა მაშინვე, როგორც კი მიიღებს გადაწყვეტილებას და დააწერს წიგნს ინდექსს, უნდა შეადგინოს ბარათი საძიებლისათვის და ჩართოს იგი საძიებელში. საძიებლის შედგენის დაცილება კლასიფიკაციის პროცესთან, საძიებლისათვის ბარათის შედგენის გადადება ყოვლად დაუშვებელია. ზოგი ფიქრობს, რომ ჯერ წიგნებს დავაკლასიფიცირებ, კატალოგს შევადგენ და შემდეგ საძიებელს შევუდგენ მასო. ეს დიდი შეცდომაა. შემდეგ საძიებლის შედგენა არ შეიძლება და თუ შეადგინეთ, იგი სრული არ იქნება. ვიმეორებთ, საძიებლის შედგენა და შევსება კლასიფიკაციის დროს უნდა წარმოებდეს.

ანბანურ-საგნური საძიებელი მეტად საჭირო და, ჩვენ ვიტყოდით, აუცილებელ დამხმარე აპარატს წარმოადგენს სისტემატური კატალოგისათვის. მისი მნიშვნელობა კლასიფიკაციის ერთგვაროვნების დაცვითა და ინდექსაციის მაღალხარისხიანობით როდი ამოიწურება. იგი საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ კლასიფიკაციაში და სისტემატურ კატალოგში ცვლილებები გეგმიანად შევიტანოთ. მაგალითად, თუ ჩვენ რომელიმე საგნის კლასიფიკაციისას ახალი, ჩვენის აზრით, უფრო სწორი ინდექსი მივიღეთ, ან შემოსულმა ლიტერატურამ ან ახალმა მომენტებმა საჭირო გახადეს რომელიმე ინდექსის შეცვლა, ამას ჩვენ გეგმაშეწონილად ვაკეთებთ: საძიებლის დახმარებით ცვლილება შეგვაქვს არსებულ კატალოგში და ვასწორებთ, რეკატალოგიზაციას და რეკლასიფიკაციას ვახდენთ მთელი არსებული ლიტერატურისა ამ საკითხზე, და არა ისე, რომ ახლად მიღებული ლიტერატურა ახლურად დავაკლასიფიკაციროთ, ხოლო ამავე საკითხზე ფონდებში არსებული ლიტერატურის ინდექსები უცვლელი დავტოვოთ.

შემდეგ, რაც მთავარია, ანბანურ-საგნური საძიებელი სისტემატური

კატალოგის გასაღებს წარმოადგენს. ბიბლიოთეკარს ზეპირად არ ახსოვს ყველა საკითხის ინდექსი, მით უფრო მკითხველს. ამიტომ ისინი მიმართავენ ხოლმე საძიებელს, საძიებელში მოძებნიან საგანს და მის ინდექსს და შემდეგ მიმართავენ სისტემატურ კატალოგს. ანბანურ-საგნური საძიებელი აუცილებელ დამხმარე აპარატს წარმოადგენს მკითხველთა მომსახურების საქმეში. სისტემატური კატალოგი, რომელსაც არა აქვს შედგენილი ანბანურ-საგნური საძიებელი, დამთავრებულ კატალოგად ვერ ჩაითვლება.

7. ახლა ორიოდე სიტყვით ტ ო პ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი, ა ნ უ თ ა რ ო ს ა დ ა ს ა კ ა ტ ა ლ ო გ ო ი ნ დ ე ქ ს ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. წიგნების კლასიფიკაციას ორი დანიშნულება აქვს: პირველი — წიგნობრივი ფონდის ორგანიზაცია, ე. ი. წიგნების თაროებზე განლაგება მათი შინაარსის მიხედვით, და მეორე — სისტემატური კატალოგის შედგენა. ამ დანიშნულებათა მიხედვით ვასხვავებთ ორ ინდექსს: 1. თაროს, ანუ ტოპოგრაფიულ ინდექსს და 2. საკატალოგო ინდექსს. ტოპოგრაფიული ინდექსი განსაზღვრავს წიგნის ადგილს (ტოპოგრაფიას) თაროზე, ხოლო საკატალოგო ინდექსი განსაზღვრავს წიგნის აღწერილობის ადგილს სისტემატურ კატალოგში. ტოპოგრაფიულ და საკატალოგო ინდექსებს შორის, უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებაა: ტოპოგრაფიული ინდექსი ჩვეულებრივ გაცილებით უფრო მარტივი და მოკლეა, ვიდრე საკატალოგო ინდექსი. ტოპოგრაფიულ ინდექსში მსაზღვრელები არ გამოიყენება, ან თუ გამოიყენება — იშვიათ შემთხვევაში. ტოპოგრაფიული ინდექსაციის დროს ადგილის მსაზღვრელს ვიყენებთ გეოგრაფიისა და ისტორიის განყოფილებებში, რადგან ეს განყოფილებები ქვეგანყოფილებებად მხოლოდ გეოგრაფიული მსაზღვრელებით დაიყოფა. ასევე ვიყენებთ წიგნების განლაგებისას სახელმძღვანელოების მსაზღვრელებს (ფორმის მსაზღვრელს), განსაკუთრებით სასკოლო ბიბლიოთეკებში. დანარჩენ შემთხვევებში მსაზღვრელებს ტოპოგრაფიული ინდექსებისათვის არ ვიყენებთ.

რატომ ვამოკლებთ და ვამარტივებთ ტოპოგრაფიულ ინდექსს? საქმე იმაშია, რომ ტოპოგრაფიული ინდექსით ყოველდღიურად ასობით წიგნებს ვალაგებთ თაროებზე, ვიღებთ თაროებიდან და ვსცემთ მკითხველებზე. რთული და გრძელი ინდექსი მეტად გააძნელებდა და გაართულებდა წიგნების თაროებზე დალაგებას, მოძებნასა და გაცემას. ამიტომ ტოპოგრაფიული ინდექსი მარტივი უნდა იყოს. კატალოგში ბარათი ერთხელ ჩაერთვის და განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ ამოიღება. ამას გარდა, მკითხველმა რომ საჭირო წიგნის აღწერილობა მოძებნოს, ამის-

თვის კატალოგში თითოეული საკითხი და განყოფილება მკაფიოდ, მცირე რაოდენობის ბარათებით უნდა იყოს გამოყოფილი, წინააღმდეგ შემთხვევაში კატალოგით სარგებლობა და საჭირო წიგნების მოძებნა გაძნელდებოდა. საერთოდ მიღებულია, რომ თითო ინდექსის ქვეშ არ უნდა იყოს 30 აღწერილობაზე მეტი. აღწერილობანი თუ მეტი რაოდენობით დაგროვდა, მაშინ განყოფილების კიდევ უფრო დეტალური დაყოფა უნდა მოვახდინოთ, მაშასადამე, საკატალოგო ინდექსი უნდა გავზარდოთ, გავართულოთ. თაროზე კი ერთი ინდექსის ქვეშ დასაშვებია ორასი წიგნი იყოს. თაროზე წიგნის მოძებნა უფრო იოლია, ვიდრე წიგნის აღწერილობისა ბარათულ კატალოგში. ამიტომ თაროს ინდექსი უფრო მოკლე და მარტივი შეიძლება იყოს.

6. კლასიფიკაციის კერძო მეთოდიკა

ზემოთ განხილული იყო კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდიკის საკითხები. ახლა საჭიროა განვიხილოთ კერძო მეთოდიკის ზოგი აქტუალური საკითხი, განსაკუთრებით ახალი საბჭოთა საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სქემის მიხედვით.

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოების კლასიფიკაცია. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ახალი სქემით მოთავსებულია 3K — ში. 3K1 — მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებია, 3K2 — ლენინის ნაწარმოებნი, 3K4—მარქსის, ენგელსის და ლენინის ნაწარმოებთა კრებული. შემდეგ თითოეული ეს განყოფილება ქვედანაყოფებად იყოფა:

3K — მარქსიზმ-ლენინიზმი. კომუნიზმი;

3K1 — მარქსისა და ენგელსის თხზულებანი;

3K11 — მარქსისა და ენგელსის რჩეული თხზულებანი;

3K12 — მარქსისა და ენგელსის მოსამზადებელი ნამუშევრების, წერილების, დოკუმენტების კრებულები;

3K13 — მარქსისა და ენგელსის ცალკე ნაწარმოებნი და ნაწარმოებთა თემატიკური კრებულები;

3K14 — კომენტარები და დამხმარე მასალები მარქსისა და ენგელსის ცალკე ნაწარმოებთა შესწავლისათვის;

3K15 — მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა და მათ შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია;

3K 16 — მარქსი და ენგელსი. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ასევე იყოფა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი:

3K2 — ლენინი, მისი თხზულებანი;

3K21 — ლენინის რჩეული თხზულებანი;

3K22 — ლენინის მოსამზადებელ ნაშრომთა, წერილების, დოკუმენტების კრებულები;

3K23 — ლენინის ცალკეული ნაწარმოებნი და ნაწარმოებთა თემატური კრებულები;

3K24 — კომენტარები და დამხმარე მასალები ლენინის ცალკე ნაწარმოებთა შესწავლისათვის;

3K25 — ლენინის ნაწარმოებთა და ლენინის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია;

3K26 — ლენინი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა და ა. შ.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ყველა ნაწარმოები, როგორც ნაწარმოებთა კრებულები ისე ცალკეული ნაწარმოებნი, რა საკითხზეც არ უნდა იყოს იგი, ერთად იყრის თავს დასახელებულ განყოფილებაში. კლასიკოსთა ყველა ნაწარმოებს ჩვენ თავს ვუყრით ერთად როგორც თაროებზე, ისე სისტემატურ კატალოგში. კლასიკოსთა ნაწარმოებების ასეთი თავმოყრა მიზანშეწონილია უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათი გამოყენება, მათი პროპაგანდა და ფართოდ გავრცელება მკითხველთა შორის გაცილებით უფრო ადვილი და მოხერხებულია. კლასიკოსთა ნაწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებათა ყველა დარგის მკითხველთათვის. ეს ნაწარმოებნი სახელმძღვანელო მასალასა და წყაროს წარმოადგენენ ყველა დარგის მუშაკთათვის. ამიტომ ყველა დარგის მკითხველს ესაჭიროება ცნობები კლასიკოსთა შრომებიდან. როდესაც ეს ნაწარმოებნი ერთად არის თავმოყრილი, ეს აადვილებს მკითხველთათვის ამ ცნობების მიწოდებას. ამასთანავე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებნი ისეთი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომ მათი რომელიმე სპეციალური დარგით შემოფარგვლა ძნელია. ბუნებრივია, რომ მარქსიზ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებთათვის „ძირითად ადგილად" მარქსიზმ-ლენინიზმია მიჩნეული.

მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა აღწერილობანი სისტემატურ კატალოგში არა მხოლოდ დასახელებულ განყოფილებაში უნდა იყოს მოთავსებული, არამედ საჭიროა მათი დუბლირება და მოთავსება ყველა იმ განყოფილებაში, რომელსაც კი ეხება ეს ნაწარმოები. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი მაქსიმალური სისრულით უნდა იყოს ასახული სისტემატურ კატალოგში. მაგ., ლენინის ნაწარმოები „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" უნდა მოთავსდეს არა მხოლოდ განყოფილება 3K23 — ში, არამედ აგრეთვე 1M — ში (დიალექტიკური მატერიალიზმი), 1МИ—ისტორიული მატერიალიზმი, 1Ф—ფილოსოფიის ისტორია, 5 — ბუნებისმეტყველება,

53 — ფიზიკა და ა. შ. ტოპოგრაფიული ინდექსი ცხადია იქნება მხოლოდ 3К23.

გარდა იმისა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თითოეული ნაწარმოები მაქსიმალურად და რაც შეიძლება დეტალურად უნდა იყოს ასახული სისტემატურ კატალოგში (მაშასადამე, ინდექსები პლუსის მსაზღვრელით უნდა იყოს. მოცემული წიგნზე), საჭიროა თხზულებათა კრებულში მოთავსებული ის სტატიები, რომლებიც ცალკე არაა გამოცემული ან რომლის ცალკე გამოცემა ბიბლიოთეკას არა აქვს, ანალიტიკურად იყოს აღწერილი და ეს აღწერილობა მოთავსდეს სისტემატური კატალოგის სათანადო განყოფილებაში.

რადგან თითოეულ კლასიკოსს კლასიფიკაციის ცხრილში, მარქსიზმ-ლენინიზმის განყოფილებაში ცალკე რუბრიკა აქვს მიჩნეული თავისი ინდექსით, ამიტომ .კლასიკოსის გვარის საავტორო ნიშანი (ავტორის ნიშანი) შიფრს მნიშვნელში არ მიეწერება. თხზულებათა კრებულების შიფრს მნიშვნელში მიეწერება ტომის რიგითი ნომერი არაბული ციფრით მაგ., მარქსისა და ენგელსის თხზულებანი ტ. 5, დაიწერება შიფრი $\frac{3\ К1}{5}$. ვ. ი. ლენინის თხზულებანი ტ. 6, შიფრი იქნება $\frac{3\ К2}{6}$. ცალკეულ ნაწარმოებებს მიეწერება საავტორო ნიშანი სათაურის მიხედვით .მაგ., ვ. ი. ლენინის წიგნს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მიეწერება შიფრი $\frac{3\ К23}{ж\ 244}$. მარქსისა და ენგელსის თხზულებებს ერთი განყოფილება აქვს მიჩნეული — 3К1, რადგან მათი თხზულებათა კრებულები ცალ-ცალკე არ გამოდის. რაც შეეხება ცალკე ნაწარმოებებს, ორი კლასიკოსის თანაავტორობით გამოსულ ნაწარმოებს მნიშვნელში მიეწერება საავტორო ნიშანი სათაურის პირველ სიტყვაზე, მაგ., „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შიფრი იქნება $\frac{3\ К13}{ж\ 723}$, ხოლო თითოეული მათგანის ცალკე ნაწარმოებს მრიცხველში (ე. ი. ინდექსში) მიეწერება გვარის პირველი ასო: მარქსის ნაწარმოებებს ასო „М“, ხოლო ენგელსის ნაწარმოებებს ასო „Э“. (ინდექსში ასოები რუსულ ენაზე იწერება). მაგ., კ. მარქსის შრომას „კაპიტალი“ მიეწერება ტოპოგრაფიული შიფრი $\frac{3К\ 13М}{ж244}$, ხოლო ენგელსის შრომას „ანტი-დიურინგი“ მიეწერება შიფრი $\frac{3К\ 13Э}{а69}$.

2. პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა კლასიფიკაცია. პარტიის ყრილობები, კონფერენციები, ცენტრალური კომიტეტის პლე-

ნუმების დადგენილებები, ყრილობებისა და კონფერენციების სტენოგრაფიული ანგარიშები, პარტიის ხელმძღვანელების მოხსენებები და სიტყვები ყრილობებზე, კონფერენციებზე და პლენუმებზე დაინდექსდება ЗКП1-ით, ე. ი. მოთავსდება კომუნისტური პარტიის ისტორიაში, და თითოეული მასალა სათანადო პერიოდის განყოფილებაში. მაგ., პარტიის XXI ყრილობის დადგენილებისათვის ინდექსი იქნება ЗКП-18, II ყრილობის დადგენილებისათვის კი ЗКП-2. ეს ინდექსი იქნება ტოპოგრაფიული და ძირითადი საკატალოგო ინდექსი. მაგრამ გარდა ამისა, კატალოგისათვის თითოეული დადგენილება და ხელმძღვანელი ამხანაგის მოხსენება დამატებით უნდა მოთავსდეს სათანადო დარგის განყოფილებაში (პლუსის მსაზღვრელით მიეწერება სათანადო განყოფილების ინდექსი).

მთავრობის დადგენილებათა და ბრძანებულებათა ზოგადი კრებულები, ავრეთვე კანონთა კრებულები მოთავსდება სამართლის მეცნიერების სათანადო განყოფილებაში (მასობრივ ბიბლიოთეკებში ახალი სქემის თანახმად — 34С2, ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკებში საერთაშორისო ათწილადი სისტემის თანახმად — 34(002) კოდექსები და 34(003) კანონთა და ბრძანებულებათა კრებულები, ცალკეული სამართლის კოდექსები სათანადო განყოფილებაში მაგ., სისხლის სამართლის კოდექსი 343 (002) და ა. შ.). მთავრობის ცალკეულ დადგენილებათა და ბრძანებულებათა გამოცემანი სამეურნეო, კულტურის და სხვა კერძო საკითხებზე მოთავსდებიან სათანადო დარგის განყოფილებაში, მინისტრთა საბჭოსა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებებზე დაიწერება პარტიის ისტორიის სათანადო პერიოდის ინდექსი მაგ., XXI ყრილობების შემდეგ გამოსულ რაიმე ერთობლივ დადგენილებაზე ინდექსი ЗКП1-18, დამატებით სათანადო დარგობრივი განყოფილების ინდექსი.

3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის კლასიფიკაციის ზოგი საკითხი. სოციალურ მეცნიერებათა დარგში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის გამოყოფას ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით მასობრივ ბიბლიოთეკაში. ამ მიზნით 1960 წელს მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის გამოცემულ ცხრილში—Таблицы библиотечной классификации для массовых библиотек. М., Всесоюзная книжная палата, 1960—შემოღებულია ასოები: საბჭოთა კავშირის ლიტერატურისათვის ასო „С" და საზღვარგარეთული ლიტერატურისათვის ასო „И". მაგალითად, პოლიტიკა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა სსრ კავშირის—32С, ხოლო პოლიტიკა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნების—32 И. ამასთანავე პოლიტიკური მდგომარეობა სსრ კავ-

შირის 1953 წლიდან მიეკუთვნება დასახელებულ განყოფილებას — 32C, ხოლო 1952 წლამდე (ჩათვლით) მიეკუთვნება ისტორიას—9 (C) 2. ასევე—ლიტერატურა საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ 1946 წლამდე მიეკუთვნება ისტორიის სათანადო პერიოდს—9 (И), ხოლო 1946 წლიდან დასახელებულ განყოფილებას—32 И.

ამავე ასოებით გამოიყოფა ეკონომიური და იურიდიული ლიტერატურა: ეკონომიური მდგომარეობა და სახალხო მეურნეობა სსრ კავშირის — 33C (1953 წლიდან) დარგების მიხედვით სათანადო ქვედანაყოფებით. ეკონომიური მდგომარეობა საზღვარგარეთის ქვეყნების—33И. ლიტერატურა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ გამოიყოფა სათანადო გეოგრაფიული მსაზღვრელით. მაგალითად, საქართველოს სსრ ეკონომიური მდგომარეობა და სახალხო მეურნეობა — 33C (C 41).

ასევე საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი — 34C, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და სამართალი — 34И.

მსოფლიო ეკონომიკა და მსოფლიო მეურნეობა და ლიტერატურა ორი სისტემის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის შესახებ აღინიშნება ინდექსით — 33M. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა და ეკონომიური ურთიერთობა — 33M1, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა და ეკონომიური ურთიერთობა — 33M2.

პოლიტიკა და პოლიტიკური მდგომარეობა და ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების — 327.1, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების—327.2.

დიდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ლიტერატურა ცალკეული ქვეყნების შესახებ გეოგრაფიული მსაზღვრელებით უნდა იყოს გამოყოფილი. სოციალურ მეცნიერებათა კონკრეტულ საკითხებზე ლიტერატურისათვის უნდა იყოს გამოყენებული შესატყვისი დეტალური ინდექსები საკავშირო წიგნის პალატისა და რუსინოვის მიერ დამუშავებული ცხრილების მიხედვით (შეიძლება გამოყენებული იყოს უნივერსალური დეციმალური კლასიფიკაციის ცხრილების უკანასკნელი გამოცემებიც), მაგრამ სათანადო შესაძლებელი ცვლილებებით. აქ კლასიფიკატორის შემოქმედებითი მუშაობაა საჭირო.

4. ისტორიისა და გეოგრაფიის ლიტერატურის კლასიფიკაცია. „სქემის“ მიხედვით სსრ კავშირის ისტორია გამოყოფილია ინდექსით 9(C). შემდეგ ის დაყოფილია ორ დიდ პერიოდად: სსრ კავშირის ისტორია დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე 9(C)1 და რევოლუციის შემდეგი პერიოდი 9(C)2. შემდეგ თითოეული მათგანი კიდევ იყოფა პერიოდებად. თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ისტორია ცალკე გამოიყოფა სსრ კავშირის რესპუბლიკათა განმსაზღვრელით, მაგ., საქართველოს ისტორია 9(C41) და ა. შ.

წიგნები, სადაც ორი ისტორიული პერიოდის განხილვაა მოცემული, უკანასკნელ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს, ხოლო პირველ პერიოდში დამატებით მეორე ბარათი გაიგზავნება. ხოლო თუ წიგნში სამი და მეტი პერიოდია განხილული, იგი ზოგადი პერიოდის ინდექსით უნდა აღინიშნოს, ე. ი. 9(C)1 ან 9(C)2.

წიგნები ცალკე რესპუბლიკის ან ოლქის ისტორიის გარკვეული პერიოდის შესახებ სსრ კავშირის ისტორიის სათანადო პერიოდს მიეკუთვნება, დამატებით კი რესპუბლიკის ისტორიის ინდექსი დაეწერება (პლუსის მსაზღვრელით) მაგ., 1905 წლის რევოლუცია საქართველოში —9(C) 173+9(C41).

სსრ კავშირის ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის შესახებ ლიტერატურას დაესმის ინდექსი 9(C):338. ამავე განყოფილებას მიეკუთვნება ლიტერატურა ქარხნებისა და ფაბრიკების ისტორიისა ცალკეულ პერიოდში, ხოლო დამატებით მათ დაესმის აგრეთვე სსრ კავშირის ისტორიის სათანადო პერიოდის ინდექსი; ცალკეული რესპუბლიკის ან ოლქის ფაბრიკა-ქარხნების ისტორია წავა ამავე განყოფილებაში, ხოლო დამატებით ისინი აღინიშნებიან სათანადო რესპუბლიკის ან ოლქის ისტორიაში.

პირველყოფილი საზოგადოების ისტორია „სქემაში" გამოყოფილია ინდექსით 9(1), ძველი ქვეყნების ისტორია 9(3), ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე 9(И), შემდეგ ეს ისტორია პერიოდებად არის დაყოფილი: 9(И)1 შუა საუკუნეები, 9(И) 3 ახალი ისტორია, 9(И) 7 უახლესი ისტორია. საზღვარგარეთის ცალკე ქვეყნების ისტორია ცალკე არ არის „სქემაში" გამოყოფილი. ცალკე სახელმწიფოს ისტორია სათანადო პერიოდის მსოფლიო ისტორიას მიეკუთვნება, ხოლო პერიოდის შიგნით წიგნთა აღწერილობა განლაგდება ჯერ—მოცემული პერიოდის ისტორია ზოგადად და შემდეგ ამ პერიოდის ცალკე ქვეყნების ისტორია მათი სახელწოდებათა ანბანის მიხედვით.

საისტორიო ლიტერატურის ასეთი დაყოფა მიღებულია მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის. სამეცნიერო ბიბლიოთეკებში ასეთი დაყოფა არ გამოდგება. ამიტომ სამეცნიერო ბიბლიოთეკებმა უნდა აწარმოონ ისტორიის დაყოფა ადგილისა და დროის დეტერმინანტების მიხედვით. მხოლოდ სსრ კავშირისათვის ჩვენ ვურჩევდით „სქემაში" მიღებულ სსრ კავშირის გეოგრაფიული მსაზღვრელების გამოყენებას. სსრ კავშირის ახალი მსაზღვრელის მიღება დიდად გააუმჯობესებს სისტემატური კატალოგის ისტორიის განყოფილების წყობას.

ასევეა გეოგრაფიის განყოფილება. „სქემაში" მიღებულია სსრ კავშირის ახალი გეოგრაფიული მსაზღვრელი (C) სათანადო ქვედანაყოფებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის კი მიღებულია საერთაშორისო სისტემის მხოლოდ კონტინენტების მსაზღვრელები (4) ევროპა, (5) აზია, (6) აფრიკა, (7) ამერიკა, (9) ავსტრალია და ოკეანია. სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის ეს დანაყოფები რა თქმა უნდა არ არის საკმარისი. ამიტომ სამეცნიერო ბიბლიოთეკამ გეოგრაფიის განყოფილებაში, ისევე როგორც ისტორიის განყოფილებაში სრულად უნდა გამოიყენოს საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ მიღებული გეოგრაფიული დეტერმინანტები.

5. მხატვრული ლიტერატურისა და ლინგვისტიკური ლიტერატურის კლასიფიკაცია. „სქემაში" მხატვრული ლიტერატურა გამოყოფილია ასოებით. მე-8 განყოფილებაში დატოვებულია მხოლოდ ისტორია და კრიტიკა მხატვრული ლიტერატურისა, ლიტერატურათმცოდნეობა. რუსული ლიტერატურისათვის აღებულია ასო „Р". შემდეგ რუსული ლიტერატურა იყოფა ორ პერიოდად: რევოლუციამდელი P_1 და საბჭოთა რუსული ლიტერატურა Р2. ასევე საბჭოთა კავშირის დანარჩენ ხალხთა ლიტერატურა აღნიშნულია ასო С-თი. შემდეგ იგი ისევე ორ პერიოდად იყოფა: რევოლუციამდელი С1 და საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა С2. ცალკეული ხალხის ლიტერატურა გამოიყოფა ამ ხალხის დასახელების დაწყებითი ასოების მიწერით. მაგ., უკრაინული ლიტერატურა С (Укр.)1, С (Укр.) 2 და ა. შ. უცხოური ლიტერატურისათვის მიღებულია ასო И. უცხოეთის ქვეყნების ლიტერატურა გამოიყოფა მათი დასახელების პირველი ასოებით. მაგ., ინგლისური ლიტერატურა И (Англ.) და სხვ.

ასევე, ამავე ასოების მიხედვით იყოფა ლიტერატურათმცოდნეობაც, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა, მხოლოდ წინ მიეწერება „8". მაგ., რუსული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა 8 Р, რუსული საბჭოთა პერიოდის ლიტერატურის ისტორია 8 Р2, უკრაინული ლიტერატურის ისტორია 8 С (Укр.), ინგლისური ლიტერატურის ისტორია 8 И (Англ.) და ა. შ.

ასევე იყოფა ენათმეცნიერება, მე-4 განყოფილება. მაგ., რუსული ენა 4Р, სომხური ენა 4С (Арм.) ინგლისური ენა 4 И (Англ.) და ა. შ.

თითოეული რესპუბლიკის ბიბლიოთეკას თავისი რესპუბლიკის ენა და ლიტერატურა ამ ენაზე შეუძლია ცალკე გამოჰყოს. მაგ., საქართველოში შეიძლება ქართული ლიტერატურა გამოვყოთ დაწყებითი ასოთი Г (სხვა რესპუბლიკებში ქართული ლიტერატურა იქნება С (Груз.). ქართული ლიტერატურის ისტორია 8 Г, ქართული ენა 4 Г და ა. შ.

სამეცნიერო ბიბლიოთეკებში ასეთი დაყოფის მიღება შეუძლებელია, ამიტომ იქ უნდა დარჩეს ლიტერატურისა და ენათმეცნიერების განყოფილების დაყოფა ისე, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ასოებით დაყოფა და ასე უხვად შერეული ინდექსაცია არსებითად გამარტივებას არ წარმოადგენს, არამედ რამდენიმედ ართულებს საქმეს. ეს საკითხი ალბათ მომავალში დაისმება.

6. მრავალტომიანი და სერიული გამოცემების კლასიფიკაცია. მრავალტომიანი გამოცემა განიხილება როგორც ერთი სახელწოდება, მასზე ერთი კრებსითი აღწერილობა დგება და ინდექსიც ერთი უნდა იყოს მთელ გამოცემაზე, ე. ი. ყველა ტომს ერთი საერთო ინდექსი უნდა დაეწეროს (როდესაც ჩვენ ვამბობთ „ერთი", მხედველობაში გვაქვს როგორც მარტივი ისე რთული ინდექსიც, დეტერმინანტით და, მაშასადამე, მიმართვისა და პლუსის დეტერმინანტებით. უკეთ ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ყველა ტომს საერთო ინდექსი უნდა ჰქონდეს იქნება იგი მარტივი თუ რთული). მხოლოდ კერძო შემთხვევაში, თუკი რომელიმე მრავალტომიანი ნაწარმოების ერთ-ერთ ტომს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ინტერესი აქვს, მაშინ ის ტომი ცალკე აიწერება და დაკლასიფიცირდება. ასევე ცალკე აღვწერთ და დავაკლასიფიცირებთ ჩვენ, როდესაც მრავალტომიან ნაწარმოებიდან, რაიმე მიზეზის გამო, მხოლოდ ერთი ან ორი ტომი გვაქვს და შევსების პერსპექტივა არ არის. ყველა სხვა შემთხვევაში მრავალტომიან ნაწარმოებზე ერთი საერთო „ძირითადი ადგილი", საერთო ინდექსი უნდა მოიძებნოს.

სერიული გამოცემები კი პირიქით, სერიაში შემავალი ცალკეული გამოცემა ძირითადად ცალკე დამოუკიდებლივ აიწერება და ინდექსიც მისი კონკრეტული შინაარსის მიხედვით დაეწერება. სისტემატურ კატალოგში ყოველი სერიული გამოცემა ცალკე დამოუკიდებლივ აღინუსხება.

7. პერიოდული გამოცემების კლასიფიკაცია. პერიოდული გამოცემის ერთი სახელწოდება, ყველა წლების კომპლექტები და ყველა ნორმები ამ სახელწოდებისა, განიხილება როგორც ერთი მთელი და ისე დაეწერება მას საერთო ინდექსი. ზოგადი ხასიათის ჟურნალები და გრძელდებადი გამოცემები, სადაც დაბეჭდილია წერილები სხვადასხვა დარგიდან, ე. წ. პოლილოგიური შინაარსის ჟურნალები საერთო, ზოგად განყოფილებაში (0 განყოფილება) მოთავსდება ინდექსით 05. რაც შეეხება სპეციალური ხასიათის ჟურნალებსა და გრძელდებად გამოცემებს, დარგობრივ პერიოდულ გამოცემებს, ისინი სათანადო განყოფილებას მიეკუთვნებიან და მარჯვნივ მიეწერებათ პერიოდულობის აღმნიშვნელი ფორმის მსაზღვრელი (05). სამედიცინო ჟურნალებს დაეწერება ინდექსი 61(05), (61 მედიცინაა, ხოლო (05) ჟურნალების მსაზღვრელია).

მნიშვნელოვანი ჟურნალები ანალიტიკურად უნდა იყოს გაწერილი, ან ანალიტიკურად აღწერილი ზოგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო, ან აქტუალური წერილი და ეს ანალიტიკური აღწერილობები უნდა ჩაერთოს სისტემატურ კატალოგს. ამ შემთხვევაში წერილს ინდექსი დაეწერება მისი კონკრეტული შინაარსის მიხედვით.

8. ბიბლიოგრაფიული საძიებლები ზოგად განყოფილებაში მოთავს-

დება — 01. დარგობრივი ბიბლიოგრაფიული საძიებლებიც (საძიებელი ცალკე სპეციალური დარგის ლიტერატურისა) ზოგად განყოფილებაში მოთავსდება. კერძოდ დარგობრივი ბიბლიოგრაფია — 016-ია. ხოლო შემდეგ მიმართების განმსაზღვრელით (:) ამ განყოფილებაში გამოიყოფა ცალკე დარგის ლიტერატურა; მაგალითად:

016 : 1 — ფილოსოფიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია;

016 : 33 — ეკონომიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია;

016 : 37 — პედაგოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია;

016 : 54 — ლიტერატურის ბიბლიოგრაფია ქიმიის დარგში;

016 : 61 — სამედიცინო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ა. შ.

მარქსის, ენგელსის და ლენინის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებლები მიეკუთვნება განყოფილებას — 3K. მარქსისა და ენგელსის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებლები 3K15, ლენინის — 3K25. ბიბლიოგრაფია მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებისა ცალკეულ საკითხებზე აღინიშნება დასახელებული ინდექსებით და დამატებით ისინი აღინიშნებიან, როგორც დარგობრივი ბიბლიოგრაფიები, მაგ., ბიბლიოგრაფიას მარქსისა და ენგელსის შრომებისა ეკონომიურ საკითხებზე დაესმის ინდექსი — 3K15+016 : 33.

როგორც ვხედავთ, ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა თავს იყრის კატალოგში და თაროებზე ერთად ზოგად განყოფილებაში — 01. კერძოდ დარგობრივი ბიბლიოგრაფია — 016-ში და შემდეგ მიმართების მსაზღვრელის მეშვეობით იყოფა ცალ-ცალკე დარგებად.

9. ინდექსების გაფორმება წიგნზე და ბარათზე. როდესაც ჩვენ დავადგენთ ინდექსს, შემდეგ ვაწერთ ინდექსს წიგნსა და საკატალოგო ბარათს. ტოპოგრაფიული ინდექსი, ანუ თაროს ინდექსი, წიგნს დაეწერება თავფურცელზე ან შმუცტიტულზე ზედა მარჯვენა კუთხეში, ხოლო საკატალოგო ინდექსი უბრალო შავი ფანქრით თავფურცლის ან ნახევარფურცლის (შმუცტიტულის) მეორე გვერდზე. წიგნის აღწერილობას (ბარათზე) ტოპოგრაფიული შიფრის ინდექსი დაეწერება ზედა მარცხენა კუთხეში თავსტრიქონზე, ხოლო საკატალოგო ინდექსი, რომლის მიხედვით ეს ბარათი ჩაერთვის სისტემატურ კატალოგს, დაეწერება ბარათს მარცხენა ქვედა კუთხეში, სრული საკატალოგო ინდექსი (რთული) დაეწერება ბარათს ქვედა მარჯვენა კუთხეში. ანბანური კატალოგის ბარათს სრული საკატალოგო ინდექსი დაეწერება ქვედა მარჯვენა კუთხეში, ქვედა მარცხენა კუთხეში არაფერი არ დაიწერება. ტოპოგრაფიული ინდექსი კი ყველა ბარათის ზედა მარცხენა კუთხეში დაიწერება.

ბარათი სიტყვიერი კატალოგისათვის

3K13M	მარ	ქსი, კ.
ხ—408		ხელფასი, ფასი და მოგება. თბ , სახელგამი, 1955
		80 გვ.
33.02		3K13+33 02

ბარათი ანბანური კატალოგისათვის

3K13M	მარ	ქსი, კ.
ხ—		ხელფასი, ფასი და მოგება. თბ., სახელგამი, 1955
		80 გვ.
		3K13+33.02

7. სისტემატური კატალოგის შედგენა და გაფორმება

წიგნების კლასიფიკაციისა და საკატალოგო აღწერის (კატალოგრაფირების) შემდეგ წიგნთა აღწერილობებისაგან უნდა შედგეს სისტემატური კატალოგი.

ზოგი ფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც წიგნები დაკლასიფიცირდა და აიწერა, გაფორმდა ინდექსი, კატალოგის შედგენა და აწყობა ადვილი და შედარებით უფრო ტექნიკური საქმეა: ინდექსთა გარკვეული თანმიმდევრობით უნდა აიწყოს ბარათები და სხვა არაფერია საჭირო. ეს მეტად მცდარი აზრია. კატალოგების აწყობა ანუ, მონტაჟი მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. უპირველეს ყოვლისა, ინდექსების მიხედვით კატალოგის აწყობა არც ისე იოლია, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოს ერთი შეხედვით გამოუცდელ ადამიანს. და შემდეგ, რაც მთავარია, კატალოგის აწყობის დროს და ბარათების კატალოგში ჩართვისას უნდა წარმოებდეს დასმული ინდექსების შემოწმება, საბოლოო რედაქცია და შესწორება. საქმე იმაშია, რომ ინდექსის სისწორე საბოლოოდ აწყობილ კატალოგში ჩნდება. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ თითოეული ინდექსი გარკვეულ განყოფილებას ჰქმნის, კატალოგის გარკვეულ ნაწილს აყალიბებს. ამიტომ ყოველი ინდექსი კატალოგის საერთო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, კატალოგის საერთო არქიტექტონიკის მოთხოვნილებას უნდა პასუხობდეს. კლასიფიკატორი კლასიფიკაციის დროს კატალოგის საერთო სტრუქტურიდან გამოდის და აყალიბებს თითოეულ ინდექსს, როგორც მთლიანი კატალოგის ნაწილს. მაგრამ როგორი გამოცდილი კლასიფიკატორიც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის და ყველაფერს წინასწარ ვერ გაითვალისწინებს. ინდექსის სწორი ჩამოყალიბება და მისი ნაკლი თვალნათლივ კატალოგის აწყობისას გამოჩნდება. შეიძლება ინდექსი უფრო მეტ დეტალიზაციას მოითხოვს, დამატებით მსაზღვრელების გამოყენებას, ან იქნებ მეტად დეტალურია ინდექსი, საჭიროა მისი შემოკლება, საკითხის განზოგადება, ან უმჯობესია ამ საკითხს კატალოგში სხვა ადგილი მივუჩინოთ, სხვა განყოფილებაში და ა. შ. ყველა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ინდექსებისა და კატალოგის საბოლოო გამართვა, საბოლოო რედაქცია ბარათების ჩართვისა და კატალოგის მონტაჟის დროს წარმოებს. ამიტომ კატალოგის აწყობას, ბარათების ჩართვას მეტად კვალიფიციური პირი, თვით კლასიფიკატორი უნდა აწარმოებდეს. თუ ბიბლიოთეკაში წიგნების კლასიფიკაციაზე და სისტემატური კატალოგის შედგენაზე რამდენიმე პირი მუშაობს, მათ შორის ისე კი არ უნდა იყოს შრომა განაწილებული, რომ ერთი კლასიფიკაციაზე მუშაობდეს და მეორე ბარათების ჩართვაზე და კატალოგის შედგენაზე, არამედ მათ შორის

უმჯობესია შრომა მეცნიერებათა დარგების მიხედვით განაწილდეს: ერთი დარგის ლიტერატურის კლასიფიკაციას, ამ დარგის კატალოგის აწყობასა და ბარათების შიგ ჩართვას ერთი პირი უნდა აწარმოებდეს, მეორესი—მეორე და ა. შ. როდესაც ერთი და იგივე პირი კლასიფიკაციასაც და კატალოგში ბარათების ჩართვასა და კატალოგის აწყობასაც აწარმოებს, მაშინ კლასიფიკაციისა და სისტემატური კატალოგის ხარისხი გაცილებით უკეთესი იქნება: წიგნების კლასიფიკაცია, კლასიფიკაციის პროცესი დაეხმარება მას კატალოგის უკეთ აგების, კატალოგის უკეთ შედგენის საქმეში, კატალოგის აგება, კატალოგის შედგენა კი ნათელ წარმოდგენას მისცემს კლასიფიკატორს მის მიერ დასმულ ინდექსების შესახებ, თუ რა სახეს იღებენ ისინი და რა ურთიერთობაში დგებიან ეს ინდექსები სხვა მოსაზღვრე ინდექსებთან და სხვ.

კატალოგის შედგენის პროცესი იწყება წიგნთა აღწერილობების (ბარათების) ინდექსების მიხედვით აწყობით. ბარათების აწყობისას ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ინდექსის პირველ ციფრს ვაქცევთ, ე. ი. ბარათებს, (წიგნთა აღწერილობებს) პირველად დავყოფთ ძირითადი ათი განყოფილების მიხედვით. შემდეგ განყოფილებების ფარგლებში ჩვენ წიგნთა აღწერილობებს დავყოფთ ქვეგანყოფილებათა მიხედვით, ე. ი. ყურადღებას ვაქცევთ ინდექსის მეორე ციფრს, ორნიშნა ინდექსის ფარგლებში მესამე ციფრის მიხედვით ვყოფთ ბარათებს, შემდეგ სამნიშნა ინდექსის ფარგლებში ყურადღებას ვაქცევთ მეოთხე ციფრს და მეოთხე ციფრის მიხედვით ვალაგებთ წიგნთა აღწერილობებს, შემდეგ, თუკი არის, მეხუთე ციფრის მიხედვით და ა. შ. ბოლომდე. კატალოგის აწყობისას, ისე როგორც კლასიფიკაციის დროს, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ინდექსები ათწილად ნაწევრებს წარმოადგენენ და უნდა განვალაგოთ ისინი, როგორც ათწილადი ნაწევრები, აღმავლობითი თანმიმდევრობით. კატალოგის აწყობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ერთი ინდექსის ქვეშ, როგორც ეს ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, არ შეიძლება დაგროვდეს აღწერილობანი დიდი რაოდენობით. საერთოდ მიღებულია, რომ ერთი ინდექსის ქვეშ უნდა იყოს თავმოყრილი ოცდაათამდე ბარათი. დიდი რაოდენობით ბარათების თავის მოყრა ერთი ინდექსის ქვეშ გაუძნელებს მკითხველებს მათთვის საჭირო საკითხზე ლიტერატურის მოძებნას. მეორე მხრივ არც მეტისმეტი დაწვრილებითი დაყოფა არის მიზანშეწონილი. ესეც ართულებს კატალოგს. ორი-სამი ბარათი ერთი ინდექსის ქვეშ დასაშვებია, როგორც დროებითი მოვლენა, თუ ამ საკითხს გარკვეული პერსპექტივა აქვს, თუ კატალოგის ეს განყოფილება ახლო მომავალში შეივსება ახლად შემოსული ლიტერატურის აღწერილობებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ინდე-

ქსი უნდა შემოკლდეს და მოცემული საკითხის გაერთიანება უნდა მოხდეს მის უახლოეს ზოგად საკითხთან.

ძირითადი ინდექსების მიხედვით რომ ავაწყობთ წიგნთა აღწერილობებს, შემდეგ ისინი უნდა განვალაგოთ მსაზღვრელების მიხედვით.

როგორი უნდა იყოს თანმიმდევრობა მსაზღვრელებისა კატალოგის აწყობის დროს? ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ წიგნის კლასიფიკაციის დროს, როდესაც გვხვდება რამდენიმე მსაზღვრელი, ჩვენ შემდეგ თანმიმდევრობას ვიცავთ:

1) [ა—ჰ] ანბანურ-საგნური მსაზღვრელი;
2) + მიმატების მსაზღვრელი;
3 — $\overline{0}$ ანალიტიკური (სპეციალური) მსაზღვრელი;
4) ...00 თვალსაზრისის მსაზღვრელი;
5) : მიმართების მსაზღვრელი;
6 (1—9) ადგილის მსაზღვრელი;
7) „....“ დროის მსაზღვრელი;
8) (0...) ფორმის მსაზღვრელი;
9) =1—9 ენის მსაზღვრელი.

ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი თავისი ცხრილების უკანასკნელ გამოცემებში (1927 წელსა და შემდეგი წლების გამოცემებში), რომელსაც „უნივერსალური დეციმალური კლასიფიკაცია („Classification dècimale universelle“) ეწოდება, გვირჩევს დეტერმინანტების ასეთივე თანმიმდევრობა მივიღოთ სისტემატური კატალოგის აწყობისას, როდესაც გვხვდება სხვადასხვა წიგნთა აღწერილობები (ბარათები) ერთი და იგივე ინდექსით, მაგრამ სხვადასხვა ბარათზე სხვადასხვა დეტერმინანტებია. ასეთი თანმიმდევრობა სისტემატური კატალოგის ასაწყობად მიუღებელია, რადგან ირღვევა ლოგიკური თანმიმდევრობა. ბრიუსელის საერთაშორისო ინსტიტუტი ამას გვირჩევს კატალოგიზაციის პროცესის გამარტივებისათვის, მაგრამ გამარტივება, რომელიც ლოგიკურ კატალოგში ლოგიკურ თანმიმდევრობას არღვევს, დაუშვებელია. იგივე ინსტიტუტი თავისი ცხრილის წინა გამოცემაში (1907 წლის გამოცემაში), რომელსაც ეწოდებოდა „სახელმძღვანელო უნივერსალურ ბიბლიოგრაფიულ რეპერტუარისათვის“ („Manuel du rèpertoire bibliographique universel“) და რომელსაც შემოკლებით „მანუელს“ უწოდებენ (Manuel—სახელმძღვანელო), მსაზღვრელების შემდეგ თანმიმდევრობას გვირჩევდა სისტემატურ კატალოგში:

1) (0...) ფორმის მსაზღვრელი
2) (1-9) ადგილის —„—
3) „ . . . . “ დროის —„—
4) =1—9 ენის —„—

5) : მიმართების —„—
6) — ტირე, სპეციალური —„—
7) [ა—ჰ] ანბანურ-საგნური —„—
8) .... 00 თვალსაზრისის —„—
9 .... $\overline{0}$ ანალიტიკური —„—

ეს თანმიმდევრობა უფრო ლოგიკურია ვიდრე „უნივერსალურ დეციმალურ კლასიფიკაციაში“ მოცემული. ჩემი აზრით კიდევ უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ სისტემატური კატალოგის აწყობისას მიგვეღო დეტერმინანტების პირუკუ თანმიმდევრობა, ვიდრე ეს მიღებულია წიგნის კლასიფიკაციის დროს, ე. ი. შებრუნებული თანმიმდევრობა:

დეტერმინანტების თანმიმდევრობა წიგნის კლასიფიკაციისას		დეტერმინანტების თანმიმდევრობა სისტემატური კატალოგის აწყობისას	
1. [ა—ჰ] ანბანურ-საგნური	მსაზღვრელი	1. =1—9 ენის	მსაზღვრელი
2. + მიმატების	„	2. (0..:) ფორმის	„
3. $\overline{0}$ ანალიტიკური სპეციალური	„	3. „...“ დროის	„
4. ... 00 თვალსაზრისის	„	4. (1—9) ადგილის	„
5. : მიმართების	„	5. (=1—9) ეთნიკური	„
6. (1—9) ადგილის	„	6. : მიმართების	„
7. „ ... “ დროის	„	7. ...00 თვალსაზრისის	„
8. (0 ...) ფორმის	„	8. ...$\overline{0}$ ანალიტიკური (სპეციალური)	„
9. =1—9 ენის	„	9. [ა—ჰ] ანბანურ-საგნური	„

კატალოგის აწყობისათვის განკუთვნილ ცხრილში არ არის მოცემული მიმატების მსაზღვრელი. ეს ბუნებრივია: კატალოგში ბარათების აწყობისას მიმატების მსაზღვრელს არავითარი ყურადღება არ ექცევა. მის მაგივრად ამ ცხრილში მოცემულია ეთნიკური მსაზღვრელი.

ჩვენს მიერ მოცემულ დეტერმინანტთა თანმიმდევრობა უფრო ლოგიკურია და იმავე დროს მნემონიკური (ადვილად დასამახსოვრებელი). ადვილად დასამახსოვრებელია იმისათვის, რომ ფაქტიურად ერთი ცხრილის, ერთი თანმიმდევრობის დამახსოვრება გვიხდება.

თუ დავიხსომეთ წიგნის კლასიფიკაციისას მიღებული თანმიმდევრობა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ დახსომებული გვექნება მისი შებრუნებული თანმიმდევრობაც. ამ მხარეს, მნემონიკურობას, უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მიერ მოცემული თანმიმდევრობის ლოგიკურობა სავსებით გამომდინარეობს საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ წიგნის კლასიფიკაციისათვის მოცემულ თანმიმდევრობის ლოგიკურობისაგან. თუ ლოგიკურია წიგნის კლასიფიკაციისათვის მიღებული თანმიმდევრობა, ცხადია, ლოგიკური იქნება მისი შებრუნებული წყობა ბარათების კატალოგში განლაგებისას. ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიყვანოთ მაგალითი: ავიღოთ

კატალოგში განყოილება—ქაღალდის წარმოება—676. პირველ შემთხ-ვევაში, „უდკ"-ს ვარიანტით („უნივერსალურ დეციმალურ კლასიფიკა-ციაში" მოცემული ვარიანტით). ამ განყოფილების ცალკეული საკითხები სხვადასხვა მსაზღვრელით. გამოყოფილი შემდეგი თანმიმდევრობით და-ლაგდება:

676 — ქაღალდის წარმოება ზოგადად;

676.05 — მანქანები ქაღალდის წარმოებაში;

676.008 — ქაღალდის წარმოების ორგანიზაცია;

676:331.82 —, შრომის დაცვა ქაღალდის წარმოებაში;

676(51) — ქაღალდის წარმოება ჩინეთში;

676„16" — ქაღალდის წარმოება მე-17 საუკუნეში სხვადასხვა ქვეყ-ნებში;

676(02) — სახელმძღვანელო ქაღალდის წარმოების შესახებ;

676.1 — ქაღალდის მასის დამზადება;

676.2 — სხვადასხვა ხარისხის ქაღალდის დამზადება და ა. შ.

საკითხების ასეთი თანმიმდევრობა ლოგიკურად გამართული არ არის. ზოგადი სახელმძღვანელოები ქაღალდის წარმოების შესახებ 676(02) და-ცილებულია ქაღალდის წარმოებასთან ზოგადად 676 და მათ შორის მო-თავსებულია ისეთი სპეციალური საკითხები, როგორიცაა ქაღალდის სა-წარმოო მანქანები, ქაღალდის წარმოების ორგანიზაცია, შრომის დაცვა ქაღალდის წარმოებაში და სხვ. ასევე დაცილებულია ქაღალდის წარმო-ების ზოგადი საკითხებისაგან ქაღალდის წარმოების ისტორიის საკითხი— ქაღალდის წარმოება მე-17 საუკუნეში.

„მანუელში" მოცემული თანმიმდევრობა გაცილებით უფრო ლოგი-კურია:

676 — ქაღალდის წარმოება ზოგადად;

676(02) — სახელმძღვანელო ქაღალდის წარმოების დარგში;

676(51) — ქაღალდის წარმოება ჩინეთში;

676 „16" — ქაღალდის წარმოება მე-17 საუკუნეში;

676:331.82 — შრომის დაცვა ქაღალდის წარმოებაში;

676.008 — ქაღალდის წარმოების ორგანიზაცია;

676.05 — მანქანები ქაღალდის წარმოებაში;

676.1 — ქაღალდის მასის დამზადება;

676.2 — სხვადასხვა სახის ქაღალდის დამზადება და ა. შ.

როგორც ვხედავთ, აქ ჯერ ზოგადი საკითხები მოდის და შემდეგ კერ-ძოობითი. კიდევ უფრო მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობაა დაცული ჩვენს მიერ მოცემულ ვარიანტში:

676 — ქაღალდის წარმოება ზოგადად;

676(02) — სახელმძღვანელოები ქაღალდის წარმოების შესახებ;
676„16" — ქაღალდის წარმოება მე-17 საუკუნეში;
676(51) — ქაღალდის წარმოება ჩინეთში;
676:331.82 — შრომის დაცვა ქაღალდის წარმოებაში;
676.008 — ქაღალდის წარმოების ორგანიზაცია;
676.05 — მანქანები ქაღალდის წარმოებაში;
676.1 — ქაღალდის მასის დამზადება;
676.2 — სხვადასხვა სახის ქაღალდის დამზადება და ა. შ.

ამ ვარიანტში ლოგიკური წყობა როგორც ვთქვით, კიდევ უფრო მკაცრად არის დაცული. კერძოდ დროის მსაზღვრელი წინ უსწრებს ადგილის მსაზღვრელს. ეს ასეც უნდა იყოს: ქაღალდის წარმოება დროის გარკვეულ მონაკვეთზე ყველა ქვეყნებში უფრო ზოგადია და ახლოა ქაღალდის დამზადების ზოგად საკითხთან, ვიდრე ქაღალდის დამზადება ერთ ქვეყანაში. კიდევ უფრო ნათელი იქნებოდა ეს ლოგიკურობა, რომ ჩვენს მაგალითში ყველა დეტერმინანტი ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია.

საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა უკანასკნელად პირველად მოყვანილი ვარიანტი გვირჩია, მნემონიკურობის მოსაზრებით, რომ მეორე ცხრილი თანმიმდევრობისა არ ყოფილიყო დასამახსოვრებელი. ამ პრაქტიკულ მხარეს — მნემონიკურობას აღნიშნული ინსტიტუტი, იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ მას შესწირა ლოგიკური თანმიმდევრობა. ჩვენს უკანასკნელ ვარიანტში ლოგიკური წყობაც უფრო მეტი სიმკაცრითაა დაცული და იგი სავსებით მნემონიკურია. ამიტომ ვურჩევთ ჩვენს მკითხველებს დეტერმინანტთა უკანასკნელ თანმიმდევრობას.

ასეთი თანმიმდევრობა საერთოდ მისაღებ თანმიმდევრობად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ცალკე შემთხვევაში, ისე როგორც წიგნის კლასიფიკაციის დროს, ეს თანმიმდევრობა შეიძლება შეცვლილ იქნეს, თუ ამას ამ კერძო საკითხის განსაკუთრებული ლოგიკური წყობა და მკითხველთა ინტერესი მოითხოვს.

ამგვარად ყოველმხრივ შევამოწმებთ და ავწონ-დავწონით რა ინდექსსა და მსაზღვრელებს, ჩვენ გადავწყვეტთ საკითხს თუ როგორი მოცულობით და რომელ ადგილას, როგორ წყობაში უნდა იყოს მოცემული ეს კონკრეტული საგანი ჩვენს კატალოგში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ ასეთი ყოველმხრივი შესწავლით და შემოწმებით გამოვყოფთ, ჩამოვაყალიბებთ და ლოგიკურად გარკვეულ ადგილას მოვათავსებთ ერთ განყოფილებას, ერთ რუბრიკას სისტემატურ კატალოგში. ასეთნაირად ყალიბდება თითოეული სტრუქტურული ნაწილი და საბოლოოდ ყალიბდება მთელი აღნაგობა სისტემატური კატალოგისა.

სისტემატური კატალოგის აღნაგობაზე, მის თითოეულ ნაწილზე,

განყოფილების რუბრიკის ჩამოყალიბებაზე გამუდმებით უნდა წარმოებდეს მუშაობა, არა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავიდან ვაწყობთ და ვაგებთ სისტემატურ კატალოგს, არამედ მაშინაც როდესაც ახალ ბარათებს ვრთავთ უკვე აგებულ კატალოგში. სისტემატური კატალოგი ცოცხალი ორგანიზმია, იგი მუდმივ განიცდის ცვლილებას, მას ყოველდღიურად ერთვის ახალი წიგნების აღწერილობანი, ზოგი ძველი აღწერილობა გამოირთვება. ამას გარდა ახალი კითხვები წამოიჭრება ხოლმე ცხოვრებასა და მეცნიერებაში. ამ ახალ საკითხზე ახალი ლიტერატურა გამოდის, რომელთა აღწერილობანი ასახული უნდა იყოს სისტემატურ კატალოგში, ხშირად ძველი საკითხები ახალ გაშუქებას ჰპოვებენ ხოლმე. ყოველივე ეს მოითხოვს მუდმივ ყოველდღიურ მუშაობას სისტემატურ კატალოგზე, მიმდინარე რეკატალოგიზაციის წარმოებას.

კატალოგის აგებისა და კატალოგში ახალ აღწერილობათა ჩართვის დროს, ჩვენ არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ სტრუქტურულ საკითხებს უნდა ვარკვევდეთ და ვწყვეტდეთ, არამედ თითოეული განყოფილების, ცალკე ინდექსით გამოყოფილი ყოველი ნაწილის შინაარსაც უნდა ვეცნობოდეთ და კრიტიკულად ვიხილავდეთ. ე. ი. უნდა გადავსინჯოთ რა და რა წიგნებია გამოყოფილი ამ განყოფილებაში, იქნებ ზოგი წიგნი შეცდომითაა ამ განყოფილებაში მოთავსებული და უფრო სწორი იქნებოდა მისი მეორე განყოფილებაში მოთავსება, ან რომელიღაც გამოცემები უნდა იყოს და არ არის აქ, შეცდომით სხვაგანაა მოთავსებული, ან იქნებ ზოგი გამოცემის ასახვა არც იყო ამ კატალოგში საჭირო. ყველა ამ საკითხებს ძირითადში, ცხადია, კლასიფიკატორი წყვეტს წიგნების კლასიფიკაციისას. მაგრამ კატალოგის აგებისას, კატალოგის სათანადო განყოფილებაში აღწერილობათა ჩართვისას ამ საკითხებს კატალოგიზატორმაც უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან კლასიფიკაციის დროს შესაძლებელია რომელიმე მომენტი გამორჩენოდა კლასიფიკატორს ან შეცდომა დაეშვა. როდესაც ამ წიგნის აღწერილობა სხვა წიგნთა აღწერილობებთან ერთად დგება ერთ რიგში, მაშინ უფრო ნათელი ხდება მისი სწორი თუ არა სწორი მდებარეობა სისტემატურ კატალოგში, ანუ მისთვის მიცემული ინდექსის სისწორე. როგორც ვხედავთ კატალოგის აგების, აწყობის პროცესი. კატალოგის მონტაჟის, ანუ კატალოგიზაციის პროცესი მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია.

წიგნთა აღწერილობების განლაგება განყოფილების შიგნით. გამოვყავით და ჩამოვაყალიბეთ რა ინდექსის მიხედვით კატალოგის განყოფილებები, დავაზუსტეთ რა ინდექსი, შემდეგ საჭიროა თითოეული განყოფილების შიგნით განვალაგოთ წიგნთა აღწერილობანი. განყოფილების შიგნით წიგნის აღწერილობების განლაგების რამდენიმე წესი არსებობს:

1. წიგნთა აღწერილობების ლოგიკური განლაგება, ე. ი. სისტემატური განყოფილების შიგნით აღწერილობების კვლავ სისტემატურად განლაგება. ამას აღწევენ თითოეული წიგნის ისეთი დეტალური ინდექსაციით, რომელიც ინდივიდუალიზაციამდე მიდის, ე. ი. აინდივიდუალებს წიგნს. ეს მეტად ართულებს ინდექსაციას და დადებით შედეგს მაინც ვერ აღწევს. თეორიულად თითქოს მომხიბვლელია ეს აზრი: ლოგიკურ კატალოგში გამოყოფილ განყოფილების ფარგლებშიც ლოგიკური თანმიმდევრობით განვალაგოთ წიგნთა აღწერილობანი. მაგრამ პრაქტიკულად მეტად ძნელი და სრულებით ზედმეტი გართულებაა საქმის.

2. წიგნთა აღწერილობების განლაგება მათი მნიშვნელობის მიხედვით: უფრო მნიშვნელოვან წიგნთა აღწერილობების წინ წამოწევა, ხოლო ნაკლებ მნიშვნელოვანის — ბოლოში მოთავსება. თეორიულად ეს აზრიც თითქოს მომხიბვლელია, მაგრამ პრაქტიკულად მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ყველა გამოცემის მნიშვნელობის მიხედვით განლაგება. ეს მეტად სუბიექტური იქნებოდა და შეცდომებს თავს ვერ დავაღწევდით. ეს პრინციპი ჩვენს მიერ გამოყენებულია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების მიმართ.

3. უკუქრონოლოგიური წესი. ამ წესის მიხედვით წიგნთა აღწერილობანი განყოფილების ფარგლებში ლაგდება გამოცემის წელის მიხედვით. უკანასკნელი წლების გამოცემები, უახლესი გამოცემები წინ დალაგდება, ხოლო შემდეგ წინა წლების გამოცემები. ასეთი განლაგება მიზნად ისახავს ამ საკითხზე უკანასკნელი გამოცემები წინ წამოწიოს და პირველად ამ გამოცემების შესახებ მიაწოდოს ცნობა მკითხველს. ამ წესის მომხრენი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ მკითხველები, რომლებიც სისტემატურად მუშაობენ ბიბლიოთეკაში, ისინი კარგად იცნობენ ბიბლიოთეკის ფონდს იმ დარგში, რომელშიაც ისინი მუშაობენ. მათ აინტერესებთ მხოლოდ ამ საკითხზე ახლად შემოსული ლიტერატურა. როდესაც ახლად შემოსული ლიტერატურა წინ იქნება კატალოგში გამოყოფილი, მაშინ ყოველთვის მათ არ დასჭირდებათ მთელი განყოფილების გადათვალიერება, არამედ წინა აღწერილობებს ნახავენ და მიიღებენ ცნობას ახალ გამოცემების შესახებ. ეს არ არის საფუძველს მოკლებული მოსაზრება. მაგრამ ასეთი განლაგებით კატალოგში ერთი და იგივე ავტორის შრომები ერთ საკითხზე იქსაქსებიან და არა თუ ერთი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოები, არამედ ერთი და იგივე სახელწოდება სხვადასხვა დროს გამოსული კატალოგში სხვადასხვა ადგილას ხვდება, რაც დიდ უხერხულებას ჰქმნის. საქმე იმაშია, რომ სისტემატურ კატალოგს ვერ დავუსახავთ ძირითად ამოცანად ახლად შემოსულ ლიტერატურაზე ცნობების მიწოდებას.

ამისათვის სხვა საშუალებები არსებობს, ე. წ. საინფორმაციო ბიბ-

ლიოგრაფია, წიგნის გამოფენები და სხვა ამგვარი. სისტემატური კატალოგის ამოცანაა მიაწოდოს ცნობა მკითხველს, თუ რა ლიტერატურა არსებობს ბიბლიოთეკაში ამ საკითხზე, გადაუშალოს მკითხველს ბიბლიოთეკის ფონდი შინაარსის მიხედვით. ამიტომ სისტემატური კატალოგის სარგებლობისათვის უმჯობესია, რომ ერთი ავტორის შრომები ერთ საკითხზე, მით უფრო, ერთი და იგივე სახელწოდების სხვადასხვა გამოცემები ერთად იყოს თავმოყრილი კატალოგში.

პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა ეს.

4. ყველაზე მეტად მიღებული და გავრცელებული წესი წიგნთა აღწერილობების განლაგებისა ერთ განყოფილების ფარგლებში, რომელიც სავსებით გაამართლა მრავალწლის პრაქტიკამ, არის ანბანური განლაგება. ერთი განყოფილების ფარგლებში წიგნთა აღწერილობანი უნდა განლაგდეს ავტორთა და, თუ წიგნი უავტოროა, სათაურის პირველი სიტყვის ზუსტი ანბანის მიხედვით. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები და პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებანი, რეზოლუციები და სხვა ოფიციალურ-დოკუმენტალური მასალები. ყველა განყოფილებაში (სადაც კი მოგვეპოვება ეს მასალები) პირველად ანბანის გარეშე წავა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები, შემდეგ პარტიისა და მთავრობის ოფიციალური მასალები და შემდეგ დანარჩენი მასალები ავტორთა და სათაურთა ზუსტი ანბანის მიხედვით.

ერთი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოები დალაგდება სათაურის ანბანის მიხედვით. თუ ამ ავტორის თხზულებათა კრებულია ამ განყოფილებაში მოთავსებული, მაშინ ჯერ წავა თხზულებათა კრებულის აღწერილობა, შემდეგ რჩეული თხზულებანი და შემდეგ ცალკეული ნაწარმოებები სათაურის ანბანის მიხედვით. თუ ერთი და იმავე სახელწოდების რამდენიმე გამოცემაა მოცემული, ისინი გამოცემის წლების მიხედვით დალაგდება, უკუქრონოლოგიური წესით.

კატალოგის გაფორმება. დიდი მნიშვნელობა აქვს კატალოგის გაფორმებას და უპირველეს ყოვლისა თითოეული განყოფილების გაფორმებას. ყოველი განყოფილება გამოყოფილი ინდექსით ფორმდება ე. წ. გამყოფით. გამყოფი იგივე ბარათია, მხოლოდ რამდენადმე უფრო სქელი, უფრო მკვრივი მუყაოსაგან გაკეთებული, ვიდრე ჩვეულებრივი საკატალოგო ბარათი, იმავე ზომის, როგორც საკატალოგო ბარათი, მხოლოდ ზემოთ, გარკვეულ ნაწილში, ან შუაში, ან გვერდით შვერი აქვს, ამაღლებული ნაწილი. გამყოფი მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი გამოყოფს კატალოგის ერთ განყოფილებას, ერთ ნაწილს, მეორე ნაწილისაგან, მეორე განყოფილებისაგან. გამყოფები ჩვეულებრივ ფერადია. კატალოგიზაციის სახელმძღვანელოების ავტორები და სპეციალისტები

ურჩევენ ხოლმე ბიბლიოთეკის მუშაკებს გამყოფები სხვადასხვა განყოფილებისათვის სხვადასხვა ფერის იქონიონ. ჩვენ ამ აზრს არ ვიზიარებთ. კატალოგის აპრელება, აფერადება არ არის კარგი. ეს ხელს უშლის მკითხველს და ღლის თვალს. უმჯობესია ყველა გამყოფი ერთი ფერის იყოს. ყველაზე უკეთესი და მისაღები ფერი გამყოფისა არის მწვანე ფერი; შეიძლება რუხი (ნაცრისფერი) ან ნარინჯისფერისაც იყოს, მაგრამ ერთი ფერის, მშვიდი (არა მყვირალა).

სისტემატურ კატალოგში ორგვარი გამყოფი გამოიყენება:

1) საგვარეულო გამყოფი, ანუ შუა შვერით გამყოფი, ზოგჯერ მას დიდ გამყოფს უწოდებენ და 2) სახეობითი გამყოფი, ანუ გვერდითი გამყოფი. საგვარეულო გამყოფს შვერი (ამაღლებული ნაწილი) შუაში აქვს დიდ მანძილზე, დაახლოებით ბარათის ორ მესამედ ნაწილზე (იგი იწყება გამყოფის კიდეებისაგან ერთი სანტიმეტრის დაცილებით). საგვარეულო გამყოფს მას იმიტომ უწოდებენ, რომ ამ გამყოფით კატალოგში ზოგადი განყოფილებები, საგვარეულო განყოფილებები, თუ შეიძლება ასე ითქვას, კატალოგის საგვარეულო ცნებები გამოიყოფა. ეს ძირითადი განყოფილებებია, რომლებიც ერთნიშნა ინდექსებით აღინიშნებიან და ქვეგანყოფილებები, რომლებიც ორნიშნა ინდექსებით აღინიშნებიან. დიდ ბიბლიოთეკებში საგვარეულო გამყოფით სამნიშნა ინდექსსაც და ზოგჯერ ოთხნიშნა ინდექსსაც გამოყოფენ, თუ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი განყოფილებაა და მას ბევრი ქვეგანაყოფები აქვს.

სახეობით გამყოფს სხვანაირად კიდევ გვერდით გამყოფი ეწოდება. მას შვერი გვერდით აქვს ბარათის ნახევარი სიგრძის მანძილზე. გვერდითი გამყოფი ორგვარია — მარცხენა გვერდითი და მარჯვენა გვერდითი გამყოფები. მარცხენა გვერდით გამყოფს შვერი მარცხნივ აქვს, მარჯვენა გვერდითს კი მარჯვნივ. სახეობითი, ანუ გვერდითი გამყოფით სისტემატურ კატალოგში გამოიყოფა ყველა დანარჩენი განყოფილებები, ძირითად დარგების ქვედარგები, ცალკეული საკითხები, მისი სახეობითი ცნებები. მარცხენა და მარჯვენა გამყოფს უმეტეს ბიბლიოთეკებში რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ეძლევა. ერთ ინდექსს რომ მარცხენა გამყოფით გამოჰყოფენ, მეორე ინდექსს — მარჯვენათი, შემდეგ მარცხენათი, შემდეგს მარჯვენა გამყოფით და ა. შ., რომ ყველა გამყოფი ერთი მხრივ არ იყოს და ერთმანეთი არ დაფაროს. ზოგ ბიბლიოთეკაში კი მათ გარკვეულ ლოგიკურ მნიშვნელობას აძლევენ: მარცხენა გამყოფით გამოჰყოფენ ხოლმე მარტივ ინდექსს (რომელსაც დეტერმინანტები არა აქვს), მარჯვენათი კი რთულ ინდექსს (ინდექსს დეტერმინანტებით).

გამყოფის შვერზე იწერება ინდექსი და შემდეგ იქვე, შვერზე, ამ ინდექსის განმარტება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ინდექსის განმარ-

ტებას. ვანმარტება მოკლე, მკაფიო, ნათელი, მეცნიერულად და პოლიტიკურად სწორი, გამართული და გამახვილებული უნდა იყოს. გამყოფზე ქვემოთ შუაში იწერება მითითება.

მაგალითად:

341. საერთაშორისო სამართალი

იხ. აგრეთვე
327. საერთაშორისო პოლიტიკა

წარწერები გამყოფზე უნდა გაკეთდეს კარგი, გარკვეული ხელით, საბიბლიოთეკო ხელით. წარწერებს გამყოფზე ჩვეულებრივ ტუშით აკეთებენ.

ყოველი ძირითადი განყოფილების, ქვეგანყოფილების და საერთოდ მნიშვნელოვანი დარგის წინ, რომელიც გამოყოფილია საგვარეულო გამყოფით, მოცემული უნდა იყოს ამ განყოფილების ძირითადი ქვედანაყოფები. წინად ეს ქვედანაყოფები იწერებოდა ცალკე გამყოფზე რომელიც ჩაირთვოდა უშუალოდ ძირითად გამყოფის შემდეგ. ამჟამად ძირითად ქვედანაყოფებს წერენ იმავე გამყოფზე: გამყოფი გაყოფილია ორ არათანასწორ ნაწილად სწორი ვერტიკალური ხაზით. მარცხენა ნაწილი ორი მესამედია, სიგრძით 8,5 სანტიმეტრი, ხოლო მარჯვენა ერთი მესამედი — 4 სმ. მარცხენა ნაწილზე ჩამოითვლება ძირითადი ქვედანაყოფები, ხოლო მარჯვენა ნაწილზე იწერება მითითება.

მაგალითად:

54. ქიმია

541. თეორიული ქიმია	იხ. აგრეთვე
542. ექსპერიმენტული ქიმია	66. ქიმიური
543. ანალიზური ქიმია	ტექნოლოგია
544. თვისობრივი ანალიზი	
445. რაოდენობითი ანალიზი	
546. არაორგანული ქიმია	
547. ორგანული ქიმია	
548. კრისტალოგრაფია	
549. მინერალოგია	

○

გამყოფის კარგად და სწორად გაფორმებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. გამყოფი არკვევს მკითხველს კატალოგში, იგი მკაფიოდ, თვალნათლივ გამოჰყოფს სისტემატური კატალოგის თითოეულ განყოფილებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საკატალოგო ყუთებზე წარწერებს. როგორც ცნობილია, საკატალოგო ყუთს წინ აქვს ლითონის პატარა ჩარჩო ხელის მოსაკიდებლით. ამ ჩარჩოში ჩაისმის თეთრი თხელი მუყაო ან მკვრივი ქაღალდი სუფთად, ტუშით დაწერილი პირველი და უკანასკნელი ინდექსებით, შუაში ტირეთი, რომელთა ქვეშ აღწერილობანი მოთავსებულია ამ ყუთში: მაგ., 541—546. ეს წარწერა საშუალებას აძლევს მკითხველს და ბიბლიოთეკარს სწრაფად ნახოს ის ყუთი, სადაც მოთავსებულია მისთვის საინტერესო ინდექსი (განყოფილება). მაგრამ ასეთ წარწერებს ჩვენ ბრმა წარწერებს ვუწოდებთ. აქ არ არის მოცემული ინდექსის განმარტება, რა შინაარსის შემცველია ეს ინდექსი. უმჯობესია ინდექსს მოკლედ თავისი სახელწოდება მივუწეროთ. ეს, მართალია, ძნელია ისეთ პატარა ბარათზე, რომლის ფართი ჩარჩოთია განსაზღვრუ-

ლი, მაგრამ სავსებით შესაძლებელია. მაშასადამე, საჭიროა ჩარჩოში ბარათი ასეთი წარწერით ჩავსვათ:

541. თეორიული ქიმია
546. არაორგანული ქიმია

ასეთი წარწერა უფრო ნათელი და გასაგები იქნება მკითხველისათვის. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში ვცადეთ სისტემატური კატალოგის ყუთებისათვის გაგვეკეთებია სპეციალური ჩარჩოები დიდი ფართობით. ჩარჩო იკავებს ყუთის შუბლის დიდ ნაწილს. ასეთ ჩარჩოში თავისუფლად ეტევა ყუთში მოთავსებული ყველა ძირითად განყოფილებათა დასახელება. ასეთი წარწერები უფრო ნათელი იქნებოდა და დიდად დაეხმარებოდა მკითხველებს კატალოგებში გარკვეულიყვნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ასეთი საკატალოგო ჩარჩოების დანერგვა პრაქტიკაში.



ნახ. 1.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივ საძიებელს. ეს საძიებელი, როგორც ზემოთ იყო თქმული, სისტემატური კატალოგის გასაღებს წარმოადგენს. ასეთი საძიებელი აუცილებლად უნდა იყოს საკატალოგოში სისტემატურ კატალოგთან ერთად

მოთავსებული, როგორც მისი გაგრძელება. ამ საძიებლის მნიშვნელობაზე და მისი შედგენის წესებზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

როდესაც სისტემატური კატალოგის გაფორმებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, აგრეთვე, საკატალოგოს გაფორმება. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს დიაგრამები, ცხრილები და წარწერები, რომლებიც უნდა იყოს გაკეთებული საკატალოგოში და რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველთა სისტემატურ კატალოგში ორიენტირებისათვისა და სისტემატური კატალოგის პროპაგანდისათვის.

საკატალოგოში აუცილებლად უნდა იყოს მოთავსებული დიდი ასოებით დაწერილი, კალიგრაფიულად გაფორმებული ათწილადი სისტემის ძირითადი ტაბულა ან იგივე ტაბულა დიაგრამის ან პლაკატის სახით გაფორმებული. ამას გარდა საკატალოგოში უნდა იყოს გამოკრული სისტემატური კატალოგით სარგებლობის წესები დაბეჭდილი ან კალიგრაფიულად გაფორმებული. თუ ეს წესები გაფორმებული იქნება პლაკატის სახით, ეს კიდევ უკეთესია. ამასთანავე საჭიროა კატალოგთან მორიგე ბიბლიოთეკარი გამუდმებით აწარმოებდეს ცოცხალ კონსულტაციას.

სისტემატური კატალოგი, საერთოდ, გარკვევასა და პროპაგანდას საჭიროებს. იგი მეტად საჭირო და სასარგებლო კატალოგია, მაგრამ სხვა კატალოგებთან შედარებით რთულია და მოითხოვს მკითხველთა სპეციალურ გარკვევას მასში.

თ ა ვ ი II

1. საგნობრივი კატალოგი, მისი დანიშნულება და ამოცანები

ბიბლიოთეკის კატალოგებს შორის ერთ-ერთი ძირითადი სახის კატალოგი საგნობრივი კატალოგია. საგნობრივ კატალოგში წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია წიგნის შინაარსის, ანუ წიგნის საგნის გამომხატველი სიტყვის (ან სიტყვათა) ანბანის მიხედვით. წიგნის საგნის, ანუ შინაარსის გამომხატველ სიტყვას (ან სიტყვებს) საგნობრივი რუბრიკა ეწოდება. საგნობრივი კატალოგი შემდეგნაირად შეიძლება იქნეს მოკლედ განმარტებული: საგნობრივი კატალოგი არის კატალოგი, რომელშიც წიგნთა აღწერილობანი გაწყობილია საგნობრივი რუბრიკების ანბანის რიგზე.

საგნობრივი რუბრიკა წიგნის კონკრეტული შინაარსის გამომხატველია, იგი წიგნის კონკრეტულ საგანს გამოხატავს. განზოგადება, როგორც წესი, საგნობრივ კატალოგში დაუშვებელია. მაშასადამე, საგნობრივ კატალოგში ჩვენ ვიღებთ კონკრეტულ საგანთა დასახელებებს ანბანურად გაწყობილს. სამართლიანად შენიშნავენ, რომ საგნობრივი კატალოგი ენციკლოპედიურ ლექსიკონს წაგავს. მას ხშირად ლექსიკონურ (დიქსიონერულ) კატალოგს უწოდებენ. ეს ასეც არის: ენციკლოპედიურ ლექსიკონში საგნები (საგნების გამომხატველი სიტყვები) ანბანურად განლა-

გებულია; ასევეა საგნობრივ კატალოგში საგნობრივი რუბრიკები განლაგებული. განსხვავება ისაა, რომ ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოცემულია საგნის განმარტება, ხოლო საგნობრივ კატალოგში კი თითოეულ საგანზე ლიტერატურის დასახელებაა (წიგნის აღწერილობანი) მოცემული.

როგორც ვხედავთ, საგნობრივ კატალოგში წიგნთა აღწერილობანი წიგნთა შინაარსის მიხედვით არის განლაგებული, ე. ი. იგი რეალური კატალოგია.

საგნობრივი კატალოგი უპასუხებს მკითხველის კითხვას, რა და რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში ამა და ამ საკითხზე, ამა და ამ საგანზე. რეალურია აგრეთვე სისტემატური კატალოგი. სისტემატური კატალოგიც უპასუხებს მკითხველს კითხვაზე — რა ლიტერატურა მოეპოვება ბიბლიოთეკას ამა და ამ საკითხზე. ისმის საკითხი, რა განსხვავებაა სისტემატურსა და საგნობრივ კატალოგებს შორის? თუ ორივე კატალოგი რეალურია, ე. ი. შინაარსის მიხედვით გადაშლის წიგნობრივ ფონდს მკითხველების წინაშე, თუ ორივე კატალოგი არსებითად მკითხველს ერთ კითხვაზე უპასუხებს — რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში ამა და ამ საკითხზე — მაშინ რამდენად მიზანშეწონილია ამ ორი კატალოგის თანაარსებობა? მიზანშეწონილია წიგნობრივ ფონდზე ორი სახის რეალური კატალოგი შევადგინოთ? არის თუ არა ამ ორ კატალოგს შორის პრაქტიკული მნიშვნელობის განსხვავება, რომ გამართლდეს ორივე სახის კატალოგის არსებობა? ეს კითხვა საგნობრივი კატალოგის ჩასახვასთან ერთად დაისვა ბიბლიოთეკოლოგების წინაშე და დიდი დავაც გამოიწვია.

ბიბლიოთეკათამცოდნეთა შორის, როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში, ორი მოპირდაპირე მიმართულება ჩამოყალიბდა: ერთნი—სისტემატური კატალოგის მომხრენი (მათ სისტემატიკოსებს უწოდებდნენ) ამტკიცებდნენ, რომ სისტემატური კატალოგი ძირითადი კატალოგია, რომ სისტემატური კატალოგი, კარგად შედგენილი ანბანურ-საგნობრივ საძიებლით სრულებით აკმაყოფილებს მკითხველის ყოველგვარ მოთხოვნას ლიტერატურაზე გარკვეული დარგისა და საგნის შესახებ, რომ საგნობრივი კატალოგი სრულებით ზედმეტია. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საგნობრივ კატალოგში ერთი დარგის ლიტერატურა დაქსაქსულია, რომ იგი არ იძლევა ერთი დარგის ლიტერიტურის მიმოხილვის საშუალებას, და, მაშასადამე, საგნობრივ კატალოგზე დაყრდნობით ჩვენ ვერ შევძლებთ წიგნის ფონდის შესწავლას და მის სწორად დაკომპლექტებას. ისინი მიუთითებდნენ აგრეთვე საგნობრივი კატალოგის შედგენის სიძნელეზე. საგნობრივი რუბრიკის ფორმულირება თვით ბიბლიოთეკარს უხდება მუშაობის პროცესში, სისტემატური კატალოგისათვის ინდექსების ცხრილი კი წინასწარ დამუშავებული და გამზადებულია.

სისტემატური კატალოგის მომხრეთა წარმომადგენლები საბჭოთა ბიბ-

ლიოთეკოლოგიაში იყვნენ: დობრჟინსკი, დერუნოვი, რუსინოვი და სხვები.

საგნობრივი კატალოგის მომხრენი კი, პირიქით, ამტკიცებდნენ, რომ მკითხველისათვის ერთად ერთი მისაღები და გამოსადეგი რეალური კატალოგი არის საგნობრივი კატალოგი. სისტემატური კატალოგის ინდექსები უცნობი და გაუგებარია მკითხველისათვის. საგნობრივი რუბრიკის ანბანზე მოძებნა და საგნობრივ კატალოგში გარკვევა ადვილია. ამას გარდა კლასიფიკაციის სქემა ძველდება, ცხოვრება და მაშასადამე, მეცნიერება და ლიტერატურა დიდი ნაბიჯით მიდის წინ, იგი ერთხელ დამუშავებული კლასიფიკაციის ცხრილში ვერ თავსდება, კლასიფიკაციის სისტემა ფეხდაფეხ ვერ მისდევს ცხოვრებისა და მეცნიერების განვითარებას, იგი უცვლელობითა და ჩამორჩენილობით ხასიათდება და სხვ. აღნიშნავდნენ აგრეთვე იმას, რომ სისტემატურ კატალოგში წიგნები ერთსა და იმავე საკითხზე ხშირად შეიძლება სხვადასხვა განყოფილებაში მოხვდეს და მოხვდება კიდეც. სისტემატური კატალოგის უარყოფით მხარეთ მიიჩნევდნენ აგრეთვე იმას, რომ იქ ლიტერატურა ერთ საგანზე სხვადასხვა განყოფილებაში, მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებშია განაწილებული თვალსაზრისის მიხედვით. მაგ., ლიტერატურა ლითონის შესახებ სისტემატურ კატალოგში განაწილებული იქნება შემდეგ განყოფილებებში: 546.3 (არაორგანული ქიმია), 669 (მეტალურგია), დამუშავება 621.7 (ჩამოსხმა, დაჭრა და სხვ.), ლითონის საბადოები 553.4, ლითონთა შელებვა 667.67, ლითონთა გამოყენება მშენებლობაში 691.7, ლითონის ნაკეთობანი 671 და სხვ. საგნობრივ კატალოგში კი ლიტერატურა ლითონის შესახებ ერთად იქნება თავმოყრილი სასაგნო სიტყვა „ლითონის" ქვეშ, რა თვალსაზრისით არ უნდა იყოს იგი განხილული.

ასეთი იყო მოკლედ დასახელებული ორი მოპირდაპირე მიმართულების ძირითადი მოსაზრებანი სისტემატური და საგნობრივი კატალოგების დასაცავად და წინააღმდეგ.

საგნობრივი კატალოგის მომხრეთა წარმომადგენლები ჩვენში იყვნენ: პროფ. კალიშევსკი, ივანოვი, გრებენჩიკოვი, გრადშტეინი, პოკროვსკი და სხვ.

კამათი ამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის მეტად გამწვავდა. მწვავე კამათი 10 წელი გაგრძელდა — 1924 წლიდან 1934 წლამდე. ეს საკითხი დასმული იყო რუსეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკების I კონფერენციაზე 1924 წელს და II კონფერენციაზე 1926 წელს. იგივე საკითხი დასმული იყო აგრეთვე მოსკოვის ბიბლიოთეკათა კონფერენციაზე (საბიბლიოთეკო საქმის რაციონალიზაციის შესახებ) 1927 წლის დეკემბერს და მრავალ სხვა კონფერენციებზე და სხდომებზე. ასეთივე მწვავე დისკუ-

ისა საგნობრივი და სისტემატური კატალოგების ირგვლივ მიმდინარეობდა უცხოეთშიც, განსაკუთრებით გერმანიაში.

იმთავითვე იგრძნობოდა, რომ საკითხი სწორად არ იყო დასმული და დისკუსიაც უსაფუძვლო იყო. არ იყო თავისთავად სწორი საკითხის დასმა — სისტემატური, თუ საგნობრივი კატალოგი. ეს ორი სახე კატალოგისა ერთიმეორის მოპირდაპირე, მოწინააღმდეგე, ერთიმეორის უარმყოფელი კი არ არის, არამედ ავსებს ერთმანეთს. თითოეულ მათგანს თავისი ნიზანი და ამოცანა გააჩნია, თითოეული მათგანი მკითხველის ცალკე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. საგნობრივი კატალოგი სისტემატურის მოწინააღმდეგე კი არ არის, არამედ მის დამატებას წარმოადგენს. სისტემატური კატალოგის ამოცანას წარმოადგენს, მისცეს საშუალება მკითხველსა და ბიბლიოთეკარს განიხილოს წიგნის ფონდი მეცნიერებათა დარგების მიხედვით, მიმოიხილოს და შეისწავლოს მეცნიერების გარკვეული დარგის ლიტერატურა. სისტემატური კატალოგი აუცილებელია მკითხველისათვის. როდესაც იგი სისტემატურ მუშაობას აწარმოებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, ან შეისწავლის მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, თვითგანვითარებაზე მუშაობს ან სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებს ამა თუ იმ დარგში და სხვა. საგნობრივი კატალოგი კი უპასუხებს მკითხველის კონკრეტულ შეკითხვას, როდესაც მას აინტერესებს ლიტერატურა რომელიმე ვიწრო საკითხზე, კონკრეტულ საგანზე. ხშირად მკითხველს სწრაფად უნდა მიიღოს ცნობა — რა ლიტერატურა არსებობს კონკრეტულად ამ საკითხზე, ამ საგანზე; მას არ აინტერესებს მოსაზღვრე საკითხები, ან ამ კონკრეტულ საკითხის მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ლოგიკურ კონტექსტში განხილვა და შესწავლა, არამედ პირდაპირი და სწრაფი პასუხი მოცემულ საგანზე. ასეთი შეკითხვები მკითხველების მხრივ ხშირია, განსაკუთრებით რაიმე პრაქტიკული, საწარმოო საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებით ან მოხსენების მომზადებისას და სხვ. მკითხველთა ასეთ კონკრეტულ შეკითხვებზე სწრაფ პასუხს საგნობრივი კატალოგი გასცემს.

როგორც ვხედავთ, მკითხველის ერთი სახის შეკითხვას, ერთი სახის მოთხოვნას უპასუხებს სისტემატური კატალოგი, ხოლო მეორე სახის შეკითხვას, მეორეგვარ მოთხოვნას — საგნობრივი კატალოგი. ამიტომ არ არის სწორი მათი, როგორც მოპირდაპირე. ან, მით უფრო, მოწინააღმდეგე კატალოგების განხილვა. ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთიმეორის დამატებას წარმოადგენენ. უკეთ, საგნობრივი კატალოგი სისტემატური კატალოგის დამატებაა. სისტემატური კატალოგი, რა თქმა უნდა, ძირითადი რეალური კატალოგია. სისტემატური კატალოგის გარეშე ვერც ერთი ბიბლიოთეკა ვერ იარსებებს, ყოველ შემთხვევაში, არ ჩაითვლება კარ-

გად დაყენებულ ბიბლიოთეკად. ამას კატალოგების ისტორიაც ამტკიცებს. როგორც ცნობილია, ყველაზე უძველესი და უპირველესი სახე კატალოგისა სისტემატური კატალოგი იყო. საგნობრივი კატალოგი კი შედარებით უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, სახელდობრ XIX საუკუნის (კატალოგის ისტორიის შესახებ ქვემოთ). ამჟამადაც ბიბლიოთეკების დიდი უმრავლესობა მუშაობს მხოლოდ ერთი რეალური სახის კატალოგით, სახელდობრ სისტემატური კატალოგით. მაგრამ იშვიათია ისეთი ბიბლიოთეკა, სადაც მხოლოდ საგნობრივი კატალოგი იყოს და არ იყოს სისტემატური კატალოგი, თუნდაც ტოპოგრაფიული კატალოგის სახით. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ სისტემატური კატალოგი აუცილებელია ბიბლიოთეკისათვის, იგი აუცილებელი ძირითადი სახის კატალოგია. საგნობრივი კატალოგი კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამატებითი სახის კატალოგია. იგი მეტად საჭირო და სასარგებლო კატალოგია, მაგრამ იგი საჭიროა, როგორც სისტემატური კატალოგის დამატება. საგნობრივი კატალოგი განხილული უნდა იყოს კატალოგების საერთო სისტემაში და, უპირველეს ყოვლისა, სისტემატურ კატალოგთან კავშირში. თუ ასე განვიხილავთ საგნობრივ კატალოგს, როგორც რეალურ კატალოგს, რომელსაც აქვს თავისი დანიშნულება და ამოცანები, განსხვავებული სისტემატური კატალოგისაგან, რომელიც ამატებს და ავსებს სისტემატურ კატალოგს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანამშრომლობს სისტემატურ კატალოგთან მკითხველთა ყოველმხრივ მომსახურების საქმეში, და თუ მას განვიხილავთ კატალოგების საერთო სისტემაში, იგი მეტად საჭირო და სასარგებლო კატალოგია. ხოლო თუ მას განვიხილავთ, როგორც სისტემატური კატალოგის შემცვლელს, მის მოწინააღმდეგეს, რომელმაც უნდა განდევნოს და შეცვალოს სისტემატური კატალოგი, მაშინ, ცხადია, იგი ვერ გაუძლებს ვერავითარ კრიტიკას.

როგორც სისტემატიკოსები, ისე საგნობრივი კატალოგის მომხრენი ერთ და იმავე შეცდომას უშვებდნენ: ორივენი განიხილავდნენ საგნობრივ კატალოგს, როგორც სისტემატური კატალოგის ფუნქციისა და ამოცანების შემსრულებელს, ამ უკანასკნელის შემცვლელს. სისტემატიკოსები, ილაშქრებდნენ რა საგნობრივი კატალოგის წინააღმდეგ, უყენებდნენ მას იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც სისტემატურ კატალოგს წარედგინება და, ცხადია, გამოჰყავდათ დასკვნა, რომ საგნობრივი კატალოგი ვერ შეასრულებს სისტემატური კატალოგის როლს. მაგრამ ეს არც მოეთხოვება საგნობრივ კატალოგს, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი ამოცანები და თავისი დანიშნულება აქვს. ამდენად, ყველა მათი მოსაზრებანი საგნობრივი კატალოგის წინააღმდეგ უსაფუძვლო იყო. უსაფუძვლო იყო აგრეთვე მითითება საგნობრივი კატალოგის შედგენის სიძნელეებზე, იმდენად, რამდენადაც საქმის შესრულების სიძნელე არ შე-

იძლება ჩაითვალოს თვით ამ საქმის მიზანშეუწონლობისა და შეუსრულებლობის საფუძვლად.

საგნობრივი კატალოგის მომხრენი იმავე შეცდომას უშვებენ. ფაქტიურად ისინი სისტემატიკოსების ანკესს წამოეგენ, გაილაშქრეს რა სისტემატური კატალოგის წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ რა, რომ საგნობრივი კატალოგი უკეთ შეასრულებს იმ ამოცანებს, რომლებიც სისტემატური კატალოგის წინაშეა დასახული. ცხადია, საგნობრივი კატალოგი, რომელიც თავისი აღნაგობით არ არის ლოგიკური, ვერ შეასრულებდა სისტემატური კატალოგის როლს. მტკიცება იმისა, თითქოს მეცნიერული სისტემატიკა შეუძლებელია, რადგან ცხოვრება და მეცნიერებანი ყოველდღიურად, გამუდმებით ვითარდებიან და იცვლებიან — რა თქმა უნდა უსაფუძვლოა და უდრის სოფისტურ მტკიცებას, თითქოს ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ჩასვლა არ შეიძლებოდეს, რადგან წყალი მდინარეში მიმდინარეობს და ყოველ წუთსა და წამს იცვლება. უსაფუძვლოა აგრეთვე იმის მტკიცება, თითქოს სისტემატური კატალოგი მკითხველთათვის გაუგებარი კატალოგი იყოს და თითქოს მკითხველები სისტემატურ კატალოგებში და მის ინდექსებში ვერ ერკვევოდნენ. ამის მტკიცება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც არასდროს არ უმუშავნია კარგად შედგენილ სისტემატურ კატალოგთან. სისტემატური კატალოგი ლოგიკური კატალოგია. მეცნიერებათა სისტემატიკა, მეცნიერული საკითხების ლოგიკური წყობა სავსებით გასაგებია მკითხველთათვის და ისინი ლიტერატურას მეცნიერების ამა თუ იმ საკითხზე სწორედ ამ ლოგიკურ თანმიმდევრობით ეძებენ. მკითხველები სწრაფად ერკვევიან ხოლმე კარგად შედგენილ სისტემატურ კატალოგში. ჩვენ მეტსაც ვიტყვით, გარკვეულ დარგში სისტემატურად მომუშავე ბიბლიოთეკის მკითხველმა, ამ დარგის ქვეგანყოფილებები და ინდექსები ხშირად ბიბლიოთეკარზე უკეთ იცის. ასე რომ ეს დებულება არ შეიძლება იყოს საფუძველი სისტემატური კატალოგის წინააღმდეგ.

საგნობრივი კატალოგის მომხრეები, დაუსახეს რა საგნობრივ კატალოგს სისტემატური კატალოგის ამოცანები, იძულებულნი იყვნენ სისტემატიზაცია შეეტანათ საგნობრივ კატალოგებში. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ ე. წ. „სახურავებს“, ე. ი. აწარმოებდნენ საგნობრივ რუბრიკათა განზოგადებას და მით დაუკარგეს საგნობრივ კატალოგს მისი კონკრეტული სახე. ასე მაგ., ლიტერატურას ოქტომბრის რევოლუციის შესახებ ათავსებდნენ შემდეგი რუბრიკის ქვეშ: „რუსეთი—ისტორია—რევოლუციური მოძრაობა, 1917 ოქტომბერი“. ცხადია, რომ მკითხველისათვის, რომელსაც სურს მასალები ოქტომბრის რევოლუციის შესახებ მოძებნოს რუსეთის ისტორიის კონტექსტში, უფრო მოხერხებულია მიმართოს სისტემატურ კატალოგს, ვიდრე საგნობრივს. ხოლო მკითხველი, რომელსაც

სურს სწრაფად მიიღოს კონკრეტული მასალა ოქტომბრის რევოლუციის შესახებ საგნობრივ კატალოგში, არ დაიწყებს მის ძებნას ზემოთ მოყვანილ სახურავის ქვეშ, არამედ ანბანზე მოძებნის კონკრეტული რუბრიკის ქვეშ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, 1917“.

ამავე მიზანს ემსახურება ე. წ. ინვერსიები, ე. ი. სიტყვათა გადასმა საგნობრივ რუბრიკებში; მაგ., „ორგანული ქიმიის“ ნაცვლად „ქიმია ორგანული“, „ქიმია არაორგანული“, „ქიმია ანალიზური“ და ასე შემდეგ, რაც არსებითად სისტემატური კატალოგის ქიმიის განყოფილების (ათწილად კლასიფიკაციაში — განყოფილება 54-ის) განმეორებაა.

იმ მიზნით, რომ საგნობრივი კატალოგისათვის ლოგიკური კატალოგის სახე მიეცათ, მეტად ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე ე. წ. დამაკავშირებელ მითითებებს — „იხ. აგრეთვე“, რომლის საშუალებით ცდილობდნენ დაეკავშირებიათ ერთმანეთთან ლოგიკურად მონათესავე რუბრიკები, რომლებიც ანბანურად გაფანტულია საგნობრივ კატალოგში[1]. საგნობრივი კატალოგის სისტემატიზაციის ასეთმა ცდებმა მეტად ტლანქი და გამოუსადეგარი გახადეს იგი, დაუკარგეს მას კონკრეტული კატალოგის სახე, მისი პირდაპირი დანიშნულება. საგნობრივი კატალოგი ამ სახით ვერც საგნობრივი კატალოგის ამოცანებს შეასრულებს და ვერც სისტემატურისას. საგნობრივმა კატალოგმა ასეთი დამცველების ხელში საგნობრივი კატალოგის სახე დაკარგა, სისტემატურ კატალოგად კი ვერ გადაიქცა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საგნობრივი კატალოგის დანიშნულებაა უპასუხოს მკითხველს შეკითხვაზე — რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში კონკრეტულად ამა და ამ საკითხზე, ვიწროდ ამ საგანზე. იგი ლექსიკონური ხასიათის ბიბლიოგრაფიულ ცნობარს წარმოადგენს, სადაც წიგნთა აღწერილობა მოცემულია წიგნის კონკრეტული საგნის სიტყვიერი გამოხატულების (საგნობრივი რუბრიკის) ანბანზე, ცალკე გამოყოფილად, სხვა მონათესავე საკითხებისა და საგნებისაგან დამოუკიდებლად. ესაა ამ კატალოგის დანიშნულება და კონკრეტული ცნობარის ეს სპეციფიკური ხასიათი მას არ უნდა დავუკარგოთ.

საგნობრივი კატალოგი, როგორც ზემოთ ვთქვით, სისტემატურ კატალოგთან ერთად უნდა არსებობდეს, იგი მის დამატებას წარმოადგენს. აქედან ნათელია, რომ საგნობრივი კატალოგი არ უნდა იმეორებდეს სისტემატურ კატალოგს, სისტემატური კატალოგის რუბრიკებსა და მის წყობას, სისტემატურ კატალოგში მოცემული საგნებისა და საკითხების კომპლექსირებას.

---

[1] **რუბრიკათა განზოგადების, ინვერსირებისა და მითითებების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.**

ამ დებულებაზე დაყრდნობით ცნობილმა საბჭოთა ბიბლიოთეკოლოგმა დ. ბალიკამ 1925 წელს ჟურნალ „Красный библиотекарь"-ის ფურცლებზე (№ 5) წამოაყენა იდეა საგნობრივ კატალოგში საკითხების, ლიტერატურის საგნების სხვაგვარი კომპლექსირებისა, ვიდრე სისტემატურ კატალოგში; სახელდობრ, საკითხებისა და ცნებების საგნობრივ კომპლექსირებისა და არა მათი მეცნიერებათა დისციპლინების, ე. ი. მეცნიერული თვალსაზრისის მიხედვით თავმოყრისა და დალაგებისა. მისი აზრით ლიტერატურის რუბრიკაციის პროცესი იგივე სისტემატიზაციის პროცესია, „მაგრამ სისტემატიზაცია სრულებით სხვაგვარი, რომელიც არ გავს წიგნების მიყვანას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგისადმი", არამედ მიზნად ისახავს საგნობრივი კომპლექსების შექმნას საგნობრივ კატალოგში, ე. ი. ლიტერატურის დაგროვებას ერთ საგანზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეცნიერების თვალსაზრისით არის ეს საგანი განხილული წიგნში, ისე როგორც ეს ჩვენს ზემოთ მოყვანილ მაგალითშია მოცემული — ლიტერატურა ლითონის შესახებ (საგნობრივი კატალოგი ერთად მოუყრის თავს ლიტერატურას ლითონის საბადოების შესახებ, ლითონის მოპოვების, დამუშავების, გამოყენების შესახებ და სხვ.). ეს იდეა შემდეგში პროფ. შამურინმა[1] და ვ. პ. კრუგლიკოვამ[2] განავითარეს. ამ დებულებაში, უსათუოდ, საღი აზრია ჩაქსოვილი. საგნობრივი კატალოგის აგებისას უნდა ვეცადოთ არ გავიმეოროთ სისტემატური კატალოგის განყოფილებები და ქვეგანყოფილებები. ეს პრინციპი, უეჭველად, სწორი პრინციპია, რომელიც დიდად დაგვეხმარება საგნობრივ კატალოგის სწორად აგების საქმეში. მაგრამ არ იქნება სწორი, რომ საგნობრივ კატალოგს დაუსახოთ ამოცანად საკითხების, რუბრიკების რაიმე კომპლექსირება, თუნდაც საგნობრივი კომპლექსირება ანუ, როგორც ამას ბალიკა ამბობს, საგნობრივი სისტემატიზაცია. საგნობრივ კომპლექსირებას ჩვენ მართლაც ვიღებთ საგნობრივ კატალოგში და იგი უფრო მნიშვნელოვნად ხდის საგნობრივ კატალოგს, რადგან საგნობრივი კატალოგი ამ შემთხვევაში აკმაყოფილებს მკითხველის მოთხოვნილებას არა მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ საკითხზე, ვიწრო საგანზე არამედ, იმავე დროს ერთი საგნის ირგვლივ საკითხების მთელ კომპლექსზე. ეს უეჭველად მნიშვნელოვანი შუალედია, რომელიც არ უნდა იქნეს დავიწყებული საგნობრივი კატალო-

---

[1] Шамурин Е. И. Некоторые вопросы составления предметного каталога. „Советская библиография", 1947, вып. 2, стр. 19—45.

[2] Кругликова В. П. Основные принципы предметного каталога и его место в системе библиотечных каталогов. „Советская библиография, 1950, вып. I, (20), стр. 3—26.

გის შედგენის დროს. მაგრამ არ იქნება სწორი ეს საგნობრივი კომპლექსირება საგნობრივი კატალოგის ძირითად ამოცანად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსაზღვრელ პრინციპად დავსახოთ. საგნობრივი კომპლექსირება წარმოებული პრინციპია, შედეგია კონკრეტული საგნობრივი რუბრიკების კონსტრუქციისა. საგნობრივი კატალოგის ძირითადი ამოცანაა კონკრეტული საკითხების, კონკრეტული საგნების შესახებ ლიტერატურის მოცემა მათი სახელწოდების (რუბრიკების) ანბანზე. ბევრ შემთხვევაში (შეიძლება ითქვას უმეტეს შემთხვევაში) ჩვენ არავითარ კომპლექსებს არ ვიღებთ, არამედ საგანი ცალკე, დამოუკიდებლივ არის მოცემული თავის სახელწოდებაზე, რაც მთავარი და ძირითადია საგნობრივ კატალოგის აღნაგობაში.

ამრიგად, საბოლოოდ შეგვიძლია საგნობრივი კატალოგი შემდეგნაირად განვსაზღვროთ: საგნობრივი კატალოგი არის კატალოგი, რომელშიც წიგნთა აღწერილობანი განლაგებულია წიგნის კონკრეტული საგნის გამომხატველი სიტყვის (ან სიტყვათა) ანბანის მიხედვით, რომლის ამოცანას შეადგენს მისცეს სწრაფი ცნობა მკითხველს გარკვეულ ვიწრო საკითხზე, კონკრეტულ საგანზე, ან ერთი საგნის საკითხთა კომპლექსზე ბიბლიოთეკაში დაცულ ლიტერატურის შესახებ.

როგორც ვთქვით, საგნობრივი კატალოგი უნდა იქნეს შედგენილი სისტემატურ კატალოგთან ერთად, როგორც ამ უკანასკნელის დამატება.

გარკვეულ მიმართებაში საგნობრივი კატალოგი არის აგრეთვე ანბანურ კატალოგთან. საგნობრივი კატალოგი ანბანურად არის აგებული, ისე როგორც ავტორთა ანბანური კატალოგი. ამან მისცა საფუძველი შექმნილიყო ე. წ. ჯვარედინი კატალოგი, რომელიც წარმოადგენს ანბანური და საგნობრივი კატალოგების შეერთებას, ანბანური და საგნობრივი კატალოგების გადაჯვარედინებას: ავტორთა გვარები და საგნობრივი რუბრიკები ერთ ანბანურ წყობაშია მოცემული, ერთ კატალოგშია ანბანურად გაწყობილი. სწორედ ამ კატალოგს ეწოდა დიქსიონერული, ანუ ლექსიკონური კატალოგი. ეს ნაერთი სახე კატალოგისა მეტად გავრცელდა ამერიკაში და რამდენადმე ინგლისსა და ევროპაში. დიქსიონერული კატალოგის შედგენის პირველი დასაბუთებული წესები 1876 წელს მოგვცა ცნობილმა ამერიკელმა ბიბლიოთეკოლოგმა ჩარლზ კეტერმა[1]. ამ სახის კატალოგმა ოც—ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირშიც ჰპოვა რამდენადმე გავრცელება. მაგრამ ჩვენში მალე გამოირკვა, რომ ეს ნაერთი კატალოგი მეტად ტლანქი და მკითხველთათვის გამოუსადეგარია: ავტორთა, წიგნების სათაურთა და საგნობრივ რუბრიკათა შეერთება მე-

[1] Cutter, Charls A. Rules for a dictionary catalogue. Washington, 1876.

ტად რთულ ანბანურ წყობას იძლევა, ავტორთა გვარები ხელს უშლის საგნობრივი რუბრიკის ადვილად მიგნებას, ხოლო საგნობრივი რუბრიკა— ავტორებს და სხვ. ამჟამად ამერიკაშიც თანდათან ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ ცალკე უნდა იქნეს შექმნილი საგნობრივი კატალოგი და ცალკე ანბანური. ჯვარედინი კატალოგის წინააღმდეგ აზრი გამოთქვეს ისეთმა ცნობილმა ამერიკელმა ბიბლიოთეკოლოგებმა, როგორიც არიან მაგ., კრაუსი, ვესელოვსკი, ვუდი და სხვ. დღეს დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ბიბლიოთეკაში ცალკე უნდა იქნეს შექმნილი ანბანური კატალოგი და ცალკე საგნობრივი. საჭიროა მხოლოდ მათ შორის მთელი რიგი საკითხების კოორდინირება. საგნობრივი კატალოგის შედგენისას მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში ის, რომ ბიბლიოთეკაში არის კარგად შედგენილი ანბანური კატალოგი. ამაზე ქვემოთ.

ჩვენ აქ მოცემული გვექნება საკუთრივ საგნობრივი კატალოგის შედგენის წესები.

2. საგნობრივი კატალოგის მოკლე ისტორია

ჩვენს მეცნიერებაში საგნობრივი კატალოგის წარმოშობის შესახებ დღეს მიღებულია პოლონელი ბიბლიოთეკოლოგის ლისაკოვსკის აზრი[1], რომელიც საგნობრივი კატალოგის წარმოშობას უკავშირებს ანბანურ კატალოგს. ცნობილია, რომ ანბანურ კატალოგში უავტორო ნაწარმოებნი აღწერილია სათაურზე. ადრინდელ შუა საუკუნეებში, ხშირად ავტორიან წიგნებსაც სათაურზე აღწერდნენ და არა ავტორზე (აღწერილობის საწყისი სათაური იყო და არა ავტორი). ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ადრინდელი კატალოგრაფიული წესებით უავტორო ნაწარმოებთა აღწერილობის საწყისად სათაურის პირველ სიტყვას კი არ მიიჩნევდნენ, არამედ ე. წ. „მთავარ“ სიტყვას. მთავარ სიტყვად კი, ჩვეულებრივ, მიჩნეული იყო სახელობით ბრუნვაში მდგარი პირველი სახელი არსებითი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სასაგნო სიტყვას წარმოადგენდა. ამრიგად, ადრევე შეამჩნიეს, რომ ანბანურ კატალოგში ერთ საგანზე თავს იყრიდა უავტორო ნაწარმოების აღწერილობანი. მალე შემჩნეული იყო ისიც, რომ სხვადასხვა წიგნის სათაურში ერთი და იგივე საგანი სხვადასხვაგვარად იყო ფორმულირებული, რის გამო ერთსა და იმავე საგანზე წიგნები სხვადასხვა სიტყვის ქვეშ კატალოგის სხვადასხვა ადგილას ხვდებოდნენ. ამის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „მთავარი“ სიტყვა სათაურიდან კი არ აეღოთ, არამედ წიგნის შინაარსიდან, რის შედეგადაც წარმოიშვა

[1] Lisakowski A. Katalog przedmiotoroy. Wilno, 1928.

საგნობრივი კატალოგი. ასეთია მოკლედ ლისაკოვსკის აზრი საგნობრივი კატალოგის წარმოშობის შესახებ.

ეჭვს გარეშეა, რომ ანბანურ კატალოგში „მთავარ“ სიტყვებზე გამოყოფილმა აღწერილობებმა გარკვეული როლი შეასრულეს საგნობრივი კატალოგის ისტორიაში. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ საგნობრივი კატალოგი ანბანურ კატალოგის აღნიშნული ნაწილის განვითარებას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივი საძიებლისაგან წარმოიშვა. ცნობილია, და ამას არც ლისაკოვსკი უარყოფს, რომ ანბანური კატალოგიც და საგნობრივიც ძველად, შუა საუკუნეებში და ადრეც სისტემატური კატალოგის საძიებლებს წარმოადგენდა. სისტემატურ კატალოგს უდგენდნენ როგორც ანბანურს, ისე საგნობრივ საძიებლებს. ასეთი საძიებლები დღეს საკმაო რაოდენობით არის შემორჩენილი. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში (1560 წელს) ფლორიანე ტრეფლერს კატალოგების სახეებს შორის მოხსენებული აქვს „ანბანური საძიებელი საგნობრივ ნუსხისა“, რაც ფაქტიურად საგნობრივ კატალოგს წარმოადგენს. ბევრის მთქმელია ის გარემოება, რომ ამ კატალოგს ტრეფლერი საგნობრივი ნუსხის ანბანურ საძიებელს უწოდებს. ასევე ციურიხის პროფესორი იოჰან ჰენრიხ ჰოტინგერი 1664 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ შრომაში „Bibliothecarius quadripartitus“ ასხვავებს ორი სახის გრამატიკულ კატალოგს,—რეალურ კატალოგს (catalogus grammaticus-realis) ე. ი. საგნობრივ კატალოგს და პერსონალურ კატალოგს (catalogus grammaticus personali), ე. ი. ანბანურ კატალოგს. როგორც ვხედავთ, XVI—XVII სს. საგნობრივი კატალოგი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ანბანური კატალოგისაგან განსხვავებული ცალკე საგნობრივი საძიებელი, ეს უდავოდ ადასტურებს იმ დებულებას, რომ საგნობრივი კატალოგის ფესვები სისტემატურ კატალოგის საგნობრივ საძიებელში უნდა ვეძიოთ და არა ანბანური კატალოგის ანონიმურ აღწერილობებში.

პირველ საგნობრივ კატალოგად ცნობილია ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის აბოტის მიერ შედგენილი და 1859 წელს გამოცემული კატალოგი სახელწოდებით „Alphabetical classed catalogue“. ეს კატალოგი არსებითად თემატურ-საგნობრივი კატალოგია. აქ საგნობრივი რუბრიკები გაერთიანებულია ზოგადი თემების (სახურავების) ქვეშ. თემები, ე. ი. ზოგადი რუბრიკები, მოცემულია ანბანურად, ხოლო ამ ზოგად თემების ფარგლებში კვლავ ანბანურად მოცემულია საკუთრივ—(კონკრეტული) საგნობრივი რუბრიკები. ამრიგად ეს კატალოგი არ იყო წმინდა სახის საგნობრივი კატალოგი, აქ მოცემული იყო საგნობრივი რუბრიკების სისტემატიზაციის ცდა, რაც მის სუსტ მხარეს წარმოადგენდა.

ამერიკაში საგნობრივი კატალოგი განვითარდა და გავრცელდა გან-

საკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის ცნობილმა ბიბლიოთეკოლოგმა ჩარლზ კეტერმა პირველად ჩამოაყალიბა წესები საგნობრივი კატალოგის შედგენისა მის მიერ 1876 წელს გამოცემულ შრომაში: „Rules for a dictionary catalogue". ეს იყო პირველი ცდა საგნობრივი კატალოგის შედგენისათვის მეცნიერულად დასაბუთებული წესების მოცემისა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აქ მოცემული იყო დიქსიონერული, ანუ ჯვარედინი კატალოგის შედგენის წესები. ამის შემდეგ ამერიკაში ფართოდ ვრცელდება საგნობრივი კატალოგი, განსაკუთრებით ჯვარედინი კატალოგი და საკმაოდ დიდი ლიტერატურაც გამოდის ამ საკითხზე. აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ამერიკის ბიბლიოთეკართა ასოციაციის მიერ გამოცემულ საგნობრივ რუბრიკათა ნუსხას, რომელიც განკუთვნილი იყო საჯარო (ჩვენებურად მასობრივ) ბიბლიოთეკებისათვის (list for a subject headings. A. L. A.), სირსის მიერ შედგენილს „საგნობრივი რუბრიკები მცირე ბიბლიოთეკებისათვის" (Subject headings for a small libraries) და ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ საგნობრივ რუბრიკთა ნუსხას. ეს უკანასკნელი მეტად დეტალურად და ფართოდ დამუშავებული ნუსხაა, განკუთვნილი დიდი ბიბლიოთეკების ფონდების რუბრიკაციისათვის. ეს ბუნებრივიცაა. იგი შედგენილია ისეთი დიდ და მდიდარ ფონდების ბაზაზე, როგორიცაა ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკა. აქ ფართოდ არის გამოყენებული „სახურავების" სისტემა, რაც მისი დიდი უარყოფითი მხარეა.

ინგლისში საგნობრივი კატალოგი პირველად გასული საუკუნის ოთხმოციან წლების დასაწყისში იყო შედგენილი. პირველი საგნობრივი კატალოგი შეადგინა და 1881 წელს გამოსცა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკამ. ეს იყო ბიბლიოთეკაში ახლად შემოსული წიგნების საგნობრივი კატალოგი, რომელიც შედგენილი იყო ცნობილი ბიბლიოთეკოლოგის ფორტესკიუს ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ ამ კატალოგმა საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა ინგლისშიც.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ვრცელდება საგნობრივი კატალოგი ევროპაშიც. უპირველეს ყოვლისა, აქ აღსანიშნავია ბიბლიოთეკარ ნიზეს მიერ შედგენილი ბელგიის სამეფო ბიბლიოთეკის საგნობრივი კატალოგი. შემდეგ ეშერისა და ვისის ხელმძღვანელობით შედგენილი ციურიხის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის კატალოგი. შემდეგ საგნობრივი კატალოგი გავრცელებას პოულობს მთელს ევროპაში, განსაკუთრებით კი ავსტრიასა და გერმანიაში (XX საუკუნეში).

საბჭოთა კავშირში რევოლუციამდე საგნობრივი კატალოგი არ იყო გავრცელებული. იყო ორიოდე ცდა საგნობრივი კატალოგის შედგენისა. შედგენილი იყო საგნობრივი კატალოგი, მაგ., სიმფეროპოლის საქალაქო ბიბლიოთეკაში, რომელიც მეტად მოკლედ აღწერილი აქვს ნ. ბოროვკოს თავის ბროშურაში „Библиотечный каталог", რომელიც 1912 წელს გამოვიდა ქ. სიმფეროპოლში. საგნობრივი კატალოგი შედგენილი იყო

აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს ბიბლიოთეკაში. აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფო სათათბიროს ბიბლიოთეკის გამგის ა. ბელოვის წიგნი „Правила составления каталогов“ 1915 წელს გამოსული, სადაც მოცემულია საგნობრივი კატალოგის შედგენის წესები და ცნობები საგნობრივი კატალოგის შესახებ.

გარდა აღნიშნული შრომებისა, რევოლუციამდელ რუსულ ბიბლიოთეკოლოგიურ ლიტერატურაში აღსანიშნავია შემდეგი გამოცემები და სტატიები: ე. ვეტჩინკინას სტატია „Из практики одной библиотеки“ დაბეჭდილი ჟურნალ „Библиотекарь“-ში 1912 წ., № 2, გვ. 92—100, სადაც აღწერილია ცდა საგნობრივი კატალოგის შედგენისა; ა. ბორზენკო თავის წიგნში „Книжные каталоги“, რომელიც გამოვიდა ქ. იაროსლავლში 1879 წელს, იხსენიებს საგნობრივ კატალოგს (გვ. 26—31). აქ პირველად იხსენიება საგნობრივი კატალოგი რუსულ ლიტერატურაში; საგნობრივი კატალოგი მოხსენებული აქვს ლ. ბ. ხავკინას 1904 წელს გამოსულ თავის წიგნში „Библиотеки, их организация и техника“ და 1911 წელს გამოსულ სახელმძღვანელოში „Руководство для небольших библиотек“ (ამავე წიგნის რევოლუციის შემდგომ გამოცემებშიც). საგნობრივ-სისტემატური კატალოგის იდეას ავითარებს ვ. ნ. ვასილევი წიგნში „Библиотечное дело“. ч. 4. Спб., 1912, стр. 109—113. აქ მოხსენებულ გამოცემებში და სტატიებში ავტორები მეტად მოკლედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაკვრით ეხებიან საგნობრივ კატალოგს.

საგნობრივი კატალოგი საბჭოთა კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ვრცელდება. 1920 წელს საგნობრივი კატალოგის შედგენას შეუდგა ხარკოვის საქალაქო ბიბლიოთეკა (ამჟამად ხარკოვის სახელმწიფო ბიბლიოთეკა ვ. კოროლენკოს სახელობის), შემდეგ მოსკოვის საგუბერნიო ბიბლიოთეკა და შემდეგ—(1925 წ.) კომუნისტური აკადემიის ბიბლიოთეკა (მოსკოვი) და ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. ამ ორი უკანასკნელი ბიბლიოთეკის წარმომადგენლები მოხსენებით გამოვიდნენ რუსეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკების მეორე კონფერენციაზე 1926 წელს. ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკიდან მოხსენება გააკეთა გრებენშჩიკოვმა, ხოლო კომაკადემიის ბიბლიოთეკიდან მ. ი. ივანოვმა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საგნობრივი კატალოგი რუსეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკების I და II კონფერენციების დღის წესრიგის ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა (1924 და 1926 წწ.). როგორც პირველმა ისე მეორე კონფერენციამ დადგენილება გამოიტანა საგნობრივი კატალოგის საარგებლოდ. ასევე დადებითად გადაწყდა საგნობრივი კატალოგის საკითხი 1927 წელს მოსკოვის კონფერენციაზე საბიბლიოთეკო საქმის რაციონალიზაციის შესახებ, სადაც ამ საკითხზე მოხსენებით ა. პოკროვსკი გამოვიდა. ამ კონფერენციების შემდეგ ფართოდ ვრცელდება საგ-

ნობრივი კატალოგი, განსაკუთრებით სამეცნიერო და სპეციალურ-საუ-წყებო ბიბლიოთეკებში.

მეტად საინტერესო და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა გამოდის საბჭოთა კავშირში საგნობრივი კატალოგის შესახებ, სადაც მოცემულია საგნობრივი კატალოგის, შეიძლება ითქვას, ყოველმხრივი დაშუშავება და გაშუქება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რუსეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკების ზემოხსენებული I და II კონფერენციების შრომები, სადაც მდიდარი მასალაა მოცემული, მეტად საინტერესო მოხსენებები და კამათი ამ მოხსენებების ირგვლივ. I კონფერენციის შრომები (რომელიც შედგა 1924 წელს) გამოვიდა 1926 წ., ხოლო II კონფერენციის (რომელიც შედგა 1926 წელს)—გამოვიდა 1929 წელს. I კონფერენციის შრომებში მოთავსებულია პროფ. ა. ი. კალიშევსკის მოხსენება საგნობრივი და სისტემატური კატალოგების შესახებ და თანამოხსენებები ბ. ო. ბოროვიჩის, დ. ა. ბალიკასი და ბ. პ. გუშჩინის. II კონფერენციის შრომებში — მოხსენებები ე. ა. დობრეინსკის (რომელიც საგნობრივი კატალოგის წინააღმდეგ გამოვიდა), გ. ი. ივანოვისა და ი. პ. გრებენშჩიკოვის.

მეტად საინტერესო წერილები საგნობრივი კატალოგის შესახებ იბეჭდებოდა სპეციალურ ჟურნალებში: „Красный библиотекарь", „Библиотечное обозрение", „Советская библиография" და „Техническая информация". ამ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ წერილებს შორის აქ მხოლოდ რამდენიმეს აღვნიშნავთ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პროფ. ა. ი. კალიშევსკის წერილი „О предметном каталоге" დაბეჭდილი ჟურნალში „Красный библиотекарь", 1924, № 7. აქ მოცემულია საგნობრივი კატალოგის განმარტება, მისი დანიშნულება და ამოცანები, და მეტად საინტერესო წესები საგნობრივი კატალოგის შედგენისა. მისივე წერილი „Систематический и предметный каталог" დაბეჭდილი ჟურნალში „Библиотечное обозрение", 1925, Кн. 1. აქ ავტორი იძლევა შედარებას ამ ორ რეალურ კატალოგს შორის და უპირატესობას ანიჭებს საგნობრივ კატალოგს. იგი არსებითად, მისი მოხსენებაა სამეცნიერო ბიბლიოთეკების I კონფერენციაზე უფრო სრულად დაბეჭდილი, ვიდრე კონფერენციის შრომებში.

დიდ ინტერესს წარმოადგენს დ. ა. ბალიკას წერილი „О предметном каталоге" დაბეჭდილი ჟურნალში „Красный библиотекарь" — 1926 წ. № 5, გვ. 77—92. ავტორი საგნობრივ კატალოგს იხილავს სისტემატურ კატალოგთან კავშირში და აყენებს საკითხს საგნობრივ კატალოგში ლიტერატურის საგნობრივ კომპლექსირებისას, განსხვავებით სისტემატური კატალოგის დარგობრივი კომპლექსირებისა. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამავე ავტორის წერილები დაიბეჭდა ამავე ჟურნალში 1924 წელს № 8 და №9—12. ჟურნალ „Красный библиоте-

жарь"-ში დაიბეჭდა აგრეთვე სტატიები: ლ. ბ. ხავკინასი „Техника предметного и перекрестного каталога" (1925, № 2), სადაც მოცემულია ამერიკული საგნობრივი კატალოგის აღწერა; ე. კისტიაკოვსკაიას „Спорные вопросы предметизации" (1933, № 5), სადაც ავტორი ეხება ინვერსიის, მხოლოობით და მრავლობითი რიცხვის, შემოკლებებისა და სხვ. საკითხებს; ლ. ვოროტნიკოვას—„К вопросу о предметном каталоге" (1938, № 6) და სხვა მრავალი.

ჟურნალში „Технич. информация" 1932 წელს იყო მოთავსებული მთელი რიგი სტატიებისა ტექნიკურ ბიბლიოთეკებში საგნობრივი კატალოგის აგების შესახებ. ამ სტატიებიდან ჩვენ აქ აღვნიშნავთ ზ. ილნიცკაიას სტატიებს მოთავსებულს № 2 და № 6 ჟურნალებში, რომლებიც ეხებიან საგნობრივი კატალოგების შედგენის ტექნიკური ბიბლიოთეკების პრაქტიკას; ზ. კარასიკის — „О составлении единого словаря предметных рубрик для технических материалов" (1932, № 1), კენიგსბერგერის — „Проблемы реального каталога применительно к технической литературе" (1932, № 1); მანუხინას „Составление предметного каталога" (1932, № 4) და სხვ.

ჟურნალ „Советская библиография„-ში მოთავსებულ სტატიებიდან აღვნიშნავთ ს. გერნბერგის სტატიას—„К вопросу о методологии предметного каталога" (1934, № 2, №3—4) და ვ. კრუგლიკოვას სტატიას— „Задачи централизованной предметизации" 1935, № 4, სადაც ასახულია სახელმწიფო წიგნის პალატის პრაქტიკა რუბრიკაციის ცენტრალიზაციის დარგში.

„Советская библиография„-ს 1947 წლის მე-2 ნაკვეთში მოთავსებული იყო პროფ. ე. ი. შამურინის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო სტატია, — „Некоторые вопросы составления предметного каталога", რომელიც წარმოადგენს დ. ბალიკას მიერ 1926 წელს წამოყენებულ იდეის—საგნობრივ კატალოგში მასალების საგნობრივი კომპლექსირების, საგნობრივ სისტემატიზაციის შესახებ—შემდგომ განვითარებას და დასაბუთებას. სტატია მეტად საფუძვლიანია და მთელ რიგ ახალ პრობლემებს აყენებს. ამის შესახებ ჩვენ მოკლედ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ასეთივე ინტერესს წარმოადგენს ვ. პ. კრუგლიკოვას სტატია—„Основные принципы предметного каталога и его место в системе библиотечных каталогов" დაბეჭდილია ჟურნალ „Советская библиография"-ში ნაკვ. 1(39), 1950 წ.

დაბოლოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ე. დობრეინსკის სტატია— „Предметный или систематический каталог", რომელიც დაბეჭდილი იყო ლ. ხავკინას მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში—„Библиотека", М., 1927. სტატია მიმართულია საგნობრივი კატა-

ლოგის წინააღმდეგ და ასაბუთებს სისტემატური კატალოგის უპირატესობას.

1925 წლიდან გამოდის ცალკე წიგნები საგნობრივი კატალოგის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საგნობრივი კატალოგის პიონერის ა. მ. ბელოვის შრომები: 1) „Алфавитный каталог и аннотация" Л., 1925. (ამ წიგნის სათაური შეცდომითია, უნდა იყოს „Предметный каталог", რადგან წიგნი საგნობრივ კატალოგს ეხება და არა ანბანურს) და 2) „Что такое предметный каталог и как его устроить в деревенской библиотеке", Л., 1925.

შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ბ. ბოროვიჩის შრომები. ბოროვიჩის ხელმძღვანელობით შედგენილი იყო პირველი საბჭოთა ბიბლიოთეკის საგნობრივი კატალოგი, სახელდობრ ხარკოვის ვ. გ. კოროლენკოს სახელობის ცენტრალური სახელმწიფო ბიბლიოთეკის კატალოგი. 1925 წელს ხარკოვში ბ. ბოროვიჩმა გამოსცა წიგნი „Предметный каталог". წიგნში ავტორი არკვევს სისტემატური და საგნობრივი კატალოგების დანიშნულებას, მათი მნიშვნელობის შედარებას, ხაზს უსვამს საგნობრივი კატალოგის უპირატესობას, შემდეგ გვაძლევს ხარკოვის დასახელებულ ბიბლიოთეკის საგნობრივი კატალოგის დახასიათებას, დაბოლოს მოცემულია საგნობრივი კატალოგის შედგენის მოკლე წესები. მანვე 1928 წელს გამოსცა წიგნი — „Практика предметного каталога в вопросах и ответах" და ამავე წელს საგნობრივი კატალოგის რუბრიკათა ნუსხა სახელწოდებით „Рубрики предметного каталога". ყველა ეს შრომები შედგენილი იყო ხარკოვის კოროლენკოს სახელობის ბიბლიოთეკის პრაქტიკის საფუძველზე. როგორც ა. ბელოვის, ისე ბ. ბოროვიჩის დასახელებული შრომები დღეს უკვე მოძველებულია და მათ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

საგნობრივი კატალოგის თეორიის განვითარებისა და ამ სახის კატალოგების პრაქტიკულად სწორად შედგენის საქმეში გარკვეული როლი ითამაშა ცნობილი ამერიკელი ბიბლიოთეკოლოგის ვ. ვ. ბიშოპის შრომის „Практическое руководство к современной библиотечной каталогизации"—ლ. ბ. ხავკინას რედაქციით თარგმნამ და 1927 წელს გამოცემამ. ამ წიგნის უკანასკნელი მე-7 თავი მიძღვნილია საგნობრივი რუბრიკების ფორმულირებისა და საგნობრივი კატალოგის შედგენის წესებისადმი. ავტორს მეტად საინტერესო აზრები აქვს გამოთქმული საგნობრივი კატალოგის შედგენის შესახებ.

საინტერესო მოვლენა იყო ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში 1931 წელს გამოსული ი. გრადშტეინის წიგნი—„Основные принципы предметного каталога". ეს, როგორც ვთქვით, საინტერესო თეორიული ნაშრომია, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი განიხილავს საგნობრივ კატალოგს, როგორც სისტემატური კატა-

ლოგის სახეს და იძლევა საგნობრივი კატალოგის ლოგიკურ საფუძვლებს. ჩვენ ეს შემცდარ აზრად მიგვაჩნია. დღეს საბიბლიოთეკო პრაქტიკამ, შეიძლება ითქვას, დაამტკიცა ამ შეხედულების მიუღებლობა. მიუხედავად ამისა დასახელებული ნაშრომი, უსათუოდ, დღესაც გარკვეულ თეორიულ ინტერესს წარმოადგენს.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბ. რ. ზელცლეს წიგნი საგნობრივი კატალოგის შესახებ. 1937 წელს ხელნაწერის უფლებით ლენინგრადში დაიბეჭდა მისი წიგნი—„Предметный каталог“ ე. შამურინის რედაქციით. იგივე წიგნი 1938 წელს იყო მეორედ დაბეჭდილი. ეს წიგნი წარმოადგენდა მის მიერ 1934/35 სასწავლო წელს ტექნიკურ ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო კურსებზე წაკითხულ ლექციების სტენოგრამას. შემდეგ 1940 წელს მოსკოვში გამოვიდა მისი წიგნი სახელწოდებით: „Предметный каталог. Краткое руководство по его составлению“. ეს გამოცემა ძირითადში იმეორებს წინა გამოცემებს, მაგრამ იგი საგრძნობლად შევსებულია. ამ წიგნის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორმა სწორად გადაწყვიტა საგნობრივი კატალოგის საკითხი. იგი საგნობრივ კატალოგს იხილავს კატალოგების საერთო სისტემაში, არა როგორც ერთადერთ რეალურ კატალოგს არამედ, როგორც ერთ-ერთი სახის კატალოგს, როგორც სისტემატური კატალოგის დამატებას და ამ უეჭველად სწორ პოზიციიდან გამოყავს მას საგნობრივი კატალოგის შედგენის ძირითადი მეთოდიკა. ეს უეჭველად სწორი მიდგომაა საკითხისადმი. იმ დროისათვის (1937—40 წწ.) საბჭოთა ბიბლიოთეკების პრაქტიკამ უკვე ასეთნაირად გადაწყვიტა ცნობილი დავა საგნობრივსა და სისტემატურ კატალოგებს შორის. ბ. ზელცლეს როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის დასახელებულ ნაშრომში სწორად განაზოგადა საბჭოთა ბიბლიოთეკების მდიდარი პრაქტიკა და ძირითადში სწორი მეთოდიკა მოგვცა საგნობრივი კატალოგის შედგენისა.

გარკვეულ ნაბიჯს საგნობრივი კატალოგის მეთოდიკის დარგში წარმოადგენს ვ. პ. კრუგლიკოვას 1940 და 1943 წწ. გამოსული შრომები. 1940 წელს საკავშირო წიგნის პალატამ გამოსცა ვ. პ. კრუგლიკოვას მიერ შედგენილი „Централизованная предметизация“, რომელშიც მოცემულია საგნობრივ რუბრიკათა შედგენის მეთოდიკა გამოყენებული ბეჭდურ საკატალოგო ბარათებზე საკავშირო წიგნის პალატის მიერ. 1943 წელს მოსკოვში გამოვიდა ამავე ავტორის წიგნი — „Принципы и правила расстановки в предметном каталоге.“. ეს ნაშრომი მეტად საინტერესოა. იგი შეიცავს მეტად საგულისხმო და ზოგ შემთხვევაში ახალ წესებს საგნობრივი კატალოგის შედგენისა, თუმცა რამდენიმედ ხასიათდება სისტემატიზაციისაკენ ზედმეტი გადახრით. აქვე უნდა აღინიშნოს

მის მიერ შედგენილი ნუსხა საგნობრივ რუბრიკებისა „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“, რომელიც გამოვიდა იმავე 1943 წელს.

დიდი სამამულო ომის შემდეგ მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი წიგნები გამოვიდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ი. მ. დიკოვსკაიას შრომა—„Предметный каталог“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1947 წ. ავტორმა კარგად გამოიყენა საბჭოთა ბიბლიოთეკათმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული მიღწევები ამ დარგში და მოგვცა შედარებით დახვეწილი და საგრძნობლად გაუმჯობესებული წესები საგნობრივი კატალოგის შედგენისა, თუმც წიგნში მოიპოვება, ჩვენის აზრით, რიგი სადაო დებულებებისა, რომლის შესახებ სათანადო ადგილას გვექნება საუბარი.

1956 წელს დაიბეჭდა და გამოვიდა ე. ვ. მარჩენკოს ბროშურა—„Общая методика предметизации произведений печати“ ქვესათაურში აწერია, „Лекция для студентов заочного отделения по курсу библиотековедение“, მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტის გამოცემაა. მეტისმეტად მოკლე და კონსპექტური კურსია საბიბლიოთეკო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთათვის დაწერილი, იგი 16 გვერდს შეიცავს.

1957 წელს ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ ვ. კრუგლიკოვას რედაქციით გამოსცა ს. გ. კარპოვას საფუძვლიანი ნაშრომი—„Методика предметизации технической литературы“, წიგნი 232 გვერდს მოიცავს და ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ლიტერატურის საგნირების ძირითადი მეთოდური დებულებანი. ეს ნაწილი, ჩვენ ვიტყოდით, არა მხოლოდ სპეციალური, არამედ ზოგადი მეთოდური მნიშვნელობისაა და გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს საერთოდ ყოველი დარგის ლიტერატურის რუბრიკაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ავტორი რუბრიკაციის წესების შედგენისას გამოდის იმ დებულებიდან, რომ საგნობრივი კატალოგი სისტემატურ კატალოგის გვერდით უნდა იყოს და მის დამატებას უნდა წარმოადგენდეს. მას თავის ძირითად მეთოდიკაში გამოყენებული აქვს ბალიკასა და შამურინის მიერ განვითარებული დებულება, რომ საგნობრივ კატალოგში უნდა იქნეს მოცემული განსხვავებული, ე. წ. საგნობრივი კომპლექსირება. მეორე ნაწილი სპეციალურ მეთოდიკას აქვს დათმობილი. იგი ეხება ტექნიკის სპეციალურ დარგს ლიტერატურისა და ცალკეული პრობლემებისა და საკითხების ასახვას საგნობრივ კატალოგში. ეს ნაწილი ავტორს მეტად დაწვრილებით აქვს დამუშავებული. წიგნში თითოეული დებულება მდიდარი მასალებითაა ილუსტრირებული.

ასეთია მოკლედ საბჭოთა პერიოდში გამოსული ძირითადი თეორიული სახის ლიტერატურა საგნობრივი კატალოგის შესახებ.

ამ პერიოდში გამოცემული იყო აგრეთვე საგნობრივ რუბრიკათა ნუსხები, რომელთაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ საგნობრივი კატალოგის აგებისას. ნაწილი ამ ნუსხებისა ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ (ბოროვიჩის, კრუგლიკოვასი და სხვ.). აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ნუსხების მნიშვნელოვან ცალკე გამოცემებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ა. პოკროვსკის და ე. შამშევას მიერ შედგენილი რუბრიკათა ნუსხა სახელწოდებით,—„Система рубрик и ссылок предметного каталога", მოსკოვში გამოცემული 1928 წელს. ეს რუბრიკები შედგენილი იყო ძირითადად, მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის. იგი შედგენილია მოსკოვის გუბერნიის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და კატალოგიზაციის ცენტრალური ბიუროს პრაქტიკის საფუძველზე. წინ დართული აქვს საგნობრივი კატალოგის ძირითადი წესები, რომელიც მიღებული და დამტკიცებული იყო მოსკოვის განათლების მუშაკთა ცენტრალურ სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო ასოციაციის კომისიის მიერ. ეს წესები ძირითადად დამუშავებული იყო პროფ. კალიშევსკის მიერ 1924 წელს შედგენილ წესების საფუძველზე. ნუსხა, რა თქმა უნდა მეტად მოკლეა, ბევრ განზოგადებებსა და მიუღებელ ინვერსიებს აქვს ადგილი, მაგ., „წიგნთმცოდნეობა იხ. წიგნი" ან კიდევ „ინდუსტრიალიზაცია იხ. მრეწველობა" და სხვ. მიუხედავად ამისა იგი საინტერესო ცდას წარმოადგენს და მან გარკვეული როლი შეასრულა საგნობრივი კატალოგის ისტორიაში.

1929 წელს კომუნისტური აკადემიის ბიბლიოთეკამ მოსკოვში გამოსცა საგნობრივ რუბრიკათა სიტყვარი სახელწოდებით: „Словарь предметных обозначений (рубрик)". რუბრიკათა ეს ნუსხა, როგორც ავტორები აცხადებდნენ, შედგენილი იყო ამერიკული ბიბლიოთეკების გამოცდილებისა და კერძოდ ვაშინგტონის ბიბლიოთეკის რუბრიკათა ნუსხის გამოყენებით. ნუსხის შემდგენელთათვის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ საგნობრივი კატალოგი ერთადერთი რეალური კატალოგია, რის გამო მოცემულია ცდა რუბრიკების სისტემატიზაციისა: ფართოდ არის გამოყენებული ე. წ. „სახურავები", ზოგადი რუბრიკები, ინვერსიები და სხვ. ამის შედეგად რუბრიკები მეტად ტლანქი და გამოუსადეგარი აღმოჩნდა, რაც მალე გამოირკვა. საბჭოთა ბიბლიოთეკების პრაქტიკამ უარყო რუბრიკათა ეს ნუსხა.

კარგად, ძირითადად სწორ მეთოდურ საფუძველზე იყო შედგენილი საგნობრივ რუბრიკათა ნუსხა ტექნიკური ბიბლიოთეკებისათვის. ეს ნუსხა სახელწოდებით „Предметные рубрики для технических библиотек" გამოვიდა სამ ნაკვეთად. I და II ნაკვეთები გამოვიდა 1934 წელს. III

ნაკვეთი კი გამოვიდა 1935 წელს. აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ საგნობრივი რუბრიკებია ამ გამოცემაში კარგად დამუშავებული, არამედ მითითებათა აპარატიც. ამ რუბრიკებმა დიდი დადებითი როლი შეასრულეს საგნობრივი კატალოგების ორგანიზაციის საქმეში არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ სხვა საბჭოთა სამეცნიერო ბიბლიოთეკებშიც. ამჟამად ეს რუბრიკებიც რამდენიმედ მოძველდა და ბიბლიოთეკების დღევანდელ მოთხოვნილებებს სავსებით ვერ დააკმაყოფილებს.

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე 1934 წელს გამოსული სამედიცინო ბიბლიოთეკებისათვის რუბრიკათა ლექსიკონი, შედგენილი ბოროვსკაიას, ვეინბერგის და ლისტის მიერ.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირში საკმაოდ დიდი ლიტერატურა შეიქმნა საგნობრივი კატალოგის შესახებ და ფართოდ დამუშავდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო პრაქტიკის ეს მეტად საინტერესო და აქტუალური საკითხი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა ბიბლიოთეკოლოგიამ და საბჭოთა ბიბლიოთეკების პრაქტიკამ: 1) უარჰყო სისტემატიკოსების უსაფუძვლო მოსაზრებანი საგნობრივი კატალოგის სრული უვარგისობისა და გამოუსადეგრობის შესახებ. ასევე უარჰყო საგნობრივი კატალოგის მომხრეთა აზრი სისტემატურ კატალოგის წინააღმდეგ და მიიღო სავსებით სწორი დებულება, რომ ორივე კატალოგი ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთის დამატებაა, რომ სისტემატური კატალოგი ბიბლიოთეკისათვის აუცილებელი კატალოგია და რომ საგნობრივი კატალოგი უნდა იყოს მის გვერდით, როგორც მისი დამატება. საგნობრივი კატალოგი შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ კატალოგების სისტემაში და არა როგორც ერთადერთი რეალური კატალოგი; 2) უარჰყო განზოგადებანი და სისტემატიზაციის ცდები საგნობრივ კატალოგში და მიიღო მიზანშეწონილობა ვიწრო, კონკრეტული საგნობრივი რუბრიკებისა. საგნობრივი კატალოგი არ უნდა იმეორებდეს სისტემატურ კატალოგს, არამედ უნდა წარმოადგენდეს მის დამატებას; 3) უარჰყო ე. წ. ჯვარედინი კატალოგი და მიიღო წმინდა (ცალკე) სახის საგნობრივი კატალოგი; 4) ნათელჰყო, რომ საგნობრივი კატალოგი მისაღებია და გამოსადეგია სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკებში, მასობრივ ბიბლიოთეკებში მას ისეთი გამართლება და გამოყენება არ აქვს, რომ მიზანშეწონილი იყოს იქ მისი შედგენა. საბჭოთა სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკებში სისტემატური კატალოგის გვერდით ფართოდ გავრცელდა საგნობრივი კატალოგი, ხოლო მასობრივ ბიბლიოთეკებში მან ფეხი ვერ მოიკიდა.

საქართველოშიც, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საგნობრივი კატალოგი სამეცნიერო და სპეციალურ

ბიბლიოთეკებში გავრცელდა, მასობრივ ბიბლიოთეკებში კი იგი არ ყოფილა შემოღებული.

საქართველოში საგნობრივი კატალოგი შემოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პირველი ცდა საგნობრივი კატალოგის შედგენისა ჩვენში ცნობილმა ქართველმა ბიბლიოთეკოლოგმა ივანე ციციშვილმა ჩაატარა. მან 1925—26 წწ. სცადა შეედგინა საგნობრივი კატალოგი სკოლის გარეშე მუშაკთა სახლთან არსებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის ბიბლიოთეკოლოგიურ ლიტერატურაზე. 1932 წელს საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა შეუდგა საგნობრივი კატალოგის შედგენას (მანამდე ამ ბიბლიოთეკაში ლ. ეგორაშვილი ადგენდა კატალოგს, რომელსაც უწოდებდნენ „საგნური“, მაგრამ არსებითად თემატური კატალოგი იყო). ბიბლიოთეკამ იმავითვე სწორი ხაზი აიღო: ჩვენ შევუდექით წმინდა სახის საგნობრივი კატალოგის აგებას (უარვყავით ჯვარედინი კატალოგი). საგნობრივი კატალოგი დგებოდა სისტემატურ და ანბანურ კატალოგებთან ერთად როგორც მათი დამატება. ხაზი იყო აღებული ვიწრო, კონკრეტული რუბრიკების ფორმულირებაზე. ყველა ეს დებულება საბჭოთა საბიბლიოთეკო პრაქტიკამ და თეორიამ, როგორც აღენიშნეთ, მიიღო. ამავე მეთოდურ საფუძველზე ივ. ციციშვილის ხელმძღვანელობით შემდგომ შედგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის საგნობრივი კატალოგი. ამავე დროს დიმიტრი მარკევიჩის ხელმძღვანელობით შედგენილი იყო ჯვარედინი კატალოგი ჯერ სამართლის ინსტიტუტის და შემდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში. ცოტა მოგვიანებით ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში გრიგოლ ჩსაიძემ შეადგინა საგნობრივი კატალოგი. 1936—38 წლებში თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც შედგა საგნობრივი კატალოგი.

ამ პერიოდში საქართველოს უკვე მრავალ სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკაში დგება საგნობრივი კატალოგი.

ქართულ ენაზე ლიტერატურა საგნობრივი კატალოგის შესახებ შედარებით ღარიბია. პირველი წერილი საგნობრივი კატალოგის შესახებ ეკუთვნის ნ. ლორთქიფანიძეს. იგი დაიბეჭდა კ. მარქსის სახელობის საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომების I ტომში 1934 წელს სათაურით, „საგნობრივი კატალოგის და ქართული საგნობრივი რუბრიკათა კონსტრუქციის ძირითადი პრინციპები“[1]. ავტორი აყალიბებს ძირითად წესებს საგნობრივი რუბრიკების ფორმულირებისა და საგნობრივი კატალოგის შედგენისას, გამოდის რა იმ ძირითად პრინციპებიდან, რომ

[1] ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — საგნობრივი კატალოგის და ქართული საგნობრივ. რუბრიკათა კონსტრუქციის ძირითადი პრინციპები—„საქ. რესპ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“, ტ. 1, 1934. გვ. 187—192.

საგნობრივი კატალოგი უნდა არსებობდეს სისტემატურ კატალოგთან ერთად, როგორც მისი დამატება, იგი უნდა იყოს კონკრეტული („საგნობრივი რუბრიკები უნდა იყოს ვიწრო და კონკრეტული“). პირველად ამ წერილშია ავტორის მიერ ხაზგასმული ის გარემოება, რომ ქართული ენის ბუნება კარგად ეგუება საგნობრივ კატალოგს: ის გარემოება, რომ ქართულში ორი არსებითი სახელიდან ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა წინ მიდის, ხოლო სახელობით ბრუნვაში—შემდეგ, ზედმეტად ხდის ინვერსიას და საშუალებას გვაძლევს რუბრიკა ბუნებრივი ენით გამოვხატოთ (ისე როგორც ის ცხოვრებაში გამოითქმის); ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ჩვენ საშუალება გვეძლევა მაქსიმალურად შევამციროთ რთული რუბრიკები, ე. ი. ქვერუბრიკები, და რუბრიკას მარტივი სახე მივცეთ, მაგ., საქართველოს ისტორია, თევზის მოშენება (და არა თევზი—მოშენება). რუსულ ენაზე კი ამ შემთხვევაში ინვერსიისა და რუბრიკისათვის რთული სახის მიცემა აუცილებელია (Грузия—История და სხვ.)

1939 წელს გამოვიდა შალვა დოლაქიძის ბროშურა „საგნობრივი კატალოგი“, ხოლო 1940 წელს გრ. ჩხაიძის—„საგნობრივი კატალოგი“. პირველ ბროშურაში მოცემულია საგნობრივი კატალოგის განმარტება რუბრიკათა ფორმულირების, საგნობრივი კატალოგის შედგენისა და გაფორმების წესები. მეორე წიგნში, შესავალ ნაწილში, რომელიც 16 გვერდს მოიცავს, მოცემულია მეტად მოკლედ „საგნობრივი კატალოგის პრინციპები“, ხოლო მეორე ნაწილში რუბრიკების ნუსხა.

3. საგნობრივი რუბრიკა და მისი ფორმულირება. რუბრიკაციის ზოგადი მეთოდიკა

წიგნის დასაგნების, ანუ რუბრიკაციის პროცესი, ორ ძირითად მომენტისაგან შედგება: 1) წიგნის შინაარსის გაცნობა, წიგნის შინაარსის ანალიზი და წიგნის საგნის დადგენა; 2) საგნობრივი რუბრიკის გაფორმება. წიგნის დასაგნება, ისევე როგორც კლასიფიკაცია de visu უნდა წარმოებდეს, ე. ი. წიგნის შინაარსის უშუალოდ (თვალნათლივ) გაცნობის საფუძველზე. ეს პროცესი ზუსტად ისეთივეა, როგორც კლასიფიკაციის დროს. ამიტომ ამ საკითხის გარჩევას ჩვენ აქ არ შევუდგებით. იგი ჩვენ განხილული გვაქვს ამ წიგნის I თავში—„სისტემატური კატალოგი“. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც წიგნის კლასიფიკაციის, ისე რუბრიკაციისას შედარებით მეტი დრო წიგნის შინაარსის გაცნობასა და წიგნის საგნის დადგენას მიაქვს. ამიტომ უმჯობესია, რომ წიგნის კლასიფიკაციასა და რუბრიკაციას ერთი და იგივე პირი აწარმოებდეს, ამ შემთხვევაში დროის დიდ ეკონომიას მივიღებთ: თუ მაგალითად, წიგნის შინაარსის სწრაფი ანალიზისათვის და წიგნის საგნის

დადგენისათვის საჭიროა 5 წუთი, როდესაც რუბრიკაციას ერთი პირი აწარმოებს და კლასიფიკაციას კი მეორე, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში წარმოებს ბიბლიოთეკებში, მაშინ ერთი წიგნის შინაარსის გაცნობაზე, ორჯერ მეტი დრო (ჩვენს მაგალითში 10 წუთი) დაიხარჯება (5 წუთი რუბრიკატორს და 5 წუთი კლასიფიკატორს). ხარისხიც უკეთესი იქნება, როდესაც ერთი პირი აწარმოებს ამ ორ ოპერაციას, რადგან ინდექსაციის პროცესი დაეხმარება წიგნის სწორ რუბრიკაციას და რუბრიკაციის პროცესი—ინდექსაციას. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ საჭიროა საკითხებისა და საგნების ასახვის, მათი კომპლექსირების შეთანხმება სისტემატურსა და საგნობრივ კატალოგებში. ასეთ შეთანხმებასა და ლიტერატურის უკეთ ასახვას რეალურ კატალოგებში ჩვენ მივაღწევთ, თუ ერთი და იმავე წიგნის, ერთი და იმავე საგნის კლასიფიკაციასა და რუბრიკაციას ერთი და იგივე პირი ჩაატარებს. ამას გარდა, თუ უარს ვიტყვით თანამშრომელთა შორის კატალოგების სახეების მიხედვით შრომის განაწილებაზე, ეს საშუალებას მოგვცემს მათ [1]შორის შრომის განაწილება მოვახდინოთ მეცნიერებათა დარგების მიხედვით, რაც გაცილებით უფრო რაციონალურია და დიდად შეუწყობს ხელს როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდას, ისე (რაც მთავარია) კატალოგების ხარისხის გაუმჯობესებას. გაცილებით უკეთეს შედეგს მივიღებთ, თუ ერთი დარგის ლიტერატურას დააკლასიფიცირებს და დაასაგნებს ერთი თანამშრომელი, მეორე დარგისას კი—მეორე, ვიდრე ერთმა დააკლასიფიციროს სხვადასხვა დარგის ლიტერატურა და მეორემ კი დაასაგნოს.

საგნობრივი კატალოგის აგებისას მთავარი, ბუნებრივია, საგნობრივი რუბრიკის ფორმულირებაა. საგნობრივი რუბრიკის სწორ ფორმულირებისაგანაა დამოკიდებული საგნობრივი კატალოგის ხარისხი, მისი აღნაგობის სისწორე. საჭიროა დამუშავებული იყოს და მკაცრად დაცული წესები საგნობრივი რუბრიკების ფორმულირებისა. უამისოდ შეუძლებელია საგნობრივი კატალოგის შექმნა. საგნობრივი რუბრიკის ფორმულირების წესებზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

უპირველეს ყოვლისა, რა შეიძლება იყოს საგნობრივ რუბრიკად? საგნობრივი რუბრიკა შეიძლება იყოს ყოველი საგნისა და ბუნებრივი მოვლენის დასახელება (მაგ., ტრაქტორი, კომბაინი, დინამო მანქანა, ბეტონი, ქაღალდი, ჰაერი, წყალი, ლითონი, მეხი, მცენარე, ხე, ტყე, მზე, ვარსკვლავები, ცხენი, ცხვარი და სხვ.). საზოგადოებრივი მოვლენისა და ისტორიული ამბის დასახელება (მაგ., დეკაბრისტების აჯანყება, კახეთის ამბოხება, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და სხვ.), ქვეყნის ან რაიმე გეოგრაფიული ადგილის დასახელება[1] (თბილისი, საქართველო, ევროპა, მოსკოვის ოლქი და სხვ.), პიროვნების გვარი და სახელი (რუსთაველი შოთა, ჭავჭავაძე ილია, მელიქიშვილი

პეტრე, პავლოვი, ტიმირიაზევი და სხვ.), რაიმე პროცესის დასახელება (დეზინფექცია, ფუმიგაცია, კლასიფიკაცია, კატალოგიზაცია და სხვ.), სამეცნიერო დისციპლინის, მეცნიერული საკითხის, პრობლემის დასახელება (ფიზიკა, ქიმია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პიროვნების როლი ისტორიაში, ღირებულების თეორია და სხვ.), პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და საწარმოოთა დასახელება (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, უმაღლესი სკოლების მუშაკთა პროფკავშირი, საქართველოს მუზეუმი და სხვ.), ეროვნების ტომების და სხვ. ეთნიკური სახელწოდებანი (ქართველი, რუსი, სლავები და სხვ.), ნაწარმოების ფორმა, ჟანრი და სხვ. (პერიოდიკა, ბიბლიოგრაფია, რომანი, ლექსი და სხვ.).

ახლა ისმის საკითხი ყოველგვარი ლიტერატურა აისახება საგნობრივ კატალოგში? თუ არა, რა სახის ლიტერატურა არ რუბრიცირდება და არ აისახება?

ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საგნობრივი კატალოგი კონკრეტული კატალოგია, რომ იქ წიგნთა აღწერილობანი კონკრეტულ საგნებზე, კონკრეტული საგნობრივი რუბრიკების ანბანზეა განლაგებული. ვთქვით, აგრეთვე, ისიც, რომ საგნობრივი კატალოგი არ უნდა იმეორებდეს სისტემატური კატალოგის განყოფილებებს. აქედან ნათელია, რომ ისეთი ზოგადი ხასიათის ლიტერატურა, როგორიცაა ე. წ. პოლილოგიური ლიტერატურა, ზოგადი ხასიათის კრებულები და ცნობარები, რომელიც მოიცავენ სტატიებსა და ცნობებს მეცნიერებათა სხვადასხვა დარგიდან (მრავალ ან რამდენიმე დარგიდან), ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, კალენდრები, ზოგადი ხასიათის ბიბლიოგრაფიები და სხვ. ამ გვარი ლიტერატურა არ რუბრიცირდება და საგნობრივ კატალოგში არ აღინუსხება. ასეთი ხასიათის გამოცემები რომ დავასაგნოთ, მათი რუბრიკები მეტად ზოგადი ხასიათის იქნებოდა და სავსებით გაიმეორებდა ათწილადი კლასიფიკაციის 0 განყოფილებას, მაგალითად—„ენციკლოპედიები“, „პერიოდული გამოცემები“, „ცნობარები“, „კრებულები“ და სხვა ამგვარი მეტად ზოგადი, სრულებით ზედმეტი, ფორმალური რუბრიკები.

არ რუბრიცირდება, აგრეთვე, მხატვრული ლიტერატურა. მხატვრული ლიტერატურის რუბრიკები მეტად ზოგადი იქნებოდნენ და გაიმეორებდნენ სისტემატური კატალოგის მე-8 განყოფილებას („ქართული ლიტერატურა“, „რუსული ლიტერატურა“ და სხვ.), რაც სრულებით ზედმეტი იქნებოდა. მხატვრული ლიტერატურიდან შეიძლება აღინუსხოს საგნობრივ კატალოგში მხოლოდ ისტორიული და ბიოგრაფიული ნაწარმოებნი (ისტორიული რომანები, პოემები და პიესები). მაგ., კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, ბელიაშვი-

ლის „ბესიკის თავგადასავალი“ და „ოქროს ჩარდახი“, ა. ტოლსტოის „პეტრე I“ და სხვ. ამგვარი.

სპეციალურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ საგნობრივ კატალოგებში არ აღინუსხოს ზოგადი ლიტერატურა მეცნიერების ცალკეულ დარგში. მაგ., ფიზიკის ან ქიმიის ან მეცნიერების სხვა დარგის ზოგადი ხასიათის კურსი. ასეთი ხასიათის ლიტერატურის მიმართ რუბრიკა იქნებოდა „ფიზიკა“, „ქიმია“ და სხვ. ამგვარი, რაც აგრეთვე სავსებით იმეორებს სისტემატური კატალოგის სათანადო განყოფილებებს (53, 54 და სხვ.). კერძოდ ეს საკითხი დააყენა პროფ. ე. ი. შამურინმა ზემოთ დასახელებულ სტატიაში. ეს მეტად საგულისხმო აზრია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ ეს საკითხი სადაოდ მიგვაჩნია. რუბრიკა „ფიზიკა“ ლიტერატურის მიმართ, რომლებიც ფიზიკის ზოგად კურსს წარმოადგენს, კონკრეტული რუბრიკაა, ასე რომ მივყვეთ ძნელი გადასაწყვეტი იქნება სად უნდა დავსვათ წერტილი და რა ავსახოთ საგნობრივ კატალოგში. მაგ., „თეორიული მექანიკაც“ იმეორებს ინდექსს 531, ან „აკუსტიკა“ ინდექსს 534, „ოპტიკა“ 535, „ანალიზური ქიმია“ 543, „არაორგანული ქიმია“ 546, „ორგანული ქიმია“ 547-ს და ა. შ. ისმის საკითხი ფიზიკისა და ქიმიის ამ ძირითად დარგების (თუ ქვედარგების) ზოგადი ხასიათის შრომები უნდა აისახოს, თუ არა საგნობრივ კატალოგში? თუ არა, მაშინ ვიმეორებთ სად გავჩერდეთ? ამ საკითხზე არც პატივცემული პროფ. შამურინი და არც სხვა რომელიმე ავტორი გარკვეულ პასუხს არ იძლევა, ამიტომ ამ დებულებას ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივიღებთ და ცოდნის ცალკეული დარგის შესახებ ზოგადი ლიტერატურა საგნობრივ კატალოგში აღნუსხული უნდა იყოს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბიბლიოთეკის ყველა სახის კატალოგი ერთ მთლიან სისტემას უნდა წარმოადგენდეს და თითოეული მათგანი საერთო კონტექსტში უნდა იყოს მოცემული. მაშასადამე, საგნობრივი კატალოგი შეთანხმებული უნდა იყოს არა მხოლოდ სისტემატურ კატალოგთან, არამედ ანბანურ კატალოგთანაც. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საგნობრივი კატალოგის რუბრიკები პიროვნებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ სავსებით იმეორებენ ანბანური კატალოგის ე. წ. „პერსონალიას“ და კოლექტიურ ავტორთა შესახებ („მასზე“) დამატებით აღწერილობას. ასეთი პარალელიზმი არ არის მიზანშეწონილი. უკანასკნელად ჩვენ სპეციალურ პერიოდულ გამოცემებში (ჟურნ. „Библиотекарь“ და „Советская библиография“) დაისვა საკითხი რათა ანბანურ კატალოგიდან ამოღებული იყოს „პერსონალია“ და კოლექტიურ ავტორების შესახებ დამატებითი აღწერილობანი. ამ მოთხოვნას ისინი ასაბუთებენ, იმ მოსაზრებით, რომ თითქოს „პერსო-

ნალია“ სავსებით იმეორებს სისტემატური კატალოგის ბიოგრაფიის განყოფილებას. ეს შეცდომაა, ანბანური კატალოგი ამ მხრივ არ იმეორებს სისტემატურ კატალოგს და აქ სრულ პარალელიზმს ადგილი არ აქვს. მაგ., წიგნი „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი“ სისტემატურ კატალოგში ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში, ცხადია, არ მოთავსდება. ასევე ბიოგრაფიის განყოფილებაში არ მოთავსდება წიგნი „ჩერნიშევსკის ეკონომიური შეხედულებანი“ და სხვ. ხოლო ანბანური კატალოგის „პერსონალია“ თავს მოუყრის ყველა ნაწარმოებს ამ პირის შესახებ (ჩვენს მაგალითში ჭავჭავაძისა და ჩერნიშევსკის შესახებ). მაშასადამე ანბანური კატალოგი მხოლოდ ნაწილობრივ იმეორებს ამ მხრივ სისტემატურ კატალოგს და აქ სრულ პარალელიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება. რაც შეეხება საგნობრივ კატალოგს, იგი ამ ნაწილში სავსებით გაიმეორებს ანბანურ კატალოგს, მაშასადამე, აქ სრულ პარალელიზმთან გვაქვს საქმე (ზემოთ დასახელებულ წიგნებს დაესმის რუბრიკა „ჭავჭავაძე ილია“, „ჩერნიშევსკი, ნ. გ.“ და სსვ. მისთანანი). მაშასადამე, ერთ-ერთ კატალოგიდან ასეთი ხასიათის ლიტერატურა უნდა იყოს გამორიცხული. ისმის საკითხი რომელი კატალოგიდან? ცხადია საგნობრივ კატალოგიდან, რადგან ანბანური კატალოგი ძირითადი და გენერალური კატალოგია, იგი სავალდებულოდ ყველა ბიბლიოთეკაში უნდა იყოს, ხოლო საგნობრივი კატალოგი დამატებითი კატალოგია, იგი ყველა ბიბლიოთეკაში სავალდებულო არაა. ამას გარდა საგნობრივ კატალოგში ამ სახის ლიტერატურა წარმოდგენილი იქნება ძირითადი აღწერილობებით, ხოლო ანბანურ კატალოგში—დამატებითი აღწერილობით, რაც უფრო ეკონომიურია. ამას უნდა დაემატოს ის მოსაზრებაც, რომ ანბანურ კატალოგში ლიტერატურა პირის შესახებ თავს იყრის ამ პირის ნაწარმოებებთან ერთად (აღწერილობანი ჭავჭავაძის ნაწარმოებთა და ჭავჭავაძის შესახებ), რაც ნეტად მოხერხებულია მკითხველისათვის. ყველა ამ მოსაზრებათა გამო „პერსონალია“ ანბანურ კატალოგში უნდა დარჩეს, ხოლო საგნობრივ კატალოგში ლიტერატურა პირის შესახებ (მაშასადამე, ბიოგრაფიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებიც) და დაწესებულება-ორგანიზაციების (კოლექტიურ ავტორთა) შესახებ არ უნდა იყოს ასახული. ეს ჩვენი მოსაზრებაა და საყოველთაოდ მიღებული აზრი არ არის. ამიტომ ქვემოთ ჩვენ გვექნება მოცემული წესები პერსონალური ხასიათის რუბრიკების ფორმულირებისა იმათთვის, ვინც ჩვენ არ დაგვეთანხმება და მოისურვებს აღნიშნული ლიტერატურის საგნობრივ კატალოგში აღნუსხვას. ჩვენ ვურჩევთ ბიბლიოთეკის მუშაკებს ზედმეტ ხარჯს ნუ გასწევენ და ნუ გაიმეორებენ ანბანური კატალოგის „პერსონალიას“ საგნობრივ კატალოგში.

ახლა გადავიდეთ საგნობრივი რუბრიკების ფორმულირების ზოგად წესებზე.

საგნობრივი კატალოგი, როგორც წესი, დგება ერთ ენაზე, ე. ი. ლიტერატურა ყველა ენებზე (საბჭოთა კავშირისა და უცხო ენებზე) რუბრიცირდება ერთ ენაზე: საკავშირო და რუსეთის ბიბლიოთეკებში რუსულ ენაზე, ხოლო მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების ბიბლიოთეკებში რესპუბლიკის ენაზე.

საგნობრივი რუბრიკა უნდა იყოს პოლიტიკურად და მეცნიერულად სწორი და გამართული. საგნობრივი რუბრიკა მიღებული და საყოველთაოდ გავრცელებული, ყველასათვის გასაგები, მაგრამ ამავე დროს მეცნიერულად გამართული ტერმინებით უნდა იყოს გამოხატული.

საგნობრივი რუბრიკა რაც შეიძლება მოკლედ, შეკუმშულად და დახვეწილად უნდა იყოს ფორმულირებული. სასურველია რუბრიკა ერთი სიტყვით იყოს გამოხატული, რა თქმა უნდა, როდესაც ეს შესაძლებელია. თუ საგნის მეცნიერული დაზუსტება ან საკითხის პოლიტიკურად გამახვილება მოითხოვს რუბრიკის რამდენიმე სიტყვით გამოხატვას, ჩვენ ამას არ უნდა მოვერიდოთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მოკლედ გამოვხატოთ იგი. მრავალსიტყვაობა რუბრიკის ფორმულირებისას დაუშვებელია.

საგნობრივ კატალოგში უნდა იყოს დაცული ერთგვარობა, ერთი და იგივე საგანი, მუდამ ერთი ფორმულირებით უნდა იყოს მოცემული. ლიტერატურის რუბრიკაციისას ჩვენ ხშირად გვხვდება ე. წ. სინონიმები, ე. ი. თავისი ბგერითი ფორმით სხვადასხვა სიტყვები, რომლებიც ერთ და იმავე ცნებას, ერთი და იმავე საგანს გამოხატავენ, რომელთაც ერთი და იგივე შინაარსი აქვს, მაგ., ლინგვისტიკა და ენათმეცნიერება, შემეცნების თეორია და გნოსეოლოგია, დეკლამაცია და მხატვრული კითხვა, ცხოველთა გეოგრაფია და ზოოგეოგრაფია, მიწის საკითხი და აგრარული საკითხი და სხვ. მისთანანი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ერთ-ერთი სიტყვა უნდა ავირჩიოთ, ის სიტყვა, რომელიც მეცნიერებასა და ლიტერატურაში უფრო მიღებულია, უფრო მეტად გავრცელებული და ყველასათვის გასაგები. ამ სიტყვას ჩვენ ავიღებთ როგორც საგნობრივ რუბრიკას და კატალოგში ლიტერატურას ამ საკითხზე მოვათავსებთ შერჩეული რუბრიკის ქვეშ, ხოლო დანარჩენი ფორმებიდან, დანარჩენ სინონიმურ სიტყვებიდან გავაკეთებთ ზოგად მითითებას („იხილეთ“). მაგ., ჩვენ ავირჩევთ სიტყვას „ენათმეცნიერება“ რადგან ის უფრო გავრცელებულია და უფრო გასაგები. ენათმეცნიერების შესახებ ლიტერატურის აღწერილობებს მოვათავსებთ რუბრიკა „ენათმეცნიერების“ ქვეშ ანბანურად ასო „ე“-ზე, ხოლო სიტყვა „ლინგვისტიკიდან“ გავაკეთებთ ზოგად მითითებას „ლინგვისტიკა იხ. ენათმეცნიერება“.

რუბრიკაციის დროს ჩვენ გვხვდება აგრეთვე ომონიმები. ომონიმები ისეთ სიტყვებს ეწოდება, რომელთაც ერთნაირი ბგერითი ფორმა აქვთ, (ერთნაირი ხმოვანება), ხოლო სხვადასხვა შინაარსს, სხვადასხვა ცნებას გამოხატავენ, როდესაც ერთი სიტყვა სხვადასხვა შინაარსით იხმარება. მაგ., „ბარი“ სასოფლო-სამეურნეო იარაღი და „ბარი“ გეოგრაფიული ცნება („მთა და ბარი“), ან კიდევ „კიბო“ ავადმყოფობა და „კიბო“ ცხოველი და სხვა მისთანანი. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ომონიმს ვიღებთ, როგორც საგნობრივ რუბრიკას, მაშინ მარჯვნივ, მრგვალ ფრჩხილებში, მას განმარტება უნდა მივუწეროთ, მაგ., „კიბო (ზოოლ.)“, „კიბო (ავადმყ.)“.

რუბრიკა უნდა იყოს „ვიწრო“, „კერძო“ კონკრეტული. იგი უნდა გამოხატავდეს კერძოდ ამ წიგნის საგანს, წიგნის კონკრეტულ შინაარსს. საგნობრივ კატალოგში განზოგადება დაუშვებელია, მაშასადამე, დაუშვებელია „ფართო“ ზოგადი რუბრიკები. განზოგადებას ჩვენ სისტემატურ კატალოგში ვახდენთ. აქ კი თითოეული ვიწრო საკითხი, ცალკე, დამოუკიდებლივ უნდა იყოს მოცემული, თავისი სახელწოდების (ანუ რუბრიკის) ანბანზე. მაგ., თუ წიგნის საგანია ღირებულების თეორია ჩვენ უნდა დავწეროთ რუბრიკა „ღირებულების თეორია“ და არა „პოლიტიკური ეკონომია“, ასევე, თუ ჩვენ გვაქვს წიგნი ფორთოხლის შესახებ, მას უნდა დაეწეროს რუბრიკა „ფორთოხალი“ და არა „ციტრუსები“. ან კიდევ თუ წიგნი გვაქვს მარჯანიშვილის თეატრის შესახებ რუბრიკა უნდა დაიწეროს „მარჯანიშვილის თეატრი“ და არა „ქართული თეატრი“ და მით უფრო არა „თეატრი“ და ა. შ. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს რომ ე. წ. „ფართო“, ანუ ზოგადი ცნებები ჩვენ არ გვექნება საგნობრივ კატალოგში რუბრიკად გამოყენებული. ზოგადი ცნება ზოგადი ხასიათის ლიტერატურის მიმართ კონკრეტული „ვიწრო“ რუბრიკა იქნება. მაგ., რუბრიკა „პოლიტიკური ეკონომია“ ფართო და ზოგადია იმ ლიტერატურის მიმართ, რომელიც შეეხება პოლიტიკურ ეკონომიის მხოლოდ ერთ პრობლემას (ჩვენს მაგალითში ღირებულების თეორიას), მაგრამ იგი კონკრეტული და ვიწრო რუბრიკაა ისეთი ლიტერატურის მიმართ სადაც პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსია მოცემული.

შეიძლება „ვიწრო“ რუბრიკა იყოს მოცემული, მაგრამ ე. წ. „სახურავის“, ე. ი. ზოგადი რუბრიკის ქვეშ. ესეც დაუშვებელი განზოგადებაა. მაგ., ლიტერატურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ მოცემული იყოს შემდეგი რუბრიკის ქვეშ: „რუსეთი—ისტორია—რევოლუცია, 1917 ოქტომბერი“ და არა კონკრეტული რუბრიკის ქვეშ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“, როგორც ამას მკითხველი მოძებნის. ან კიდევ 1905 წლის მოსკოვის დეკემბრის აჯანყება— რუბრიკის ქვეშ: „რუსეთი—ისტორია—რევოლუცია, 1905 — დეკემბრის

აჯანყება მოსკოვში.“ ასეთ რუბრიკებს იძლეოდა მაგ., კომაკადემიის ბიბლიოთეკა.[1] ამ შემთხვევაში ჩვენ თითქოს რუბრიკა „ვიწრო“ გვაქვს. იგი წიგნის ვიწრო შინაარსს გადმოგვცემს, მაგრამ მოცემულია ფართო „სახურავის ქვეშ“ („რუსეთი—ისტორია“). ამით იგი განზოგადებულია, სხვანაირად სისტემატიზირებულია. მკითხველი ლიტერატურას კონკრეტულ საგანზე არასდროს არ მოიებნის ასეთი სახურავების ქვეშ. საერთოდ ყოველგვარი განზოგადება საგნობრივ კატალოგში დაუშვებელია. იშვიათი გამონაკლისის სახით, ნაწილობრივ დასაშვებია სპეციალურ ბიბლიოთეკებში რამოდენიმედ „ფართო“ რუბრიკა ვისმაროთ არა სპეციალური, „შემთხვევითი“ ლიტერატურის მიმართ.

ამავე საკითხთან არის დაკავშირებული ე. წ. ინვერსიების საკითხი, მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებით ჯერ განვიხილოთ რუბრიკის გრამატიკული შემადგენლობის საკითხი.

საგნობრივი რუბრიკა საგნის გამომხატველი სიტყვაა, ამიტომ გრამატიკულად რომ განვიხილოთ იგი, მის შემადგენლობაში უსათუოდ უნდა იყოს არსებითი სახელი და უსათუოდ სახელობით ბრუნვაში. არსებითი სახელი საგნობრივობას გამოხატავს, მას სამართლიანად საგნის სახელს უწოდებენ. თუ საგნობრივი რუბრიკა ერთი სიტყვით არის გამოხატული, მაშინ იგი უსათუოდ არსებითი სახელი იქნება სახელობით ბრუნვაში. მაგრამ არის შემთხვევა როდესაც რუბრიკა ორი ან სამი სიტყვისაგან შედგება. მაშინ სახელობით ბრუნვაში მდგარ არსებით სახელს თან ახლავს ზედსართავი სახელი (მაგ., „ორგანული ქიმია“, „დიალექტიკური მატერიალიზმი“ და სხვ.). ან რიცხვითი სახელი (მაგ., „პირველი მაისი“), ან მეორე არსებითი სახელი მაგრამ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი (მაგ., „საქართველოს ისტორია“, „შემეცნების თეორია“ და სხვ.), ან კიდევ შეიძლება იყოს მეორე არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში, მაშინ ორი არსებითი სახელი კავშირით იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებული (მაგ., „რელიგია და მეცნიერება“ „მარქსიზმი და ბუნების მეტყველება“ და სხვა). იშვიათ შემთხვევაში რუბრიკა შეიძლება იყოს გამოხატული მთელი წინადადებით.

ინვერსია. რუბრიკის ფორმულირების ერთ-ერთი რთული და სადავო საკითხი იყო და არის ინვერსიის საკითხი. ინვერსია სიტყვის გადასმას ნიშნავს. როდესაც საგნობრივი რუბრიკა რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, საჭიროა თუ არა ინვერსია? კერძოდ საჭიროა თუ არა ინვერსია როდესაც რუბრიკა შედგება ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან? მაგ., ორგანული ქიმია, თუ ქიმია ორგანული, ფინანსური კაპიტალი, თუ კაპიტალი ფინანსური, ქიმიური მრეწველობა, თუ მრეწველობა ქიმიური

---

[1] Словарь предметных обозначений (рубрик), М., 1929.

და სხვა. ის ავტორები, რომელთაც საგნობრივი კატალოგი მიაჩნდათ სისტემატური კატალოგის შემცვლელად და რომლებიც ცდილობდნენ საგნობრივ კატალოგში სისტემატიზაციისათვის მიეღწიათ, მრავალნი იყვნენ ინვერსიებისა. ინვერსიების ფართოდ გამოყენების მომხრეთა წარმომადგენლებია კალიშევსკი, გ. ი. ივანოვი, გრადშტეინი, ბოროვიჩი და სხვ. მათ ორი ძირითადი მოსაზრება მოყავთ ინვერსიის სასარგებლოდ: 1) როდესაც სიტყვათა გადასმას ვაწარმოებთ, მაშინ ნნიშვნელოვანი სიტყვა, რომელიც ძირითად საგანს გამოხატავს წინ გადმოგვაქვს. საგნის სახელი ხომ არსებითი სახელია. როდესაც ზედსართავი სახელი ბოლოს გადაგვაქვს და არსებითი სახელი—წინ, ამით წიგნის ძირითადი საგნის სახელი, რომელზედაც ლოგიკური აქცენტია, წინ გადმოგვაქვს, რაც გვაძლევს საშუალებას საგნობრივ კატალოგში წიგნთა აღწერილობანი ძირითადი საგნის გამომხატველი სიტყვის ანბანზე დავალაგოთ; 2) გადმოგვაქვს რა არსებითი სახელი წინ, ამით ჩვენ საგნობრივ კატალოგში წიგნთა აღწერილობების კომპლექსირებას ვაწარმოებთ ძირითადი საგნის მიხედვით, სხვანაირად, ლიტერატურას ერთ საგანზე ერთად უყრით თავს, ვაღწევთ გარკვეულ სისტემატიზაციას საგნობრივ კატალოგში.

მაგ., ქიმია, ანალიზური
ქიმია, არაორგანული
ქიმია, ორგანული
ქიმია, ფიზიკური და ა. შ.

ერთის შეხედვით ეს თითქოს საფუძვლიანი მოსაზრებანია. თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, ეს ასე არ არის. მთელი ეს მსჯელობა სწორი იქნება თუ ჩვენ მივიღებთ ერთ წანამძღვარს. სახელდობრ იმას, რომ საგნობრივი კატალოგი ერთადერთი რეალური კატალოგია, რომ საგნობრივმა კატალოგმა უნდა შეცვალოს სისტემატური კატალოგი. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ეს მეტად მცდარი აზრია. საგნობრივი კატალოგი ვერ შეცვლის სისტემატურ კატალოგს, როგორც არ უნდა ვეცადოთ და რა ხასიათის ელემენტები სისტემატიზაციისა არ უნდა შევიტანოთ შიგ. პირიქით, თუ ჩვენ მას სისტემატური კატალოგის ამოცანები დავუსახეთ, იგი დაკარგავს თავის სპეციფიკას, თავის პირდაპირ დანიშნულებას, ხოლო სისტემატურ კატალოგად იგი მაინც ვერ გამოდგება. მაშასადამე, საგნობრივი კატალოგი შეიძლება გამართლებული იქნას მხოლოდ, როგორც კონკრეტული კატალოგი, სისტემატურ კატალოგის დამატება. თუ ამ წანამძღვარს მივიღებთ, და საბჭოთა ბიბლიოთეკების პრაქტიკამ სწორედ ეს მიიღო, მაშინ მთელ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას საფუძველი ეკარგება. მართლაც რა საჭიროა საგნობრივ კატალოგში სიტყვა „ქიმიის“ ქვეშ თავი მოვუყაროთ ქიმიის

ყველა დარგებსა და საკითხებს, როდესაც ეს გაცილებით უფრო სრულად და ლოგიკური თანმიმდევრობით გვაქვს სისტემატურ კატალოგში (54 განყოფილება ათწილადი კლასიფიკაციით), რა საჭიროა საგნობრივ კატალოგში სისტემატური კატალოგის განყოფილებათა განმეორება? შემდეგ მნიშვნელოვანი, მთავარი სიტყვის შესახებ (ე. წ. „ударное слово“). საგნობრივ კატალოგში მნიშვნელოვანი სწორედ ის სიტყვაა, რომელიც კონკრეტულ საგნის მსაზღვრელია და რომელიც, ასხვავებს ამ კონკრეტულ საგანს სხვა მის მაგვარ საგნისაგან. ზედსართავი სახელი კი სწორედ მსაზღვრელია, ხოლო არსებითი სახელი საზღვრული. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია საგნობრივ რუბრიკაში ზედსართავი სახელი წინ იყოს, რადგან, როგორც ზევით ვთქვით, საგნობრივი კატალოგის ამოცანაა მისცეს ცნობა მკითხველს, თუ რა ლიტერატურა არსებობს ბიბლიოთეკაში კონკრეტულ საგანზე, ვიწროდ ამ საგანზე. ამას გარდა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა ბიშოპი, მკითხველი საგანს საგნობრივ კატალოგში ეძებს ხოლმე მისი ბუნებრივი სახელწოდებით, ე. ი. ისე როგორც ეს საგანი ცხოვრებაში და მეცნიერებაშია აღნიშნული. მაშასადამე, როდესაც საქმე გვაქვს ზედსართავ სახელთან და არსებით სახელთან საგნობრივ რუბრიკის ფორმულირებისას ინვერსიას არ ვახდენთ, ვწერთ ისე როგორც ის ბუნებრივად გამოითქმის.

ჩვენში ნ. ლორთქიფანიძემ ეს აზრი (ინვერსიის წინააღმდეგ) განავითარა ჯერ კიდევ 1934 წელს [1]. თუმც ჩვენ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში ვუშვებდით ინვერსიას. შემდეგ 1937—1940 წლებში ზელცლემ[2] უფრო მკაცრად გაატარა ეს აზრი. მან, ისე, როგორც ბიშოპმა, გადაჭრით უარყო ინვერსიები ყოველი გამონაკლისის გარეშე. ომის შემდეგ რუსეთში გამოსული სპეციალური წიგნების ავტორები იზიარებენ იმ აზრს, რომ საერთოდ ინვერსიები დაუშვებელია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებად მიაჩნიათ ინვერსიები. ასე მაგალითად, დიკოვსკაია წერს: „Применение инверсии в предметном каталоге, таким образом возможно лишь в отдельных случаях, когда необходимо и целесообразно сблизить родственные по содержанию рубрики“[3] დაახლოებით ასეთსავე აზრს ატარებს ე. ვ. მარჩენკო[4] და კარპოვა[5]. ეს უკანასკნელი ავ-

---

[1] ნ. ლორთქიფანიძე — საგნობრივი კატალოგის და ქართული საგნობრივი რუბრიკათა კონსტრუქციის ძირითადი პრინციპები. „საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“, 1934, ტ. 1, გვ. 188.

[2] Зельцле Б. Р. Предметный каталог, М., 1940, стр. 29—30.

[3] Диковская Ю. М. Предметный каталог, М., 1947, стр. 30.

[4] Марченко Э. В. Общая методика предметизации произведений печати. М., 1956, стр. 9—12.

[5] Карпова С. Г. Методика предметизации технической литературы, Л., 1957. стр. 43—59

ტორები ხაზს უსვამენ ინვერსიების დაშვებას ბიბლიოთეკის ტიპისა და სახის მიხედვით. დიკოვსკაიას თავისი აზრის საილუსტრაციოდ მოყავს ინვერსიის შემდეგი მაგალითი:

Дороги асфальтовые
Дороги грунтовые
Дороги шоссейные

ასეთი ინვერსია დიკოვსკაიას მიზანშეწონილად მიაჩნია საგნობრივ კატალოგში ერთ საგანზე მასალების კომპლექსირების მიზნით. მაგრამ მასალის ასეთი კომპლექსირება ჩვენ სისტემატურ კატალოგში გვექნება. თვით დიკოვსკაია იქვე აღიარებს, რომ „инверсии далеко не всегда приводят к хорошим результатам". ბოლოს და ბოლოს ვერავინ გვითხრა ზუსტად როდის მივყევართ ინვერსიებს დადებით შედეგებამდე და როდის არა. ამიტომ უმჯობესია მკაცრად მივიღოთ დებულება, რომ ზედსართავ სახელების გადასმა საგნობრივ რუბრიკებში დაუშვებელია და რუბრიკა უნდა იყოს ფორმულირებული ისე, როგორც ის ბუნებრივად გამოითქმის ცხოვრებასა და ლიტერატურაში. მაშინ ბიბლიოთეკარსაც და მკითხველსაც ეცოდინება სად უნდა იყოს მოთავსებული და როგორ მოძებნოს ეს საგანი კატალოგში. საგნობრივი კატალოგის ხარისხი ამით მხოლოდ მოიგებს.

აქ ჩვენ საუბარი გვქონდა ზედსართავ სახელსა და არსებით სახელის ინვერსიის შესახებ. არის შემთხვევა, როდესაც საგნობრივი რუბრიკა ორ არსებით სახელს შეიცავს—ერთი სახელობით ბრუნვაშია, მეორე კი—ნათესაობითში. აღსანიშნავია, რომ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა მსაზღვრელია, ხოლო სახელობითში—საზღვრული. ამიტომ კონკრეტულ საგნის განმსაზღვრელი, საგნის კონკრეტულობის გამომხატველი ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვაა. მაგ., „საქართველოს ისტორია", „ნახშირის ამოღება", „მცენარეთა ანატომია", „რკინიგზის ექსპლოატაცია" და სხვ. ცხადია, რომ სიტყვა „საქართველოს" საზღვრავს სიტყვას—„ისტორია", კონკრეტული საგანი „საქართველოს ისტორიაა". რომ ჩვენ აქ ინვერსია მოვახდინოთ გამოვა სისტემატური კატალოგის მე-9 განყოფილების გაუმართლებელი განმეორება. მკითხველს სურს სწრაფად ნახოს კონკრეტული საგანი „საქართველოს ისტორია" საცნობო კატალოგში, ე. ი. საგნობრივ კატალოგში. ცხადია, რომ რუბრიკა სიტყვა „საქართველოზე" უნდა წავიდეს და არა ისტორიაზე. ასევე—„ნახშირის ამოღება" (სიტყვა „ამოღება"—სახელზმნაა, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში საქმეს არ სცვლის), ჩვენ რომ აქ ინვერსია მოვახდინოთ — „ამოღება ნახშირისა" — მივიღებთ სისტემატური კატალოგის 622.3-ის განმეორებას. ან ინვერსიის შედეგად მივიღებთ მეტად ზოგად, ფორმალურ რუბრიკას. (მაგ., რუბრიკა „ექსპლუატაცია რკინიგზისა").

ქართულ ენაზე ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა წინ მიდის და სახელობით ბრუნვაში—შემდეგ. ამიტომ ვამბობთ, რომ ქართული ენის ბუნება მეტად ეგუება საგნობრივ კატალოგს. ქართულ ენაზე ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ინვერსია. რუსულ ენაზე კი ინვერსია საჭიროა, რადგან ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა, ე. ი. მსაზღვრელი სიტყვა ბოლოს მიდის—„История Грузии", „Добыча угля", „Эксплуатация железных дорог". აქ ინვერსია აუცილებელია: „Грузия—история", Уголь—добыча", „Железные дороги—эксплуатация" და სხვ.

რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ რუბრიკის ფორმულირებისას ბოლოს იწერება. მაგრამ თუ რიცხვითი სახელით წიგნის კონკრეტული საგანი გამოიხატება, მაშინ იგი თავში წავა, მაგ., „პირველი მაისი", ცხრა იანვარი, 1905" და ა. შ.

მრავლობითი და მხოლოობითი რიცხვი. ქართულ ენაზე რუბრიკა ჩვეულებრივ მხოლოობით რიცხვში ფორმდება, რადგან ქართულში მხოლოობით რიცხვში მდგარი სიტყვა ზოგადობის გამომხატველია (კრებსითი მნიშვნელობა აქვს). ქართულად ჩვენ ვიტყვით 5 სკამი, (და არა სკამები), მრავალი ადამიანი (და არა ადამიანები) და სხვ. უმჯობესია დავწეროთ რუბრიკა „სახლი" და არა „სახლები", „მაგიდა" და არა „მაგიდები". „ავტომობილი„ და არა „ავტომობილები", „ხიდი" და არა „ხიდები", „ცხენი" და არა „ცხენები" და ა. შ. ქართულად მრავლობით რიცხვში რუბრიკა დაისმის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რუბრიკით უნდა გადმოვცეთ ამ საგნის მთელი რიგი ტიპებისა, სახეებისა, ჯიშებისა და სხვ., როდესაც რუბრიკის მთავარი აზრი ამ სახეების, ტიპების, ჯიშების და სხვ. ამგვარ ნაწილების ჩამოთვლაში და გარკვევაშია. მაგალითად, „გზები" იგულისხმება სხვადასხვა სახის გზები—„შარაგზა," „ყამირგზა", „ასფალტის გზა", „რკინიგზა" და სხვ., მაგრამ დავწერთ რუბრიკას „შარაგზა" და არა „შარაგზები", „ყამირგზა და არა „ყამირგზები", „ასფალტის გზა" და არა „ასფალტის გზები" და ა. შ. ასევე დავწერთ „არაბები", „სლავები", „ქართველები"—იგულისხმება ქართველთა ტიპები, ტომები და სხვ., ასევე „სლავების" ტიპები, ტომები და სხვ. ა. შ.

რუსულ ენაზე კი პირიქით, საგნობრივი რუბრიკა, როგორც წესი, იწერება მრავლოობით რიცხვში. მაგ., „Тракторы" „Автомобили", „Столы". „Мосты", „Шоссейные дороги", „Грунтовые дороги" და ა. შ. რუსულ ენაზე მხოლობით რიცხვში რუბრიკა დაისმის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გამოხატავს საკუთარ სახელს, ან მეცნიერების დარგს, დისციპლინას ან საკითხს, პრობლემას, ან ბუნების მოვლენას (Дождь. гроза, молния, снег და სხვ. ამგვარი), ან საზოგადოებრივ, ისტორიულ მოვლენას, ან რაიმე პროცესს (Дезинфекция, каталогизация და სხვ.), ან ისეთი საგნების სახელებს, რომლებიც არ დაითვლებიან,

მრავლობითი რიცხვი არა აქვთ, მაგ., „Молоко“, „Масло“, „Мед“ და სხვ.

სრული და შემოკლებული ფორმა. ლიტერატურაში ხშირად გვხვდება შემოკლებული სახელწოდებანი, სიტყვათა ხშირად გავრცელებული შემოკლებანი. როგორც წესი, საგნობრივი რუბრიკის ფორმულირებისას ჩვენ უნდა ვერიდოთ შემოკლებებს და რუბრიკა სრული ფორმით უნდა იყოს დაწერილი, რადგან შემოკლებანი ხშირად ძველდებიან და იცვლებიან. თუ შემოკლებული ფორმა გავრცელებულია, საჭიროა შემოკლებიდან დაიწეროს ზოგადი მითითება სრულ ფორმისაკენ. შემოკლებული ფორმა რუბრიკად შეიძლება მიღებული იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შემოკლებული ფორმა უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე სრული და მტკიცედ არის დამკვიდრებული. მაგ., „კოლმეურნეობა“, „Госаграф“ და სხვ. ასეთ შემთხვევაში სრული ფორმიდან გაკეთდება ზოგადი მითითება შემოკლებულ ფორმისაკენ.

ერთი გამოცემის რამდენიმე რუბრიკებში ასახვა. თუ ერთ წიგნში მოცემულია ორი ან სამი ძირითადი საკითხის განხილვა, წიგნზე ორი ან სამი რუბრიკა უნდა დაიწეროს და საგნობრივ კატალოგში ორ და სამ რუბრიკის ქვეშ უნდა აისახოს. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ წიგნში ორი ან სამი ძირითადი საგანია. საერთოდ უნდა ვერიდოთ მრავალ რუბრიკის დასმას. ჩვენ წიგნების ცალკეული თავები და განყოფილებები კი არ უნდა დავარუბრიციროთ, არამედ მთელი სახელწოდება მთლიანად. ანალიტიკური რუბრიკები მხოლოდ ანალიტიკურ აღწერილობებს დაესმის. ხოლო წიგნზე, როგორც მთლიან სახელწოდებაზე დასმული რუბრიკები აო უნდა აანალიზებდნენ წიგნს. თუ წიგნში განხილულია 5 ან 6 ძირითადი საკითხი, მაშინ უმჯობესია ამ საკითხების უახლოესი ზოგადი საგანი იყოს რუბრიკად აღებული. საერთოდ რუბრიკთა რიცხვის შეფარდება კატალოგში ასახულ სახელწოდებათა რიცხვთან უნდა უდრიდეს დაახლოებით 1,5:1.

თუ წიგნში მოცემულია ორი საგნის ურთიერთ დამოკიდებულების გარკვევა და ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურულად გაფორმებულია, როგორც ერთი ცალკე საკითხი, მაშინ მასზე ერთი რუბრიკა დაიწერება, რომელიც გამოხატული იქნება ამ ორი საგნის აღმნიშვნელი სიტყვებით (არსებითი სახელებით) კავშირით შეერთებული, მაგ; „რელიგია და მეცნიერება“. „მარქსიზმი და ბუნებისმეტყველება“ და სხვ., მისთანანი. ამ შემთხვევაში შებრუნებული ფორმიდან იწერება ზოგადი მითითება, მაგ., „მეცნიერება და რელიგია“ იხ. „რელიგია და მეცნიერება“.

4. ქვერუბრიკები

საგნობრივ რუბრიკას, რომელიც შედგება ძირითადი რუბრიკისა და ქვერუბრიკისაგან, რთული რუბრიკა ეწოდება. რუბრიკა, რომელსაც ქვერუბრიკა არ ახლავს, რამდენიმე სიტყვისაგანაც რომ შედგებოდეს იგი, მარტივი რუბრიკაა. რთულ რუბრიკებს უნდა ვერიდოთ. რუბრიკა რაც უფრო მარტივად არის გამოხატული მით უკეთესია. ქართული ენის ბუნება გვაძლევს საშუალებას მაქსიმალურად შევამციროთ რთული რუბრიკები კატალოგში და რუბრიკას მივცეთ მარტივი სახე. ამის საშუალება გვეძლევა იმიტომ, რომ ახალ ქართულში ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სიტყვა წინ მიდის. მაგ., შეგვიძლია მარტივად გავაფორმოთ რუბრიკა: „საქართველოს ისტორია", „უკრაინის გეოგრაფია", „ნახშირის ამოღება" და არა „საქართველო—ისტორია". „უკრაინა —გეოგრაფია", „ნახშირი—ამოღება" და სხვ. რუსულად კი ასეთ შემთხვევაში რთულ რუბრიკებს ვიღებთ: „Грузия—История", „Украина—География", „Уголь—Добыча" და ა. შ. რთულ რუბრიკებს სავსებით ქართულ საგნობრივ კატალოგშიც ვერ ვაღწევთ თავს. ისინი ჩვენ აუცილებლად გვხვდება რა ენაზედაც არ უნდა იყოს საგნობრივი კატალოგი შედგენილი. ამდენად რთულ რუბრიკათა ფორმულირების აუცილებლობის წინაშე ვდგევართ.

ოთხი სახის ქვერუბრიკებს ასხვავებენ: 1) თემატური, 2) გეოგრაფიული, 3) ქრონოლოგიური და 4) ფორმალური. თემატური ქვერუბრიკა შინაარსობლივად აზუსტებს საგანს, მის მოცულობას, საგნის მხარეს ან ნაწილს, საგნის თვისებას, მდგომარეობას, მის მოქმედებას სხვა საგანზე ან მოქმედებას მასზე, მის დამოუკიდებლობას სხვა საგნებთან, საგნის განხილვის თვალსაზრისს და სხვ. ამგვარი. მაგალითად:

Гидроэлектрические станции—Автоматизация
Гидроэлектрические станции—Вентиляция
Гидроэлектрические станции—Эксплуатация
Моторное топливо—Производство
Моторное топливо—Физико-химические свойства
Горная промышленность—История
Горная промышленность—Организация
Рыба—разведение
Фрукты—Хранение

(მაგალითები აქ მოვიყვანეთ რუსულ ენაზე, რადგან ქართულად უმეტეს შემთხვევაში მარტივი რუბრიკის სახით შეიძლება მათი გაფორმება, მაგ., ჰიდროელექტრული სადგურების ავტომატიზაცია, თევზის მოშენება ხილის შენახვა და სხვ.).

2) გეოგრაფიული ქვერუბრიკა გამოიყენება მაშინ, როდესაც ესა თუ ის საგანი დაკავშირებულია რომელიმე გეოგრაფიულ ადგილთან (განსაზღვრულია გეოგრაფიული ადგილით), მაგ., მარგანეცი — საქართველო, ქიმიური მრეწველობა—სსრკ და ა. შ. მეტისმეტ წვრილი გეოგრაფიული ერთეულის ქვერუბრიკად გამოყოფას უნდა ვერიდოთ, როგორიცაა სასოფლო რაიონი, სოფელი, დაბა და სხვა ამგვარი, რადგან მკითხველებისათვის შეიძლება იგი ბევრ შემთხვევაში არ იყოს ცნობილი. ნაწილობრივი განზოგადება აქ დასაშვებია და მიზანშეწონილიც. მაგ., მებაღეობა—ხულოს რაიონი. უმჯობესია დაიწეროს: მებაღეობა—აჭარის ასსრ. საქართველოს ბიბლიოთეკებში ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ „ხულოს რაიონი“ და არ განვაზოგადოთ, რადგან საქართველოს ბიბლიოთეკების მკითხველებისათვის ხულოს რაიონი ცნობილია, მაგრამ სხვა რესპუბლიკებში უსათუოდ უფრო ზოგად გეოგრაფიული სახელის ქვეშ მოათავსებენ მას. ასევე ჩვენ უკრაინის ან სხვა რომელიმე მოძმე რესპუბლიკის სასოფლო რაიონს ან სოფელს ქვერუბრიკად არ ავიღებთ, არამედ ოლქს, რომელშიც იგი შედის, ან რესპუბლიკას.

3) ქრონოლოგიური ქვერუბრიკა იხმარება მაშინ, როდესაც წიგნის საგანი განსაზღვრულია დროის რომელიმე მონაკვეთით, ან წლებით ან საუკუნეებით. წელი იწერება სრულად, არაბული ციფრით. სიტყვა „წელი“ არც სრულად და არც შემოკლებით არ მიეწერება. მაგ., „რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, 1905“. საუკუნე იწერება არაბული ციფრით და მიეწერება სიტყვა „საუკუნე“ შემოკლებით ერთი ასო „ს“ (რუსულად „В“), მაგ., „საქართველოს ისტორია, 19-ს.“ (მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორია). როდესაც ჩვენ პერიოდი გვინდა აღვნიშნოთ ამ წლიდან ამ წლამდე, ან ამ საუკუნიდან ამ საუკუნემდე, დავწერთ პერიოდის დასაწყის წელს და ბოლო წელს, ან დასაწყის საუკუნეს და ბოლო საუკუნეს, და შუაში ტირეს დაეუწერთ. მაგ., „საქართველოს ისტორია, 15—18 ს. ს.“ ან „მსოფლიო ომი, 1914—1918“ და ა. შ.

4) ფორმალური ქვერუბრიკა განსაზღვრავს გამოცემის ფორმას (ბიბლიოგრაფიულ ფორმას) ან მის დანიშნულებას. მაგ., „ფიზიკა—სახელმძღვანელოები“, „ელექტროტექნიკა — ცნობარები“, „სამხედრო საქმე—ენციკლოპედიები“, „ბიბლიოთეკათმცოდნეობა — ლექსიკონები“, ციტრუსები — ბიბლიოგრაფია“ და ა. შ. ქვერუბრიკები რუბრიკებისაგან გამოიყოფა ტირეთი, გარდა ქრონოლოგიური ქვერუბრიკისა, რომელიც გამოიყოფა მძიმეთი.

ერთი წიგნის რუბრიკას რამდენიმე ქვერუბრიკა შეიძლება ახლდეს თან. მაშინ ისმის საკითხი მათი თანმიმდევრობისა. ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში ორი აზრია გამოთქმული: ერთი, კერძოდ ზელცლე, სთვლის, რომ პირველად უნდა წავიდეს თემატური ქვერუბრიკა, შემდეგ

გეოგრაფიული, შემდეგ ქრონოლოგიური, და ბოლოს ფორმალური. მეორე, კერძოდ დიკოვსკაია, გვირჩევს პირველად დავაყენოთ გეოგრაფიული ქვერუბრიკა, შემდეგ თემატური, შემდეგ ქრონოლოგიური და ბოლოს — ფორმალური. როგორც ვხედავთ, არ დაობენ იმის შესახებ, რომ მესამე ადგილი უნდა დაიკავოს ქრონოლოგიურმა ქვერუბრიკამ და უკანასკნელი, მეოთხე ადგილი ფორმალურმა ქვერუბრიკამ. დავა არის იმის შესახებ პირველ ადგილზე გეოგრაფიული ქვერუბრიკა უნდა იყოს თუ თემატური. ვფიქრობთ, რომ აქ გადაჭრით რაიმეს თქმა და ყველა შემთხვევისათვის რჩევა, რომ პირველად გეოგრაფიული რუბრიკა წავიდეს ან პირველად თემატური, შეუძლებელია. ეს დამოკიდებულია რუბრიკისაგან, ამ რუბრიკის შიგნით სჯობს მასალა ჯერ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით დაიყოს და შემდეგ თემატურის, თუ პირუკუ. დამოკიდებულია აგრეთვე ბიბლიოთეკის ტიპზე, ხასიათზე, ბიბლიოთეკისა და მკითხველთა პროფილზე. სხვადასხვა ბიბლიოთეკაში ერთი და იმავე რუბრიკის მიმართ ქვერუბრიკების სხვადასხვა თანმიმდევრობა შეიძლება იყოს მიღებული, იმავე დროს ერთი და იმავე ბიბლიოთეკაში სხვადასხვა რუბრიკების მიმართ, მათი ხასიათის მიხედვით, ქვერუბრიკათა სხვადასხვა თანმიმდევრობა. ეს საკითხი ყოველ კერძო შემთხვევაში თვით ბიბლიოთეკარმა უნდა გადაწყვიტოს. ერთი შეიძლება მაინც ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში თემატური ქვერუბრიკა წინ წავა, ვიდრე გეოგრაფიული. მაგალითად, უმჯობესია საგნობრივ კატალოგში გვქონდეს რუბრიკის შემდეგი ქვედანაყოფი: მეტალურგიული მრეწველობა — ავტომატიზაცია — საქართველოს სსრ, ვიდრე — „მეტალურგიული მრეწველობა — საქართველოს სსრ — ავტომატიზაცია და ა. შ.

5. მითითებანი

მითითებები საგნობრივ კატალოგში ორგვარია: საერთო მითითება და ნაწილობრივი მითითება. საერთო მითითება გამოიხატება სიტყვებით „იხილეთ“, შემოკლებით „იხ.“, რუსულად „Смотри“, შემოკლებით „См“. და გამოიყენება სინონიმების შემთხვევაში, ამიტომ მას ხშირად სინონიმურ მითითებას უწოდებენ. მაგ., „შაქრის ავადმყოფობა იხ. დიაბეტი“, ან „გნოსეოლოგია იხ. შემეცნების თეორია“, ან კიდევ „მიწის საკითხი იხ. აგრარული საკითხი“ და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფორმის ქვეშ ლიტერატურის აღწერილობანი არ არის მოთავსებული და ამ საკითხზე ლიტერატურა იხილეთ ამა და ამ ფორმის ქვეშ, მაგ., ლიტერატურა მიწის საკითხის შესახებ იხილეთ რუბრიკის ქვეშ „აგრარული საკითხი“. ამიტომაა, რომ ამ მითითებას საერთო მითითება ეწოდება, ე. ი. საერთოდ, მთლიანად ამ საკითხზე ჩვენ მკითხველს რუბრიკის მიღებულ ფორმულირებისაკენ ვაგზავნით, მიღებულ რუბრიკაზე მიუთითებთ. საე-

რთო მითითება იხმარება აგრეთვე რუბრიკის შემოკლებულ და სრული ფორმის შემთხვევაში: თუ რუბრიკა ჩვენ სრული ფორმით მივიღეთ, მითითება უნდა გაკეთდეს შემოკლებული ფორმიდან და პირუკუ, თუ შემოკლებული ფორმა მივიღეთ, მითითება უნდა გაკეთდეს სრული ფორმიდან. საერთო მითითებებს ვიყენებთ აგრეთვე სიტყვების გადასმა-გადმოსმების შემთხვევაში. მაგ., „მეცნიერება და რელიგია იხ. რელიგია და მეცნიერება“ და სხვ. საერთო მითითებანი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული საგნობრივ კატალოგში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგი იხმარება ერთი და იმავე რუბრიკის სხვადასხვაგვარად ფორმულირების შემთხვევაში. ამიტომ რუბრიკის ყოველ შესაძლებელ ფორმულირებიდან უნდა გაკეთდეს მითითება კატალოგში მიღებულ რუბრიკის ფორმულირებისაკენ. ეს იმიტომ, რომ მკითხველმა რა ფორმულირებითაც არ უნდა მოძებნოს საკითხი კატალოგში, მან ან ლიტერატურის აღწერილობები უნდა ნახოს ან მითითება.

ნაწილობრივი მითითება გამოიხატება სიტყვებით „იხილეთ აგრეთვე“. შემოკლებით „იხ. აგრეთვე“, რუსულად „См. также“ (Смотри также). იგი ეუბნება მკითხველს თქვენთვის საინტერესო საკითხზე. ლიტერატურა აქ იხილეთ, მაგრამ ამავე საკითხზე ლიტერატურა ნაწილობრივ იხილეთ აგრეთვე ამა და ამ რუბრიკების ქვეშ, მაგ., ორთქლის ქვაბი

იხ. აგრეთვე
ორთქლმავლის ქვაბი.

ნაწილობრივ მითითებას უწოდებენ აგრეთვე დამაკავშირებელ მითითებას, რადგან იგი ურთიერთ აკავშირებს სხვადასხვა რუბრიკებს, რომლებიც ურთიერთ ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან. ბევრი მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევს ნაწილობრივ მითითებებს, განსაკუთრებით ის ავტორები, რომლებიც საგნობრივ კატალოგს სისტემატური კატალოგის ამოცანას უსახავენ და ამ უკანასკნელის შემცვლელად მიიჩნევენ. მართლაც საგნობრივ კატალოგში რუბრიკათა ურთიერთ ლოგიკური დაკავშირების ერთად-ერთი საშუალება ნაწილობრივი მითითებებია. მაგალითად, გრადშტეინი საგნობრივ კატალოგს ლოგიკურ კატალოგად სთვლის და ამ კატალოგის ლოგიკურ საფუძვლებს, ბუნებრივია, ნაწილობრივ მითითებებში ეძებს. ნაწილობრივ მითითებებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ არა მხოლოდ ის ავტორები, რომლებსაც სისტემატური კატალოგი ზედმეტად მიაჩნიათ და საგნობრივ კატალოგს ლოგიკური კატალოგის ამოცანებს უსახავენ, არამედ ის ავტორებიც, რომლებიც საგნობრივ კატალოგს სისტემატური კატალოგის დამატებად მიიჩნევენ, მაგ., ზელცლე. ასევე დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ნაწილობრივ მითითებებს ს. გ. კარპოვა თავის ახლახან გამოსულ შრომაში „Методика предметизации технической литературы“, М., 1957. მართალია ეს ავტო-

რები ლაპარაკობენ ნაწილობრივ მითითებათა შემცირების შესახებ, მაგრამ არსებითად მათ ფართოდ აქვთ გამოყენებული ეს მითითებები. ჩვენ უფრო ვეთანხმებით ბიშოპს, რომელიც ნაწილობრივ მითითებებს ზედმეტად მიიჩნევს საგნობრივ კატალოგში. მართალია დამაკავშირებელ მითითებათა სრული უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ მათი გამოყენება მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რადგან მითითებათა დიდი რაოდენობა მხოლოდ აბნევს მკითხველს.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ეს საკითხი.

როგორც ვთქვით, ნაწილობრივ მითითებათა საკითხი საგნობრივ კატალოგში ისეთ რუბრიკათა ურთიერთ დაკავშირების საკითხია, რომლებიც შინაარსის მოცულობით, ანუ საგნურად ურთიერთ კავშირში არიან, ლოგიკის ენით რომ ვთქვათ, ერთმანეთის მიმართ თანხმობადნი არიან. საგნობრივ რუბრიკათა შორის, ისევე როგორც ცნებათა შორის, შეიძლება იყოს დაქვემდებარებითი ან გადაკვეთითი დამოკიდებულება. დაქვემდებარებითია დამოკიდებულება ზოგად და კერძოობით რუბრიკათა შორის, ანუ ლოგიკის ენით რომ ვთქვათ საგვარეულო და სახეობით რუბრიკათა (ცნებათა) შორის. მაგ., რუბრიკები „ფიზიკა“, „ჰიდრავლიკა“, „პნევმატიკა“, „აკუსტიკა“, „ოპტიკა“, „სითბო“, „ელექტრობა“, „მაგნეტიზმი“—ჩამოთ-



ნახ. 2.

ვლილ რუბრიკათა შორის პირველი — „ფიზიკა“ ზოგადი რუბრიკაა, ანუ საგვარეულო რუბრიკა, ხოლო დანარჩენები კი მის მიმართ სახეობით რუბრიკებს წარმოადგენენ. რუბრიკა „ფიზიკა“ თავისი მოცულობით ფარავს სხვა ჩამოთვლილ რუბრიკათა მოცულობას, ე. ი. მოიცავს მათ, ამიტომ იგი ზოგადია დანარჩენებთან შედარებით. ლოგიკაში ასეთ კავშირს წრეებით გამოხატავენ (ნახ. 2).

ზოგადი და კერძოობითი, საგვარეულო და სახეობითი—შედარებითი ცნებებია. ის რაც ზოგადია ერთის მიმართ, შეიძლება კერძოობითი იყოს მეორეს მიმართ და პირუკუ, ის რაც კერძოობით სახეს წარმოადგენს ერთის მიმართ, ზოგადია, საგვარეულოა მეორეს მიმართ. მაგ., „ოპტიკა“ სახეობითი (კერძოობითი) ცნებაა „ფიზიკის“ მიმართ. მაგრამ იგივე ცნება ზოგადია, საგვარეულოა „სხივთა ენერგიის“, „ინტერფერენციის“, „ფერებისა“ და სხვა რუბრიკათა მიმართ. რუბრიკათა შორის ასეთ დამოკიდებულებას დაქვემდებარებას უწოდებენ. რუბრიკა „ოპტიკა“ დაქვემდებარებულია რუბრიკა „ფიზიკისადმი“, თავის მხრივ „ოპტიკისადმი“ დაქვემდებარებულია, „სხივთა ენერგია“, „ფერები“ და ა. შ.

საჭიროა თუ არა ასეთი დამოკიდებულების შემთხვევაში რუბრიკათა შორის ნაწილობრივი მითითებები გამოვიყენოთ და ამ მითითებებით დაქვემდებარებულ კავშირში მყოფი რუბრიკები ურთიერთდავაკავშიროთ კატალოგში?

საბიბლიოთეკო პრაქტიკამ დღეს სავსებით ცხადჰყო, რომ ნაწილობრივ მითითებათა სიმრავლე მიუღებელია საგნობრივ კატალოგში. მეტისმეტად ჭარბი ნაწილობრივი მითითებები მხოლოდ აბნევს მკითხველს, ღლის და ანერვიულებს მას. მკითხველი, როდესაც ხედავს დიდი რაოდენობის ნაწილობრივ მითითებებს, სრულებით გვერდს უვლის მათ, არ აქცევს ყურადღებას, ვერ იყენებს ამ მითითებებს. დამტკიცებულად და საერთოდ მიღებულად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ ნაწილობრივი მითითებათა რიცხვი მაქსიმალურად უნდა შემცირდეს. ავტორთა დიდი უმრავლესობა და საბიბლიოთეკო პრაქტიკა უარყოფს ნაწილობრივ მითითებების გაკეთებას კერძოობით რუბრიკიდან ზოგად რუბრიკისაკენ. არ არის საჭირო გაკეთდეს მითითება მაგალითად:

ოპტიკა
იხ. აგრეთვე
ფიზიკა

რადგან ის ვინც ოპტიკის საკითხებს ამუშავებს, მან იცის, რომ ოპტიკა ფიზიკის ერთ-ერთი დარგია და რომ ფიზიკის ზოგად კურსში უსათუოდ არის განხილული ოპტიკის საკითხებიც. მას ამის შეხსენება არ ესაჭიროება. შეხსენება არ არის საჭირო კიდევ იმიტომ, რომ ყოველ რუბრიკას (ცნებას) შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი უახლოესი ზოგადი რუბრიკა (ცნება); მაგრამ ავტორთა დიდი უმრავლესობა და უმეტეს შემთხვევაში საბიბლიოთეკო პრაქტიკაც საჭიროდ მიიჩნევს მითითების გაკეთებას

კერძოობით (სახეობით) რუბრიკისაკენ ზოგად (საგვარეულო) რუბრიკიდან, ჩვენს მაგალითში აუცილებლად მიიჩნევენ მითითებას:

ფიზიკა
იხ. აგრეთვე
აკუსტიკა, ელექტრობა, მაგნეტიზმი, ოპტიკა,
პნევმატიკა, სითბო, ჰიდრავლიკა და ა. შ.

ზოგადიდან კერძოობითისაკენ მითითება საჭიროდ მიიჩნიათ იმ მოსაზრებით, რომ ერთ რუბრიკისადმი (ცნებისადმი) დამორჩილებულია რამდენიმე უახლოესი სახეობითი რუბრიკა (ცნება) და თანაც ვინც ზოგად საკითხზე მუშაობს, საჭიროა მას შევახსენოთ კერძო საკითხები, რომლებსაც ეს ზოგადი საკითხი მოიცავს. მაგრამ მითითება უნდა გაკეთდეს უახლოეს კერძოობით რუბრიკისაკენ და არა ყველა კერძო რუბრიკისაკენ. მაგალითად, მითითებას ვაკეთებთ „ფიზიკა იხ. აგრეთვე სითბო“ და არა „ფიზიკა იხ. აგრეთვე თერმოდინამიკა“. ამ უკანასკნელისაკენ მითითებას ვაკეთებთ სითბოსაგან: სითბო იხ. აგრეთვე თერმოდინამიკა, კალორიმეტრია და სხვ. ამრიგად, დაცულია გარკვეული ლოგიკური საფეხურები: ზოგადი რუბრიკისაგან ნაწილობრივი მითითება უახლოეს სახეობით რუბრიკისაკენ, ამ უკანასკნელიდან თავის მხრივ, მის უახლოეს სახეობით რუბრაკისაკენ და ა. შ. ამ წესით ჩვენ ვაღწევთ ერთ რუბრიკაზე ნაწილობრივ მითითებათა შემცირებას.

ამავე მიზნით ე. წ. „კრებსით მითითებებს“ მიმართავენ ხოლმე. ეს მაშინ, როდესაც გვიხდება ნაწილობრივი მითითების გაკეთება ერთი ტიპის ცალკეული სახის დასახელებებთან.

მაგალითად:

ხ ე
იხ. აგრეთვე ცალკეული ხის
სახელწოდების ქვეშ, მაგ., მუხა, ფიჭვი და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწილობრივ მითითებებს ზოგადიდან კერძოობითისაკენ საჭიროდ მიიჩნევენ არა მხოლოდ ის ავტორები, რომლებიც საგნობრივ კატალოგს ლოგიკური კატალოგის ამოცანებს უსახავენ და ერთად-ერთ რეალურ კატალოგად მიიჩნევენ, არამედ ის ავტორებიც. რომლებიც მას სისტემატური კატალოგის დამატებად სთვლიან (ზელცლე. კარპოვა და სხვ.). ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მათი აზრი და წესები ნაწილობრივ მითითების გამოყენებისა და დამორჩილებული რუბრიკების დასაკავშირებლად. მაგრამ პირადად ამ სტრიქონების ავტორს სრულებით ზედმეტად მიაჩნია ნაწილობრივი მითითებების გამოყენება, როგორც სახეობით რუბრიკიდან ზოგადისაკენ, ისე ზოგადიდან კერძოობითისაკენ. საქმე იმაშია, რომ მითითებები ზოგადიდან კერძოობითისაკენ (საგვარეუ-

ლოდან სახეობისაკენ) სრული განმეორებაა სისტემატური კატალოგის კომპლექსისა. თუ ჩვენ მივიღებთ იმ დებულებას, რომ საგნობრივი კატალოგი უნდა არსებობდეს სისტემატური კატალოგის გვერდით, როგორც მისი დამატება, მაშინ რა საჭიროა საგნობრივ კატალოგში საგვარეულო რუბრიკების სახეობით რუბრიკებთან დაკავშირება და მით საგნობრივი კატალოგის გართულება. ვისაც სურს ამა თუ იმ რუბრიკის განხილვა მის ლოგიკურ კავშირში სხვა რუბრიკებთან, მას შეუძლია მიმართოს სისტემატურ კატალოგს, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს მკითხველის ასეთ მოთხოვნილებას. ამიტომ საგნობრივ კატალოგში ნაწილობრივ მითითებათა გამოყენება რუბრიკათა შორის დაქვემდებარებითი დამოკიდებულების შემთხვევაში სრულებით ზედმეტია: არც ზოგადიდან კერძოობითისაკენ და არც კერძოობითიდან ზოგადისაკენ მითითება არ უნდა გაკეთდეს.



ნახ. 3.

მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვერც ბიშოპს იმაში, რომ სრულებით განიდევნოს ნაწილობრივი მითითება საგნობრივ კატალოგიდან. ჩვენის აზრით ნაწილობრივი მითითება აუცილებელია გადამკვეთ, ანუ ჯვარედინ რუბრიკების ურთიერთ დასაკავშირებლად. გადამკვეთი, ანუ ჯვარედინი რუბრიკები ეწოდება ისეთ რუბრიკებს, რომელთა საგნების მოცულობა ნაწილობრივ გადაკვეთავენ ერთმანეთს, შინაარსობლივად გადაჯვარედინებულნი არიან. მათ შორის არ არის დამორჩილების დამოკიდებულება, არც ერთია მეორეს ნაწილი, არც მეორე — პირველის, არც ერთი არ წარმოადგენს ერთიმეორის მიმართ საგვარეულოსა და სახეობით რუბრიკებს. მაგრამ მათ საგნობრივად აქვთ საერთო შემხე-

ბი წერტილები, მათ ნაწილობრივ საერთო საგანი გააჩნიათ. მაგ., პედაგოგიური ფსიქოლოგია და ბავშვთა ფსიქოლოგია, არც პირველია მეორის ნაწილი, მეორის სახე და არც მეორე — პირველისა. მაგრამ მათი საგნები ურთიერთ გადაჯვარედინებული, გადაკვეთილი არიან. ასევეა „საოჯახო ეთიკა“ და „საოჯახო სამართალი“, „საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები“ და „საარჩევნო სამართალი — საქართველოს სსრ“ და სხვა ამგვარი. გადამკვეთ ცნებებს ლოგიკაში გრაფიკულად შემდეგნაირად გამოხატავენ (ნახ. 3).

სისტემატურ კატალოგში ეს რუბრიკები სხვადასხვა განყოფილებებში მოხვდებიან, მაშასადამე, არ იქნებიან ერთი საერთო ინდექსით გაერთიანებული. ასეთ რუბრიკების ნაწილობრივი მითითებებით ურთიერთ დაკავშირება მიზანშეწონილია. ამ შემთხვევაში ჯვარედინი მითითება უნდა გაკეთდეს, ე. ი. მითითება უნდა გაკეთდეს, როგორც ერთი რუბრიკიდან მეორესაკენ, ისე მეორე რუბრიკიდან პირველისაკენ. მაგალითად:

პედაგოგიური ფსიქოლოგია
    იხ. აგრეთვე
ბავშვთა ფსიქოლოგია და
ბავშვთა ფსიქოლოგია
    იხ. აგრეთვე
პედაგოგიური ფსიქოლოგია.

6. ბეჭდურ ნაწარმოებთა რუბრიკაციის კერძო მეთოდიკა

წინა თავში ჩვენ საუბარი გვქონდა ბეჭდურ ნაწარმოებთა რუბრიკაციის და საგნობრივი რუბრიკების ფორმულირების ზოგად წესების შესახებ, ლიტერატურის რუბრიკაციის ზოგადი მეთოდიკის შესახებ. ახლა განვიხილოთ ცალკეული სახის ბეჭდურ ნაწარმოებთა რუბრიკაციის თავისებური მხარეები, რუბრიკაციის კერძო მეთოდიკის საკითხები.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა რუბრიკაცია

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა პროპაგანდა ყოველი ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებთა ასახვას საგნობრივ კატალოგში. ზემოთ მოყვანილი ზოგადი მეთოდიკა საგნობრივი რუბრიკების ფორმულირებისა და ლიტერატურის დასაგნებისა განსაკუთრებული ყურადღებით და სიზუსტით უნდა იქნეს გამოყენებული ამ მნიშვნელოვან ნაწარმოებთა მიმართ. ზოგადი წესების დამატებით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა რუბრიკაციისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი წესები:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა კრებულები და რჩეული ნაწარმოებები იღებენ რუბრიკას „მარქსიზმ-ლენინიზმი“.

2. თემატური კრებულები იღებენ რუბრიკას თემის მიხედვით, მაგრამ საჭიროებისას არ უნდა მოვერიდოთ მეორე და მესამე რუბრიკის დასმას, თუკი კრებულში დამატებით ორი-სამი ძირითადი საკითხია განხილული.

3. კლასიკოსების ის სტატიები, რომლებიც თხზულებათა კრებულშია მოთავსებული და ცალკე წიგნად არ არის გამოცემული, ან გამოცემულია მაგრამ ბიბლიოთეკაში არ არის დაცული, ანალიტიკურად უნდა იყოს აღწერილი, თითოეული თავისი კონკრეტული საგნის მიხედვით დასაგნებული და ასახული საგნობრივ კატალოგში.

4. კლასიკოსების ცალკეული ნაწარმოებები დიდი დაკვირვებით და დეტალურად უნდა იყოს დამუშავებული და რუბრიცირებული. აქ უნდა იქნეს დარღვეული ზოგადი მეთოდიკის დებულება, რომ წიგნი ძირითადი საგნის მიხედვით იყოს დასაგნებული, რომ ერთ წიგნზე ჩვეულებრივად ერთი რუბრიკა უნდა დავსვათ. კლასიკოსების ცალკეული ნაწარმოებები კი პირუკუ, რაც შეიძლება დეტალურად უნდა იყოს რუბრიცირებული და თითოეული ეს ნაწარმოები საგნობრივ კატალოგში მაქსიმალურად უნდა იყოს აღნუსხული, ე. ი. აღნუსხული ყველა იმ ძირითად საკითხების მიხედვით, რომლებიც განხილულია იქ. მაგ., დიკოვსკაია შემდეგ ექვს რუბრიკას აწერს ვ. ი. ლენინის შრომას „რა ვაკეთოთ“[1]:

1. სკპ (ბ) — ისტორია, 1901 — 1904;
2. ეკონომიზმი — პარტიის ბრძოლა მასთან;
3. პარტიული მშენებლობა;
4. მარქსიზმ-ლენინიზმი — მოძღვრება პარტიის შესახებ;
5. მარქსიზმ-ლენინიზმი — მეთოდი და თეორია;
6. „ისკრა“, ლენინური.

ასე დაწვრილებით უნდა იყოს საგნობრივად დამუშავებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსის თითოეული ნაწარმოები.

პარტიისა და მთავრობის სახელმძღვანელო მასალები. ასევე სრულად და დეტალურად უნდა იყოს დამუშავებული პარტიისა და მთავრობის ოფიციალურ-დოკუმენტალური სახელმძღვანელო მასალები. პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების სტენოგრაფიული ანგარიშები, ოქმები და რეზოლუციები იღებენ რუბრიკას 1) პარტიის ისტორიის სათანადო პერიოდის და 2) სსრ კავშირის ისტორიის სათანადო პერიოდის; ამას გარდა რუბრიკებს იმ საკითხების მიხედვით, რომლებიც განხილულია ამ მასალებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებანი რუბრიცირდებიან იმ საკითხების მიხედვით, რომელთაც ეს დადგენილებანი შეეხებიან, ქვე-

---

[1] Диковская Ю. М. Предметный каталог, М., 1947, стр. 45.

რუბრიკით—„კანონები და დადგენილებანი“. ასევე რუბრიცირდებიან მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები.

უმაღლესი საბჭოს სესიების სტენოგრაფიული ანგარიშები, ოქმები და დადგენილებანი იღებენ 1) ქვეყნის ისტორიის სათანადო პერიოდის რუბრიკას, 2) უმაღლესი საბჭოს, როგორც კოლექტიური ავტორის რუბრიკას (მაგ., სსრკ უმაღლესი საბჭო, მოწვევა მე-3, სესია მე-4 და შემდეგ მძიმე და წელი) და რუბრიკებს იმ ძირითადი საკითხების მიხედვით, რომლებიც განხილული იყო ამ სესიაზე.

ლიტერატურა ქვეყნის ან გეოგრაფიული ადგილის შესახებ. ლიტერატურა, რომლებშიც მოცემულია ყოველმხრივი ან მრავალმხრივი განხილვა მატერიკის ან ქვეყნის, ოლქის, ქალაქის და სხვ. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის, რუბრიცირდება გეოგრაფიული დასახელების ქვეშ. გეოგრაფიული სახელის ქვეშ რუბრიცირდება აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის ან სხვა გეოგრაფიული ადგილის ზოგადი გეოგრაფიული, ან ისტორიული, ან სოციოგრაფიული, ან ზოგადი ეკონომიური და ზოგადი პოლიტიკური აღწერილობა. გეოგრაფიული სახელის ქვეშ რუბრიცირდება აგრეთვე ამა თუ იმ ქვეყნის ზოგადი იურიდიული წყაროები, როგორიცაა მაგ., კანონები და მთავრობის დადგენილებები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვ. მისთანანი და ლიტერატურა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

გეოგრაფიული რუბრიკების მაგალითები:

თბილისი — ცნობარები;

მოსკოვი — ბიბლიოგრაფია,

საქართველოს სსრ — გეოგრაფია;

საქართველოს სსრ — ისტორია;

საქართველოს სსრ — სახალხო მეურნეობა;

საფრანგეთი — სოციოგრაფია;

სსრკ — საერთაშორისო მდგომარეობა;

სსრკ — ხელშეკრულებები;

სსრკ — უმაღლესი საბჭო და ა. შ.

ლიტერატურა, რომელშიაც მოცემულია ამა თუ იმ ქვეყნის ან სხვა რომელიმე გეოგრაფიული ადგილის ერთმხრივი აღწერა ან გარჩევა, და რომელშიაც განხილულია ესა თუ ის ქვეყანა ან სხვა გეოგრაფიული ადგილი ერთი რომელიმე თვალსაზრისით ან ერთ რომელიმე საგანთან დაკავშირებით, რუბრიცირდება არა გეოგრაფიული სახელწოდების ქვეშ, არამედ თვით საგნის დასახელების ქვეშ, გეოგრაფიული სახელწოდება ქვერუბრიკად წავა. მაგალითად, წიგნი საქართველოს ქიმიური მრეწველობის შესახებ. რუბრიკა იქნება:

ქიმიური მრეწველობა — საქართველოს სსრ ან კიდევ:
სკოლები — საქართველოს სსრ
მარგანეცი — ჭიათურა და ა. შ.

ზოგ ავტორს (ზელცლეს) დასაშვებად მიაჩნია უკანასკნელ შემთხვევაში დაიწეროს კიდევ მეორე რუბრიკა ქვეყნის ქვეშ, მაგ., „საქართველოს სსრ—ქიმიური მრეწველობა" და ამ რუბრიკის ქვეშ საგნობრივ კატალოგში მოთავსდეს იმავე წიგნის მეორე აღწერილობა. მაშინ საგნობრივი კატალოგი უპასუხებდა აგრეთვე კითხვას რა და რა ლიტერატურა მოიპოვება ბიბლიოთეკაში საერთოდ ამა და ამ ქვეყნის ან ამა და ამ ადგილის შესახებ. მაგრამ ეს მეორე ბარათები მეტად გადატვირთავდა საგნობრივ კატალოგს, რაც არ არის მიზანშეწონილი. რაც უფრო დიდია კატალოგი, მით უფრო ტლანქია იგი და შიგ საჭირო მასალის მოძებნა უფრო გაძნელებულია. ასეთ შემთხვევაში, თუკი მეორე ბარათებს შევადგენთ და მეორე რუბრიკას დავაწერთ წიგნს, უმჯობესია შედგეს ცალკე გეოგრაფიული კარტოთეკა. მით უფრო, რომ ასეთი კომპლექსური სახის მოთხოვნილება მკითხველებიდან ჩვეულებრივად არის იმ მხარის ადგილების შესახებ, რომელსაც ემსახურება ესა თუ ის ბიბლიოთეკა, და არა ყოველი მხარისა და ქვეყნის მიმართ. ყოველ შემთხვევაში ასეთი დუბლირება რუბრიკებისა და ბარათებისა უნდა მკაცრად განსაზღვრული იყოს ამ ბიბლიოთეკისათვის აქტუალური მნიშვნელობის ადგილებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გეოგრაფიული ადგილი იცვლის თავის სახელწოდებას, რუბრიკა ახალი სახელწოდებით ფორმდება, რომლის ქვეშ თავს იყრის, როგორც ახალი, ისე ძველი სახელწოდებით გამოსული ლიტერატურის აღწერილობები. ძველი სახელწოდებიდან დაიწერება ზოგადი მითითებები; მაგალითად:

პეტროგრადი
    იხ.
ლენინგრადი.
სანკტ-პეტერბურგი
    იხ.
ლენინგრადი და ა. შ.

თუ სახელწოდების შეცვლას მოჰყვა გეოგრაფიული ადგილის საზღვრების შეცვლა, მაშინ ძველი სახელწოდებით გამოსული ლიტერატურა ძველი სახელწოდების ქვეშ უნდა მოთავსდეს, ხოლო ახალი სახელწოდებისა — ახალი სახელწოდების ქვეშ. ეს რუბრიკები ურთიერთ კერძოო-

:პითი მითითებებით უნდა იქნან დაკავშირებულნი, მაგალითად:

აჭარის ასსრ.

იხ. აგრეთვე

ბათუმის ოლქი

ბათუმის ოლქი

იხ. აგრეთვე

აჭარის ასსრ.

საისტორიო ლიტერატურა. ზოგადი ხასიათის საისტორიო შრომები, შრომები მსოფლიო ისტორიის, ძველი ქვეყნების ისტორიის, შუა საუკუნეების-ისტორიის, ახალი და უახლესი ისტორიის შესახებ, ჩვენის აზრით, არ უნდა რუბრიცირდებოდეს და საგნობრივ კატალოგში, როგორც მეტად ზოგადი ხასიათის ნაწარმოებები, არ უნდა აღინუსხებოდეს. ჩვეულებრივ კი ამ შრომებს საგნობრივ კატალოგში აღნუსხავენ შემდეგი რუბრიკების ქვეშ: „ძველი ქვეყნის ისტორია", „შუა საუკუნეების ისტორია", „ახალი ისტორია" და ა. შ.

რუსულ საგნობრივ კატალოგში ზოგი ავტორი, კერძოდ ზელცლე, ვვირჩევს რუბრიკა გავაფორმოთ ისე, როგორც ეს გამოითქმის—„История древнего мира", „История средних веков", „История нового времени", ეს ფაქტიურად სისტემატური კატალოგის მე-9 განყოფილების სრული განმეორება გამოდის. ჩვენი აზრით, თუ ასეთი სახის ლიტერატურას აღვნუსხავთ საგნობრივ კატალოგში, უმჯობესია, ისე როგორც ცალკე ქვეყნების ისტორიების მიმართ, ინვერსია გაკეთდეს და დაიწეროს: „Древний мир—История", „Средние века—История", „Новая история". შეიძლება რუბრიკა გაფორმდეს ასედაც: „Всемирная история—Древняя", „Всемирная история—Средние века", „Всемирная история—Новая" და ა. შ.

ცალკეული ქვეყნების და ხალხების ისტორია იწერება ქვეყნის ან ხალხის სახელწოდების ქვეშ, შემდეგ მიეწერება სიტყვა „ისტორია" და შემდეგ ქრონოლოგიური ქვერუბრიკა, მაგალითად:

„სსრკ ისტორია, 18 ს".

„ევროპის ისტორია, 19 ს".

„საქართველოს ისტორია, 15—18 ს.ს. "

„ებრაელთა ისტორია" და ა. შ.

რუსულად ეგივე რუბრიკები გაფორმდება:

„СССР—История 18 в."

„Европа—История 19 в."

„Грузия—История 16—18 вв."

„Евреи—История"

როგორც ვხედავთ, რუსულ რუბრიკებში სიტყვა „История“ მიდის როგორც ქვერუბრიკა ტირეს შემდეგ. ქართულად კი ეგი მარტივი რუბრიკის სახეს იღებს, რაც ენის ბუნებით აიხსნება (როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული).

ლიტერატურა ცალკეული ისტორიული მოვლენების შესახებ მეცნიერებაში მიღებული ამ მოვლენების სახელწოდებებით ფორმულირდება, მაგ., „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, 1917“, „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, 1941—1945 “, „თებერვლის რევოლუცია რუსეთში, 1917“, „თებერვლის რევოლუცია, საფრანგეთი, 1948“, „კახეთის ამბოხება, 1812“, და ა. შ.

ისტორიული მასალები და ისტორიის წყაროები ქვერუბრიკით უნდა იყოს გამოყოფილი, მაგ., საქართველოს ისტორია, 10 ს. წყაროები“.

მხატვრული ლიტერატურა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მხატვრული ლიტერატურა საერთოდ არ რუბრიცირდება და საგნობრივ კატალოგში არ აღინუსხება. რუბრიკები, რომლებიც ლიტერატურულ ფორმას, ჟანრს გამოხატავენ, როგორიცაა მაგ., „რომანი“, „პროზა“, „პოეზია“, „დრამა“ და სხვ. იხმარებიან ლიტერატურათმცოდნეობითი ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც ამ ჟანრს შეეხებიან და არა თვით პროზაულ ან პოეტურ ნაწარმოებთა მიმართ.

საგნობრივ კატალოგში აღინუსხება მხოლოდ ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ერთ რომელიმე პირზე ან რომელიმე ისტორიულ მოვლენაზეა დაწერილი. მაგ., კ. გამსახურდია „დავით აღმაშენებელი“, ა. ბელიაშვილი „ბესიკის თავგადასავალი“ და „ოქროს ჩარდახი“, ანტონოვსკაია „დიდი მოურავი“, ა. ტოლსტოი „პეტრე 1“, ჰიუგო „93 წელი“, ლ. ტოლსტოი „ომი და მშვიდობა“, ლ. სოლოვიოვი „ივანე ნიკულინი — რუსი მატროსი“ და ა. შ.

ასეთ ნაწარმოებებს დაეწესებათ რუბრიკები:

„დავით აღმაშენებელი მხატვრულ ლიტერატურაში“;
„გაბაშვილი ბესიკი მხატვრულ ლიტერატურაში;
„სააკაძე გიორგი მხატვრულ ლიტერატურაში;
„პეტრე 1 მხატვრულ ლიტერატურაში“;
„საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, XVIII ს. მხატვრულ ლიტერატურაში;
„სამამულო ომი 1812 მხატვრულ ლიტერატურაში“;
„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი მხატვრულ ლიტერატურაში“ და ა. შ.

ლიტერატურა ცალკე პირებისა (personalia) **და დაწესებულებების შესახებ.** როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ლიტერატურა ცალკე პირებისა და დაწესებულებების შესახებ საჭირო არ არის აღნუსხული იყოს საგნობრივ კატალოგში, რადგან ეს სრულად იმეორებს ანბანური კატალოგის personalia-ს. მაგრამ საერთოდ მიღებულია ასეთი ლიტერატურის აღნუსხვა და ამიტომ მოგვყავს აქ წესები ასეთი ლიტერატურის რუბრიკაციისა.

ლიტერატურა პირის შესახებ რუბრიცირდება პირის გვარზე — იწერება პირის გვარი, სახელობით ბრუნვაში, შემდეგ მძიმე და სახელი და მამის სახელი ან მათი ინიციალები. თუ სხვადასხვა პირის გვარი, სახელი და მამის სახელი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ მარჯვნივ მრგვალ ფრჩხილებში იწერება პირის სპეციალობა (პროფესია) ან დაბადების და გარდაცვალების წელი. სიტყვა „მასზე" („о нём") (როგორც ეს ანბანურ კატალოგში იწერება) აქ არ იწერება. თუ დიდძალი ლიტერატურა გვაქვს, მაშინ ეწერება ქვერუბრიკა „ბიოგრაფია", „ბიბლიოგრაფია", „ალბომები" და სხვ. ამგვარი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რუბრიკის ქვეშ დიდი რაოდენობის ლიტერატურამ მოიყარა თავი.

არის ლიტერატურა, რომელიც შეეხება არა ავტორს საერთოდ, არამედ ავტორის ერთ რომელიმე ცნობილ ნაწარმოებს. მაგალითად, ლიტერატურა ვ. ი. ლენინის წიგნის შესახებ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". ასეთი ხასიათის ნაწარმოებს რუბრიკად დაეწერება ავტორის გვარი და ინიციალები და ნაწარმოებების სათაური. ჩვენ მაგალითში რუბრიკა იქნება: „ლენინი, ვ. ი., „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". ამას გარდა დაეწერება სათანადო საგნობრივი რუბრიკები.

საგნობრივი რუბრიკა ლიტერატურაზე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ ფორმულირდება თანახმად კოლექტიური ავტორის ფორმულირების წესებისა. სიტყვა „მასზე" აქაც არ იწერება. მაგ., გ. ჟორდანიას წიგნს „საქართველოს მუზეუმი" დაეწერება რუბრიკა „საქართველოს მუზეუმი", ასევე ვლ. უზნაძის წიგნს — „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა" დაეწერება რუბრიკა „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა" და ა. შ.

ამ წესებიდან გამონაკლისს შეადგენს, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს დიკოვსკაია, ლიტერატურა კოლმეურნეობების შესახებ. მაგალითად, წიგნი ერთი რომელიმე კოლმეურნეობის შესახებ დარუბრიცირდება არა ამ კოლმეურნეობის ოფიციალური სახელწოდებით, არამედ რუბრიკით „კოლმეურნეობები" და ქვერუბრიკად მიეწერება რესპუბლიკა, ოლქი ან რაიონი, მაგ., „კოლმეურნეობები — სამტრედიის რაიონი".

თხზულებათა კრებულები, მრავალტომიანი გამოცემები, კრებულე-

ბი, ცნობარები. მრავალტომიანი გამოცემები განიხილებიან როგორც ერთი სახელწოდება და ისე რუბრიცირდებიან. ზოგადი ხასიათის მრავალტომიანი გამოცემები, რომლებიც მოიცავენ არა ერთ რომელიმე საკითხს ან ერთ რომელიმე დარგს, არამედ შრომებს ცოდნის მრავალ ან რამდენიმე დარგიდან არ რუბრიცირდებიან და საგნობრივ კატალოგში არ აღინიშნებიან. თუ ერთი რომელიმე ტომი შეეხება ერთ საკითხს ან დარგს და მისი აღნუსხვა კატალოგში მკითხველისათვის საინტერესო იქნება, ეს ტომი ცალკე აიწერება და სათანადო რუბრიკის ქვეშ მოთავსდება საგნობრივ კატალოგში.

ასევე ერთი ავტორის თხზულებათა კრებულები და სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულები. თუ ერთი ავტორი მუშაობს ერთ რომელიმე ძირითად დარგში და მისი თხზულებათა კრებული მოიცავს ძირითადად ამ დარგის შესახებ შრომებს, მაშინ მისი თხზულებათა კრებულები რუბრიცირდებიან სათანადო დარგის ან საკითხის სახელწოდებით და აღინუსხებიან საგნობრივ კატალოგში. ხოლო თუ ავტორის შრომები სხვადასხვა დარგს მიეკუთვნება, მისი თხზულებათა კრებული არ რუბრიცირდება და საგნობრივ კატალოგში არ აღინუსხება. მაგ., ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებული არ რუბრიცირდება და საგნობრივ კატალოგში არ აღინუსხება. მაგრამ ცალკეული ნაწარმოები მოთავსებული ამ კრებულში, თუკი ის ცალკე წიგნად არ არის გამოცემული და მკითხველისათვის ინტერესს წარმოადგენს, ანალიტიკურად აიწერება, დარუბრიცირდება და საგნობრივ კატალოგში მოთავსდება.

ასევე სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების კრებულები, ზოგადი ხასიათის კრებულები არ რუბრიცირდებიან, ხოლო სპეციალური კრებულები, თემატური კრებულები, რუბრიცირდებიან თემის მიხედვით და საგნობრივ კატალოგში აღინუსხებიან.

ზოგადი ხასიათის ცნობარები, ენციკლოპედიები და ბიბლიოგრაფიები საგნობრივ კატალოგში არ აღინუსხებიან. საგნობრივ კატალოგში აღინუსხებიან სპეციალური სახის ცნობარები, ენციკლოპედიები და ბიბლიოგრაფიები. ძირითად რუბრიკად ასეთი სახის ლიტერატურის მიმართ იქნება დარგის ან თემის დასახელება, ხოლო სიტყვები „ცნობარები“, „ენციკლოპედიები“, „ლექსიკონები“, „ტერმინოლოგია“, „ბიბლიოგრაფია“ წავა ქვერუბრიკად. მაგალითად:

„სამშენებლო საქმე — ცნობარები“,
„ტექნიკა — ენციკლოპედიები“,
„ბიბლიოთეკათმცოდნეობა — ლექსიკონები და ტერმინოლოგია“;
„ციტრუსები — ბიბლიოგრაფია“ და ა. შ.

ენობრივი ლექსიკონები ენის სახელწოდებაზე მიდის. ქვერუბრიკად იწერება სიტყვა „ლექსიკონი". მაგ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დაიწერება — „ქართული ენა—ლექსიკონები". ორი ან სამი ენის ლექსიკონები მათი სახელწოდების ქვეშ რუბრიცირდებიან, მაგალითად:

„რუსულ-ქართული ლექსიკონები",

„ფრანგულ-რუსული ლექსიკონები" და ა. შ.

მოძველებული ლიტერატურა. მოძველებული ლიტერატურა, რომელსაც დღეს არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს, არ უნდა იქნეს აღნუსხული საგნობრივ კატალოგში. ასევე ზედმეტია საგნობრივ კატალოგში ძველი ნაბეჭდი წიგნების აღნუსხვა, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ და ამდენად ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობისა არიან. ლიტერატურა, რომელსაც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აქვს, რუბრიცირდება სათანადო საგნის ისტორიის რუბრიკით, ქვერუბრიკად სიტყვა — „წყაროები" ან „მასალები" მიეწერება.

7. საგნობრივი კატალოგის შედგენა და გაფორმება

საგნობრივი რუბრიკის გაფორმება ბარათზე. საგნობრივი კატალოგისათვის ჩვეულებრივი ბარათი (აღწერილობა) სდგება თანახმად კატალოგრაფიის საერთო წესებისა; იგი არაფრით არ განსხვავდება სისტემატური და ანბანური კატალოგების აღწერილობებისაგან. ისმება მხოლოდ საკითხი სად უნდა დავაწეროთ ბარათზე და წიგნზე საგნობრივი რუბრიკა.

წიგნზე საგნობრივ რუბრიკას ვაწერთ უბრალო შავი ფანქრით თავფურცლის მეორე გვერდზე, ზემოთ ან თუ წიგნს შმუცტიტული აქვს, ამ უკანასკნელის მეორე გვერდზე.

ბარათზე საგნობრივი რუბრიკის დაწერის ორი წესი არსებობს:

1) რუბრიკას აწერენ ბარათის წინა პირზე (პირველ გვერდზე), პირველ სტრიქონზე (თავსტრიქონზე), მეორე ვერტიკალიდან. თუ რუბრიკა ერთ სტრიქონზე არ ეტევა, გადადიან მეორე სტრიქონზე მესამე წარმოდგენილი ვერტიკალიდან, ე. ი. მეორე ვერტიკალიდან ნახევარი სანტიმეტრით მარჯვნივ დახევით. თუ მეორე სტრიქონზეც არ დაეტია, გადადიან მესამე სტრიქონზე. ზოგ ბიბლიოთეკაში, ასეთ შემთხვევაში (როდესაც გრძელი რუბრიკაა და ერთ სტრიქონზე არ ეტევა) რუბრიკას წერენ თავსტრიქონის ზევით, ბარათის ზედა არშიაზე იწყებენ და გადმოდიან (აგრძელებენ) თავსტრიქონზე მეორე ვერტიკალიდან ნახევარი სანტიმეტრით მარჯვნივ დახევით. ეს იმიტომ, რომ ზედმეტი სტრიქონები რუბრიკით არ დაიკავონ და გაგრძელებითი ბარათების დაწერა არ მოუხდეთ. რუბრიკას ხშირად წითელი მელნით (ან ტუშით) აწერენ, რომ იგი უფრო გარკვევით იყოს გამოყოფილი წიგნის აღწერილობისაგან.

მაგალითი 1

		ლოგიკა—სახელმძღვანელოები
	ბაქ	რაძე, კ.
		ლოგიკა. თბ., საქ. პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტი, 1946
		276 გვ. ნახ-ით.
		○

2) მეორე წესით რუბრიკა იწერება ბარათის უკანა გვერდზე (მეორე გვერდზე) შებრუნებით, ისე რომ ნახვრეტი ღეროსათვის ზემოთ იყოს. რუბრიკა იწერება შუაში, ნახვრეტის ქვემოთ.

მაგალითი 2

○

ლოგიკა—სახელმძღვანელოები

რომელ წესს უნდა მიეცეს უპირატესობა? ავტორთა უმეტესობა პირველ წესს ანიჭებს უპირატესობას (მაგ., ზელცლე, დიკოვსკაია და სხვ.). ჩვენ კი მრავალი წლის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მეორე წესი უმჯობესია. პირველი წესის დადებით მხარეებად მიაჩნიათ ის, რომ ყველა რუბრიკისათვის გამყოფის გაფორმება არ არის საჭირო. რადგან რუბრიკები მეტად კონკრეტულ სახეს ატარებენ (ვიწრო რუბრიკებია მიღებული), ამიტომ ხშირად ერთი რუბრიკა მხოლოდ რამდენიმე ერთეულ აღწერილობას აერთიანებს და ასეთი მცირე რაოდენობის ადწერილობისათვის გამყოფის გაფორმება ზედმეტად მიაჩნიათ. ეს ავტორები სთვლიან, რომ დიდი რაოდენობის გამყოფები ხელს უშლის მკითხველებს. მეორე მოსაზრებად ამ წესის სასარგებლოდ მოჰყავთ ის, რომ რუბრიკა, წერია რა ბარათის წინა პირზე, ახსენებს მკითხველს, თუ რა საგანს შეეხება წიგნი. ღრმად თუ ჩავუკვირდებით საკითხს დავრწმუნდებით, რომ ეს „დადებითი მხარეები" არსებითად მეორე წესის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. მკითხველისათვის სწორედ ის არის უფრო მოხერხებული, როდესაც თითოეული რუბრიკა, რა რიგ მცირე რაოდენობის ბარათებს არ უნდა აერთებდეს იგი, ცალკეა გამყოფით გამოყოფილი კატალოგში. მკითხველი ხომ საგნობრივ კატალოგში გარკვეულ რუბრიკას ეძებს და არა ცალკე წიგნს. როდესაც ყველა რუბრიკა გამოყოფილია გამყოფით, მაშინ რუბრიკებს ეძებს მხოლოდ გამყოფთა შორის, რაც გაცილებით იოლია, ვიდრე რუბრიკების ძებნა ბარათების გადაფურცვლით. ამას გარდა, როდესაც მკითხველი მოძებნის მისთვის საინტერესო რუბრიკას, შემდეგ მთელი თავისი ყურადღება გადააქვს ამ რუბრიკის ქვეშ მოთავსებულ თითოეული წიგნის აღწერილობაზე, ცდილობს რა შეარჩიოს მისთვის საჭირო წიგნი მოცემულ საკითხზე. ამ შემთხვევაში მკითხველს ხელს უშლის საგნობრივი რუბრიკა, როდესაც იგი ყოველი ბარათის თავსტრიქონზე მეორდება. მკითხველი მაშინ იძულებულია ყურადღება გაფანტოს, ათვალიერებს რა წიგნთა აღწერილობებს მისთვის საინტერესო საკითხზე, ყოველთვის ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ზევით დაწერილ რუბრიკას, რადგან უამისოდ მას არ ეცოდინება სად თავდება ამ რუბრიკის ქვეშ მოთავსებული აღწერილობანი. როდესაც ყველა რუბრიკა გამყოფითაა გამოყოფილი, მაშინ მკითხველმა იცის, რომ ამ გამყოფიდან შემდეგ გამყოფამდე მხოლოდ ამ საკითხზეა წიგნთა აღწერილობანი მოთავსებული და იგი მთელ თავის ყურადღებას წიგნთა აღწერილობებს აქცევს. თუ ყოველ თქმულს დავუმატებთ იმას, რომ მეორე წესის შემთხვევაში ჩვენ არ გვიხდება საგნობრივი კატალოგისათვის ცალკე განსაკუთრებული ბარათების წერა, არამედ მხოლოდ გადაწერა სისტემატურ და ანბანურ კატალოგისათვის განკუთვნილი აღწერილობებისა (რადგან ამ შემთხვევაში მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის), რაც საბოლოო ჯამში წიგ-

ნის დამუშავებაზე დახარჯული დროის დიდ ეკონომიას გვაძლევს (განსაკუთრებით დიდ ბიბლიოთეკებში) და აგრეთვე იმას, რომ რუბრიკების ფორმულირებაში საჭირო ცვლილებების შეტანა მეტად გაადვილებულია (საჭიროა მხოლოდ გამყოფის შეცვლა, პირველი წესის დროს კი ამ რუბრიკის ქვეშ მოცემული ყველა ბარათი უნდა იყოს თავიდან გადაწერილი), მაშინ ნათელი გახდება მეორე წესის დიდი უპირატესობა. რუბრიკები უნდა დაეწეროს, აგრეთვე ანბანური კატალოგის (სამსახურებრივი კატალოგის) ბარათს უკანა გვერდზე შებრუნებით, შუაში, ნახვრეტის ქვეშ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ხშირად ერთ წიგნს ორი ან სამი რუბრიკა აქვს დასმული, საჭიროებისას რომ შეგვეძლოს ანბანური კატალოგის მეშვეობით გაგება რა და რა რუბრიკის ქვეშაა ეს წიგნი ასახული საგნობრივ კატალოგში.

ბ) **გამყოფების გაფორმება.** საგნობრივ კატალოგში ორი სახის გამყოფი გამოიყენება. გამყოფი შუაშვერით, ანუ საგვარეულო გამყოფი და გვერდითი (გამყოფი გვერდითი შვერით), ანუ სახეობითი გამყოფი. შუაშვერით, ანუ საგვარეულო გამყოფზე იწერება ზოგადი, ანუ სინონიმური მითითება, რუბრიკები კი იწერება გვერდით გამყოფებზე. რუბრიკა იწერება შვერზე, საბიბლიოთეკო ხელით, სასურველია ტუშით.

გვერდითი გამყოფი ორგვარია: მარცხენა გვერდითი გამყოფი, რომელსაც შვერი მარცხნივ აქვს, და მარჯვენა გვერდითი გამყოფი, რომელსაც შვერი მარჯვნივ აქვს. ზოგ ბიბლიოთეკაში მარცხენა და მარჯვენა გვერდით გამყოფებს განსხვავებულ მნიშვნელობას არ აძლევენ: ერთ რუბრიკას მარცხენა გამყოფზე რომ დასწერენ, მეორეს — მარჯვენაზე, შემდეგ კვლავ მარცხენაზე, შემდეგს—მარჯვენაზე და ა. შ. ზოგ ბიბლიოთეკაში მარცხენა და მარჯვენა გვერდით გამყოფებს განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობენ, სახელდობრ: მარცხენა გვერდით გამყოფზე წერენ მარტივ რუბრიკას, ე. ი. რუბრიკას უქვერუბრიკოდ, ხოლო მარჯვენაზე — რთულ რუბრიკას, ე. ი. რუბრიკას ქვერუბრიკით. ამჟამად უმეტეს ბიბლიოთეკებში ეს უკანასკნელი წესია მიღებული. ავტორებიც მეტ წილად ამ წესს გვირჩევენ. ჩვენც ვთვლით რომ უმჯობესია მარცხენა და მარჯვენა გამყოფები გარკვეული აზრით, ლოგიკური მნიშვნელობით ვიხმაროთ, ამიტომ ვურჩევთ ჩვენს მკითხველს ამ უკანასკნელ წესს.

მაგალითი 3



ზოგადი მითითება გაფორმებული შუა შვერით გამყოფზე.

მაგალითი 4



მარცხენა გვერდითი გამყოფი მარტივი რუბრიკით.

ლოგიკა — სახელმძღვანელოები

მარჯვენა გვერდითი გამყოფი რთული რუბრიკით.

საგნობრივი რუბრიკები საგნობრივ კატალოგში ლაგდება ზუსტ ანბანზე, ჯერ პირველი სიტყვის მიხედვით, შემდეგ მეორე, მესამე და ა. შ. ერთი რუბრიკის ფარგლებში—ქვერუბრიკების მიხედვით. ჩვეულებრივ ქვერუბრიკებიც ზუსტ ანბანზე ლაგდებოდნენ. მაგრამ უკანასკნელად რიგი ავტორებისა (შამურინი, კრუგლიკოვა, დიკოვსკაია) გვირჩევენ დავარღვიოთ ანბანური წყობა და გარკვეული ლოგიკური თანრიგობით დავალაგოთ რუბრიკის ფარგლებში ქვერუბრიკები. ეს აზრი ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია. რუბრიკა ზუსტ ანბანზე ლაგდება, ხოლო ერთი რუბრიკის ფარგლებში ქვერუბრიკათა სახეების გარკვეული ლოგიკური წყობით დალაგება, ვფიქრობთ, სავსებით მიზანშეწონილია. მაგრამ როგორი ლოგიკური თანმიმდევრობით?

კრუგლიკოვა გვირჩევს (და მას დიკოვსკაიაც ეთანხმება) ჯერ თემატური, ანუ შინაარსობლივი ქვერუბრიკები გავუშვათ, შემდეგ ქრონოლოგიური, შემდეგ გეოგრაფიული და უკანასკნელად ფორმალური. ეს თითქმის ისეთივე წყობაა რუბრიკების განლაგებისა, როგორიც მიღებული გვაქვს ერთი წიგნის რუბრიკაციისას (როდესაც ერთი წიგნის რუბრიცირებისას

რამდენიმე ქვერუბრიკა გვხვდება). ვფიქრობთ, კატალოგის აწყობისას ასეთი თანმიმდევრობა ლოგიკური არ იქნება. კატალოგის აწყობისას ჩვენ შებრუნებული თანმიმდევრობა უნდა მივიღოთ, რომ კატალოგში ქვერუბრიკათა ლოგიკური წყობა მივიღოთ, ე. ი. ჯერ ფორმალური ქვერუბრიკები უნდა წავიდეს, შემდეგ ქრონოლოგიური, შემდეგ გეოგრაფიული და ბოლოს თემატური. შინაარსობლივი და გეოგრაფიული ქვერუბრიკები ქვესაკითხებად ჰყოფენ რუბრიკას, ფორმალური ქვერუბრიკა კი რუბრიკას ჰყოფს არა ქვესაკითხებად, არამედ ბიბლიოგრაფიული ფორმის, ანუ გამოცემის ფორმის მიხედვით; ფორმალური ქვერუბრიკა შინაარსობლივად არ ანაწევრებს რუბრიკას. ამიტომ კატალოგში უშუალოდ მარტივი რუბრიკის შემდეგ პირველად ფორმალური ქვერუბრიკა უნდა წავიდეს, ე. ი. ჯერ რუბრიკა შინაარსობლივად დაუნაწევრებელი და შემდეგ უკვე დანაწევრებული ქრონოლოგიურად, გეოგრაფიულად და შინაარსობლივად. ასეთი თანმიმდევრობა, ცხადია უფრო ლოგიკურია. მაგრამ ეს შეიძლება მიღებული იყოს როგორც საერთო წესი. ყოველ ცალკე შემთხვევაში ბიბლიოთეკარმა უნდა გადაწყვიტოს ქვერუბრიკათა როგორი თანმიმდევრობა სჯობს, როგორი თანმიმდევრობა უფრო ლოგიკური და მისაღები იქნება კერძოდ ამ რუბრიკის ფარგლებში.

ერთი სახის ქვერუბრიკები თავის მხრივ ზუსტ ანბანზე უნდა დალაგდეს, გარდა ქრონოლოგიურისა, რომელიც ქრონოლოგიურად ლაგდება: ფორმალური ქვერუბრიკები შიგნით, ერთი რუბრიკის ფარგლებში, ანბანზე; გეოგრაფიული თავის მხრივ ანბანზე და თემატური ქვერუბრიკა ცალკე ანბანზე.

მითითებათა გაფორმება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგადი მითითება იწერება საგვარეულო (შუა შვერით) გამყოფზე. რუბრიკა, საიდანაც კეთდება მითითება, იწერება შვერზე ზემოთ, შუაში. შემდეგ მეორე სტრიქონზე შუაში იწერება სიტყვა „იხილეთ“ შემოკლებით—„იხ“. და შემდეგ ქვემოთ, რამდენიმედ მარცხნივ დახევით იწერება რუბრიკა. საითკენაც კეთდება მითითება (იხ. მაგალითი 3). ზოგადი მითითებები ლაგდებიან კატალოგში რუბრიკათა საერთო ანბანში.

ნაწილობრივი მითითება, საერთოდ მიღებული წესის მიხედვით, იწერება ჩვეულებრივ საკატალოგო ბარათზე. თავსტრიქონზე მეორე ვერტიკალიდან იწერება რუბრიკა, საიდანაც კეთდება ნაწილობრივი მითითება, შემდეგ მეორე სტრიქონზე შუაში იწერება სიტყვა „იხილეთ“ აგრეთვე შემოკლებით — „იხ. აგრეთვე“ და შემდეგ მესამე სტრიქონზე პირველი ვერტიკალიდან იწერება რუბრიკა, საითკენაც კეთდება ნაწილობრივი მითითება. თითოეული ნაწილობრივი მითითება ცალკე ბარათზე იწერება (მაგალითი 6).

		დიალექტიკური მატერიალიზმი
		იხ. აგრეთვე
	ისტ	ორიული მატერიალიზმი

ნაწილობრივი მითითების გაფორმება ბარათზე.

ეს ბარათები ნაწილობრივი მითითებით ლაგდება უშუალოდ სათანადო რუბრიკის (ჩვენს მაგალითში „დიალექტიკური მატერიალიზმის“) გამყოფის შემდეგ, წიგნების აღწერილობამდე, მითითებულ რუბრიკათა (რომლებიც მესამე სტრიქონზეა მოთავსებული) ანბანზე. ამრიგად, საგნობრივ კატალოგში რუბრიკის გამყოფის შემდეგ მიდის ბარათები ნაწილობრივი მითითებით („იხ. აგრეთვე“) და შემდეგ წიგნთა აღწერილობანი ამ საკითხზე.

შემჩნეულია, რომ მკითხველებს დიდად უშლის ხელს ეს ნაწილობრივი მითითებები. მკითხველი მოძებნის რა მისთვის საჭირო რუბრიკას, პირველად წააწყდება მითითებებს—„იხ. აგრეთვე“, „იხ. აგრეთვე“, „იხ. აგრეთვე“ და თუ ეს მითითებები ბლომადაა (როგორც ეს ხშირად გვხვდება კატალოგებში), მკითხველი ანებებს თავს და არც მიდის მისთვის საინტერესო საკითხზე წიგნების აღწერილობამდე. შეამჩნიეს რა ასეთი უხერხულობა, ზოგ ბიბლიოთეკაში შეცვალეს წესი, ბარათები მითითებებით დაალაგეს ბოლოს, წიგნების აღწერილობების შემდეგ, იმ მოსაზრებით, რომ მკითხველს, როდესაც იგი მიმართავს საგნობრივ კატალოგს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს ლიტერატურა კონკრეტულად ამ საკითხზე და შემდეგ უკვე საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგრამ არც ეს

წესი გაამართლა პრაქტიკამ. შემჩნეული იყო, რომ მკითხველები უმეტეს შემთხვევაში არ ფურცლავდნენ ბოლომდე ბარათებს და არ სარგებლობდნენ ნაწილობრივი მითითებებით. ამიტომ უკანასკნელად ავტორები უმეტეს შემთხვევაში კვლავ პირველ წესს ურჩევენ ბიბლიოთეკარებს (ზელცლე, დიკოვსკაია და სხვ.).

არც ერთი ზემოთ მოყვანილი წესი ჩვენ დამაკმაყოფილებლად არ მიგვაჩნია. საქმე იმაშია, რომ არ ექცევა ყურადღება იმ მეტად მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მომენტს, რომ მკითხველს აბნევს და ღლის ის გარემოება, რომ ნაწილობრივი მითითებები, თითოეული ცალკე იწერება ისეთივე ბარათზე (თუნდაც სხვა ფერის, რომ იყოს, პირიქით ფერების აჭრელება უფრო მეტად ღლის მკითხველს), როგორზედაც დაწერილია წიგნის აღწერილობა და ისინი ირევა წიგნის აღწერილობებში, სულ ერთია წინ არის ეს მითითებები დაწყობილი თუ ბოლოს. მკითხველმა მოძებნა რა რუბრიკა დაწერილი გამყოფზე, შემდეგ მთელი მისი ყურადღება მიმართულია ამ საკითხზე წიგნების შერჩევისაკენ და როდესაც მას წიგნის აღწერილობის მაგივრად ხვდება ნაწილობრივი მითითებანი („იხ. აგრეთვე"), ეს მას ანერვიულებს, მით უფრო თუ ასეთი მითითებები ბლომადაა.

მრავალი წლის დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ უმჯობესია ნაწილობრივი მითითებები დაწერილი იყოს გამყოფზე, რუბრიკის ქვემოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რუბრიკა იწერება გვერდით გამყოფზე, ზემოთ—შვერზე. შემდეგ სტრიქონზე შუაში უნდა დაიწეროს სიტყვები „იხ. აგრეთვე" და შემდეგ სტრიქონზე მარცხნივ დახევით მითითებული რუბრიკები ანბანურად გაწყობილი, ერთი მეორისაგან წერტილითა და ტირეთი გამოყოფილი, ერთ აბზაცში. როგორც ზემოთ იყო თქმული, ნაწილობრივი მითითებანი მაქსიმალურად უნდა იყოს შემცირებული, ასე რომ გამყოფზე მათი დატევა ყოველთვის შესაძლებელია, თუ ეს მითითებები სწორად არის შედგენილი. ისეთ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მითითებანი არ დაეტევა გამყოფზე (ასეთ სიმრავლეს მითითებებისას უნდა ვერიდოთ და უნდა აღმოვფხვრათ იგი), მაშინ იწერება გაგრძელებითი გამყოფი ნახევრად დამდაბლებული შვერით (გაგრძელებით გამყოფს შვერი ზევიდან ნახევრად წაეჭრება).

ამ წესის წინააღმდეგ შეიძლება ერთი ითქვას, სახელდობრ ის, რომ მითითებების დამატება ხშირად გამყოფის გაფორმების შემდეგ გვიხდება, მუშაობის პროცესში. ამ შემთხვევაში შეუძლებელია მითითებული რუბრიკის ზუსტ ანბანურ წყობაში ჩამატება, ან ბოლოს უნდა მივაწეროთ, ანბანური წყობის გარეშე, ან გამყოფი უნდა გადავწეროთ. რა თქმა უნდა უმჯობესია გამყოფი გადავწეროთ. ეს დიდად არ გაართულებს კატალოგებზე მუშაობას. სამაგიეროდ მას ის დიდი დადებითი მხარე აქვს, რომ

ერთ გამყოფზე, კომპაქტურად ვაწვდით მკითხველს მითითებებს. მკითხველი მოძებნის რა რუბრიკას (გამყოფს), იქვე გაეცნობა მითითებულ რუბრიკებს და შემდეგ მთელი ყურადღებით გადავა წიგნთა აღწერილობების გაცნობაზე და მისთვის საჭირო ლიტერატურის შერჩევაზე. ლიტერატურის გადათვალიერების შემდეგ, თუ დაინახა საჭიროდ მითითებული რუბრიკების გადათვალიერება, დაუბრუნდება კვლავ გამყოფს, რაც მეტად ადვილია. ახლა მისი ყურადღების ცენტრში იქნება მითითებული რუბრიკათა შერჩევა და მათი მოძებნა კატალოგში და ა. შ.

მ ა გ ა ლ ი თ ი 7

პედაგოგიური ფსიქოლოგია
იხ. აგრეთვე ბავშვთა ფსიქოლოგია—პედაგოგიკა

ნაწილობრივი მითითებების გაფორმება გამყოფზე.

წიგნების აღწერილობათა განლაგება რუბრიკის შიგნით. თითოეული რუბრიკის ქვეშ თავს იყრის რამდენიმე წიგნის, ზოგჯერ 30-მდე აღწერილობა. საჭიროა მათი რაიმე წესის მიხედვით განლაგება. ძირითადად განლაგების ორი წესი არსებობს: 1) უკუქრონოლოგიური და 2) ანბანური.

უკუქრონოლოგიური განლაგება გულისხმობს წიგნთა აღწერილობების განლაგებას წიგნების გამოცემის წლების მიხედვით, უკანასკნელი გამოცემების აღწერილობა წინ ლაგდება და შემდეგ ადრინდელი გამოცე-

მები, უკუქრონოლოგიის წესით. ამ წესის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ საკითხზე ახალი გამოცემები წინაა წამოწეული და მკითხველის საყურადღებოდ ეს ახალი გამოცემებია პირველ რიგში მოცემული, რომლებიც, თითქოს, მისთვის ყველაზე მეტად საინტერესოა. მაგრამ პრაქტიკამ ეს წესი განლაგებისა არ გაამართლა და უფრო მეტად გავრცელებული წესი აღწერილობათა განლაგებისა ანბანური განლაგებაა[1].

მეორე წესის მიხედვით რუბრიკის ფარგლებში წიგნები ავტორთა გვარის ანბანის მიხედვით ლაგდება, ან თუ წიგნი უავტოროა — სათაურის ანბანის მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები და პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, რეზოლუციები და სხვა ოფიციალურ-დოკუმენტალური გამოცემები. ეს გამოცემები ანბანის გარეშე, წინ წავა. ჯერ კლასიკოსების ნაწარმოებები— მარქსის, ენგელსის, ლენინის და შემდეგ პარტიისა და მთავრობის ოფიციალური მასალები, შემდეგ კი დანარჩენი ნაწარმოებები, როგორც გთქვით, ავტორთა გვარების ანბანზე და, თუ წიგნი ანონიმურ გამოცემას



ნახ. 4.

წარმოადგენს, სათაურთა ანბანზე. ერთი ავტორის სხვადასხვა ნაწარმოები ლაგდება სათაურის ანბანის მიხედვით. თუ ერთი და იმავე სახელწოდების რამოდენიმე გამოცემაა მოცემული, ისინი გამოცემის წლების მიხედვით ლაგდება, უკუქრონოლოგიური წესით.

---

[1] დაწვრილებით უკუქრონოლოგიური და ანბანური განლაგების შესახებ იხილეთ აქვე, გვ. 87—89.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს უკანასკნელი წესი უფრო გავრცელებულია, ვიდრე პირველი. მრავალი წლის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მკითხველი ერთ საკითხზე გარკვეული ავტორის ნაწარმოებებს აქცევს ყურადღებას, ამიტომ მისთვის უფრო მისაღებია როდესაც ერთ საკითხზე ერთი ავტორის ნაწარმოებები ერთად არის თავმოყრილი, მით უფრო ერთი და იგივე სახელწოდების სხვადასხვა წლის გამოცემები. ჩვენც ამ წესს ვურჩევთ მკითხველს.

კატალოგის გარეგნული გაფორმება. დიდი მნიშვნელობა აქვს კატალოგის გარეგნულ გაფორმებას. საგნობრივი კატალოგის ყოველ ყუთს უნდა გაუკეთდეს წარწერა საბიბლიოთეკო ხელით, ტუშით, რომელ სარუბრიკო სიტყვიდან რომელ სიტყვამდეა ამ ყუთში მოთავსებული აღწერილობანი. ეს წარწერა ჩაისმის ყუთის წინა პირზე მოთავსებულ ლითონის ჩარჩოში. ყოველი ყუთი და მისი ბუდე დანომრილი უნდა იყოს: საკატალოგოში საგნობრივ კატალოგთან უნდა იყოს გამოკრული სათანადოდ გაფორმებული წესები საგნობრივი კატალოგით სარგებლობისა. სასურველია ეს წესები პლაკატის სახით იყოს გაფორმებული სათანადო ილუსტრაციებით.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მთავარია საგნობრივ კატალოგთან ბიბლიოთეკარი გამუდმებით აწარმოებდეს ცოცხალ კონსულტაციას. საჭიროა მკითხველების გარკვევა კატალოგში, ყოველდღიურად დახმარების გაწევა. ამ დახმარების ამოცანა როდი უნდა იყოს მკითხველისათვის საჭირო ლიტერატურის მოძებნა კატალოგში, არამედ საჭიროა შევაჩვიოთ მკითხველი საგნობრივი კატალოგით დამოუკიდებლივ სარგებლობას.

8. მუშაობის ორგანიზაცია

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ საგნობრივი კატალოგის შედგენა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სხვა რომელიმე სახის, თუნდაც სისტემატური კატალოგისა. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ აქ არ გვაქვს წინასწარ დამუშავებული ცხრილები, სისტემები და სხვა ამგვარი. საგნობრივი რუბრიკების ფორმულირება თვით ბიბლიოთეკარს უხდება მუშაობის პროცესში. ამიტომ განსაკუთრებული სიფხიზლეა აქ საჭირო, რათა შეცდომები არ იქნეს დაშვებული.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წიგნის დასაგნებას უნდა აწარმოებდეს იგივე პირი, რომელიც წიგნის კლასიფიკაციას (ინდექსაციას) აწარმოებს. იგი მაღალკვალიფიციური პირი უნდა იყოს, ღრმად დაუფლებული ლიტერატურის კლასიფიკაციისა და რუბრიკაციის საკითხებს და იმავე დროს დაუფლებული იმ დარგის მეცნიერებასა და იმ დარგის ლიტერატურას, რომლის რუბრიკაციას იგი აწარმოებს. დიდ უნივერსალური ტი-

პის ბიბლიოთეკებში საჭიროა რუბრიკატორთა შორის (ისე, როგორც კლასიფიკატორთა შორის) განაწილებული იყოს ლიტერატურა მეცნიერებათა დარგების მიხედვით და თითოეული რუბრიკატორი მხოლოდ გარკვეული დარგის ლიტერატურას ასაგნებდეს, იმ დარგისას, რომელიც მის სპეციალობას წარმოადგენს, მაშინ საგნობრივი კატალოგი მაღალმეცნიერულ დონეზე იქნება შედგენილი.

საჭიროა ცალკე იყოს გამოყოფილი საგნობრივი კატალოგის გამფორმებელი და რედაქტორი. თუ სისტემატური კატალოგის აწყობასა და გაფორმებას თვით კლასიფიკატორი უნდა აწარმოებდეს, საგნობრივი კატალოგის გამფორმებლად უმჯობესია ცალკე პირი იყოს გამოყოფილი (რა თქმა უნდა იქ, სადაც თანამშრომელთა შტატი ამის საშუალებას იძლევა). ეს იმიტომ, რომ საგნობრივი კატალოგი ერთ ანბანზე იწყობა. გამფორმებელი მაღალკვალიფიციური პირი უნდა იყოს, განსაკუთრებით დაუფლებული საგნობრივი კატალოგის შედგენის მეთოდიკას. იგი კატალოგის აგებისას ერთგვარ რედაქციას უკეთებს და ამოწმებს რუბრიკებს, რათა რუბრიკაციის ერთგვაროვნობა იყოს დაცული მთელ კატალოგში. საჭიროებისას მან რუბრიკის შესწორების ან შეცვლის საკითხი უნდა დააყენოს რუბრიკატორის წინაშე და მიაქციოს ამ უკანასკნელის ყურადღება შემჩნეულ შეცდომებზე. დიდ ბიბლიოთეკებში საგნობრივი კატალოგის გამფორმებლების გარდა ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი საგნობრივი კატალოგის საერთო რედაქტორი.

მაღალხარისხოვანი საგნობრივი კატალოგის შედგენისათვის და საგნობრივ კატალოგში ერთგვაროვნობის დასაცავად აუცილებელია წინასწარ იყოს დამუშავებული საგნობრივი კატალოგის შედგენის პრინციპები და საგნობრივი კატალოგის გეგმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა შესწავლილ იქნეს საგნობრივი კატალოგის დარგში ყველა ძირითადი სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები და გამომუშავებულ იქნეს ამ ბიბლიოთეკის საგნობრივი კატალოგის შედგენის სამუშაო ინსტრუქცია, ან შეიძლება ძირითადში მიღებულ იქნეს რომელიმე დაბეჭდილი სახელმძღვანელო ან ინსტრუქცია და შიგ შეტანილ იქნეს საჭირო ცვლილებები და დამატებები. ცვლილებები და დამატებები შეიძლება გზადაგზა იქნეს შეტანილი, მაგრამ ამ ცვლილებების საფუძველზე სათანადო ცვლილებები, გეგმაშეწონილად, თვით კატალოგშიც უნდა გატარდეს. ასეთი მკაცრად დამუშავებული სამუშაო ინსტრუქცია აუცილებლად საჭიროა.

საგნობრივი კატალოგის შედგენისათვის აუცილებელია სახელდახელო ლიტერატურა, როგორიცაა ენციკლოპედიები, როგორც ზოგადი, ისე სპეციალური, განმარტებითი და ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სხვადასხვა ენობრივი ლექსიკონები, ცნობარები, მარქსიზმ-ლენინიზმის

კლასიკოსების თხზულებათა კრებულები საგნობრივ საძიებლითურთ, ძირითადი სახელმძღვანელოები მეცნიერებათა ძირითად დისციპლინებში, ისეთი გამოცემები ამ სახელმძღვანელოებისა, რომელთაც დართული აქვთ კარგი საგნობრივი და სხვ. საძიებლები, ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილები საგნობრივი საძიებლითურთ, საგნობრივ რუბრიკათა ნუსხები, რომლებიც ჩვენს მიერ ზემოთ იყო გარჩეული, და საგნობრივი კატალოგის შესახებ ლიტერატურა. ყველა ეს მასალები აუცილებელია რუბრიკატორისათვის. მთელი ეს ლიტერატურა მეტად ფრთხილად და კრიტიკულად უნდა იქნეს გამოყენებული რუბრიკაციის პროცესში და აგრეთვე საგნობრივი კატალოგის გაფორმებისას. ასეთი სახელდახელო ლიტერატურა და ზემოთ დასახელებული სამუშაო ინსტრუქცია, ძირითად დამხმარე სამუშაო აპარატს წარმოადგენს ლიტერატურის დამსაგნებელთათვის.

ზოგი გვირჩევს საგნობრივ რუბრიკათა წინასწარი სისტემის დამუშავებას (კერძოდ დიკოვსკაია) ან საგნობრივ რუბრიკათა წინასწარი ნუსხის („словник" სიტყვანის, ანალოგიურად ენციკლოპედიებისა) შედგენას. მაგრამ ასეთი წინასწარი „სისტემების" და „ნუსხების" შედგენა, ჯერ ერთი მეტად ძნელია, და თანაც არარაციონალური და გაუმართლებელია.

მთავარ სამუშაო აპარატს წარმოადგენს საგნობრივი კატალოგის რუბრიკათა საძიებელი, რომელიც უნდა შედგეს და შეივსოს პარალელურად, საგნობრივი კატალოგის შედგენასა და შევსებასთან ერთად.

ზოგი იფიქრებს, რა საჭიროა ასეთი საძიებლის შედგენა, თავისთავად საგნობრივი კატალოგი ხომ ამ რუბრიკების ანბანურ წყობას წარმოადგენს? საქმე იმაშია, რომ საგნობრივი კატალოგი მკითხველთა კატალოგია, იგი საკატალოგოშია გატანილი მკითხველთა სარგებლობისათვის. საძიებელი კი რუბრიკატორს ყოველ წუთს ესაჭიროება. რუბრიკატორი ვალდებულია თითქმის ყოველი წიგნის დასაგნებისას ჩაიხედოს რუბრიკათა საძიებელში და გამოარკვიოს იყო თუ არა ასეთივე შინაარსის წიგნი წინათ დასაგნებული. და თუ იყო, როგორ იყო საგნობრივი რუბრიკა გაფორმებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იგივე შინაარსის რუბრიკა შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაფორმებული, რაც არევ-დარევას შეიტანს საგნობრივ კატალოგში. რუბრიკაციის მეთოდიკის ერთ-ერთი წესი შემდეგია: რუბრიკატორი დაადგენს რა წიგნის საგანს, უპირველეს ყოვლისა, შეამოწმებს თავისი კატალოგის რუბრიკათა საძიებელში არის თუ არა ეს საგანი და თუ არის, ისევე უნდა გააფორმოს იგი, როგორც ეს მის საგნობრივ კატალოგშია. თუ საჭიროდ დაინახავს რუბრიკის ფორმულირების შეცვლას, მაშინ ცვლილება უნდა შეიტანოს კატალოგშიც და არა მხოლოდ ამ წიგნზე.

ამიტომაა საჭირო, რომ რუბრიკატორს თავის კატალოგის საგნობრივ რუბრიკათა საძიებელი მუდამ ხელთ ჰქონდეს. ამას გარდა, არის სხვაობა საგნობრივი კატალოგის გამყოფებზე გაფორმებულ რუბრიკებსა და სამუშაო საძიებელს შორის: სამუშაო საძიებელში თავმოყრილია ცნობები რომელი რუბრიკა რომელ რუბრიკასთანაა დაკავშირებული, საიდან არის საერთო და ნაწილობრივი მითითებები ამ რუბრიკისაკენ გაკეთებული. ეს ცნობები საგნობრივ კატალოგში უშუალოდ მოცემული არ არის, რუბრიკატორს კი ეს მეტად ესაჭიროება.

საგნობრივ რუბრიკათა ანბანური საძიებელი დგება ჩვეულებრივ საკატალოგო ბარათებზე. ყოველი საგნობრივი რუბრიკა, მარტივი იქნება იგი თუ რთული, იწერება ცალკე ბარათზე, თავსტრიქონზე მეორე ვერტიკალიდან. რთული რუბრიკის შემთხვევაში, რუბრიკის შემდეგ იწერება ტირე და ქვერუბრიკა. თუ რუბრიკა და ქვერუბრიკა ერთ სტრიქონზე არ დაგვეტია, გადმოვდივართ მეორე სტრიქონზე, მეორე ვერტიკალიდან მარჯვნივ ნახევარი სანტიმეტრით დახევით (მესამე წარმოდგენილი ვერტიკალიდან).

მაგალითი 8



ბარათი საგნობრივი რუბრიკით საძიებლისათვის.

ასევე ჩვეულებრივ ბარათზე დაიწერება ზოგადი მითითება და ჩაირთვება საერთო ანბანში.

მაგალითი 9



ბარათი ზოგადი მითითებით საძიებლისათვის.

რადგანაც საძიებელი სამუშაო აპარატს წარმოადგენს, აქ ჩაირთვება აგრეთვე ბარათი, რომელზედაც აღნიშნული იქნება, თუ საიდან არის გაკეთებული საერთო მითითება. მეორე ვერტიკალიდან თავსტრიქონზე იწერება რუბრიკა, შემდეგ მეორე სტრიქონზე შუაში შემოკლებით „საერთო მით. რუბ-დან“ — საერთო მითითება რუბრიკიდან. რუსულად „отс. от“ (отсылка от). შემდეგ მესამე სტრიქონზე პირველი ვერტიკალიდან იწერება რუბრიკა, საიდანაც კეთდება მითითება.

მაგალითი 10



ბარათი აღნიშვნით, თუ საიდან არის გაკეთებული ზოგადი მითითება.

აქვე უნდა იქნეს ჩართული ბარათები ნაწილობრივი მითითებებით. საძიებლისათვის თითოეული ნაწილობრივი მითითება ცალკე ბარათზე იწერება.

მ ა გ ა ლ ი თ ი 11

		პედაგოგიური ფსიქოლოგია
		იხ. აგრეთვე
	ბავშვთა	ფსიქოლოგია
		○

მ ა გ ა ლ ი თ ი 12

		პედაგოგიური ფსიქოლოგია
		იხ. აგრეთვე
	პედ	აგოგიკა
		○

ბარათები ნაწილობრივი მითითებებით საძიებლისათვის.

აქვე ჩაირთვება ბარათები, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რომელი რუბრიკებიდან არის გაკეთებული ნაწილობრივი მითითება ამ რუბრი-

კისაკენ. ჩვეულებრივ ბარათზე, თავსტრიქონზე მეორე ვერტიკალიდან იწერება რუბრიკა, საითკენაც არის გაკეთებული ნაწილობრივი მითითება. შემდეგ მეორე სტრიქონზე შუაში დაიწერება შემოკლებით სიტყვები „ნაწ. მით. რუბ-დან“ (ნაწილობრივი მითითება რუბრიკიდან, რუსულად „сс от“ — ссылка от). შემდეგ პირველი ვერტიკალიდან იწერება რუბრიკა, საიდანაც არის გაკეთებული ნაწილობრივი მითითება. თითოეული მითითება ასევე ცალკე ბარათზე იწერება.

მაგალითი 13



მაგალითი 14



ბარათები აღნიშვნით, თუ საიდან არის გაკეთებული ნაწილობრივი მითითებები.

თუ ბიბლიოთეკა თავის კატალოგში ნაწილობრივ მითითებებს მკაცრად განსაზღვრავს გადამკვეთი რუბრიკებით, როგორც ჩვენ ამას ვურჩევთ, მაშინ ეს უკანასკნელი ბარათები საძიებელში საჭირო არ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში რუბრიკები ურთიერთს უკავშირდებიან კერძო-

ოპით მითითებებით და ამიტომ საკუთარი ნათელია, თუ რომელი რუბრიკებიდან იქნება გაკეთებული ამ რუბრიკისაკენ კერძოობითი მითითება (ანალოგიურ რუბრიკებიდან, რომელი რუბრიკებისაკენაც იყო გაკეთებული მითითება). თუ ბიბლიოთეკა კერძოობით მითითებებს სხვა შემთხვევაშიც გამოიყენებს, მაგ., ზოგადი (საგვარეულო) რუბრიკებიდან სახეობითი (კერძო) რუბრიკებისაკენ, მაშინ ხსენებული ბარათები აუცილებლად უნდა იყოს ჩართული საძიებელში.

ამავე საძიებელს უნდა ჩაერთოს ე. წ. საცნობო ბარათები (მაგალითი 15).

მაგალითი 15

გეოგრაფია

ლიტერატურა მატერიკების, ქვეყნების, ცალკეული ადგილების გეოგრაფიის შესახებ რუბრიცირდება მატერიკის, ქვეყნების, ცალკეული ადგილების სახელწოდების ქვეშ, ქვერუბრიკით—გეოგრაფია. მაგალითად:

ევროპა—გეოგრაფია

საქართველოს სსრ—გეოგრაფია და ა. შ.

„გეოგრაფია“ რუბრიკად წავა იმ ლიტერატურის მიმართ, რომელიც შეეხება გეოგრაფიულ მეცნიერებას, მაგალითად:

გეოგრაფია—ისტორია

გეოგრაფია—საგანი და მეთოდი და ა. შ.

საცნობო ბარათი საძიებლისათვის.

ზოგი ავტორი, მაგალითად, დიკოვსკაია, გვირჩევს, რომ ასეთი ბარათებისაგან ცალკე კარტოთეკა შეექმნათ (ე. წ. კარტოთეკა „условных приемов предметной обработки“). ჩვენ ეს არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. უმჯობესია ყველა ასეთი საცნობო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მეთოდიკური“ ბარათები მოთავსდეს ერთ საგნობრივ საძიებელში.

დიდ უნივერსალური ტიპის ბიბლიოთეკებში, სადაც კლასიფიკატორთა და რუბრიკატორთა შორის შრომა განაწილებული იქნება მეცნიერებათა ძირითადი დარგების მიხედვით, მეორე ცალი ასეთი საძიებლისა უნდა განლაგდეს მეცნიერებათა ძირითადი დარგების მიხედვით (კლასიფიკაციის მთავარ განყოფილებათა მიხედვით), ე. ი. უნდა

შეიქმნას საგნობრივ რუბრიკათა ზოგადი სისტემატური საძიებელი. საგნობრივი რუბრიკები ათწილადი კლასიფიკაციის მხოლოდ ორნიშნა ინდექსებით უნდა იყოს დაინდექსებული, ე. ი. ძირითად მეცნიერებათა დარგებად დაყოფილი. ხოლო ძირითადი დარგის (ორნიშნა ინდექსის) ფარგლებში ანბანურად გაწყობილი. რუბრიკათა ასეთი დარგობრივ-ანბანური საძიებლები საჭიროა იმისათვის, რომ გარკვეულ დარგში მომუშავე რუბრიკატორს ცალკე ჰქონდეს თავისი დარგის საგნობრივი საძიებელი. ეს დიდად გაუადვილებს მას მუშაობას და ამავე დროს მისცემს საშუალებას გადახედოს და უფრო ღრმად შეისწავლოს თავისი დარგის რუბრიკათა ნუსხა და სისტემატურად იმუშაოს მის გაუმჯობესებაზე. ცხადია ეს დარგობრივი საძიებელი ვერ შეცვლის საერთო საგნობრივ საძიებელს, იგი პარალელურად საერთო საძიებელთან უნდა იყოს შედგენილი და წარმოებული. სპეციალურ და მცირე ბიბლიოთეკებში, ცხადია, ასეთი დარგობრივი საძიებლების შედგენა ზედმეტია.

ანბანურ-საგნობრივი საძიებლის ასეთი სრული სახით შედგენა და წარმოება აუცილებელია. იგი მთავარი საშუშაო აპარატია რუბრიკატორისათვის. ასეთი საძიებლის გარეშე ვერც ერთი ბიბლიოთეკა ვერ შესძლებს საგნობრივი კატალოგის მაღალ დონეზე წარმოებას.

სსრ კავშირის წიგნის პალატა და მოკავშირე რესპუბლიკების წიგნის პალატები, მათ შორის საქართველოს წიგნის პალატაც, დაბეჭდილ ბარათებზე (ე. ი. ბარათულ მატიანეებში), ქვემო ნაწილში, აღწერილობის შემდეგ, ათავსებენ საგნობრივ რუბრიკებს. ეს დაბეჭდილი რუბრიკები დიდ დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკებს მაღალხარისხოვანი საგნობრივი კატალოგის შედგენის საქმეში. უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური წესით დაბეჭდილი რუბრიკები მეტად აადვილებს და აიაფებს საგნობრივი კატალოგის შედგენას, დიდ შრომას უზოგავს ბიბლიოთეკარებს, და შემდეგ, რაც მთავარია, დიდად აუმჯობესებს საგნობრივი კატალოგების ხარისხს. ბიბლიოთეკებმა კარგად და სრულად უნდა გამოიყენონ დაბეჭდილ ბარათებზე მოცემული რუბრიკები. მაგრამ ეს დაბეჭდილი რუბრიკები სრულებითაც არ ათავისუფლებს ბიბლიოთეკის რუბრიკატორს რუბრიკაციისა და საგნობრივი კატალოგის შედგენისათვის პასუხისმგებლობისაგან. წიგნის პალატების მიერ მოცემული საგნობრივი რუბრიკები ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ ბრმად, უკრიტიკოდ. ჩვენ აქ საუბარი გვაქვს დაბეჭდილი რუბრიკების შეგნებული და კრიტიკული გამოყენების შესახებ. რუბრიკატორი ვალდებულია გამოიყენოს დაბეჭდილ ბარათებზე მოთავსებული რუბრიკები, მაგრამ მან ეს რუბრიკები უნდა შეადაროს მის კატალოგში მიღებულ რუბრიკებს, თუ სხვაობაა მათ შორის, უნდა ასწონ-დასწონოს, მიიღოს მხედველობაში მისი ბიბლიოთეკის სპეციფიკა, თუ ის დაინახავს,

რომ ბიბლიოთეკაში მიღებული ფორმულირება რუბრიკისა უფრო სწორია, ამ ბიბლიოთეკისათვის უფრო მისაღებია, დასტოვებს ამ ფორმულირებას, ხოლო თუ დაინახავს, რომ წიგნის პალატის ფორმულირება უფრო სწორია, მაშინ შეასწორებს თავის კარტოთეკაში რუბრიკის ფორმულირებას და იმავე დროს სათანადო ცვლილებას შეიტანს კატალოგში. არც ამ რუბრიკას მიიღებს უკრიტიკოდ, რომელიც მას კატალოგში არა აქვს და რომლის გახსნა ახლად უხდება დაბეჭდილი რუბრიკის საფუძველზე. ბიბლიოთეკარი მოვალეა ეს ახალი რუბრიკა კარგად ასწონ-დასწონოს და ისე მიიღოს, და შემდეგ გახსნას რუბრიკა კატალოგში. თუ საჭიროდ დაინახა, მას შეუძლია შეასწოროს წიგნის პალატის მიერ მოცემული რუბრიკა. მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ თვით წიგნის პალატაც ხშირად სცვლის და ასწორებს თავის რუბრიკებს. მაშასადამე, იგი არ თვლის უცვლელად და შეუცდომლად მათ. ამ ცვლილებებს ბიბლიოთეკარმა თვალი უნდა ადევნოს. ყოველივე ამას ვამბობთ იმისათვის, რომ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ცენტრალიზებული რუბრიკაცია პასუხისმგებლობას საგნობრივი კატალოგის შედგენისათვის არ ხსნის ბიბლიოთეკის რუბრიკატორს. დაბეჭდილი რუბრიკები დიდად უადვილებს ბიბლიოთეკარს მუშაობას, მაგრამ გარკვეული მუშაობა მათზე მაინც საჭიროა. უნდა გვახსოვდეს, რომ დაბეჭდილ ბარათებზე მოცემული რუბრიკები უძვირფასესი სახელმძღვანელო მასალაა საგნობრივი კატალოგის სწორად და მაღალხარისხოვნად შედგენისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

I. სისტემატური კატალოგი

1. დოლაქიძე შ., ათწილადი კლასიფიკაცია, მე-2 გამ., თბ., 1950.
2. ლორთქიფანიძე ნ., საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციის სისტემები. თბ., 1940.
3. ლორთქიფანიძე ნ., სისტემატური კატალოგი, თბ., 1957.
4. ჯოჯუა ვლ. და სხვ., ათწილადი კლასიფიკაცია, თბ., 1933.
5. Амбарцумян З. Н., Систематический каталог, М., 1954.
6. Боднарский Б. С., Библиотечная классификация, М., 1923.
7. Кленов А., Систематический каталог советской библиотеки, М., 1953.
8. Русинов Н. В., Десятичная классификация, М., 1944.
9. Русинов Н. В., Десятичная классификация и систематический каталог, М., 1931.
10. Таблицы библиотечной классификации для массовых библиотек, М., 1960.
11. Троповский Л. Н., Десятичная классификация. 3-е изд. М., 1942.
12. Хавкина Л. Б., Сводный каталог, М., 1943.
13. Шамурин Е. И., Библиотечные каталоги, М., 1946.
14. Шамурин Е. И., Очерки по истории библиотечно-библиографической классификации, т. 1—2, М., 1955-1959.
15. Шамурин Е. И., Систематический каталог и его организация, 2-е изд., М., 1939.

II. საგნობრივი კატალოგი

1. დოლაქიძე შ., საგნობრივი კატალოგი. თბ., 1939.
2. ლორთქიფანიძე ნ., საგნობრივი კატალოგი. თბ., 1959.
3. ჩხაიძე გრ., საგნობრივი კატალოგი, თბ., 1940.
4. Диковская Ю. М., Предметный каталог, М., 1946.
5. Зельцле Б. Р., Предметный каталог, М., 1940.
6. Карпова С. Г., Методика предметизации технической литературы, Л., 1957.
7. Кругликова В. П., Принципы и правила расстановки в предметном каталоге, М., 1943.
8. Марченко Э. В., Общая методика предметизации произведений печати, М., 1956.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 3
შესავალი 4

თ ა ვ ი I. სისტემატური კატალოგი

1. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია და მეცნიერებათა კლასიფიკაცია 17
2. ათწილადი კლასიფიკაცია 21
3. დეტერმინანტები (მსაზღვრელები) 33
4. ათწილადი კლასიფიკაციის გავრცელება საბჭოთა კავშირში და ათწილადი კლასიფიკაციის ახალი ვარიანტი 43
5. კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდიკა . 48
6. კლასიფიკაციის კერძო მეთოდიკა 71
7. სისტემატური კატალოგის შედგენა და გაფორმება 81

თ ა ვ ი II. საგნობრივი კატალოგი

1. საგნობრივი კატალოგი, მისი დანიშნულება და ამოცანები . . 94
2. საგნობრივი კატალოგის მოკლე ისტორია 103
3. საგნობრივი რუბრიკა და მისი ფორმულირება. რუბრიკაციის ზოგადი მეთოდიკა 115
4. ქვერუბრიკები 128
5. მითითებანი 130
6. ბეჭდურ ნაწარმოებთა რუბრიკაციის კერძო მეთოდიკა 136
7. საგნობრივი კატალოგის შედგენა და გაფორმება 144
8. მუშაობის ორგანიზაცია 155

გამოყენებული ლიტერატურა 165

რედაქტორი გ. გ. გეორგიძე

გამომც. რედაქტორი რ. ხუნდაძე
ტექრედაქტორი დ. ჟღენტი

კორექტორი ნ. ჯანელიძე
გამომშვები ნ ბიბილური

უე 03273 ტირაჟი 3.000 შეკ. № 1698

გადაეცა ასაწყობად 10//VII-61 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X-61 წ., ანაწყობის ზომა 6,5×10. ქაღალდის ზომა 60×90. ნაბეჭდი თაბახი 10,5. საავტორო თაბახი 9,49. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,71.

ფასი 44 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა №2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.